

ბერძნული ზეპირი

სახელმწიფოსა და  
დეპოკრატის  
საკითხისადმი დისკრატიულ  
მიდგომასზე

თბილისი 2019

# ბუღალტრული ანგარიშგება

სახელმწიფოსა და დემოკრატიის  
საკითხისადმი დისპარტულ მიდგომებზე



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი, 2019

ნიგნი გამოდის საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას 80 წლისთავისადმი მიძღვნილ „ეროვნული თანხმობისა“ და ჟურნალ „მიჯნის“ ღონისძიებათა ფარგლებში.

ღმერთო,

მომეცი მოთმინება, რათა ავიტანო ის,  
რისი შეცვლაც არ შემიძლია,  
გამბედაობა, რათა შევცვალო ის, რისი  
შეცვლაც შემიძლია და გონიერება,  
რათა გავარჩიო პირველი მეორისგან!

**კურტ ვონეგუტი**

რედაქტორი: **ჯემალ შონია**

© მ. ზაქარაია, 2019

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2019

თბილისი, 0186, ა. პოლიტაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-508-2

## **„ვინცა კვლავა გულმოდგინებით, გონებით განსჯა ყოველივესი...“**

(ეკლესიასტე 1, 2)

თანამედროვე საქართველოს სინამდვილეში, სადაც ერის უდიდესი ძალისხმევითა და ერთი კაცის პოლიტიკური გამჭრიახობით მოპოვებულ იქნა ეროვნული თავისუფლება და აღდგა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, ყველაფერი იმსხვერპლა პუტჩისტური „ეპოქის გონებრივმა სიჩლუნგემ და ობსკურანტიზმმა“ (კ. გ.), ხოლო ის ე.წ. საზოგადოება, რომელიც „გაიფურჩქნა“ ამ ობსკურანტიზმისა და გონებრივი სიჩლუნგის ხანაში, ნამდვილი სოციალური შორს დგას და როგორც თურმე ვოლტერი ხუმრობდა თავის თანამედროვე საზოგადოებაზე: მე ეს საზოგადოება მაგონებს დალუპულ გემსო, ასევე ამ ჩვენს საზოგადოებაში დალუპული საბჭოური სისტემის სოციალური ფენების აზროვნების ნამსხვერვეების უსისტემო გროვა უფრო ჩანს, ვიდრე თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების თუნდაც ჩანასახი. ამიტომ გონებრივი სიბეცითა და ნიჰილიზმით შეპყრობილი ამ პუტჩისტური ალიანსის საზოგადოებაში, სადაც ვერაფრით გაურკვევიათ ჭეშმარიტი და მოჩვენებითი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის არსი, ვერ დაუდგენიათ სახელმწიფოს დემოკრატიული მონეობისა და სამოქალაქო საზოგადოების ბუნება, ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევიან რევოლუციური და კონტრრევოლუციური პროცესები, სოციალური და პოლიტიკური საკითხების რკვევა და მათზე წერა ალბათ წყლის ნაყვად და კედელზე ცერცვის შეყრად მოეჩვენება ჩვენი ვერშემდგარი საზოგადოების იმ უდიდეს ნაწილს, რომლის დასახასიათებლად ისევ მოგვინევს კლასიკოსთა ნააზრევების დამოწმება.

ნიკოლო მინიშვილი თავისი დროის ასეთ დეგრადირებულ ნაწილს საზოგადოებისა ასე გვიხასიათებს: „ალარც თავმოყვარეობა, ალარც სინდისი და პატიოსნება. ყველა განუწკადა, ყველა გამსუხაგდა. არავის არაფერი სწამს. ყველაფერს

იზამს, ოღონდ ზედმეტი დღე გაატაროს და შიმშილით არ მოკვდეს“. რანაირი ძნელი მისაღებიც უნდა იყოს, ოცინი წლების დასაწყისის საზოგადოებრივი ყოფა ასე დახასიათებული „ქართული პესიმიზმის“ მამამთავრის მიერ, სამწუხაროდ, კიდევ უფრო მძიმე ფორმით მეორდება ამ ჩვენს პოსტპუტჩისტურ სინამდვილეში; ასევე ერთი-ერთზე მეორდება მინიშვილისეული დახასიათება ხელისუფლებისა, რომ მათ „არავინ არ უყვარდათ და არ უყვარდათ არც საქართველო, არავინ არ სწამდათ საკუთარი თავის გარდა“ (ნ.მინიშვილი, რჩეული, გვ.112, თბ.1971წ.).

ეს დახასიათება ხელისუფლებისა პუტჩისტურ-შევარდნადისეულ საქართველოზე უფრო მეტად დღევანდელ საზოგადოებასა და მის ხელისუფლებას შეესაბამება, ვინაიდან შევარდნაძე იწყებდა რეალური დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმშენებლობის ნგრევას, ესენი კი ასრულებენ მას.

ამდენად, ასეთ ვითარებაში გაჩუმება არა მარტო პრინციპების, არამედ ქვეყნის ინტერესების ღალატადაც მივიჩნiewთ. ამიტომ, როგორც წიგნის ეპიგრაფშია ნათქვამი, ღვთის ნებით მოვიკრიბე ძალა და გამბედაობა, ვიბრძოლო იმისათვის, რისი შეცვლა ჯერაც შესაძლებელი და აუცილებელია. იმაშიც ნუ შეგვედავება ნურავინ, რომ არა მარტო არსებული პოლიტიკური ვითარებაა შესაცვლელი, არამედ მთელი **პოსტპუტჩისტური ფსიქოსოციალური განწყობა**, ნასაზრდოები, ერთი მხრივ, რუსულ-სოციალისტური ნახევრადკრიმინალური აგრესიული იდეოლოგიით, მეორე მხრივ, ფსევდოდემოკრატიზმით, აპატრიოტული, სრულ **უპასუხისმგებლობაზე ორიენტირებული** ულტრალიბერალიზმით. ეს ორი დაპირისპირებული უკიდურესობა თავიანთ ბოლო წერტილში ერთმანეთს ემთხვევა და ქმნის ანტისაზოგადოებრივ ფსიქოსოციალურ განწყობას, ჭეშმარიტი სოციუმის ნაცვლად ვლებულობთ ფსევდოსოციუმს, გროვას სხვადასხვა სოციალური იდეის ნატყეხებისას. იმთავიდანვე უნდა ითქვას, რომ რუსულ-საბჭოური აგრესიის შედეგად განყვეტილი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ჯაჭვის აღდგენა ახალი პოლიტიკური შეგნების ორგანიზებით უნდა დავიწყოთ.

დიახ, აუცილებელია დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის ჯაჭვის განწყვეტილ რგოლებთან მიბრუნება და მათი აღდგენა და არა გონებანაკლულთა მოქმედებით გამრუდებული ცხოვრების გზის ბოლოდან გასწორების უგონო მცდელობა. ეკლესიასტე იტყვის: „გამრუდებულს ველარ გამართავ, ხოლო ნაკლულს ველარაფრით შეავსებ“ (ეკლ. 1,15). ჩვენი სხვადასხვა ჯურის ოპოზიციონერები კიდევ ამ გამრუდებულისა და გონნაკლულთა ნამოქმედარის გამართვას ცდილობენ, ვინაიდან თვითონაც დიდი წვლილი მიუძღვით სიცოცხლით აღსავსე ცხოვრების გზის გამრუდებასა და ეროვნულ და დემოკრატიულ იდეათა გაფერმკრთალებაში, მისი ნაკლული სახით წარმოდგენაში.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩვენ შევეცდებით დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის ერთიანი ჯაჭვის იმ განწყვეტილი რგოლების წარმოჩენას, **რომელთა აღდგენა დიდი პოლიტიკური კატაკლიზმების გარეშეა შესაძლებელი**. მისი მოგვარება გარდაუვალად გახდის შესაძლებელს, ხალხის ძალისხმევა წარმართოს სხვა, უფრო დიდი პრობლემისაკენ.

ამ პრობლემების გადაჭრის მოთხოვნათა კვალობაზე აუცილებელი იქნება ეროვნული თანხმობის მძლავრი პლატფორმის შექმნა, რომლის შესახებაც არა მარტო ჩვენთან, არამედ საფრანგეთსა და ევროპის სხვა დიდ ქვეყნებშიც ალაპარაკდნენ.

ამდენად, ნაშრომში შემოთავაზებული საკითხების გადაჭრა წარმოადგენს იმ გარდაუვალად აუცილებელ წინაპირობას, რომლის განხორციელების გარეშე შეუძლებელი იქნება სახელმწიფოებრიობის ერთიანი ჯაჭვის გამთლიანება, დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოების აშენება, არადა, დემოკრატიზმისა და ჰუმანიზმის იდეალები ჩვენი სოციალური ყოფიერებისა და ეგზისტენციის განუყოფელი ნაწილია; მას ფესვები გადგმული აქვს ჩვენს სახელმწიფოებრივად არსებობის გენეტიკაში. ამის აშკარა დადასტურებად გვეძლევა, არაფერი რომ არ ვთქვათ წინარექრისტიანულ ეგეოსურ-მედიტარიანულ ცივილიზაციასთან ჩვენს კავშირებზე, საკუთ-

რივ ქრისტიანული კულტურის სათავეებთან ჩვენი თანყოფნა (დასწრება, თანდასწრება), რომელიც სრულიად საკმარისია დემოკრატიული უნარ-ჩვევებისთვის აუცილებელი ფსიქოკულტურული განწყობის გენეტიკურად მოცემულობის დასადასტურებლად. ამიტომ, თუკი ორი ათასი წლის წინათ ჩვენ შევეძელით ყველაზე ჰუმანური, კოსმოპოლიტური, ნიგნიერი სარწმუნოების ფორმირებაში აქტიური მონაწილეობა, ნაციონალურ ნიადაგზე მისი გადმონერგვა და გახარება „ეროვნულ ქრისტიანობად“, რომელიც ჩვენი ეგზისტენციის ატრიბუტად იქცა, ჩვენ უნდა შევეძლოთ, იმავე ეროვნულ ნიადაგზე გავახაროთ თანამედროვე რეალური დემოკრატია. მხოლოდ ამ გზით გადავარჩინთ სიკვდილის პირამდე მისულ საზოგადოებას, რომელსაც, როგორც კ. გამსახურდია წერდა, ამ სიკვდილის მოახლოების ჟამს აწვალებს ჰალუცინაციები და სპირიტუალისტური ჩვენებები. დიახ, ჩვენი დღევანდელი საზოგადოების ნეანდერტალური მოთმინებით შეპყრობილი კონგლომერატისაგან, ყოველ საუზმეზე საქონლის ტვინი რომ მიართვათ, მაინც ვერ გაიგებ სწორ მოსაზრებებსა და დასკვნებს. ისინი ჰალუცინაციებისა და რალაც მოჩვენებების ტყვეობაში არიან, რუსულ-კორუფციული – „ობშიაკური“ ცხოვრების წესით ცხოვრებას არჩევენ ნამდვილ დემოკრატიას. დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირველი პრეზიდენტის პროგრამული მითითებით კი „მხოლოდ დემოკრატიას ძალუძს ჩვენი დაცვა“.

პრეზიდენტის ამ და სხვა პროგრამულ მითითებათა არსის ძიებისა და სახელმწიფოებრივი ჯაჭვის განყვეტილი რგოლების შედუღების საშუალებათა დადგენის მიზანს ისახავს ჩვენი ეს შრომა.

მართალია, კვლევაში მსჯელობაა რიგ თეორიულ თუ ისტორიულ მოცემულობებზე, მაგრამ ეს აუცილებელი რამაა, რომელთა არსში გარკვევის გარეშე ნაბიჯსაც ვერ ნავდგამთ არა მარტო დემოკრატიული სახელმწიფოს ამენების გზაზე, არამედ თვით „სიკვდილის პირას მისული საზოგადოების“ გადარჩენისთვის, სადაც **გადაგვარებული რევოლუცია და გამარჯვებული კონტრრევოლუცია თანაბრად ანადგურებენ ქვეყანას.**

ეს მოსაზრებაც ვილაცისთვის თეორიულ განსჯად უღერს, რეალობაში კი ეს დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელი ფაქტია, ვინაიდან იმ მკვიდრი დემოკრატიის ქვეყნებშიც კი, რომლებსაც ჩვენი გონარეული ფსევდოდემოკრატები და ულტრალიბერალები სამოთხედ წარმოადგენენ და არა ისე, როგორც ეს რეალობაშია: ურთულეს, მაგრამ მაინც ერთადერთ სწორ საზოგადოებრივ სისტემად, – იქაც გამოდიან მილიონები და თავიანთ დემოკრატ მმართველებს პირში ახლიან, რომ მათ სულ ფეხებზე კიდათ მილიონების ცხოვრება უკიდურეს სიღარიბეში და ა.შ. და ა.შ. ჩვენ კი სად ვცხოვრობთ და **რას ვითმენთ?** რანი ვიყავით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პროცესში და რანი ვართ დღეს – ნეანდერტალური მოთმინებით შეპყრობილნი და უძრაობაში გაქვავებულნი? ამ გაქვავეებისთვის პასუხი ყველას მოეთხოვება, რამეთუ მართალი იღუპება თავის სიმართლეში, ბოროტი დღეგრძელობს თავის ბოროტებაში (ეკლესიასტე, 2, 17). ბოროტებასთან თანაცხოვრებაზე პასუხი უნდა ვაგოთ.

### **ტერმინოლოგიური ნოვაციების აუცილებლობაზე**

დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის თითქმის სამათეულწლიანი ავბედიითი ისტორიის თავისებურებები და იმ რეალობის გათვალისწინება, რომელშიც „გაჭედილია“ დღევანდელი საზოგადოება, მოითხოვს ადეკვატურ ტერმინოლოგიურ გაფორმებას, ვინაიდან აქ მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების ზუსტი დახასიათებისა და შესაბამისი სახელდებისთვის ვერ გამოგვადგება ჩვეულებრივ მიღებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ენციკლოპედიური ნომენკლატურა, რამეთუ ეს მოვლენები და პროცესები არ შეესაბამებიან დემოკრატიული ცივილიზაციის საუკუნობით გამოშავებულ წესსა და რიგს. ამიტომ მოგვიხდა „ქართული სინამდვილის“ შესატყვისი ტერმინოლოგიური აპარატის „წარმოება“.

მიუხედავად ამ ნაციონალური (წარმომავლობითი) შეზღუდულობისა, ზოგი გამონაკლისის გარდა, ეს ტერმინები ამ ჩაკეტილ წრეში არ დაღევენ სიცოცხლეს. ბევრ მათგანს აქვს



სრული „უფლება“, გამოყენებულ იქნენ პოსტსოციალისტურ და, მით უმეტეს, პოსტსაბჭოურ სივრცეში მიმდინარე ზოგიერთი პროცესისა და მოვლენის ზუსტი დახასიათებისთვის, ვიდრე ეს შესაძლებელია დადგენილი ენციკლოპედიური ნორმების გამოყენებით.

ამიტომ მკითხველს ვთავაზობთ ჩვენ მიერ ბრუნვაში შემოტანილ ტერმინთა (ცნებათა) ზოგიერთ ნიმუშსა და მათ დახასიათებას.

\* \* \*

უპრიანი იქნება, თუ დავინყებთ ჩვენში არსებული პოლიტიკური რეალობის (მსოფლმხედველობითი შეუთავსებლობის) აღსანიშნავად ნიგნის სათაურში გამოყენებული ცნებით: დისპარატული.

**დისპარატული** – ერთმანეთისგან ძალიან დაშორებული ცნებები, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვთ ერთმანეთთან; ეს არაპოლიტიკური ცნება შემოგვაქვს არსებული პოლიტიკური სიტუაციის ზუსტად აღსაწერად.

სწორედ ეს ტერმინი (ცნება) ასახავს ჩვენში საბჭოურ-ნომენკლატურული, კრიმინალური პუტჩის შემდგომ ჩამოყალიბებულ მიდგომებს თავისუფალი, დემოკრატიული, ეროვნული სახელმწიფოს აშენების საკითხში.

**ერთი მხრივ** – გაბატონებული ანაციონალური ძალა ნაციონალურ-პატრიოტული ნიღბით იბრძვის თავისი ამწუთიერი მიზნების მისაღწევად, სახელმწიფოებრივი იქნება ეს თუ პირად-ჯგუფური. ის ამ მიზნით ამკვიდრებს ფსევდოსახელმწიფოებრივ, ფსევდოდემოკრატიულ მიდგომებს.

**მეორე მხრივ** – ასეთ მიდგომებს არაფერი აქვს საერთო ქართული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფუძემდებლური დოკუმენტებიდან მომდინარე უმთავრეს იდეასთან, – ვიყოთ თანასწორი თანასწორთა შორის, საკუთარი ღირსებითა და მიძიმე ხვედრთან გამკლავების უნარით; ვიყოთ დამოუკიდებელი კუნძული, მაგალითის მიმცემი დემოკრატიაში, ადამიანის უფლებების პატივისცემაში, სარწმუნოებრივ ტოლერანტობაში რუსული გავლენების მთელ სივრცეში. სახელმწიფო-პო-

ლიტიკური კულტურისადმი ასეთი ანტიპოდური მიდგომის გამოსახატავად შემოვიტანეთ ბრუნვაში ეს ტერმინი.

**პუტჩისტური ალიანსი** – მას ფესვები გადგმული აქვს საბჭოთა იმპერიის უღლისგან განთავისუფლებისთვის ბრძოლის გარიჟრაჟიდან მომდინარე ანტიგანმათავისუფლებელ რეაქციაში. ის ახალი ძალით აღორძინდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გამოცხადების კვალობაზე იმ ბანაკში, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ამ თავგანწირულ განმათავისუფლებელ ბრძოლას და სსრკ-ს გადემოკრატიებისთვის მოცდას ქადაგებდა.

პუტჩისტური ალიანსის **უპირველესი** „შემოქმედი“ და წარმმართველი ძალა იყო „გარდაქმნის“ ლოზუნგს ამოფარებული კომპარტიული პოლიტიურო, რესპუბლიკური ცკ და ნომენკლატურა თავიანთი რევანშისტული მისწრაფებებით;

პუტჩისტური ალიანსის **მეორე** ნევრად გვევლინება კვაზიპარტიებთან და „ხელმოცარულ პოლიტიკოსებთან შეკრული მაფიოზურ-კრიმინალური ბანდების“ (ზ.გ.) კონგლომერატი;

**მესამე** და ყველაზე ფარისევლურ, ყველაზე უფრო გაბოროტებულ, ყველაზე უფრო მავნე ანტისახელმწიფოებრივ დაჯგუფებას წარმოადგენდა „ნითელი ინტელიგენცია“ და მისგან ნაბარტყი, სოციალისტურ ნიადაგზე „უმაღლესი ხარისხის“ დემოკრატიის აშენების მამარდაშვილისეულ ანტიდამოუკიდებლურ ლოზუნგს ამოფარებული, გარდაქმნისეული მოინტელიგენტო, „ქალაქურად მოძველებიჭო“, ნაირგვაროვანი მასა;

პუტჩისტური ალიანსის **მეოთხე** დამოუკიდებელ ნევრად გაფორმდა რუსულ სამხედრო ძალასთან მოთანამშრომლე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ ამბოხებული გვარდიული და შინაგანი ძალების ჯგუფები, მათი მიმყოლი, ავღანეთის ომიდან მოყოლებული სუკთან და სამხედრო კონტრდაზვერვასთან (შემდეგში ფსბ-სთან) კავშირში მყოფი ნამდვილი თუ გავლენის აგენტების ახლადშევსებული და გაფართოებული წრე. რუსეთის „კალბაკქვეშ“ მოქცეულ ამ მოღალატურ კავშირს აგვირგვინებდა ყველაზე შავი ძალა, ციხიდან

გამოყრილი თუ მთელი საბჭოეთიდან თავმოყრილი, და შეიარაღებული ბანდები გასამხედროებული ძალის „მხედრონის“ ზედამხედველობით.

ამდენად, პუტჩისტური ალიანსის სადავე იმთავიდანვე ხელთ ეპყრა კრემლის საბჭოთა ძალოვან სტრუქტურებს, მემკვიდრეობით გადაეცა ელცინის „ახალ რუსეთს“.

პუტჩისტური ალიანსის ანტისახელმწიფოებრივ ქმედებათა ნუსხა დიდია. გამორჩეულად დამანგრეველი იყო შეიარაღებული პუტჩი და ამბოხი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ კრემლის მითითებითა და მის სამხედრო ძალაზე დაყრდნობით, რისი დადასტურებაცაა ახლა უკვე მრავალგზის გადამონმებული ელცინის ულტიმატუმი პრეზიდენტისადმი და მისი წუთი-წუთზე აღსრულება (სხვათა შორის, ეს მომენტი ხსნის დღის წესრიგიდან გამოგონილ დილემას: ვინ გაისროლა პირველად).

პუტჩისტური ალიანსის უპატიებელ, დიდ დანაშაულთა შორის, რა თქმა უნდა, შედის პუტჩის შემდეგ მოქმედი გარდამავალი კონსტიტუციის შეჩერება და 1921 წ. კონსტიტუციის ვითომ ამოქმედება, რომელიც თავის დროზეც არ იყო მოქმედებაში, რითაც იურიდიული კოლაფსი შექმნეს და ხელფეხი გაუხსნეს სეპარატისტებსა და კრემლს აშკარად ანტიქართული ქმედებებისკენ. ამას მოჰყვა შეიარაღების ესკალაცია და საომარი მოქმედებები აფხაზეთში, რომელსაც წარმართავდა რუსეთი და დამთავრდა აფხაზეთის ოკუპაციითა და ქართველთა გენოციდით.

აფხაზეთში საომარი ვითარების ესკალაციაზე არანაკლები დანაშაული იყო ომის პროცესში დემოკრატიული ნორმების დარღვევით ე.წ. იმედის არჩევნების ჩატარება, რამაც დიდი ხნით, თუ არა სამუდამოდ, დაასამარა ჩვენში პირდაპირი, თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უკვე ნაცადი პრაქტიკა, ე.ი. მათ წირვა გამოუყვანეს დემოკრატიული ეროვნული სახელმწიფოს აშენების პერსპექტივას.

პუტჩისტური ალიანსის დანაშაულებრივ ქმედებათა ეს რიგი დღემდე პერმანენტულად გრძელდება.

**ფსევდოსოციუმი (ფსევდოსაზოგადოებრივი ფენა)** – ცნება შემოგვაქვს იმდენად, რამდენადაც პუტჩისტური ალიანსის გაბატონების შემდეგ ჩვენი სოციალურ-პოლიტიკური, თუნდაც ეთნოკულტურულ სივრცეში ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ურთიერთობის რეალური არსის დახასიათებისთვის ვერ გამოგვადგება სოციუმის ლექსიკონური განმარტება, რომ „**სოციუმი** არის კოლექტივი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ერთიანობა“ (უცხ. სიტყ. ლექსიკონი, გვ.657, თბ. 2004 წ.).

სოციალური სინამდვილე, რასაც ამკვიდრებდა პუტჩისტური ალიანსი საზოგადოებაში, „სოციალური მოქმედების“ ვერცერთ დონეს ვერ შეესაბამებოდა, ის ვერ წყვეტდა ვერცერთ ძირითად ფუნქციურ პრობლემას: „ნიმუშის მხარდაჭერა“, მიზნის მიღწევა, ინტეგრაცია და ადაპტაცია. არადა, საბჭოური სოციალური სისტემის მოშლის შემდეგ, სწორედ რომ ასეთი ფუნქციური დატვირთვის მქონე ახალი საზოგადოებრივი შეგნების ორგანიზებისთვის უნდა გვეზრუნა. სინამდვილეში პუტჩისტური ალიანსის ბაზაზე შევარდნაძის ირგვლივ თავმოყრილი ნეოკომუნისტური ნომენკლატურის, „წითელი ინტელიგენციისა“ და საბჭოური, კორუფციულ-კრიმინალური ეკონომიკური სისტემის აქტიური ზედაფენის კონგლომერატი ყალიბდება ფსევდოსოციალურ არამდგრად ფენად, ვინაიდან მათ აკავშირებთ ოდენ ამწუთიერი ეგოცენტრისტული მიზანსწრაფვანი.

ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების სოციუმად გადაქცევის სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობაა მიზნის არჩევა და მისი აღსრულებისკენ მიზანდასახული ერთობლივი სწრაფვა, სხვადასხვა ჯგუფის ინტეგრაცია და ახალ სინამდვილესთან ადაპტირება. უკვე არსებული „ნიმუშთა მხარდაჭერის“ გზით, ყველა ამ ფუნქციონალურ კონტექსტში სოციუმი მხოლოდ პოზიტიური, სასიცოცხლოდ აუცილებელი ენერჯის მატარებელი ერთობაა. ყველა სხვა შემთხვევაში, როცა ხდება პირად-ჯგუფური და ეგოცენტრული მიზანსწრაფვების პრევალირება, ის იქცევა ფსევდოსოციუმად.

სოციუმის ფსევდოსოციუმად მეტამორფოზირება ხდება პუტჩისტური ალიანსის საბაზისო ფენების მეშვეობით ფორმირებული კორუმპირებული სახელმწიფო-ჩინოვნიკური აპარატისა და კრიმინალური-მაროდიორული საბანკო კაპიტალის შერწყმის კვალობაზე.

ფსევდოსოციუმი დღემდე აგრძელებს არსებობას, ის კი არა, ახერხებს მოდერნიზებას ჩვენ ირგვლივ შექმნილ ფსევდოსაბაზრო და ფსევდოლიბერალურ-დემოკრატიულ პოლიტიკურ ჭაობში, რომელშიც ითრევს ახალგაზრდა თაობას.

პუტჩისტურ-ალიანსური ეს ფსევდოსოციუმი სხვადასხვა კონფიგურაციით დღემდე მონინავე პოზიციებზე იმყოფება; პოლიტიკური ძალაუფლებისა და ერთადერთი რეალურად მოქმედი საბანკო კაპიტალის შერწყმით ისინი სრულად დაეპატრონენ მთელ ეროვნულ სიმდიდრეს.

მაშასადამე, ფსევდოსოციუმი ფორმირებულია არა სოციალურ და ეკონომიკურ კანონზომიერებათა კვალობაზე, არამედ საბჭოურ-კომუნისტურ-ნომენკლატურული, კორუფციულ-კრიმინალური რევანშიზმის მიზანდასახულობის მოთხოვნათა შესაბამისად.

თავისი გენეტიკით ფსევდოსოციუმი არის საბჭოური პარტოკრატიის, „წითელი ინტელიგენციის“ და კრიმინალ-მაფიოზთა შიბრიდი, შეფერადებული ცრუდემოკრატიითა და ფსევდოლიბერალიზმით.

**ფსევდოიდეოლოგიური ბაზისი** – ფსევდოსოციუმი თავისი ანტიდამოუკიდებლური, პუტჩისტურ-კოლაბორაციონალური, ნეოსაბჭოური ბუნებიდან გამომდინარე, შესაბამის **აიდეოლოგიურ ბაზისს** აფორმირებს. ესაა **იდეოპოიდი – იდეას მიმსგავსებული ცრუგამონაგონი**.

ამბივალენტურობით გაჯერებული ეს ანტიმსოფლმხედველობა სრულიად დაცლილია ზნეობრიობისაგან და ჩაფლულია ამორალიზმის ჭაობში.

ხალხის ფსიქოკულტურული წყობის მიღმა დარჩენილ ამ აიდეოლოგიურ პოპულისტურ ჩეხარდას განსაზღვრავს ამფიპოლური (ორგვაროვანი) ბუნების – ა) რუსულ-ნეოსაბჭოური ოლიგარქიული კორუფციული ფორმისა და ბ) დასავლური,

ჩრდილოვანი ეკონომიკური გავლენის მეშვეობით შეკონინებული ფსევდოდემოკრატიული და ფსევდოლიბერალური სტილი.

ჯერ კიდევ ედ. შევარდნაძის უკანონო ხელისუფლების დროიდან მომდინარე ანტიდემოკრატიულ ფსევდოიდეოლოგიურ ბაზაზე დგას ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობა. ეს სისტემა თვით რევოლუციამაც ვერ დაანგრია, ვინაიდან რევოლუციის წარმმართველი ფრთა და კონტრრევოლუციური ძალები ამ იდეოლოგიით იყვნენ გამსჭვალულნი.

ამდენად, ფსევდოიდეოლოგიური ბაზისი შეკონინებულია რუსულ-ნეოსაბჭოურ საწყისებზე და შეჯერებულია ვულგარული დემოკრატიზმითა და კვაზილიბერალიზმით. ეს ცრუ-დეური ტენდენცია პერმანენტულად ანადგურებს ჭეშმარიტ თვითიდენტობასა და სახელმწიფოებრივ აზროვნებას. ამასთან, მისით ხელმძღვანელობს დამოუკიდებლობის აღმდგენი, კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდგომ მოსული ყველა ხელისუფლება.

**მაროდიორული კაპიტალი და ბურჟუაზია** – ეს ცნება შეესაბამება არა მარტო ქართულ სოციალურ-ეკონომიკურ რეალობას, არამედ მთელ პოსტსაბჭოურ და პოსტსოციალისტურ სინამდვილეს, რომელშიც ჩართული აღმოჩნდნენ დასავლური ოფიციალური თუ ჩრდილოვანი საფინანსო წრეები.

დემოკრატიზმთან ბრძოლაში დაცემული საბჭოთა სისტემის გვამს მისეული, გადებერტირებული კომპარტიისა და ძალოვანი სტრუქტურების ალამდარობით, ამ მაროდიორულ მოძრაობაში ჩათრეული აღმოჩნდნენ მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური წრეები. იქმნება საერთაშორისო მასშტაბის კრიმინალურ-მაროდიორული პროფესიონალური სინდიკატები, მთელი ფენები დამტაცებელ-მიმტაცებლებისა და, ბოლოს, „მოყვარულ მაროდიორთა“ წვრილი ჯგუფები. ისინი შეესივნენ მთელ ამ სოციალისტურ სივრცეს და იწყება მაროდიორობა. არცერთი სხვა ცნება სრულად ვერ ასახავს ამ მოვლენას.

ბრძოლაში დაცემული საბჭოური სოციალიზმის გვამის ძარცვით ნაშოვნნი სისხლიანი შავი კაპიტალი მსოფლიო კაპიტალიზმის ისედაც ფართოდ გაშლილი ფინანსიალიზაციის წყალობით ადვილად შეერწყა მსოფლიოს ოფიციალურ თუ ჩრდილოვან საფინანსო კაპიტალს. ეს პროცესი სოციალისტური ტოტალიტარიზმიდან ახლად თავდახსნილ ქვეყნებს უდიდეს წინაღობად ექცა ნორმალური საბაზრო ურთიერთობისა და პოლიტიკური დემოკრატიის დამკვიდრების გზაზე.

ამ მაროდიორული ფინანსური ბაზისის საფუძველზე შენდება შესაბამისი ფსევდოპოლიტიკური, კვაზიდემოკრატიული, კორუმპირებული, ნახევრად ყაჩაღური სისტემა რუსეთსა და მთელ პოსტსაბჭოეთში. სწორედ ამ სისტემის გაბატონებისათვის იყო აუცილებელი პუტჩი და სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში.

პოსტპუტჩისტურმა სინამდვილემ საქართველოში იმ საერთაშორისო მაროდიორულ პროცესებთან შედარებითაც კი ყველა დასაშვებ ნორმას გადააჭარბა. მთელ ეროვნულ სიმდიდრეს სრულად **დაეპატრონენ ეროვნული მაროდიორები და გაფორმდნენ „ეროვნულ ბურჟუაზიად“**. ისინი სრულიად შეერწყნენ კორუმპირებულ მმართველობით სისტემას, რომელსაც ჯერ შევარდნაძისეული „ძმაცაცური დემოკრატით“ ფუთავდნენ, შემდეგ ნაცმოძრაობისეული რევოლუციური დემოკრატით; დღეს კი მიიღო ამ მაროდიორული საფინანსო ბაზისის შესაბამისი ფორმა – **ოლიგარქიზებული ბატონობისა**. ე.ი. მივიღეთ საფინანსო ოლიგარქიზმი ეკონომიკაში, რაც პოლიტიკაში „არაფორმალურ მმართველობად“ გაფორმდა.

ამდენად, საბჭოური სოციალისტური „ეროვნული სიმდიდრის მძორით“ გამოკვეთილი რუსული იმპერიული ტოტალიტარიზმი ამ მაროდიორული კაპიტალიზმის გასამხედროებულ ძალაზე დგას. **იმავე მძორით იკვებებოდა პუტჩისტური ალიანსით შობილი ქართული ფსევდოსოციუმი. მაროდიორულმა ოლიგარქიამ პოლიტიკურად ლიცენზირებული და პატენტირებული სახე მიიღო და სრულად დაეუფლა სახელმწიფოს.**

\*\*\*

„ძვირფასო, მხოლოდ მე დავრჩი მწინდა და სხვებმა გული ფულზე გაცვალეს“.

**ტერენტი გრანელი**

„ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი“ – ხშირად გაიგონებთ ამ შემართებულ სენტენციას, მაგრამ უფრო ხშირად ავიწყდებათ ის, რომ ღრმად უნდა იყვნენ გაცნობიერებულნი ამ ბრძოლის ჭეშმარიტ მიზანდასახულობაში, მის იდეაში. ამიტომ ამ წმინდა მონოდებას ფარსად აქცევენ, ახდენენ მის დევალვაციას, ვინაიდან მათი ბრძოლის მიზანი ვინროპარტიული თუ პირადი (თუნდაც პატივმოყვარული) ინტერესების „გასწორებაა“ და არა ზოგადად ქვეყნის გადარჩენა, ჭეშმარიტი თავისუფლების შენარჩუნება. მათი ეს „ბრძოლა“ შორს დგას წმინდა მიზნებთან და უფრო მიმართულია „კაპიტალისკენ“. ამადაც წავუმძღვარეთ ამ ტექნიკურ ქვეთავს დიდი გრანელის ეს აღსარება.

წინამდებარე ნარკვევის იდეაც ამ მებრძოლი სიბრძნიდან მომდინარეობს და მის მიზანს არა „კაპიტალის“ შოვნა, არამედ განადგურებული სოციუმის აღდგენა და სახელმწიფოს გადარჩენის გზების ძიება წარმოადგენს. ამჯერად მკითხველის ყურადღება მიიწვივს მივმართო მის ფორმაზე – რთულ სტრუქტურულ აგებულებაზე, სადაც ერთ ტექსტში განხილულია ისტორიული, პარტიულ-პოლიტიკური, სოციალურ-თეორიული თუ ჩვენი დღევანდელი ურთულესი სახელმწიფოებრივი პრობლემები, პრობლემათა ასეთი თავმოყრა ერთ ტექსტში ალბათ რამდენადმე ართულებს მის წაკითხვას, ვიდრე ეს ხდება ჩვეულებრივ ნარკვევის ჟანრში.

ეს არქიტექტონიკური სირთულე გამონვეულია იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოს უღრმესი კრიზისის ვითარებაში ყოფნა არაა გამონვეული ოდენ დღევანდელ თუ გუშინდელ რევანშისტული თუ კოლაბორაციონალური ქმედებებით, არამედ მას უფრო ღრმადაც, ისტორიულ და ფსიქოკულტურულ სიღრმეებშიც აქვს ფეხი გადგმული. ამი-



ტომ ამ ძველ თუ თანამედროვე ისტორიებში და მათგან მომდინარე კონტექსტებში მეტ-ნაკლებად გაურკვეველად ამ საჭირობოროტო საკითხების გადანყვეტა, თუნდაც მათთვის ბრძოლა უაზრობა იქნებოდა, რასაც ისედაც მრავლად ვხვდებით ე. წ. ოპოზიციონერთა საქმიანობაში.

სწორედ ამ ძველი თუ ახალი ისტორიული წარსულიდან მომდინარე ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი, რაც მთავარია, **ანტითავისუფლებრივი** რეციდივები დღემდე პერმანენტულად იჩენენ თავს, ის კი არა, სწორედ ისინი აფერხებენ ჩვენს საზოგადოებრივად – ერთიან სოციალურ ფორმირების, სასიცოცხლოდ აუცილებელ პროცესს. ეს კი ჩვენი დღევანდელი უბედურების სათავეთა სათავეა.


ამდენად, ამ ხანგრძლივად მომდინარე სოციალურ-პოლიტიკური, ისტორიული პროცესების ერთობლიობაში განხილვისა და კომპლექსურად შესწავლის გარეშე ვერაფრით ჩავწვდებით დღევანდელი ჩვენი კრიზისული ვითარების მიზეზთა ახსნას, მით უმეტეს, ვერ შევძლებთ ამ უბედურებისაგან თავდასხნას.

ამ ურთულეს პრობლემებში გარკვევა სუფთა სინდისითა და წრფელი გულით არის შესაძლებელი, ამიტომ არის აუცილებელი ასეთი კომპლექსური მიდგომა. შესაბამისად, ტექსტიც მთელი რიგი პრობლემებით „დამძიმებული“ გამოვიდა. თუმცა, იმედს ვიტოვებ, არც ისე, რომ მისი გაგება და სამოქმედოდ გამოყენება შეუძლებელი იყოს, თუკი მას მივუდგებით „სუფთა სინდისით“ და დევიზად წავიმძღვარებთ ხალხურ სიბრძნეს:

„ხმალო და მხარო, გასჭერი,  
გულო, ნუ შეგვიშინდები,  
სისხლისა ნატალახევსა,  
ფეხო, ნუ მოგვიცურდები“.

# თაფი I

## დამოუკიდებლობის ორი აქტი – ორი მიღბომა





## საკითხის ღასმა

„სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი, 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა“.

### ზვიად გამსახურდია

2018 წლის 26 მაისის საზეიმო ღონისძიებებით, შეიძლება ითქვას, ჩვენი ქვეყნის დღევანდელი სოციალური და პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავის აღნიშვნის „სახელმწიფო პროგრამა“ ნორმალურად აღსრულდა. საერთაშორისო თვალსაზრისით მან, ზოგადად, ასეთი დიდი ეროვნული დღესასწაულების წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრა შეძლო. თითქოსდა მიღწეულია მთავარი მიზანი, თანამედროვე დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო წარსდგა მსოფლიოს წინაშე თავისი 100-წლიანი ბიოგრაფიით და კიდევ ერთხელ შეახსენა სამყაროს, რომ ის **რუსეთის იმპერიისგან განთავისუფლების** პირველი დღიდანვე ესწრაფოდა დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებასა და ამ პრინციპზე აგებული ევროპული (დასავლური) ტიპის სახელმწიფოს აშენებას, როგორც ეს მითითებულია „დამოუკიდებლობის აქტის“ მეორე მუხლში: „დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა“.

ამასთან, სამწუხაროდ, იმავეს ვერ ვიტყვით „შიდა ფრონტზე“. აქ ამ ფუნდამენტალური მნიშვნელობის მქონე აქტის გარშემო ასი წლის შემდეგაც არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა, არა მარტო ისტორიული თვალსაზრისით, არამედ მის მიმართებაზე 1991 წლის 9 აპრილს მიღებული „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტისადმი“, რომელზედაც აგებულია ჩვენი თანამედროვე სახელმწიფოებრიობა და მისი კონსტიტუცია.

9 აპრილის აქტითაა განსაზღვრული ჩვენი ქვეყნის (სა-

ზოგადობის) ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში, ურყევი რწმენა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისა, გახდეს ისეთი პოლიტიკური გაერთიანებების წევრი, როგორცაა ევროკავშირი და ნატო.

ძირითადად მწვავე დავა-კამათი მიმდინარეობს იმის ირგვლივ, თუ დამოუკიდებლობის ამ ორი აქტიდან რომელია უფრო მნიშვნელოვანი და რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა და სტატუსი დამოუკიდებელი საქართველოს მთავარი კონსტიტუციური დოკუმენტისა.

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენიდან 28 წელი გავიდა, მაგრამ ამ თითქოსდა მარტივი საკითხის გადაწყვეტას საშველი ვერ დაადგა, რაც არა მარტო ირონიას იწვევს ჩვენს მტერ-მოყვარეებში, არამედ პირდაპირ წყალს ასხამს იმ ძალების წისქვილზე, ვინც მუდამ ებრძოდა და ებრძვის დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს არსებობას და ცდილობს მის შებრუნებას იმპერიულ ორბიტაში.

დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესთვის მზადების პროცესში ბეჭდვით მედიაში, ტელევიზიებსა თუ სოციალურ ქსელებში გამოიმუხურებული მასალებიდან ისე ჩანს, რომ საქმე სახუმაროდ არაა; ამ ჩვენი უგერგილობითა და უნიათობით, უაზრო ამპარტავნობითა და წამხედურობით განპირობებულმა უთანხმოებამ და დაპირისპირებამ შეიძლება ასპარეზი გაიფართოოს, საერთაშორისო არენაზე გაიჭრას და ევროსასამართლოს მიაკითხოს.

აი, რას აცხადებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი ბიმურზა დადეშქელიანი-აფრასიძე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საერთაშორისო მნიშვნელობაზე: „ეს გახლავთ დამოუკიდებლობის აქტი, რომლის საფუძველზე საქართველო განევრიანდა გაეროში, ევროსაბჭოში, ეუთოში, ღმერთმა ქნას, მალე ევროკავშირშიც...“ თითქოს ასეთი წყალგაუვალი ფაქტების შეხსენება დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის 28 წლის თავზე არ უნდა იყოს საჭირო, მით უმეტეს, რომ არა მარტო ეს საკითხები, არამედ ჩვენი თანამედროვე სახელმწიფოებრიო-

ბის არსებობა, მთელი ჩვენი ეგზისტენცია ამ აქტზეა აგებული, როგორც ეს ავტორის მიერ იქვე მოყვანილი კონსტიტუციის პირველი მუხლიდან ჩანს: „საქართველო არის დამოუკიდებელი ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით“\* იგივე ავტორი უთითებს: კონსტიტუციის მე-2 მუხლში წერია, რომ „საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით“. დეპუტატი იქვე აცხადებს, რომ ხელისუფლების (ხელისუფლებათა) მხრიდან ხდება და ხდებოდა რეფერენდუმისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტის შედეგების უგულებელყოფა. ის აფრთხილებს ხელისუფლებას, რომ, როგორც უზენაესი საბჭოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, ვალდებული ვარ, „კონსტიტუციის, რეფერენდუმის შედეგების ასეთი არნახული იგნორირების, გაყალბების გაგრძელების შემთხვევაში, მივმართოთ კონსტიტუციურ სასამართლოს, **ვეროპის სასამართლოს და ა. შ.** (ხაზი – მ. ზ.). შეიძლება ითქვას, რომ ეს „პრობლემა“ – როგორ ვიდლებასაწაულოთ თაობათა მიერ უდიდესი ძალისხმევითა და სისხლდანთხევით მოპოვებული დამოუკიდებლობა, მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ვერ გადაგვინყვეტია.

ამ თითქოსდა უმტკივნეულოდ გადასანყვეტ საკითხს

---

\* ჩვენი აზრით ამ მუხლის ფორმირება, პოლიტიკური თვალსაზრისით, უკეთესად შეიძლებოდა, კი არა და, აუცილებელიცაა. მასში პირდაპირ გვესმის შევარდნაძისეული საბჭოურობიდან გადმოსული პოლიტიკური სუნთქვა. აქ არ იყო საჭირო აფხაზეთის ასსრ-სა და სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის რეფერენდუმში მონაწილეობის საგანგებოდ ხაზგასმა. ეს რაღაცნაირად აფიქსირებს მათი სეპარატისტული მოთხოვნის უგულებელმყოფის არსებობის ილუზიას, რაც განსაკუთრებით აზრს დასავლურ საზოგადოებას. უნდა იყოს „...დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის ავტონომიურ წარმონაქმნებში და შემდეგ ფრჩხილში (აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) შემდეგ როგორც ტექსტშია (ურუნალი „მიჯნა“, №2(11). გვ. 13).

პრობლემური სახე რომ მიუღია, ამას ადასტურებს უზენაესი საბჭოს კიდევ ერთი დეპუტატის, პროფესორ თამაზ ყურაშვილის წერილი, გავრცელებული იმავე სოციალური ქსელებით. მისი სწორი განმარტებით, „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ საფუძველზე საქართველო გახდა მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი, აღიდგინა ისტორიული მისია მსოფლიო ცივილიზაციაში, როგორც დამოუკიდებელმა და თავისუფალმა სახელმწიფომ და დაიმკვიდრა ტერიტორიული მთლიანობის გარანტია, ამ აქტმა ჩაუყარა საფუძველი თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა ყოფილ რესპუბლიკებს შორის, რომელმაც ჩაატარა საყოველთაო რეფერენდუმი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

რა თქმა უნდა, ავტორის მიერ ხაზგასმა ჩვენი რეფერენდუმის ერთადერთობაზე მიმანიშნებელია **1991 წლის 9 აპრილის აქტის შეუვალ, არაუკუქცევად მნიშვნელობაზე დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს არსებობისთვის**, რომელსაც ყველა საერთაშორისო ნორმით ყოველგვარი პოლიტიკური კავშირი განწყვეტილი აქვს საბჭოთა იმპერიასთან (კავშირთან) და მის მემკვიდრე რუსეთთან; მაშინ როცა ამის გარანტია, პოლიტიკურ სიტუაციათა მკვეთრი შემობრუნების შემთხვევაში, ნაკლებად შეიძლება ჰქონდეთ ბელოვეჟსკისა და ალმატის აქტებით დამოუკიდებლობამოპოვებულ რესპუბლიკებს „ესენგედან“, ამიტომ იმავე ავტორის მიერ ამ საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარების საქმეში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას როლის შეფასება, რომ ეს იყო შორს გამიზნული პოლიტიკური ნაბიჯი საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი საზღვრების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად, მიუთითებს იმაზე, რომ სწორედ ამ დოკუმენტებს ემყარება თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობა მისგან მომდინარე მიზეზ-შედეგობრიობით. ამიტომაც, 31 მარტს გამოვლენილ ხალხის ნებაზე (ამომრჩეველთა 98,9%) დამყარებული 1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი წარ-

მოადგენს იმ მთავარ დოკუმენტს, რომელზედაც აგებულია ჩვენი თანამედროვე ყოფა-ცხოვრება, ყოველი ადამიანის – მოქალაქის ბედ-იღბალი, მთელი ჩვენი ეგზისტენცია.

ამდენად, სწორედ ეს დღე – 1991 წლის 9 აპრილი, საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ სახელმწიფოებრიობის საზეიმოდ გამოცხადება და ამ აქტზე ხელმოწერანი წარმოადგენს იმ ღირსშესანიშნავ მოვლენას, რომლის საფუძველზედაც უნდა იქნეს დადგენილი თანამედროვე ქართული სახელმწიფოს უმთავრესი დღესასწაული. ეს არ ნიშნავს იმას, რომ 1918 წლის 26 მაისი იქნეს ისევე იგნორირებული, როგორადაც ამჯერად ამას აკეთებს ხელისუფლება ვაი-ექსპერტებზე დაფუძნებით 1991 წლის 9 აპრილის აქტის მიმართ.

დიდი უბედურებაა, როცა საკითხი დგება ასე – ან-ან, მაშინ ჩვეულებრივ ყველა ღონეს ხმარობენ ერთის დასაკნინებლად და მეორის უზომოდ ასამაღლებლად. ამიტომ, ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა მოიხსნას საკითხი ან-ანისა, ვინაიდან მისი ასე დაყენება ეწინააღმდეგება როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივ ნორმებს, ასევე ზნეობრივ და მორალურ პრინციპებს. არადა, სამწუხაროდ, საკითხისადმი მიდგომა სწორედ ასეთია.

რატომ ხდება ასე? რატომ ვერ ერკვევიან ხელისუფალნი თუ ელიტარულად წოდებული ფსევდოინტელიგენციის ჯგუფები ან უკვე განხორციელებული სასიცოცხლოდ აუცილებელი მოვლენების რაობაში და მათ საფუძველზე მიღებული ფუნდამენტური აქტების დანიშნულებაში, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი ქვეყნის იდენტობა, მისი ანმყო და მომავალი?!

რატომ ვერ გადაუნწყვეტია ხელისუფლებას (თუნდაც, მეცნიერულ დონეზე მაინც), ერთი შეხედვით, ტრივიალური საკითხი? დღევანდელ კრიზისულ ვითარებაში ამ თავისთავად აუცილებელი საკითხის გადანწყვეტა ბიძგს მისცემდა ქართველი ხალხის კონსოლიდაციას. დამოუკიდებლობის აღდგენის ფუძემდებლური აქტებისა და ფაქტებისადმი ასეთი დისპარატული – ერთმანეთს ძალიან დაშორებული მიდგომის მიზეზები სუკუნეებს მიღმა ისტორიულ შრეებშიდაცაა საძებარი ჩვენი კულტურულ-ფსიქოლოგიური ნყოფის თვალსაზრისით,



მაგრამ დღევანდელ სინამდვილეში უმთავრესი და დამანგრეველად მოქმედი მიზეზი არის სამხედრო-კრიმინალური გზით კანონიერი ხელისუფლების დამხობა და ხელისუფლებაში ანტისახელმწიფოებრივი და პროსაბჭოური ძალების მოსვლა, რომელთაც წარმოდგენა არ ჰქონდათ იმ უმთავრეს აქტზე, რომლის ძალითაც ცხადდებოდა სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ვერც პუტჩისტთა მემკვიდრე არაკანონიერი მმართველობა სწვდებოდა გამოცხადებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და მისი უმთავრესი დოკუმენტის რეალურ საზრისს. ის კანონიერ ხელისუფლებასთან ბრძოლაში ანადგურებდა ამ სამარადჟამო მნიშვნელობის მოვლენის ყოველგვარ გამოვლენას. ეს გაბოროტებული ძალები თვითონვე იჭრიდნენ იმ ტოტს, რომელზედაც ისხდნენ (ზოგიც წინასწარგანზრავით და ზოგიც თავისი უვიცობით) და ქვეყანა მიიყვანეს კატასტროფამდე. რა თქმა უნდა, ასეთი, რეალობას მონყვეტილი ხელისუფლება, ვერ და უფრო არ ცდილობდა საყოველთაო სახალხო დღესასწაულის დაწესებას. ისინი 9 აპრილს გლოვის დღედ უფრო წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ, ვიდრე დღესასწაულად, თუმცა არც ამ შემთხვევაში იყვნენ გულწრფელნი, ვინაიდან თვითონვე იყვნენ მონაწილენი იმპერიის მიერ მოწყობილი ამ სასაკლაოსი. ისინი და მათი სულიერი მემკვიდრენი დღესაც სვამენ საკითხს: 9 აპრილი ეროვნული კონსოლიდაციის დღეა თუ უფრო საზოგადოებრივი დაპირისპირების? (ტელ. I. არხი. ირ. აბსანძის საავტორო გადაცემა) ამ საზარელ და მკრეხელურ კითხვას (ჩვენ ავტორს არ ვდებთ ბრალს მის ასე ფორმულირებაში), რომელიც დღესაც მსოფლიო თანამეგობრობის შემადგენლობაში შესული ქვეყნის საზოგადოების ერთ ნაწილში გაისმის, მართალია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში რესპონდენტმა შესაფერისი პასუხი გასცა, მაგრამ ეს არ ცვლის ვითარებას. სამწუხაროდ, ეს რეაქციული ძალები მტრულადაა განწყობილი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გამოცხადებისადმი, მეორე ნაწილი კიდევ თავიანთი ძველი შეცდომების (რომელიც სამშობლოს ღალატის ტოლფასი იყო) მიჩქმალვას და ამიტომ დღემდე ეწინააღმდეგება ყველა საკითხისთვის თავი-

სი სახელის დარქმევას. არადა, 1991 წლის 9 აპრილს მსოფლიო ცივილიზებულ ერთა წინაშე გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის **აღდგენა** 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

**9 აპრილის აქტმა გააცოცხლა 26 მაისის „დამოუკიდებლობის აქტი“ და მას, მხოლოდ ისტორიული დოკუმენტის ფუნქციის მქონეს, შთაბერა ახალი სული, ახალი სიცოცხლე და შესძინა ის მარადიულობა, რომელიც ქართველ ერთან, ქართულ სახელმწიფოებრიობასთან ერთად იარსებებს და მოქმედებაში იქნება.**

ამიტომ 1918 წლის 26 მაისის აქტის მნიშვნელობა დღევანდელ სინამდვილეში 1991 წლის 9 აპრილის აქტით არის განსაზღვრული.

იმავე დროს პოლიტიკური სამართლიანობისა და ზნეობრივი ნორმების სრული დაცვით უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას მიერ 1991 წლის 9 აპრილის საგანგებო სხდომაზე განისაზღვრა 1989 წლის 9 აპრილის მნიშვნელობა და მისი ადგილი ამ საყოველთაო-სახალხო მოვლენაში. ამით აღსრულდა ოცნება ერისა, გაცხადდა მარადიული სიხარული და ზეიმი ცასა და მიწაზეც. ამიტომ ინერებოდა იმ „ცხელ გულზე“: „უზენაესმა საბჭომ ერთხმად მიიღო ეს ნანატრი, ჭეშმარიტად ისტორიული დოკუმენტი“. ისინი, ვინც დღეს ცდილობენ ამ ნანატრი და ჭეშმარიტი, ისტორიული დოკუმენტის, შესაბამისად, მოვლენის მიჩქმალვას და იგნორირებას, 1918 წლის 26 მაისის აქტის ზედმეტად წინ წამოწევის მზაკვრული ხერხითა და ფარისევლური მიდგომით, **დანაშაულს სჩადიან**, ამასთან **არც ისინი არიან მართალნი**, ვინც თითქოს, საპასუხოდ აკნინებენ 1918 წლის 26 მაისის მოვლენებს და სოციალ-დემოკრატების ჯინაზე ცდილობენ მას „გადაუარონ“. მაგრამ, ამაზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა. ამ შემთხვევაში საკითხის დაყენებით შემოვიფარგლებით, რომ ჩვენი თანამედროვე სახელმწიფოებრიობა აგებულია ორ უდიდეს მოვლენასა და მათ განმსაზღვრელ ორ უმთავრეს ფუძემდებლურ დოკუმენტზე. „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ და „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“, ორი სხვადასხვა მოვლენის აღმნიშვნელი დო-

კუმენტებია, რომლებიც მიზნით – დამოუკიდებლობის მოპოვება – ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ როგორც ქრონოლოგიურად, ასევე თავიანთი სტრუქტურითა და ტაქტიკით, აღსრულებული ისტორიული ფაქტებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. შესაბამისად, ეს ორი მოვლენაა, რომელიც თავიანთ ისტორიულ ადგილს ითხოვს ჩვენი სახელმწიფოს კონსტიტუციურ წყობაში და შესაფერისი სახალხო დღესასწაულის კონსტიტუციურად დაკანონებას.

**1918 წლის 26 მაისისა და  
1991 წლის 9 აპრილის აქტთა  
ისტორიულ და პოლიტიკურ საზრისზე**

პირველ თავში ითქვა, რომ ჩვენი თანამედროვე სახელმწიფოებრიობა, მისი კონსტიტუციური მოწყობა ეფუძნება ორ უდიდეს ისტორიულ მოვლენას და განსაზღვრულია ორი ფუძემდებლური დოკუმენტით: „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტითა“ და „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ პოლიტიკური და სამართლებრივი დოქტრინით. იმისთვის, რომ სწორად შევაფასოთ (განვსაჯოთ) XX საუკუნეში მიღებული ამ ორი აქტის სახელმწიფოებრივი არსი, აუცილებელია, სწორად ავხსნათ მათი პოლიტიკური საზრისი მთელი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის კონტექსტში, რაც გამოკვეთილად და მითითებული ამ ორივე დოკუმენტის შესავალ ნაწილში.

1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის პრეამბულაში ნათქვამია: „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო“. მოცემულ შემთხვევაში ძალზე საყურადღებოა ცნებების „დამოუკიდებელი“ და „თავისუფალი“ პარალელურად ხმარება. **სიტყვა „თავისუფალი“ აქ უდიდესი ფაქტობრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის მატარებელი ტერმინია და განსაზღვრავს ამ აქტის საზრისს.**

1991 წლის 9 აპრილის აქტის შესავალ ნაწილში კი მითითებულია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, რომელიც ქართველმა ხალხმა დაკარგა მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ეს მოვლენა შეფასებულია, როგორც ერისათვის **თავისუფლების წართმევა**. ამიტომაც „ქართველი ხალხი არასდროს შეჰგუებია თავისუფლების დაკარგვას“. მოცემულ კონტექსტშიც „თავისუფლება“ იმავე მნიშვნელობის მატარებელია, როგორისაც 1918 წლის დოკუმენტში, რაც ადასტურებს იმას, რომ 1918 წლის **დამოუკიდებლობის აქტის უმთავრეს საზრისს**

**წარმოადგენს იმპერიის უღლისგან განთავისუფლება, 117**  
წლის წინათ წაგლეჯილი თავისუფლების დაბრუნება.

ამდენად, ის გარემოება, რომ 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება, სრულად ვერ ასახავს რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობის ფონზე საქართველოში განვითარებული პროცესების ისტორიულ შედეგს, რომელიც დაგვირგვინდა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ ასევე ისტორიული დოკუმენტის „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ მიღებით. როგორც ზემოთ ითქვა, ის უპირველესად წარმოადგენს საქართველოს რუსული იმპერიის უღლისგან **განთავისუფლების** დოკუმენტს.

ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენისადმი მიდგომა, ჩვენდა სავალალოდ, იმთავიდანვე არაერთგვაროვანი იყო და ასი წლის შემდეგაც გადაუწყვეტლად რჩება. ეს „პრობლემა“ მნიშვნელოვანია არა მარტო ისტორიული, არამედ თანამედროვე პოლიტიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისითაც, რომელიც მან შეიძინა 1991 წლის 9 აპრილს მიღებული საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტის შედეგად; ის კი, თავის მხრივ, ეფუძნება საყოველთაო სახალხო რეფერენდუმით დაფიქსირებულ ხალხის ნებას.

ორივე ადგილას: სარეფერენდუმო ბიულეტენშიც და სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა ეფუძნება 1918 წლის 26 მაისის დოკუმენტს, რითაც **მან ახალი სიცოცხლე და ახლებური მნიშვნელობა შეიძინა**. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ მისი ეს ახლად დაბადება არ ყოფილა ახალი პოლიტიკური სიტუაციით განპირობებული სპონტანური მოვლენა. ის იყო შედეგი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის პერმანენტული ბრძოლისა, რომლის მძაფრი აღორძინება მოხდა ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში და მიმდინარეობდა 26 მაისის დროში.

უფრო გვიან ამ პროცესს ქართველი ხალხისადმი გაგზავნილ თავის მომართვაში ასე აფასებდა დევნილობაში მყოფი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია: კომუნისტური ტოტალიტარიზმი 70 წლის მანძილზე ცდილობდა 26 მაისის იდეების

მოსპობას, თავისუფლების სულისკვეთების ჩაკვლას, მაგრამ იმპერიის მსახურმა რენეგატებმა ვერ ჩაკლეს ეროვნული აზრი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, კვლავ აფრიალდა 26 მაისის დროშები (კრებ. ტ. II, გვ. 84) მაშასადამე, ამკარაა, რომ 26 მაისი არაა ოდენ დამოუკიდებლობის გამოცხადების თარიღი, **ის იმპერიული უღლისგან განთავისუფლების, ზოგადად, ერის თავისუფლებისთვის მარადიული ბრძოლის იდეის სიმბოლოა.** მან ეს მისია ერთხელ უკვე აღასრულა, როცა „26 მაისის დროშებით კვლავ აღზევდა თავისუფლების სული, ხოლო 1990 წლის 28 ოქტომბერს კვლავ აღსდგა დემოკრატიული რესპუბლიკა საქართველოში“ (იქვე).

ყოველივე ამის გათვალისწინებით, უნდა დასამარებელიყო ის სექტეკური დამოკიდებულება, რომელიც არსებობდა პირველი რესპუბლიკის დღის მიმართ, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს არ მოხდა, რადგანაც ურთულეს საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაში, სუსტი მთავრობის პრაქტიკულ ღონისძიებათა შუქზე, **სრულიად ფერმკრთალდებოდა მისი უმთავრესი განმათავისუფლებელი მისია,** ხოლო რუსულ-ბოლშევიკური ოკუპაციისა და გასაბჭოების გზით ანექსიის მერე კიდევ სახელს უტეხდნენ არა ოდენ მენშევიკურ მთავრობას (ისედაც საკმაოდ შელანძღულს), არამედ თვით დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას, როგორც ასეთს, მისი არსებობის მართლზომიერებას; ანადგურებდნენ ჩვენს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას იმ დონეზე, რომ დღესაც გაიგონებთ უსაზიზღრეს, ყვეყნურ გამონათქვამს: „რა მოგვიტანა დამოუკიდებლობამ?“ მაგრამ **თავისუფალი ერის** სტატუსს ვერც ბოლშევიკებმა შეჰბედეს რამე და ის ამ ფორმით შევიდა სსრკ-ში.

ჩვენი ახალი სახელმწიფოებრივი ისტორიის ფორმირების ფუძემდებლური მოვლენებისადმი (აქტისადმი) ასეთმა მიდგომამ თითქმის **სრულიად დაჩრდილა მისი ნამდვილი არსი** და ოდენ სახელმშებლალული ე. წ. რესპუბლიკური მმართველობის მეხსიერებალა შემოუტოვეს ხალხს. დღემდე გრძელდება მის ირგვლივ დავა-კამათი და არავის ახსოვს **ის მარადუკვდავი განმათავისუფლებელი მისია 1918 წლის 26 მაისისა,** რომელიც

გახდა წინ წამძღვარებული დროშა თანამედროვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და იქცა თავისუფლების იდეად, რომლის საფუძველზეც მოხდა, როგორც უზენაესი საბჭოს პირველ სხდომაზე – 14 ნოემბერს განაცხადა ზვიად გამსახურდიამ, **თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს მკვდრეთით აღდგინება.**

ამდენად, 26 მაისის აქტზე მსჯელობისას სწორედ ეს თანამიმდევრობა უნდა იქნეს დაცული. **ის, პირველ რიგში, არის რუსეთის იმპერიის უღლისგან განთავისუფლების სახალხო დღე, რომლის საფუძველზეც მერე დაიწყო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მშენებლობა.**

\* \* \*

ჩვენ შევეცდებით სათანადო ისტორიული ფაქტების მოხმობით და მათზე მსჯელობით დავადასტუროთ და ვაჩვენოთ, რომ ამ დოკუმენტის განმათავისუფლებელი საზრისის მიზეზით დაიწყო ჩვენი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიისთვის სრულიად უცნობი ახალი სისტემის ფორმირება. ამდენად, **26 მაისის აქტის უმთავრესი საზრისისმომცველი ფაქტია განმათავისუფლებელი მისია.**

მიუხედავად იმ უდიდესი ისტორიული ღირებულებისა, 26 მაისის ფუძემდებლურ აქტს რომ ჰქონდა, და იმ პოლიტიკურ-სამართლებრივი დატვირთვისა, რომელიც მან 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტის საფუძველზე შეიძინა, მისადმი დამოკიდებულება ისევე, როგორც საუკუნის წინ, არაერთგვაროვანია და ამოვარდნილია სახელმწიფოებრივი აზროვნების კალაპოტიდან. ერთი მხრივ, ხდება მისი ადგილისა და როლის გაზვიადება და გაუკუღმართება მმართველი პოსტპუტჩისტური სოციალური მხრიდან; გაუკუღმართება იმდენად, რამდენადაც ხდება მისი უმთავრესი, **განმათავისუფლებელი მისიის** სრული იგნორირება. მეორე მხრივ, ხდება მისთვის არადაამახასიათებელი ფუნქციის მიკუთვნება, თანამედროვე სახელმწიფოებრიობის ფორმირებაში მისი მონაწილეობის როლის ხელოვნურად გაზრდა, რათა დააკნინონ 9 აპრილის აქტის მნიშვნელობა.

თავის მხრივ, 26 მაისის აქტის როლის ხელოვნურად გაზრდა იწვევს საპირისპირო რეაქციას და, ნებისთი თუ უნებლიეთ, იკვეთება ამ აქტისადმი ნეგატიური დამოკიდებულება. აშკარად ჩნდება ინტერესთა კონფლიქტი. შესაბამისად, სამართლიანობის დადგენის თუ აღდგენის ცრუ ლოზუნგით ხდება ამ დოკუმენტის უმთავრესი საზრისის – იმპერიის მონობისგან განთავისუფლების მიჩქმალვა; ამ მისიის სრული იგნორირება ხდება იმ დონეზე, რომ მას არა მარტო თანამედროვე პოლიტიკაში არ ეძებნება ადგილი, არამედ მისი ეს **განმათავისუფლებელი მისია** თვით ისტორიის სახელმძღვანელოებიდანაც გამოძევებულია და იფარება ე.წ. უდღეური დამოუკიდებელი სახელმწიფოს აჩრდილით. ეს კი, ფაქტობრივად, წარმოადგენს სსრკ-ში მის მიმართ შემუშავებული დოქტრინის თანამედროვე პირობებისათვის მისადაგებას.

ყოველივე ეს შედეგია ნომენკლატურულ-კრიმინალური გადატრიალებისა და პუტჩისტური ალიანსის შედეგად ფორმირებული სოციალისტური საქმიანობისა. ისინი სხვადასხვა სახე-ნაცვალი ფორმით დღემდე განაგებენ ქვეყანას. სწორედ ამიტომაც აუცილებელი ამ თითქოსდა ერთი შეხედვით სუბიექტური საკითხისადმი (ორი დოკუმენტის შეფასება) სიღრმისეული მიდგომა და ურთულესი პრობლემატიკური საკითხების (ისტორიული თუ თანამედროვე პოლიტიკური) წინ წამოწევა.

\* \* \*

დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებათა ფარგლებში, ერთ-ერთ ინტერვიუში საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის წარმომადგენლის, ისტორიკოს დავით ხვადაგიანისთვის დასმული კითხვიდან ჩანს, რომ ეს ძველი საბჭოური დოქტრინა და სკეპტიციზმი ამ განმათავისუფლებელი მისიის მატარებელი დოკუმენტისა და ფაქტისადმი კი არ შენელებულა, არამედ „ამ ფაქტის მნიშვნელობის მიუხედავად ისტორიკოსები (არა მარტო ისინი. – მ. ზ.) დამოუკიდებლობის გამოცხადების სხვადასხვა მოტივსა და ვერსიაზე მიუთითებენ. ნაწილი თვლის, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება „შემთხვევითობის წყა-



ლობით მოხდა, თუმცა მათ კატეგორიულად არ ეთანხმებიან სხვა მკვლევრები“ და ისმება „მარადიული“ კითხვა: „რამდენად იყო 1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის მზად ქართული პოლიტიკური ელიტა და საზოგადოება? რამდენად „გვებოძა“ თავისუფლება ბრძოლისა და ძალისხმევის გარეშე?“

ჩვენ არ შევუდგებით ამ ინტერვიუში განხილული ისტორიული პროცესების ანალიზს. მოცემულ შემთხვევაში საინტერესოა რესპონდენტის მეტაფორული პასუხი, რომ „სამწუხაროდ, ჩვენ 1918 წლის დამოუკიდებლობის გამოცხადებას აღვიქვამთ, როგორც კონკრეტულად დაზეპირებულ თარიღს“. ამ რთულ მეტაფორას თვითონვე ხსნის ავტორი, რომ „მოზეპირებს“ მხედველობაში აქვთო ამ პროცესის (დამოუკიდებლობის გამოცხადების გზა) დასკვნითი ნაწილი და არა მთელი პროცესი, რომელიც უფრო ადრე დაიწყო.

სამწუხაროდ, მისი ეს სწორი მიდგომა საკითხისადმი და მთავარი არსის მატარებელი მოსაზრება, რომ „პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო“ და ჩვეულებრივ, უნდა გვეგულისხმა 1991 წლის აქტით გაცხადებული, რომ „ქართველი ხალხი არასდროს შეჰგუებია თავისუფლების დაკარგვას და განუწყვეტლივ აწარმოებდა ბრძოლას მისთვის“, რესპონდენტმა ამის უთქმელობით ის პროკრუსტეს სარეცელში მოაქცია და დაიყვანა XIX საუკუნის მეორე ათწლეულის მოვლენებამდე, პარტიულ კინკლაობასა და შიდა წინააღმდეგობებში დანინაურებულ „კარგად ორგანიზებული ძლიერი ჯგუფის“ საქმიანობამდე, „ვინც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი წაიკითხა“. შესაბამისად, ყველაფერი წარმართა ისევ ძველი კალაპოტით – აქტის „წამკითხველთა“ განდიდებით თუ არა, მათი „შრომის დაფასების“ მიმართულეობით მაინც.

კვლევებისა თუ დისკუსიების ამ მიმართულებით წარმართვა მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით შეიძლება იყოს დასაშვები, თუმცა არც იქ მოაქვს მას დიდი სარგებელი. პრაქტიკული პოლიტიკისთვის ის მხოლოდ ვნების მომტანია.

ამიტომ, ჩვენი „ცუდი ჩვევებიდან“ გამომდინარე, ეს ავბედითი კითხვა – „ვინ მეტია და ვინ ნაკლები?“ – განზე დავტოვოთ, ვინაიდან ჩვენი საკითხისთვის ახლა მნიშვნელოვანია არა „აქტის“ წამკითხველთა როლის განსაზღვრა, არამედ თვით ნაკითხული დოკუმენტის მნიშვნელობა არა მარტო იმ ისტორიული მომენტისთვის, როცა, როგორც თვით დამოუკიდებლობის აქტშია მითითებული, რომ „საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება საგარეო ურთიერთობის **ძალდატანებით** (ხაზი- მ.ზ.) წარმოიშვა და ჩვენ ახლა მოვალენი ვართ იგი დავიცვათ“, არამედ მთელი შემდგომი პერიოდისთვის. განსაკუთრებით ასახსნელია ის საპატიო მისია, რომელიც მას 1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრიობრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით დაეკისრა.

მაგრამ სანამ ამ საკითხზე გადავალთ, უნდა შევნიშნოთ, რომ ნურავის ნუ მოატყუებს ჩვენ მიერ ხაზგასმული – „ძალდატანებით“ და მას ნუ აღიქვამს ისე, რომ თითქოსდა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს მიერ რუსეთის უღლისგან განთავისუფლებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის სურვილის გაცხადება ძალდატანებით, საზოგადოების დამოუკიდებელი ნების საწინააღმდეგოდ მოხდა. ჯობია ერთდასამუდამოდ მოვეშვათ ამ სოფისტიკას.

მოცემულ შემთხვევაში ლაპარაკი იმ „საგარეო ძალდატანებაზე“, რომელიც თან ახლდა კაცობრიობისთვის მანამდე უცნობ მოვლენას – მსოფლიო ომს, რომლის წინაშე „დიდიც და პატარაც“ უძღური იყო. ამიტომ ჩვენ მიერ მოხმობილ ამონარიდში მთავარია არა „**ძალდატანება**“, არამედ **ვალდებულების აღება**, მიიღოს ისტორიული მომენტი განპირობებული ეს გამონევეა და გამოაცხადოს: „ამიერიდან საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკა“ და არა მარტო ეს, არამედ ისიც, რომ „ჩვენ გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა, მაგრამ დამოუკიდებლობას დაცვა უნდა და ამ დაცვის საქმეს მოვანდომოთ მთელი ძალ-ღონე“.

საზოგადოების (ერის) ასეთი ბრძოლისთვის მზაობის გაცხადებაა მთავარი, რომელიც შემდგომმა პროცესებმა სრულიად დაადასტურეს, როცა დადგა უამი გამოცდისა და მსოფ-

ლიო ომში „გამარჯვებულმა ევროპამ“ და მისმა საერთაშორისო „მთხლე ორგანიზაციებმა“ ისტორიულ სამართლიანობასაც და მორალსაც ზურგი აქციეს და საბჭოთა იმპერიას მიეყიდნენ, ქართველ ხალხს არ შეუწყვეტია ბრძოლა სახელმწიფოს აღდგენისთვის.

ჯერ კიდევ ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების ცხელ კვალზე, როცა საქართველომ ანტიბოლშევიკური პოზიცია დაიკავა და პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდნენ აშკარად პროდასავლური ძალები, მათ 1917 წლის 9 დეკემბერს ეროვნული საბჭოს აღმასკომში, ანტანტის ქვეყნების ელჩებთან (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია) შეხვედრაზე, დასავლეთისადმი ლოიალობის გამოცხადების პასუხად ერთხმად მიიღეს: „რომ ისინი ცნობდნენ ერთ, მთლიან და განუყოფელ რუსეთს და მის დროებით მთავრობას“.\* ეს პოზიცია დასავლეთის ქვეყნებს თითქმის არ შეუცვლიათ საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მანძილზე (თუ არ მივიღებთ მხედველობაში მათ მიერ 1920/21 წლებში გადმოგდებულ აღიარებას), მათ ახალგაზრდა, დემოკრატიულ რესპუბლიკას მიუკეტეს ერთა ლიგის კარი.

ამიტომ, როგორც ითქვა, დამოუკიდებლობის გამოცხადება ძალდატანებით აქტი კი არ იყო, არამედ ის იყო ლოგიკური დაგვირგვინება რუსეთის უღლისგან საქართველოს განთავისუფლებისთვის 117-წლიანი ბრძოლისა, რომელიც, როგორც 1991 წლის 9 აპრილის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე გაცხადდა, „დაიწყო მაშინვე, როგორც კი რუსეთის იმპერიამ გასული საუკუნის დამდეგს მოახდინა საქართველოს ანექსია და გააუქმა მისი სახელმწიფოებრიობა“ (საქ. სახელმწ.

---

\* ვ. ფერაძე, ლ. მუმლაძე, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ნარკვევები, X-XXI საუკუნეები“. ამ შემთხვევაში ძალაუწებურად გახსენდება აშშ პრეზიდენტის ბუშის (მამა) განცხადება კიევში: „ზოიად გამსახურდია დინების სანინალმდეგოდ მიცურავს“, რაც სინამდვილეში იყო დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს სანინალმდეგო განცხადება, რასაც მოჰყვა ლირსეული პასუხი: „დინებას მკვდარი თევზები მიჰყვებიან!“ ეს იყო 1991 წ. 31 მარტის რეფერენდუმში მონაწილე ქართული საზოგადოების 98%-ის აზრის გამოხატვა.

ხელმძღვანელები, ზ. გამსახურდია, ტ. I, თბ., 2013 წელი, შემდეგში „კრებული“).

ამდენად, სწორედ 117-წლიანი პერმანენტული ბრძოლა „ხალხთა საპყრობილედ“ ქცეული რუსეთის თვითმპრობელობის უღლისგან განთავისუფლებისთვის აყალიბებს 1918 წლის 26 მაისის აქტის ბუნებას (საზრისს), რაც მთელი სისრულით აისახა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას „მიმართვაში ქართველი ერისადმი 26 მაისის გამო“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „აღდგომაში“ (N4, 1992წ. 24/V): „1918 წლის 26 მაისს ქართველმა ერმა რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე ააფრიალა დროშა ეროვნული დამოუკიდებლობისა. ას ჩვიდმეტი წლის მონობის შემდეგ კვლავ აღორძინდა ეროვნული სახელმწიფოებრიობა. ჩატარდა არჩევნები, შეიქმნა პარლამენტი, მაგრამ საბოლოოდ ვერ გაიმარჯვა ეროვნულმა და ქრისტიანულმა იდეამ, ქართველობამ ვერ დააღწია თავი მარქსიზმის დამღუპველ იდეოლოგიას, ვერ უერთგულა ქრისტეს გზას, დიდი ილიას გზას, რამაც ღვთის რისხვა მოგვივლინა და 26 მაისი 25 თებერვლით შეიცვალა“ (კრებული, ტ.III, გვ.84). აი, ამაშია 26 მაისის აქტის პოლიტიკური და მსოფლმხედველობრივი არსი.

\* \* \*

სხვათა შორის, ეს პირველი სრულფასოვანი დოკუმენტია დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ, მიძღვნილი 26 მაისის დღესასწაულისადმი, რომელშიც აღწერილია ამ მოვლენისა და დოკუმენტის სასიცოცხლოდ აუცილებელი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-კულტურულად და პოლიტიკურად არსებობისათვის. პრეზიდენტი განმარტავს:

იმპერიის მსახურმა რენეგატებმა საბოლოოდ ვერ ჩაკლეს ეროვნული აზრი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, იგი კვლავ ფენიქსისებრ აღორძინდა, „როდესაც დადგა იმპერიის მწუხრი, კვლავ აფრიალდა 26 მაისის დროშები“ (იქვე), ეს განმათავისუფლებელი მისია აკისრია 26 მაისის აფრიალებულ დროშებს, ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, ამ თვალთახედვიდან უნდა შევხედოთ მას და შემდეგ ვიმსჯე-

ლოთ და ვიკამათოთ მის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ დანიშნულებაზე როგორც ასი წლის წინ, ასევე თანამედროვე ქართული სახელმწიფოსათვის.

მაშასადამე, როგორც მიმართვის ტექსტიდან ჩანს, მაშინდელმა ქართულმა საზოგადოებამ საბოლოოდ ვერ მიიყვანა ამ განმათავისუფლებელი ბრძოლის პროცესი სრულ გამარჯვებამდე. „26 მაისი 25 თებერვლით შეიცვალა“.

მიუხედავად ამისა, ეს ისტორიული მოვლენა და მისი გამომხატველი აქტი უდიდესი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მატარებელი ფაქტი და დოკუმენტია. დევნილობაში მყოფი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია აცხადებდა, რომ 25 თებერვალს და 6 იანვარს ერთი და იგივე ავტორი ჰყავს: კრემლის იმპერია, წითელი ჯარი და მათი მეგზურნი, ჩვენი ერის მოღალატენი! ჭეშმარიტმა მამულიშვილებმა უნდა აღაზევონ 26 მაისის დროშა (მიმართვა, იქვე). ეს არაა უბრალო მონოდება, ეს არის 26 მაისის აქტის ფუძემდებლური მნიშვნელობის სამუდამოდ დადასტურება იმ დონეზე, რომ პრეზიდენტი ქართველი ერის დიდებასა და 26 მაისის დიდებას განუყოფლად მიიჩნევს და აფიქსირებს: „დიდება ქართველ ერს, დიდება 26 მაისს!“

ამდენად, საქართველოს ჭეშმარიტი შვილებისათვის 26 მაისის დროშა სიმბოლოდაა დასახული იმპერიული ძალადობისა თუ შიდა გამცემთა წინააღმდეგ ბრძოლისა. ისტორიულ კონტექსტში ის არის ანაბეჭდი რუსეთის მიერ ვერაგულად თავს მოხვეული მონობისგან თავდახსნისთვის საუკუნოვანი პერმანენტული ბრძოლისა, სიმბოლო იმპერიული უღლისგან განთავისუფლებისა.

ამიტომ, 26 მაისის მნიშვნელობა ღირებულებითი თვალსაზრისით „რევიზირებას“ არ ექვემდებარება, რომელ და ვისი მხრიდანაც მოდიოდეს ის. მაგრამ, ამასთან მას, როგორც სიმბოლოს და ისტორიულ საფუძველს ჩვენი თანამედროვე სახელმწიფოებრიობისას, არ შეიძლება აკიდოთ (დავაკისროთ) სხვა ვალდებულებანი, კერძოდ რეალური სახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო ფუნქციონალური დატვირთვები, რომელთა მიმართ 26 მაისის აქტს ოდენ მისი ისტორიულ-ფუ-

ქმედებლური შინაარსი აკავშირებს, როგორც ჩვენი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი არსებობის (დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის) საფუძვლად აღიარებულ დოკუმენტს.

ამიტომ სახელმწიფოებრივად (კონსტიტუციურად) მოქმედ საერთაშორისო ძალმოსილების მატარებელ დოკუმენტს მხოლოდ და მხოლოდ 1991 წლის 9 აპრილის „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“ წარმოადგენს.

\* \* \*

ამდენად, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს არსებობისთვის სისხლხორცეულად აუცილებელი ორი მნიშვნელოვანი აქტი (დოკუმენტი) გვაქვს, რომლებიც სრულიად განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვენ, მაგრამ არა მათი ურთიერთშეუსაბამობის თვალსაზრისით, არამედ ისტორიული მომენტისა და აღსრულებულ (განხორციელებულ) საქმეთა არაიდენტურობითაც. ამასთან შესაძლებელია (აუცილებელიც), თუ გამოვიყენებთ ერთ გეოგრაფიულ (მეტეოროლოგიურ) ტერმინს, მოვახდინოთ მათი დროში ადევაქცია\*, ე.ი. ერთი აქტის ცალკეული საზრისმომცველი თავისებურების მეორეში გადმოტანა, რომლითაც იქმნება მათი ორერთიანობა. ისტორიული თვალსაზრისით მხოლოდ ამ სახით წარმოადგენენ ისინი თანამედროვე ქართული სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ასევე მისი არსებობისა და ფუნქციონირების მთლიან წყაროს.

ასეთ ადევაქციურ თავისებურებას, რომელიც ორივე ფუძემდებლურ აქტში გვაქვს, წარმოადგენს ტერმინი „დამოუკიდებლობა“. მაგრამ, ერთი დოკუმენტიდან მეორეში გადასული ამ ტერმინის შინაარსი მისი გამოყენების ფორმის შედეგად არსობრივადაც იცვლება. პირველ დოკუმენტში ის გვაქვს, როგორც დამოუკიდებლობა ქვეყნისა – კოლონიალური უღლისგან განთავისუფლების კონტექსტში, მეორეში – როგორც

---

\* ადევაქცია – ჰაერის და მისი თვისებების ჰორიზონტალური გადატანა ერთი ადგილიდან მეორეში.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა. პოლიტიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისით მათ შორის განსხვავება ფუნდამენტურია. აქედან მოდის ის გაუგებრობაც, რაც დაუძლეველ ბარიერად აღმართულია ჩვენი ისედაც ძალზე მყიფე ეროვნული თანხმობისა და ერთიანობის მიჯნასთან.

მაშასადამე, გამოდის, რომ „დროში ადევაქცია“ მისი არაპირდაპირი გაგებით, ე.ი. თვისების სხვა სივრცეში უცვლელად გადატანა არ გამოდის. ერთი და იმავე შინაარსის მომცველი ტერმინი (თვისება) – დამოუკიდებლობა დროსა და სივრცეში ისტორიულად ერთმანეთისგან დაშორებული ორი მოვლენის ამსახველ დოკუმენტებში თავის პოლიტიკურ საზრისმომცველობას იცვლის, რაც შეუმჩნეველი რჩება საზოგადოების ნაწილს და ორივე აქტში მას ერთნაირად აღიქვამს (ერთნაირი ტექსტით კითხულობს) ისე, რომ სრულიად გამორიცხავს კონტექსტს. ამ თითქოსდა თეორიული საკითხის გაუთვალისწინებლობითაა გამოწვეული მთელი ის შაჰსეი-ვაჰსეი (თვითგვემა), რომელმაც, როგორც ზემოთ ითქვა, შეიძლება კონსტიტუციური თუ ევროსასამართლოს კარამდე მიგვიყვანოს.

მოცემულ შემთხვევაში სირთულე თვით 26 მაისის აქტის ტექსტის გაგებაშია. როგორც იტყვიან, „ემმაკი დეტალებშია მიმალული“, ამიტომ აუცილებელია, სწორად ავხსნათ ამ დოკუმენტების პოლიტიკური და სამართლებრივი საზრისი, რომელიც არა მარტო ტექსტობრივადაა დაფიქსირებული, არამედ კონტექსტიცაა საძებარი (განსაკუთრებით 26 მაისის აქტში), რომელიც სხვადასხვა ფორმით ახსნილია ტექსტის დამატებებსა თუ განმარტებებში.

\* \* \*

ჩვენ მიერ გამოსარკვევად წამოწეული საკითხის არსში სრულად წვდომისთვის აუცილებელია წინასწარვე ითქვას, რომ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის უმთავრესი მისია და განხორციელებული ფაქტი ამ დოკუმენტის სახელდებაშიც და მის ტექსტშიც ჩრდილშია მოქცეული. სამწუხაროდ, მისი ამ ჩრდილიდან გამოყვანა დღემდე ვერ ხერხდე-

ბა ვერც ისტორიული კვლევის თვალსაზრისით და, რაც მთავარია, პოლიტიკურად – სახელმწიფოებრივი ფიქსაციის თვალსაზრისით.

ასეთი ჩავარდნის თავი და თავი, ისევ და ისევ, კომპარტიული წითელი ინტელიგენციის რევანშსა და სამხედრო-კრიმინალური პუტჩის გზით კანონიერი ხელისუფლების დამხობა-შია საძიებელი, ვინაიდან რევანშისტები, როგორც მოსალოდნელი იყო, ძველი შინაარსისთვის (საბჭოურ-ბოლშევიკური) ახალი ფორმის მორგების გზას დაადგენენ, რათა ძალაუფლებასთან ერთად მთელ ეროვნულ სიმდიდრეს დაჰპატრონებოდნენ. შესაბამისად, ფრაკგამოცვლილი ელიტის ზრუნვის უპირველეს „ობიექტად“ იქცა ყოველივე იმის ამოშანთვა, რაც კანონიერი ხელისუფლების საქმიანობას მოაგონებდა, ხოლო ისეთი ფუნდამენტალური აქტების, როგორიც იყო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და მისგან მომდინარე სახელმწიფოებრივი ღონისძიებები, რომელთაც ძვრას ვერ უყოფდნენ, მიჩქმალვასა და გაუფასურებას მიჰყვეს ხელი. ამას მოჰყვა „სეპარატიზმის დასაბუთება“, ომი, ტერიტორიების ერთი მეოთხედის დაკარგვა. მაგრამ ეს სხვა, უფრო ღრმა კვლევის საკითხია.

ამ შემთხვევაში იმიტომ შევეხეთ მას, რომ ის პრობლემა, რაზედაც აქ ვმსჯელობთ, სუბიექტური საკითხი კი არაა, არამედ მას ეგზისტენციალური და, რაც მთავარია, უდიდესი სახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნია. ამ საკითხის უცდომელად გადაჭრაზე კიდევ დიდხანს იქნება დამოკიდებული ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის არსებობის მომავალი, თუ გნებავთ, ბედ-იღბალი. ამიტომ აუცილებელია მეტ-ნაკლები სიზუსტით ავსახოთ ის რეალური მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდა ქვეყანა დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე – 1918 წლის 26 მაისამდე.



## ისტორიული წიაღსვლა

„ჩვენ ყოველთვის გვჭირდება მაგალითი, საბუთი, პროცესი, საბაზი“.

*პოლ ვალერი*

ეს მოკლე ისტორიული მიმოხილვა, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ უნდა დავინყოთ გეორგიევსკის შეთანხმებით.

რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წ. 24 ივლისს რუსულ ციხესიმაგრე გეორგიევსკში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას – „გეორგიევსკის ტრაქტატს“. რუსეთის მხრიდან მას ხელს აწერდა გ.პოტიომკინი, საქართველოდან – ი.მუხრანსკი და გარს.ჭავჭავაძე.

1783 წ. 2 ნოემბერს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ორი რუსული ბატალიონი შემოვიდა საქართველოში. თბილისელები მას ტაშითა და ზეიმით შეხვდნენ. მათში მშვიდობიანი ცხოვრებისა და სამართლიანობის გარანტს ხედავდნენ. **სინამდვილეში აქედან დაიწყო საქართველოსთვის ახალი დიდი უბედურება, რომელიც ქართული სამეფო-სახელმწიფოების გაქრობით დასრულდა.**

ამიტომ, დღევანდელ პირობებში, როცა რუსული ჯარის მიერ ოკუპირებული და ანექსირებულია ქვეყნის 1/5 ნაწილი (ამაზე თვალის დახუჭვა ლალატია), თუკი ოდნავ მაინც შემოგვრჩენია ეროვნული ღირსება, **თბილისში რუსეთის რეგულარული ბატალიონების შემოსვლის დღე „უბედურების დღედ“ უნდა გამოცხადდეს.** სხვათა შორის, ჩვენმა მეზობლებმა, განსაკუთრებით მაჰმადიანურმა სამყარომ, სწორედ ასე აღიქვეს ეს ფაქტი. ახალციხის ფაშა სულთანს სწერდა: „დანყევლილმა რუსებმა კავკასიაზე გზა გაიყვანეს, ახლა ნამოვა არტილერია და ჯარები, შეიჭრებიან სპარსეთსა და თურქეთში და ყველაფერს ჩაყლაპავენ“. **ასე დაიწყო რუსული ძალმომრეობა და ჩვენი ქვეყნის ინკორპორაცია იმპერიაში.**

დიდი ვერაგობებისა და დაუფარავი ლალატის დადასტურებაა ის, რომ 1787-1789 წლების რუსეთ-თურქეთის ომის საბაზით საქართველოდან ბატალიონები გაიყვანა და ქვეყანა მარტო შერჩა ყოველი მხრიდან აღრენილ მტრებს.

ქართლ-კახეთი მალე დადგა ალა-მაჰმად ხანის შემოსევის საშიშროების წინაშე. თვით რუსი ისტორიკოსების ერთი ნაწილის აზრით, რუსეთს ალა-მაჰმად ხანის შემოსევისგან საქართველოს დაცვა არ სურდა. ქართველ დიპლომატთა მრავალგზისი ცდის მიუხედავად, რუსეთი არავითარ ღონისძიებას არ მიმართავდა მტრის შესაჩერებლად. მხოლოდ იმას მიაღწიეს, რომ კავკასიის ხაზის უფროსმა გუდოვიჩმა გააფრთხილა მაჰმად ხანი, საქართველოზე თავდასხმა არ განეხორციელებინა. ეს

გაფრთხილება, თვით რუსი ისტორიკოსის ბუტკოვის სიტყვით, ისეთი ტონით იყო ნათქვამი, რომ ომის პროვოცირება მოახდინა. ახლა სრულიად ნათელია, რუსეთის მმართველ წრეებში, სადაც საქართველოს ინკორპორაციის საკითხი მომწიფებული იყო, დაინტერესებული იქნებოდნენ ალას შემოსევით, რაც საქართველოს დაუძღურებას გამოიწვევდა და მის ოკუპაციას გააადვილებდა.

რუსეთი სათანადო დროს უცდიდა, რათა ბოლო მოელო ქართლ-კახეთის სამეფოსათვის, რასაც ოსმალებთან ომის პროცესში აუცილებლად მოჰყვებოდა დასავლურ სამეფო-სამთავროთა გაუქმება და ანექსირება, პერსპექტივაში კი უძველეს კოლხ-იბერულ სამეფოთა არა მარტო მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან გაქრობა, არამედ მათი სრული გარუსება და გენეტიკურად გაქრობაც. ეს იყო და არის რუსული პოლიტიკის მიზანი ერთმორწმუნე საქართველოს მიმართ. ამ შემთხვევაში ერთმორწმუნეობა არის იარაღი იმპერიის ხელში, რომელიც უიოლებს მას გარუსების პოლიტიკის განხორციელებას.

რუსეთმა პირველს მართლაც მიაღწია, რისი პრაქტიკული განხორციელება არა გეორგიევსკის ტრაქტატის შედეგად მოხდა, არამედ გიორგი XII-ის ხანაში, როცა რუსეთმა თავისი აფთრული გუმანით იგრძნო, რომ „დადგა დრო საქართველოს საბოლოო გადაყლაპვისა“, ამიტომ სამეფო კარი საქმის გადადებას არ აპირებდა. **სასწრაფოდ გადანყვიტეს მფარველობაში საქართველოს მეორედ მიღება.** 1798 წლის 16 დეკემბერს გარს. ჭავჭავაძემ საიმპერატორო კარს წარუდგინა თხოვნა არა მფარველობის, არამედ პროტექტორატის შესახებ, ეს მომენტი თითქმის სრულიად აუქმებს გეორგიევსკის ტრაქტატის ძალმოსილებას, მას ოდენ ისტორიული საფუძვლის ფუნქცია ეკისრება. ეს მეტამორფოზა მფარველობის აქტისა პროტექტორატის შესახებ ხელშეკრულებად შემთხვევითობა არ ყოფილა. ეს გიორგი XII-ის და მისი დასის პრინციპული პოზიცია იყო. ამას ადასტურებს თვით გიორგი XII-ის რწმუნება იმაზე, რომ ის 1783 წლის ტრაქტატის პირობებით უკმაყოფილო იყო და საჭიროდ მიიჩნევდა რუსეთის მიმართ მეტ მორჩილებას, რაც განახორციელა კიდევ. ამიტომ ერეკლეს სიკვდილის შემდეგ სამეფო კარზე დატრიალებული უსიამოვნო მოვლენები ოდენ საბაბს წარმოადგენდა მეფისთვის, პრინციპში გადანყვიტელ საკითხს წარმოადგენდა ქართლ-კახეთის (რაც სინამდვილეში ნიშნავდა მთელი საქართველოს) რუსეთის ქვემეგრდომობაში შესვლის თაობაზე. სახელმძღვანელოში წერია: ახლა, როცა გიორგი XII მეფე გახდა, საშუალება მიეცა თავისი ოდინდელი გეგმის განხორციელებისა. მისი მითითებით ქართულმა დიპლომატიამ ასეთი დამლუპველი ნაბიჯი კიდევ გადადგა. 1799 წლის 7 სექტემბერს იმპერატორს წარუდგინეს წინადადება ახალი ურთიერთობის დამყარების შესახებ, რომლის თანახმად ქართლ-კახეთის სამეფო მთლიანად

რუსეთის იმპერატორს უნდა გადასცემოდა, საქართველო კი მასში **გუბერნიის უფლებით** შესულიყო. ერთადერთი მოთხოვნა იყო გიორგის და მისი შთამომავლობისთვის მეფის ტიტულის შენარჩუნება. არის ვარაუდი, რომ ყველა ეს ნაბიჯი საქართველომ რუსეთის კარნახით გადადგა.

7 ნოემბერს დაწერილი ნოტის საფუძველზე, იმავე წლის 23 ნოემბერს უკვე შემუშავებული იყო ახალი ტრაქტატი. უდავოა, ყველაფერი წინასწარ იყო დაწერილი და, რა თქმა უნდა, პეტერბურგში. ახალი შეთანხმებით, **რუსეთის იმპერატორი იმატებდა საქართველოს მეფის ტიტულს**. სამეფოს მმართველად ინიშნებოდა გიორგის სახლის ერთ-ერთი წევრი – იმპერატორის მოადგილის ტიტულით, სტატუსი გვარში სამუდამოდ უნდა დარჩენილიყო, ნოტაში აღნიშნული იყო, რომ ასეთი გადაწყვეტის მომხრე იყო როგორც საერო, ისე სასულიერო ნაწილი. მიუხედავად ასეთი კაპიტულანტური შეთანხმებისა, რუსეთი არც ამას სჯერდებოდა, „რუსეთს მხოლოდ საქართველოს სრული ინკორპორაცია დააკმაყოფილებდა“.

ამის შემდეგ პროცესი სწრაფად განვითარდა. რუსეთის ჯარის სარდალმა საქართველოში, კნორინგმა მიიღო ბრძანება, მეფის გარდაცვალების შემთხვევაში არ დაეშვათ დავითის (მემკვიდრის) ტახტზე ასვლა.

1800 წლის 22 დეკემბრის რუსეთის სახელმწიფო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ. პავლე I პომპეზურად აპირებდა საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთების აღნიშვნას, ის შეთქმულებმა მანამდე გამოასაღმეს სიცოცხლეს. 1801 წლის მარტის გადაწყვეტილებით საქართველო გუბერნიად გამოცხადდა. 1801 წლის 12 სექტემბერს მოსკოვში გამოქვეყნდა ალექსანდრე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის რუსეთთან მიერთების შესახებ. **ასე დასრულდა საქართველოს ათასწლოვან სამეფოთა ისტორია.**

ჩვენს ისტორიოგრაფიაში ეს უდიდესი ტრაგიკული ფაქტი სრულიად უემოციოდ, მშრალი სიტყვებითაა გამოხატული: „საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო“. ამ ე.წ. ახალმა ეპოქამ საბოლოოდ დაასამარა ძველთაძველი ქართული სახელმწიფოებრიობა. ის გაქრა მსოფლიო პოლიტიკური არენიდან იმ დონეზე, რომ საქმე მიდგა კოლხ-იბერული მოდგმის გენეტიკურად გადაგვარებამდე.

ყველაფერი დაიწყო სამეფო დინასტიის არა მარტო გაუქმებით, არამედ მისი ფიზიკურად განადგურების მცდელობით, რაც ძირითადად განხორციელდა კიდეც. საიმპერატორო კარი მოითხოვდა დაპირებებით, დიდი ფულადი პენსიებით, პრივილეგიებით ბაგრატიონი უფლისწულებისა და მათი ოჯახის წევრების უზრუნველყოფას და მათ რუსეთში ან ნებაყოფლობით, ან ძალის გამოყენებით გადასახლებას.

პირველ რიგში საკითხი დადგა დარეჯან და მარიამ დედოფლების გასახლებაზე. დარეჯანი მძიმედ ავადმყოფი იყო, ხოლო მარიამი, სა-

ქართველოს უკანასკნელი დედოფალი, არ დასთანხმდა წასვლას. მაშინ მის საძინებელ ოთახში უხეშად შეიჭრა გენერალი ლაზარევი და დედოფლის ძალად გაყვანა მოინდომა, რის გამოც, როგორც დედოფალმა შემდეგ განაცხადა, ის, მისი ხელიდან ხანჯლით განგმირული, მის ფერხით დაეცა. დედოფალი მარიაში რუსეთის ერთ-ერთ მონასტერში გამოკეტეს. რუსეთში ძალით გაასახლეს სამეფო ოჯახის ერთი ნაწილი, სხვები კიდე დაიფანტნენ.

დაიწყო ანტირუსული გამოსვლები. პირველი ასეთი შეთქმულება სამეფო კარის წარმომადგენლებმა 1802 წელს მოაწყვეს. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ იბრძოდა ალექსანდრე ბატონიშვილი. 1812 წლის აჯანყებულთა უმთავრესი მოთხოვნა იყო **გეორგიევსკის ტრაქტატის ფარგლებში დაბრუნება**, მაგრამ ყველა ეს მცდელობა მარცხით მთავრდებოდა.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, რა თქმა უნდა, ჯერი იმერეთზე მიდგა. სოლომონ II იმთავიდანვე რუსეთთან კავშირის მომხრე იყო, მაგრამ ქართლ-კახეთში დატრიალებულმა ამბებმა ის დააფიქრა, თუმცა რუსეთმა იმას მაინც მიაღწია, რომ 1804 წელს იმერეთის მეფემ მისგან მფარველობა ითხოვა და ოფიციალურად გაფორმდა კიდეც. ვერაგმა რუსულმა იმპერიამ იმავე დღიდან დაარღვია ეს ხელშეკრულება და იმერეთის საშინაო საქმეებში ჩარევა იწყო. 1810 წელს მოტყუებით დაატყვევეს სოლომონ II, მაგრამ მან გაქცევა მოახერხა და ტრაპიზონში დაფუძნდა, სადაც გარდაიცვალა 1815 წელს.

იმერეთშიც რუსული ადმინისტრაციული წესების დამკვიდრება არნახული სისასტიკით მიმდინარეობდა, რასაც თან ახლდა ანტირუსული გამოსვლები და აჯანყებანი.

რუსეთის მფარველობაში იმერეთზე ადრე სამეგრელო შევიდა. მთავარმა გრიგოლ დადიანმა შეზღუდული თვითმმართველობა მიიღო. 1810 წელს რუსეთის ჯარებმა სოხუმი დაიკავეს. პროთურქულად განწყობილი ასლან-ბეგი გააძევეს. მთავრად გამოცხადდა ტახტის კანონიერი მემკვიდრე გიორგი (საფარ-ბეგი) შარვაშიძე. აფხაზეთშიც რუსეთის მფარველობაში მოექცა.

1828-1829 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, ანდრიაპოლის ზავით (1829 წ.) რუსეთმა შეიერთა ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძის, აწყურის და სხვა სანჯაყები. ამასთან, რუსეთმა ამ ტერიტორიებიდან გაასახლა გამაჰმადიანებული ადგილობრივი მოსახლეობა ოსმალეთში. გრაფმა პასკევიჩმა ამ დაცარიელებულ ტერიტორიებში ჩაასახლა ოსმალეთიდან წამოსული სომხობა და ნაწილობრივ ბერძნებიც, რამაც ძირფესვიანად შეცვალა სასაზღვრო ტერიტორიების ეთნიკური სახე და საფუძველი დაუდო ურთულეს სასაზღვრო პრობლემებს. ამ ომის შედეგად 1829 წელს გაუქმდა გურიის სამთავროც. ასე იქცა ქართული

სამეფო-სამთავროები რუსეთის შემადგენელ ერთეულებად, მაგრამ ჯერ სად იყო, კიდევ უარესი წინ ელოდა ამ უძველეს ქვეყანასა და მოდგმას.

რუსეთი ამ დაუნდობელი პოლიტიკური ღონისძიებებით არ იფარგლება, მას იერიში მიაქვს ქართული სულიერების უმთავრეს საფუძველზე – მართლმადიდებელ ეკლესიაზე, თითქოსდა ერთმორწმუნე, ეს ბარბაროსი აკეთებს იმას, რაც არ გაუკეთებიათ ოსმალებსა და ყიზილბაშებს მათი აქ ბატონობის პერიოდში: აუქმებს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას, მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე I-ის მანიფესტით საქართველოში საეკლესიო ცხოვრების წესი უცვლელად უნდა დარჩენილიყო.

უკვე 1811 წლისთვის გადაწყდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ II-ის რუსეთში გადასახლება. ის გაიწვიეს სანკტ-პეტერბურგში და საქართველოს დაუნიშნეს ეგზარქოსი. ეგზარქოსმა თეოფილაქტე რუსანოვმა მინიმუმამდე შეზღუდა ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა, შეამცირა ეპარქიების რაოდენობა, ინერგება რუსული ეკლესიური წესრიგი.

ამას მოჰყვა 1832 წლის შეთქმულება, რომლის განადგურების შემდეგ რუსეთი შეუდგა მეტ-ნაკლებად ლოიალური ადმინისტრაციული რეფორმების გატარებას, რომლითაც ის ქართულ თავადაზნაურულ ფენას აახლოებდა ცენტრალური რუსეთის თავადაზნაურობის პრივილეგიებთან. ამის პარალელურად ადმინისტრაციული მმართველობიდან და სასამართლოებიდან, რა თქმა უნდა, განათლების სისტემიდანაც, იდევნებოდა ქართული ენა. ქვეყანა არა მარტო პოლიტიკური არენიდან ქრებოდა, არამედ ნაციონალურად სრულიად ნადგურდებოდა. ყოველივე ამის პარალელურად ხდებოდა მფარველობის ქვეშ მყოფ სამთავროთა სრული ინკორპორაცია რუსეთის იმპერიაში.

1867 წელს ნიკო დადიანმა უარი განაცხადა სამთავროს ტახტზე; 1867 წელს აფხაზეთის აჯანყებისა და მუჰაჯირობის შედეგად აქაც გაუქმდა სამთავრო. 1875 წელს ხალდეს აჯანყების შემდეგ სვანეთიც გაავერანეს. ამ პერიოდში ძირითადად დასრულდა საქართველოს სრული ანექსია რუსეთის იმპერიაში\*.

---

\* ისტორიული მიმოხილვა გაკეთებულია დ.მუსხელიშვილის რედაქტორობით შედგენილი „საქართველოს ისტორიისა“, თბ.2012წ. და „საქართველოს ისტორიის“ მიხედვით, რედ. ილ.ანთელავა, თბ., 1996 წ.

## 26 მაისის აქტის სამი ფუნდამენტური ღირებულება

XIX საუკუნის სამოციანი წლების რეფორმების შემდეგ, როცა ადგილობრივი ორგანოების – ერობების შექმნა დაუშვეს, როგორც დ. ხვადაგიანი განმარტავს, ამ პირობებშიც კი კატეგორიულად გამოირიცხა, რომ დაპყრობილ ერებს და განაპირა პროვინციებს მინიჭებოდათ თუნდაც წმინდა სამეურნეო და არაპოლიტიკური ფუნქციების მატარებელი ინსტიტუციის შემოღების უფლება. ასე მოისპო უძველესი ქართული სახელმწიფოს არსებობის ყოველგვარი ნიშანწყალი.

ამიტომ ყოველივე ამის გაუთვალისწინებლად წარმოუდგენელია 1918 წლის 26 მაისს მიღებული და გაცხადებული „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ შეფასება, მისი რეალური მნიშვნელობის დადგენა.

ამ ისტორიული პროცესების გათვალისწინებით, 1918 წლის 26 მაისის აქტის სახელმწიფოებრივი და ისტორიული მნიშვნელობის დადგენისთვის აუცილებელია სამი ფუნდამენტური ღირებულების მომცველი მომენტის გამოყოფა, რომელნიც სრულად ასახავენ ამ დოკუმენტის ადგილსა და როლს თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში.

**პირველი** – მეფის რუსეთის შემადგენლობაში გუბერნიების სახით სრულად ინკორპორირებული ქვეყნის 117-წლიანი მონობიდან თავდახსნა – **განთავისუფლება** (მამასადამე, ის პირველ რიგში არის განთავისუფლების აქტი).

**მეორე** – მსოფლიო ომის პროცესში შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ქართველი ერის მიერ თავისი ნების გამოხატვა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ფორმირების თაობაზე, რათა თავი გადაირჩინოს გარეშე ძალების ახალი აგრესიისაგან და **დამოუკიდებელ განვითარებას** მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს (როგორც ეს გაცხადებულია დამოუკიდებლობის აქტში).

**მესამე** – ამ ორი ფუნდამენტური ღირებულებიდან გამომდინარე, ჩვენი ნაციონალური ისტორიისთვის სრულიად ახლე-

ბური სახელმწიფოებრივი მმართველობითი ფორმის – **დემოკრატიული რესპუბლიკის დადგენა**.

სამწუხაროდ, „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ სახელდებაშიც და ტექსტშიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სწორედ ეს პირველი და უმთავრესი მახასიათებელი – ქვეყნის იმპერიული უღლისგან **განთავისუფლება** – არის ჩრდილში მოქცეული და, როგორც პრეამბულაში, ასევე ძირითად მუხლებშიც ირიბად ფიქსირდება ან კონტექსტში იკითხება.

პრეამბულაში ნათქვამია: „1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ დაუტევა რა რუსეთის ჯარმა ა/კ და დარჩნენ რა თავის ძალღონის ამარა საქართველომ და ა/კ თვით იღვეს თავისი საქმეების გაძლოა“. ამასთან, 1918 წლის 26 მაისისთვის შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა კი, როგორც იქვეა ნათქვამი, აუცილებლად მოითხოვდა, რომ „საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს“.

აქტის შესავალში ნათქვამი: „დაუტევა რა რუსეთის ჯარმა ა/კ და დარჩნენ თავის ძალღონის ამარა“, ისევე, როგორც პირველი მუხლის პირველ ნაწილში გაცხადებული: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია“, რა თქმა უნდა, გულისხმობს რუსეთის იმპერიის მონობის უღლისგან **განთავისუფლებას**. ორივე შემთხვევაში მხოლოდ ამ უმთავრესი ფაქტის დაფიქსირების შემდეგ ხდება გაცხადება დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის სურვილსა და მის მმართველობით ფორმაზე.

მაშასადამე, აქტის შესავალშიც და ძირითად მუხლებშიც შინაარსობრივად თავ-თავის კუთვნილ ადგილას (პირველ რიგში) ლაპარაკია 117-წლიანი მონობიდან **განთავისუფლებაზე** ისე, რომ თვით ეს ტერმინი – „განთავისუფლება“ ნახსენები არაა. უდავოა, ამას თავისი რეალური პოლიტიკური მიზეზი უნდა ჰქონოდა, თუმცა არც სოციალ-დემოკრატთა სუბიექტური მიდგომა (მარქსისტული იდეოლოგია) უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან. ამიტომ აუცილებელია, რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ ამ მიზეზების ახსნაზე.

\* \* \*

ქრისტიანულმა, „ერთმორწმუნე“ რუსეთმა, როგორც ისტორიულ მიმოხილვაში ვნახეთ, სქართველოს სრულიად წაართვა არა მარტო უმაღლესი პოლიტიკური უფლება – სახელმწიფოებრიობა, არამედ საზოგადოებრივად ორგანიზების უფლებაც. კატეგორიულად გამოირიცხა „წმინდად სამეურნეო და არაპოლიტიკური ფუნქციის მატარებელი ინსტიტუციების შემოღების უფლება“ (დ.ხვადაგანი). ამიტომ **დამოუკიდებლობის აქტით რუსეთის მონობისგან განთავისუფლებისა და პოლიტიკური სიცოცხლის განახლების სურვილის გაცხადება წარმოადგენს მის უპირველეს ღირებულებით ნიშანს**. მასზეა მიბმული ყველა დანარჩენი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის აქტები.

მიუხედავად ამისა, ეს უმთავრესი ფაქტი – რუსეთის უღლისგან განთავისუფლება, შესაბამისად, ტერმინი „თავისუფლება“ – „განთავისუფლება“ ამ დოკუმენტში მხოლოდ უძველესი ისტორიის თვალსაზრისითაა ხმარებული. ტექსტი სწორედ ასე იწყება: „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო“. უპრიანი იქნებოდა, ეს ფორმულირება – თავისუფალი და დამოუკიდებელი – ასევე პარალელურად ასახულიყო **აქტის სახელდებაში**, რაც დღეს მრავალ გაუგებრობას აგვაცილებდა თავიდან, რაც მთავარია, მაშინ მასში (სახელდებაში) ზუსტად იქნებოდა ასახული ამ ფუნქციონირების დოკუმენტის არსი. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა, რაც ავტორთა მიუხედავებლობის გამო კი არ მომხდარა, არამედ მას თავისი რეალური მიზეზი უნდა ჰქონოდა.

დამოუკიდებლობის აქტის ავტორები ცდილობენ მსოფლიო ომის დასასრულისთვის შექმნილი ურთულესი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებას და წონასწორობის დაცვას, ოქროს შუალედის მოძებნას დამარცხებულებს ან თითქმის უკვე დამარცხებულებსა და გამარჯვებულებს შორის, ისინი გრძნობენ, რომ მათთვის (საქართველოსთვის) ბოლომდე სანდო არც ერთია და არც მეორე (რაც მალე დადასტურდა კიდევ).



ავტორები გვერდს უვლიან რუსეთისგან განთავისუფლების ასწლოვან სწრაფვას, ე.ი. არ ახსენებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. **მათ მიერ დამოუკიდებლობის საკითხის დაყენებას ომისა და რუსეთის რევოლუციების შედეგად დამდგარი პოლიტიკური პროცესების მიერ გამოწვეული აუცილებლობით ხსნიან.** ამიტომაც, რომ აცხადებენ, დარჩნენ რა თავისი ძალ-ღონის ამარა, **იძულებულნი გახდნენ** იზრუნონ საკუთარი ქვეყნის თავდაცვაზე დამოუკიდებლად, რომ მათი ეს გადაწყვეტილება იძულებითია და არა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგი. ჩვენეული „ნითელი ინტელიგენციის“ იდიოტური თქმისა არ იყოს, ერიდებიან თავისუფლების „დროშის ფრიალს“.

მოცემულ კონტექსტში იძულებითობა უმთავრესი დიპლომატიური დატვირთვის მატარებელი ცნებაა. იძულებულნი იმიტომ გახდნენ, რომ **რუსეთმა თავისი ნაკისრი ვალდებულებანი ვერ შეასრულა** (როდის ასრულებდა?), ჯარი დაეშალა, მმართველი ინსტიტუტები მოიშალა და ჯარს უკან მიჰყვა, დარჩა ქვეყანა თავისი ძალ-ღონის ამარა და ისიც ცდილობს, იპოვოს ახალი პოლიტიკური ვითარებიდან გამოსავალი – დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანიზაციის შექმნით. ის ცდილობს, იპოვოს ახალი დასაყრდენი ძალა დასავლური დემოკრატიის სახით.

მაშინდელი ისტორიული მომენტისთვის რუსეთის მონობისგან განთავისუფლების საკითხისადმი ასეთი მიდგომა სავსებით გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ მას ჩამოვაშორებთ სოციალ-დემოკრატების წიაღში გაბატონებული რუსულ-მარქსისტული იდეოლოგიის გავლენას, რომელმაც თავისი შავი საქმე სულ მალე გააკეთა. როგორც ზ.გამსახურდია მიმართავდა ქართველ ხალხს, „საბოლოოდ ვერ გაიმარჯვა ეროვნულმა და ქრისტიანულმა იდეამ, ქართველობამ ვერ დააღწია თავი მარქსიზმის დამლუპველ იდეოლოგიას... და 26 მაისი 25 თებერვლით შეიცვალა“. შესაბამისად, გამოდის, რომ საერთაშორისო „ყრუ ძალების“ და რუსული შოვინიზმის არგალიზიანების რენეგატული „პოლიტიკა“, რომლის აღორძინებასაც დღეს ესწრაფვიან, არახალია და ჩანასახობრივ ფორმა-

ში უკვე იმ პირველ დოკუმენტში გვაქვს დაფიქსირებული.

არგალიზიანების პოლიტიკამ თავის აპოგეას მიაღწია და დომინანტური მდგომარეობა დაიკავა, რა თქმა უნდა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეპოქაში, როცა „კომუნისტური ტოტალიტარიზმი 70 წლის მანძილზე ცდილობდა 26 მაისის იდეების მოსპობას, თავისუფლების სულის ჩაკვლას“ (ზ.გამსახურდია, მიმართვა).

მაშასადამე, პირველი პრეზიდენტის ზუსტი განმარტებით, **26 მაისის უმთავრესი იდეა არის თავისუფლებისკენ (განთავისუფლებისკენ) სწრაფვა**. მასში ცოცხლობს მთელი ეროვნული აზრი, ეროვნული იდეა. თავისუფლების ეს იდეა იყო უპირველესი სამიზნე არა მარტო იმპერიული ძალებისთვის, არამედ მათი ადგილობრივი დამქაშებისთვის, რენეგატებისთვის, „წითელ ინტელიგენციად“ ფორმირებულ სხვადასხვა ჯურის შტრაიკბეხერთა და ფსევდოკულტურის ადეპტთათვის.

მაგრამ მათ ვერ ჩაკლეს ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლის იდეა. „...იმპერიის მსახურმა რენეგატებმა საბოლოოდ ვერ ჩაკლეს ეროვნული აზრი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, იგი კვლავ ფენიქსისებრ აღორძინდა, როცა დადგა იმპერიის მწუხრი, კვლავ აფრიალდა 26 მაისის დროშები“ (იქვე). რაშია „26 მაისის აქტის“ იდეური საზრისი? ის, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს იმპერიის უღლისგან **განთავისუფლების დოკუმენტს**, რომელსაც თავისი ეს მნიშვნელობა ბოლომდე, ახალი ოკუპაციისა და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში ძალად განევრიანების შემდეგაც არ დაუკარგავს.

ამიტომ 70 წლის განმავლობაში დაუნდობლად ებრძოდნენ კომუნისტური იმპერია და მისი ადგილობრივი წარმომადგენლები განთავისუფლებისკენ სწრაფვის ყოველგვარ გამოვლინებას, მაგრამ ვერ ჩაკლეს თავისუფლების სული, „ისევ აფრიალდა 26 მაისის დროშები“.

ამდენად, „**26 მაისის აქტის**“ უმთავრესი საზრისი და პრაქტიკულად განხორციელებული ფაქტი რუსეთის იმპერიის მონობის უღლისგან განთავისუფლებაა, რაც დოკუმენტში სახელდებით არაა დადასტურებული, ის „ჩრდილქვეშ“ ექცევა მიუხედავად

იმისა, რომ ამ ფაქტის სახელდებით დაფიქსირების მნიშვნელობა კარგად უწყიან ავტორებმა. ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ, როგორც ძირითადი დოკუმენტის პირველივე სტრიქონში, ასევე დამატებაშიც, დიდი სიფრთხილით, მაგრამ მაინც ხმარობენ ამ ტერმინს, ჯერ ისტორიულ კონტექსტში, საქართველო ისტორიულად თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა იყო, ხოლო დამატებაში პირდაპირაა მითითებული, რომ „დღიდან საქართველოს ანექსიისა ქართველ პატრიოტთა ოცნებას **თავისუფალი** და დამოუკიდებელი საქართველო შეადგენდა“.

მიუხედავად ასეთი „დიპლომატიური სვლისა“ – პოლიტიკური სიფრთხილისა, აქტი ისტორიულ კონტექსტში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პარალელურად ფიქსირებით იწყება: „საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და **თავისუფალი** სახელმწიფო“, რაც დოკუმენტის პირველ მუხლში, როგორც ზემოთაც ითქვა, შინაარსობრივად აისახა: „ამიერიდგან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია“, ე.ი. **საქართველო პოლიტიკურად განთავისუფლებულია იმპერიული უღლისგან**. იმავე მუხლის მეორე ნაწილში კი გაცხადებულია ამ პოლიტიკური თავისუფლების მიზანი და საბოლოო შედეგი – „საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“. ე.ი. საქართველო, როგორც სუვერენულ უფლებათა მატარებელი – **თავისუფალი** ქვეყანა, დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას მიეღტვის.

ჩვენი შეხედულებით, აქტის პირველ მუხლში დაფიქსირებული ეს ორი დამოუკიდებელი მოცემულობა დამატებით განმარტებას არც უნდა მოითხოვდეს, მაგრამ მაინც, რამდენადაც პირველი და უმთავრესი ისტორიული ფაქტი – იმპერიული უღლისგან განთავისუფლება (თავისუფალი ნების მოპოვება) მისგან მომდინარე მეორე ფაქტის – დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის სურვილის გაცხადების „ჩრდილქვეშ“ მოექცა და ვერ პოვა ასახვა ამ ფუძემდებლური დოკუმენტის სახელდებაში, იძულებული ვართ, თუნდაც რამდენიმე წინადადებით უფრო სიღრმისეულად შევვხებით მას და ჩავწვდეთ ამ ორი ცნების არსს მოცემული დოკუმენტის კონტექსტში.

\* \* \*

„საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ 1-ელ და მე-2 მუხლებში გაცხადებული სამი უმთავრესი ღირებულებითი ნორმა: **თავისუფლება (განთავისუფლება), დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა და მისი არსებობის პოლიტიკური ფორმის განსაზღვრა**, წარმოადგენს იმ სამერთიან ფაქტორს, რომლის ძალითაც ის იქცა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტისთვის ფუძემდებლური დანიშნულების დოკუმენტად.

ზემოთ აღვნიშნეთ და კიდევ გავიმეორებთ: აქტში იმის დაფიქსირება, რომ საქართველო ისტორიულად იყო თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო, იმის გაცხადებაცაა, რომ მან ეს სახელმწიფოებრიობა **დაკარგა** რუსეთთან საერთაშორისო ნორმებზე დამყარებული ხელშეკრულებით გაფორმებული ავტონომიური უფლებების 1801–1864 წლების განმავლობაში თანდათანობით და ძალადობრივად წაგლეჯით. ამასთან იმის შეხსენებაცაა, რომ საქართველოს ანექსიის ხანიდან **ქართველ პატრიოტთა ოცნებისა და ბრძოლის საგანს** რუსული შოვინისტური იმპერიის უღლისგან **განთავისუფლება წარმოადგენდა**. შესაბამისად, ყოველივე ეს ამკარად მიუთითებს იმაზე, რომ ამ აქტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის ბარბაროსული ჩაგვრისგან თავდახსნის – განთავისუფლების გაცხადება.

მაშასადამე, ამ „აქტის“ ძირითადი არსი იმაშია, რომ ის საყოველთაოდ აცხადებს ეროვნული თავისუფლების დაბრუნებისა და პოლიტიკური უფლებების რეამინირების ისტორიულ ფაქტს.

## თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ურთიერთმიმართება

იმპერიული მონობის უღლისგან განთავისუფლების გაცხადება თავისთავად არ ნიშნავს სრულფასოვან დამოუკიდებლობას. ის პირველ რიგში წარმოადგენს დამოუკიდებლად არსებობის ატრიბუტს, რომლის გარეშე თვით ეს თავისუფლება დაილუპება. ამიტომ ეს ახლად მოპოვებული თავისუფლება თავისი მუდმივი და პერმანენტული განვითარებისთვის მოითხოვს პოლიტიკურად ორგანიზებულობას – დამოუკიდე-

ბელ სახელმწიფოდ არსებობას, პირველ რიგში, ამის სურვილის გაცხადებას და მისი აღსრულების დაუყოვნებლივ დაწყებას; ვინაიდან დასაშვებია, იმპერიის მონობისგან განთავისუფლებულმა ხალხმა არ მოინდომოს მოპოვებული თავისუფლების **პოლიტიკურად სრულად რეალიზება** და თავისი თავისუფლების წილი ძალით თუ ნებით გაიყოს სხვა ხალხთან, რისი მრავალი მაგალითი გვაქვს XIX საუკუნეში, ერი–სახელმწიფოთა ფორმირების პროცესში, თუ XX საუკუნეში, I და II მსოფლიო ომების შემდგომ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მონყობის აქტებში. **ამიტომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება უპირველესად არის მოპოვებული თავისუფლების პოლიტიკურად სრულად რეალიზების სურვილის გაცხადება.** ის უარს აცხადებს თავისი ამ პოლიტიკური თავისუფლების რაიმე ფორმით განანღლებაზე (ფედერალური ურთიერთობების დამყარება).

თავისუფლების სახელმწიფოებრივად განხორციელების სოციალური და პოლიტიკური ფორმაა გაცხადებული მეორე მუხლში: „დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმაა დემოკრატიული სახელმწიფოა“. ახლად ფორმირებული ქართული სახელმწიფოს ეს სრულიად ახლებური, მისთვის უცხო ფორმა მმართველობისა განსაზღვრავს ამ აქტით გაცხადებულ შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო ურთიერთობათა როგორც პოლიტიკურ, ასევე სამართლებრივ ნორმებსა და ვალდებულებებს.

**ამ აქტის უდიდესი ღირსება იმაშია, რომ ის იმპერიული უღლისგან განთავისუფლების შედეგად მოპოვებული ფუნდამენტური უფლებების პარალელურად იღებს იმ ვალდებულებებს, რომელნიც ერთობლიობაში ქმნიან დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების სრულყოფილ სახეს.**

აქტის მე-4, მე-5 და მე-6 მუხლებში გაცხადებულია, რომ საქართველოს სურს, საერთაშორისო ურთიერთობის ყველა ნევრთან კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროს; თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს მოქალაქეთა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა; შესაბამისად, განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს. სწორედ ამ ნორმების სრული დაცვით შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაც, რომელიც ვერ ამოქმედდა ახალი ბოლშევიკური ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად.

კიდევ ერთი საყურადღებო მუხლი ამ აქტიდან, რომლის ირგვლივაც დავა-კამათი დღემდე გრძელდება და კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ ნეოკომუნისტთა და კრიმინალთა „პუტჩისტური ალიანსის“ მთავრობის სპეკულაციის საგნად იყო ქცეული. მე-3 მუხლში ნათქვამია: „საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა“. ამჯერად ჩვენ არ შევუდგებით ამ მუხლში ჩადებული შინაარსის გახსნას, მხოლოდ იმ ცნებისკენ მივაპყრობთ მკითხვე-

ლის ყურადღებას, რასაც დღეს ნაკლებად ექცევა ყურადღება, არადა, ამ მუხლის მთავარი საზრისმწარმოებელი სწორედ ეს ცნებაა: „**საერთაშორისო ომიანობა**“. მას დღევანდელი გაგებით აღიქვამენ და სახელმწიფოთა შორის მიმდინარე ყოველგვარი ომის გაგებით ესმით, სინამდვილეში სულ სხვანაირადაა საქმე. „მსოფლიო ომი“, როგორც ცნება, გვიან დამკვიდრდა, თვით ომის მიმდინარეობის პროცესში და შემდეგაც მას ეძახდნენ „საერთაშორისო ომს“. აქედანაა გადმოტანილი და ნაწარმოები „აქტი“ ცნება „საერთაშორისო ომიანობა“. მასში (ცნებაში) პირველ რიგში იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი, მისადმი დამოკიდებულება და არა ზოგადად პოლიტიკური ნეიტრალიტეტის კლასიკური ცნება.

ამდენად, დამოუკიდებლობის აქტი გაცხადებული ნეიტრალიტეტი კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას – პირველ მსოფლიო ომს მიემართება. მართალია, გვიან პოლიტიკური ნეიტრალიტეტის ასახვის მცდელობა 1921 წლის კონსტიტუციაში გვაქვს, მაგრამ მას საერთაშორისო დოკუმენტის ხარისხი არასდროს ჰქონია (ისედაც, „ნეიტრალიტეტი“ სპეციფიკური დატვირთვის მატარებელია).

მოკლედ, ეს ისტორიული აქტი იყო XIX ს. და XX ს. დამდეგის საქართველოს ეროვნული და სოციალური მოძრაობის კვალობაზე „საერთაშორისო ომიანობის“ პროცესში, დამდგარი შედეგის გამომხატველი ისტორიული დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ფორმულირებული ახალი ქართული სახელმწიფო და მისი მმართველობითი ფორმა – დემოკრატიული რესპუბლიკა საყოველთაო მონონებას იმსახურებდა. სწორედ დამოუკიდებლობის აქტით გაცხადებული იმ ხანისთვის წარმოუდგენლად შორს წასული დემოკრატიული ნორმების დეკლარირების გამო იყო, რომ ევროპულმა ლიბერალურ-დემოკრატიულმა საზოგადოებამ საქართველოს ახლად ფორმირებად დემოკრატიულ რესპუბლიკას უმაღლესი შეფასება მისცა და ომის შემდგომი ევროპული ქვეყნების სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მონყობის ნიმუშადაც კი შერაცხეს.

დემოკრატიულობის ასეთმა მაღალმა შეფასებამ წამოსწია წინა პლანზე დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხარისხი და სრულად დაიწრილა ამ დოკუმენტის უმთავრესი ისტორიული მისია – რუსეთის იმპერიის მონობის უღლიდან **განთავისუფლებისა**. არადა, **სწორედ თავისუფლების იდეა იყო, რომ ასულდგმულბდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის იდეას** და როცა „დადგა იმპერიის მწუხრი,... კვლავ აღზევდა თავისუფლების სული“.

\* \* \*

მაშასადამე, საქართველოს დამოუკიდებლობა მთლიანად ეფუძნებოდა „აქტის“ **განმათავისუფლებელ საზრისს**. სწორედ

ამ საზრისმა შესძინა მას დღევანდელი საქართველოს არსებობის უმთავრესი დოკუმენტის – „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ საფუძვლის მნიშვნელობა.

ამდენად, 1918 წლის 26 მაისის „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ შეფასებისას გამოკვეთილი ეს სამი უმთავრესი კრიტერიუმი: რუსული იმპერიული მონობის უღლისგან განთავისუფლება; საქართველოს მოსახლეობის (ერის) ნების გაცხადება დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენებაზე; რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ გაუქმებული ათასწლეულებგამოვლილი სამეფო-დინასტიური მმართველობითი სისტემის ადგილზე (ნაცვლად) ჩვენი ისტორიისთვის სრულიად ახლებური მმართველობითი ფორმის – დემოკრატიული რესპუბლიკის დანერგვა – წარმოადგენდნენ იმ გარდაუვალ ღირებულებებს, რომლებმაც **ახალი სიცოცხლე შეიძინეს 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებით.**

ამიტომ აუცილებელია 1918 წლის 26 მაისისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაული ატარებდეს ამ სამივე ღირებულებითი კრიტერიუმების მომცველ სახელდებას. ეს უაღრესად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხია. მისადმი ასეთი სამართლებრივი მიდგომა აღადგენს არა მარტო რეალურ სახეს ამ ისტორიული დოკუმენტისა და მის საფუძველზე განხორციელებული მოვლენებისა, არამედ წერტილს დაუსვამდა თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ფორმირების უმთავრესი დოკუმენტის – დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ისტორიულ საფუძველად მიღებული ამ დოკუმენტისადმი (საერთოდ, მოვლენისადმი) ნიჰილისტურ დამოკიდებულებას (თუნდაც იმას, რომ ეს დამოუკიდებლობა ძალად მოგვეცა, რომ ის უდღეური იყო და ა.შ. ყოველივე ეს ბოლშევიკურ-საბჭოური ნარატივია, რომლისგანაც დღემდე ვერ განთავისუფლებულან მავანნი). ასეთი მიდგომა ამ საკითხისადმი, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, დღევანდელი მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, დანაშაულის ტოლფასია, ვინაიდან ის იმათ წისქვილზე ასხამს წყალს, ვისაც ჩვენი **განთავისუფლება რუსეთის მონობის უღლისაგან** და პოლიტიკურ-სახელმწიფო-

ებრივი დამოუკიდებლობის გაცხადება ჩირადაც არ უღირდათ და არ უღირთ. ისინი მხოლოდ საკუთარ ინტერესთა თვალთახედვის პრიზმიდან შეავლებდნენ და შეავლებენ ხოლმე მას თვალს, არაფერი რომ არ ვთქვათ ჩვენს დაუძინებელ მტერზე – რუსულ შოვინისტურ იმპერიაზე; ის კი არა, უნდათ თუ არ უნდათ, ასეთი ცალტვინა მიდგომა **რუსეთის მონობისგან განთავისუფლების აქტისა და განხორციელებული ფაქტისადმი**, რუსული თავაშვებული თარემის დამნახველ ჩვენს შუასაუკუნეობრივ ისტორიულ მტრებშიც აღვიძებს ინსტინქტს თავიანთი ძველი „უფლებების“ განახლებისა თუ არა, გახსენებისა მაინც. აი, სანამდე მივყავართ თითქოსდა ძალზე ბუნებრივი საკითხისადმი, როგორცაა სახალხო დღესასწაულების დადგენა, არასახელმწიფოებრივ, არასამართლებრივ და, რაც მთავარია, არაგონივრულ მიდგომას.

## ამ ორი აქტის ურთიერთმიმართების საკითხი

სანამ შევეხებოდეთ 1991 წლის 9 აპრილის აქტსაც და ამ ორი აქტის ურთიერთმიმართების საკითხს, აუცილებელია, მხედველობიდან არ გამოგვრჩეს იმ უდიდესი ძალისხმევის აღნიშვნა, რაც პირველი რესპუბლიკის ხელისუფლებამ, მიუხედავად მთელი რიგი შეცდომებისა (პირველ რიგში, როგორც ზემოთაც შევეხეთ, მმართველი პარტიის მარქსისტული იდეოლოგიიდან რომ მომდინარეობდა), გასწია ემიგრაციაში წასვლით და ხელისუფლების სტატუსის დე იურე შენარჩუნებით.

„პირველი რესპუბლიკის“ ხელისუფლებამ თავისი არსებობის არასრულ სამ წელიწადში, მაშინდელი უმძიმესი მსოფლიო ომისა და კრიზისის ფონზე, შეძლო ზოგიერთი ძალიან წარმატებული რეფორმების გატარება. ზვიად გამსახურდია, როგორც ზემოთაც ვთქვით, თავის მიმართვაში 26 მაისის გამო აღნიშნავს: „ას ჩვიდმეტი წლის მონობის შემდეგ კვლავ აღორძინდა ეროვნული სახელმწიფოებრიობა; ჩატარდა არჩევნები, შეიქმნა პარლამენტი“, ე.ი. გატარდა ფუძემდებლური



სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ღონისძიებები. ამან კი შესაძლებელი გახადა მთელი რიგი საოციალური და სამეურნეო რეფორმების გატარების დაწყება. გატარდა მიწის რეფორმა, რის შედეგადაც გლეხებს გაუჩნდათ მიწაზე კერძო საკუთრების მოპოვების უფლება, დაიწყო განათლების რეფორმა, რამაც სულზე მიუსწრო ქართულ ენასა და კულტურას და გადაარჩინა ის სრულ დენაციონალიზაციას (ამის შემდეგ თვით კომუნისტ-ინტერნაციონალისტებმაც კი ვერ გაბედეს, რუსული-შოვინისტური საგანმანათლებლო-კულტურული-ტოტალური პოლიტიკის გაგრძელება თუ აღორძინება და იძულებულნი იყვნენ, ტაქტიკა შეეცვალათ). იმ ხანისთვის საკმარისად დემოკრატიული სახე მიიღო რეფორმირების გზაზე შემდგარმა სასამართლო სისტემამ. იქმნება შეიარაღებული ძალები და ა.შ. მოკლედ, მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან იგნორირებისა და იზოლაციისა, რუსეთის უღლისგან განთავისუფლებული ქვეყანა ფორმირდება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ – დემოკრატიულ რესპუბლიკად. ის განაგრძობს ფუნქციონირებას და ახდენს განთავისუფლების აქტით მის მიერვე დეკლარირებული უფლებებისა და ვალდებულებების ცხოვრებაში რეალიზებას.

**ამ წმინდად დემოკრატიულ ღირებულებებზე აგებული სახელმწიფოებრივი პრინციპების აღდგენის დეკლარირება ხდება 1991 წლის 9 აპრილის აქტით.**

მაშინ კი, იმ მსოფლიო კრიზისის ეპოქაში, როცა ცივილიზებული სამყარო და განსაკუთრებით დასავლეთი დემოკრატიის აღორძინებისა და განვითარების ნაცვლად ორსულდებოდა ფაშიზმზე და ეთამაშებოდა ახლად შობილ რუსულ-შოვინისტურ სოციალიზმსა და მსოფლიო რევოლუციის ავანგარდს – „კომუნისტურ ინტერნაციონალიზმს“, ჩვენში „საბოლოოდ ვერ გაიმარჯვა ეროვნულმა და ქრისტიანულმა იდეამ“, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაემხო ბოლშევიკური ოკუპაციის შედეგად. დაიწყო ახალი რუსული ანექსია. ზვიად გამსახურდიას მოსწრებული თქმით, „26 მაისი 25 თებერვლით შეიცვალა“. დადგა ჟამი „26 მაისის იდეების მოსპობისა, თავისუფლების სულისკვეთების ჩაკვლისა“. მაგრამ ვერც ამ მხე-

ცური ჟინის ინსტიტუტის განხორციელება შეძლო ბოლომდე შეიღთავიანმა და ათრქიანმა მხეცმა კომუნისტურმა იმპერიამ და როცა დადგა ჟამი, კვლავ აფრიალდა 26 მაისის – თავისუფლებისათვის (განთავისუფლებისათვის) ბრძოლის დროშები.

ამ ჟამის მოახლოებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ კომუნისტური ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად ემიგრაციაში აღმოჩენილ ხელისუფლებას დემოკრატიული წესებით მისთვის ბოძებულ ძალაუფლებაზე უარი არ უთქვამს, ბრძოლა არ შეუწყვეტია მისი დაბრუნებისთვის; სხვა პოლიტიკური ძალისთვის ამ ძალაუფლების გადაცემის დამადასტურებელი არავითარი სამართლებრივი საბუთი არ დაუტოვებია. შესაბამისად, საქართველოში რუსული ბოლშევიკური წითელი გვარდიის შემოჭრა დაფიქსირდა, როგორც **ოკუპაცია** შემდგომი **ანექსიის მიზნით**. ყოველივე ამან დიდად გააადვილა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება იურიდიული და საერთაშორისო სამართლის ნორმების თვალსაზრისით. **თვითონ 1918 წლის 26 მაისის აქტს მიეცა ფუძემდებლური – ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობა.**

ჩვენი ისტორიისთვის ამ მნიშვნელოვან ფაქტზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა გვახსოვდეს ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება არა სუბიექტურ მომენტს – მიგრანტული ხელისუფლების ნებელობის საკითხს, არამედ ის განპირობებული და ზურგგამაგრებული იყო როგორც რუსული კოლონიალური უღლისგან განთავისუფლებისთვის საუკუნოვანი ბრძოლის ისტორიული გამოცდილებით, ასევე იმ პოლიტიკური და დიპლომატიური ღონისძიებებით, რომლებიც განხორციელდა პირველი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში.

ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმება იმ სიტუაციაში, როგორც ზემოთაც ითქვა, როცა ევროპის ქვეყნები საბჭოთა რუსეთს ეთამაშებოდნენ და რუსეთის მონობისგან თავდახსნილი ქვეყნების ბედი ფეხზე ეკიდათ. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ 1920 წლის შემოდგომაზე დამოუკი-

დებელ საქართველოს სტუმრად ეწვივნენ II სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერები რამზეი მაკდოლანდი, კარლ კაუტცკი, ესთელ სნოუდენი და სხვები და განაცხადეს: საქართველოს დემოკრატიაშ შეძლო მოპოვებული თავისუფლების შენარჩუნება და თავისუფლებისთვის ამ ბრძოლაში მას შეუძლია იქონიოს მსოფლიო პროლეტარიატის თანხმობისა და თანადგომის იმედი. დასავლეთისათვის ამას ერთი ნერვიც არ შეუტოკებია და არც კი უცდიათ, ოდნავ მაინც ხელი შეეშალათ ბოლშევიკური რუსეთის აგრესიისთვის ამიერკავკასიაში მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკური რუსეთის ინტერესებსა და, შესაბამისად, უახლოეს მიზნებზე ამიერკავკასიაში, ეროვნებათა საქმეთა მთავარი წარმმართველი საბჭოთა რუსეთში – სტალინი ყოველგვარი დიპლომატიის გარეშე, საჯაროდ აცხადებდა: „რევოლუციისთვის კავკასიის დიდი მნიშვნელობა განისაზღვრება არა მარტო იმით, რომ იგი ნედლეულის, სათბობისა და სურსათის წყაროა, არამედ მისი მდებარეობითაც ევროპისა და აზიის შუა, კერძოდ, რუსეთსა და თურქეთს შუა, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სტრატეგიული გზების არსებობით... ბოლოს და ბოლოს, ვინ მოიკიდებს ფეხს კავკასიაში, ვინ ისარგებლებს ნავთობითა და აზიის სიღრმეში უაღრესად მნიშვნელოვანი გზებით, რევოლუცია თუ ანტანტა, ეს არის მთელი საკითხი“.

ასეთ მძიმე ვითარებაში ჩავარდნილი საქართველოსთვის, სამოქალაქო ომში გამარჯვებულ ბოლშევიკურ რუსეთთან რალაც დონეზე ურთიერთობის დალაგება შვების მომცემი უნდა ყოფილიყო თუნდაც დაყრუებული დასავლეთის მხრიდან ყურადღების მისაქცევად.

1920 წლის 7 მაისს დაიდო რუსეთ–საქართველოს ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებდა მათ შორის ურთიერთობას. **რუსეთმა საქართველოს სახელმწიფო აღიარა ისტორიულად არსებულ საზღვრებში, აფხაზეთით, შიდა და ქვემო ქართლით, აჭარით, საინგილოთი.**

დღეს ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ არც რუსეთსა და არც საქართველოს ცნობდნენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტად დასავლური ქვეყნები, მაგრამ მთავარი მა-

ინც იყო არა დე იურე ვითარება, არამედ თუ რა ხდებოდა დე ფაქტო.

**რუსეთ-საქართველოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმება ნიშნავდა მეტროპოლიის მიერ თავისი კოლონიის სუვერენიტეტის აღიარებას საერთაშორისო მასშტაბით, რასაც ვერასდროს დაჩრდილავს რუსული დიპლომატიის ვერაგული წესი, არად ჩააგდოს მის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულებანი, იქნება ის საერთაშორისო ნორმებით აღიარებული თუ ორმხრივი სახელმწიფოებრივი ურთიერთობით განსაზღვრული. „რუსული წესი“ მხოლოდ ბოროტ და ტლანქ სამხედრო ძალმომრეობაზე აკეთებს გათვლას.**

100 წლის წინანდელ ისტორიას თავი რომ დავანებოთ, ამას დღევანდელი უფრო ნათლად გვიდასტურებს.

ამიტომ ამ ხელშეკრულების კრიტიკოსებმა უნდა გაითვალისწინონ რუსული გენეტიკის, რუსული ხასიათის ეს თვისება. შესაბამისად, უდავოა, მაშინ რომც არ დაედოთ ეს ხელშეკრულება, ისინი საქართველოს ოკუპაციას დასავლეთის წაყრუების ფონზე მაინც მოახდენდნენ, როცა ამის ყუამი დადგებოდა. ჩვენ კი ამ დადებით შედეგს ვერ მივიღებდით, რაც ამ ხელშეკრულებით მივიღეთ. პირველ რიგში ის, რომ **სამუდამოდ დადასტურდა თვით რუსეთის მიერ კოლონიალური უღლისგან საქართველოს განთავისუფლება**. ამას მოჰყვა ასევე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფაქტი – საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, აღიარება მრავალი ქვეყნის მიერ.

დღევანდელი მკითხველისთვის უინტერესო არ იქნება აღიარების სრული სიის გაცნობა, ამიტომ მთლიანად გთავაზობთ ამ სიას, რომელიც 1954 წლის 13 ოქტომბერს ლეო დუმბაძემ ემიგრაციულ კომიტეტს წარუდგინა, ამ სიაში არ არის დაფიქსირებული დამოუკიდებელი საქართველოს აღიარების უპირველესი ფაქტი, რომ 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მესამე დღეს – 28 მაისს ეს დამოუკიდებლობა ცნო გერმანიამ. გერმანია ითვლებოდა საქართველოს მფარველად.

ამავე პერიოდში, 1918 წლის 3 ივნისს, საქართველოს სახელმწიფო ცნო თურქეთის მთავრობამაც; პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულებმა კი პირში წყალი ჩაიგუბეს და მხოლოდ რუსეთ-საქართველოს

შორის დადებული ამ სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა. დუმბაძე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოადგენს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას.

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო ცნეს: 1921 წლის 20 იანვარს – პოლონეთმა; 1921 წლის 27 იანვარს მოკავშირეების – დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, ბელგია და იაპონია – უზენაესმა საბჭომ; 1921 წლის 18 თებერვალს – რუმინეთმა; 1921 წლის 17 თებერვალს – ავსტრიამ; 1921 წლის 23 თებერვალს – ლუქსემბურგმა; 1921 წლის 9 მარტს – ჰაიტიმ; 1921 წლის 28 მარტს – ლიბერიამ; 1921 წლის 8 აპრილს – ჩეხოსლოვაკიამ; 1921 წლის 14 აპრილს – მექსიკამ; 1921 წლის 26 აგვისტოს – პანამამ; 1921 წლის 20 ნოემბერს – სიამმა. ამ ტექსტში რატომღაც ბოლოსაა მოქცეული, თუ არ ჩავთვლით ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ, უკვე დამოუკიდებლობის გამოცხადების ცხელ კვალზე გერმანიისა და თურქეთის მიერ საქართველოს აღიარებას, არგენტინის მთავრობის მიერ ჯერ კიდევ რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებამდე კარგა ხნით ადრე, 1919 წლის 13 სექტემბერს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა (სხვათა შორის, არგენტინის მიერ ასევე ადრეულ ფაზაზე მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა 1991 წლის 9 აპრილის აქტის მიღების შემდეგ); ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ომისშემდგომმა (პარიზის ხელშეკრულებით დაშვებულმა) გერმანიის მთავრობამ 1920 წ. 24 სექტემბერს ხელახლა ცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

ამდენად, რუსეთმა 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულებით აღიარა საქართველოს სრული **განთავისუფლება** რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან, რომ საქართველო წარმოადგენდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ სუბიექტს, რომელთანაც ის დებდა თანასწორუფლებიან ხელშეკრულებას. ამას კი მოჰყვა საერთაშორისო მასშტაბით მისი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობა. ეს იყო უმნიშვნელოვანესი რეალ-პოლიტიკური ფაქტი, რომელსაც თავისი მნიშვნელობა მოვლენათა შემდგომი ტრაგიკული განვითარების ფონზეც არ დაუკარგავს. სწორედ მან მისცა საშუალება პირველი რესპუბლიკის მთავრობას, არანაირი პოლიტიკურ-სამართლებრივი ბერკეტი არ მიეცა ბოლშევიკური ოკუპაციის შედეგად დამყარებული რეჟიმისთვის და განეგრძო ბრძოლა დევნილობაში.

ოკუპანტები ცდილობდნენ მენშევიკურ მთავრობასთან მოლაპარაკების გამართვას. მათ სურდათ, ისინი დარჩენილიყვნენ ქვეყანაში და „მშვიდობიანად“ მოგეგარებინათ ხელი-

სუფლების საკითხი, ამას კი რაც მოჰყვებოდა, ნათელი იყო: 25 ოქტომბრის პეტროგრადის გადატრიალების მაგალითზე, ე. ი. შეიარაღებულ ძალების ზენოლით ძალაუფლების საბჭოებისთვის გადაცემა და დემოკრატიული მმართველობითი სისტემის სრული ლიკვიდაცია, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება და რეპრესიები. აქედან გამომდინარე, იმავე გზით მოხდებოდა საქართველოს რესპუბლიკის რუსეთის საბჭოთა იმპერიასთან „ნებაყოფლობით“ სამართლებრივი ნორმების დაცვით მიერთება.

ამდენად, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, მიუხედავად მთელი რიგი შეცდომებისა, ძალზე მნიშვნელოვანი, გადამწყვეტიც კი, იყო ის გარემოება, რომ პირველი რესპუბლიკის მთავრობას ხელი არ მოუწერია არანაირ იურიდიულ დოკუმენტზე, რომლითაც ის დააფიქსირებდა სახელმწიფო ძალაუფლების რაღაც ფორმით სხვა პოლიტიკურ ძალაზე გადაცემას. ასეთ შემთხვევაში ის ლეგიტიმაციას მისცემდა რუსულ-ბოლშევიკურ ოკუპაციას და მის შედეგად დამდგარ შედეგს: საქართველოს ფაქტობრივ ანექსიას.

მას არ უღიარებია არც საბჭოთა საქართველო და არც სსრ კავშირი. შესაბამისად, საქართველოც მიიჩნეოდა რუსეთის მიერ ოკუპირებულ და ანექსირებულ ქვეყნად, „რასაც უამრავი დოკუმენტი და ევროპული ქვეყნების მიერ მიღებული რეზოლუცია ადასტურებს“ (დ.ხვადაგანი).

\* \* \*

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ემიგრაციული მთავრობის მდგომარეობა დროთა განმავლობაში სულ უფრო მძიმდებოდა, მას საქართველოს ოკუპანტურ-ბოლშევიკური რეჟიმის არალიარების სტრატეგიული გეზისთვის არასდროს უღალატია. ამდენად, ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის უწყვეტად გრძელდებოდა იმ დღიდანვე, როცა რუსეთის იმპერიამ მოახდინა საქართველოს ხელახალი ანექსია. მაშასადამე, ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფო აგრძელებდა დე იურე ასრებობას, მიუხედავად იმისა, რომ 1922 წლის 30 დეკემბერს გაფორმდა ახალი სახელმწიფო – სსრკ, რომლის შემადგენლობაში ჯერ ა/კ ფედერაციის სახით, შემდეგ კი დამოუკიდებლად შედიო-

და საბჭოთა საქართველო. როგორც 1991 წლის 9 აპრილის საგანგებო სხდომაზე ზ.გამსახურდია აღნიშნავდა, ეს იყო „საქართველოს საბჭოთა კავშირის შემდგენლობაში ძალდატანებითი შეყვანა“. ხოლო შემდგომმა პროცესებმა დაადასტურეს, რომ „საქართველოში საბჭოთა კონსტიტუციით თითქოსდა გარანტირებული სახელმწიფოებრიობა, ადამიანის უფლებები რეალურად არ არსებობდა“ (ზ. გ.), რასაც ქართველი ხალხი შინაგანად არასდროს შეჰგუებია და იბრძოდა დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. ამ ბრძოლას პრაქტიკულად და სიმბოლურადაც განახორციელებდა ემიგრაციული მთავრობა. მაშინაც კი, როცა ემიგრაციული მთავრობის მდგომარეობა ძალზე გართულდა და საფრანგეთის ხელისუფლებამ, გერმანული აგრესიით შეშინებულმა, გეზი აიღო საბჭოთა კავშირთან დაახლოებისკენ, მან უყოყმანოდ განირა ემიგრანტული მთავრობის ინტერესები და „გააუქმა საქართველოს მთავრობის ოფიციალური დელეგაცია“. ამას მოჰყვა საფრანგეთში თავმოყრილი მეტ-ნაკლებად ორგანიზებული ემიგრაციული ძალების მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტვა. ერთმა ნაწილმა იქვე, საფრანგეთში, პარიზის მახლობლად, სოფ. ლევილში შეიძინა მამული. ის იქცა ემიგრაციის პოლიტიკურ ცენტრად. ახლა უკვე აქედან მიმდინარეობდა არალიარების სტრატეგიის წარმართვა.

მაშასადამე, ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა დე იურე, თითქმის უწყვეტად აგრძელებდა არსებობას. ამასთან, საქართველოს, როგორც ზემოთ, **ზ.გამსახურდიას სიტყვაში აღინიშნა, კონსტიტუციით გარანტირებული ჰქონდა სახელმწიფოებრიობა, მაგრამ ის რეალურად არ არსებობდა.** თუმცა სახელმწიფოებრიობა და ავტონომიურობა დე იურე აღიარებული იყო საერთაშორისო დონეზე. ასეთ დე იურე არსებობას სახელმწიფოებრიობისა თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა და მან კიდევაც გამოიღო ნაყოფი, როცა დადგა „იმპერიის მწუხრი“.

## საქართველოს სახელმწიფოებრიობის 100 წლისთავის შესახებ

ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით, 1990 წლის 9 მარტს საბჭოთა საქართველოს უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიის შესახებ. ის აცხადებდა: „გმობს საქართველოს ოკუპაციას და ფაქტობრივ ანექსიას საბჭოთა რუსეთის მიერ, როგორც საერთაშორისო დანაშაულს, და ესწრაფვის საქართველოსთვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვე-

ვის შედეგების გაუქმებას და საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულებით აღიარებული უფლებების აღდგენას“ (კრებული, ტ. I). მანვე უკანონოდ და ბათილად ცნო ყველა სამოკავშირეო ხელშეკრულება როგორც საქ.სსრ-სა და რსფსრ-ს შორის, ასევე ა/კ ფედერაციისა (იქვე, გვ. 324). ეს იმის დადასტურებაა, რომ კონსტიტუციურად არსებულმა არაფაქტიურმა სახელმწიფოებრიობამ იწყო ძალის მოკრება და ფაქტობრივი სახელმწიფოებრიობის აღდგენის განხორციელებისკენ სწრაფვა. რეფერენდუმის შემდეგ კი, სწორედ ამ 70-წლიანი ბრძოლის შედეგად შენარჩუნებული დე იურე სახელმწიფოებრიობის დამადასტურებელი „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“, resp განთავისუფლების საფუძველზე მოხდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა. **ამიტომ ცდებაან ისინი, ვინც თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოებრიობის არსებობის 100 წლის თავს ეჭვქვეშ აყენებენ.**

ამდენად, მიუხედავად საბჭოთა დიქტატურის ტოტალური ბატონობისა, დასავლური დემოკრატიის გულცივობისა და სიმბდალისა, რის შედეგადაც მრავალგზის დაემუქრა პოლიტიკური და ფიზიკური განადგურება, ემიგრანტულმა მთავრობამ მაინც შეძლო ოკუპაციის შედეგად მოსული **საბჭოთა ხელისუფლების არაღიარების პოლიტიკის ბოლომდე გატანა** და როცა დაჰკრა ჟამმა, სწორედ 1918 წლის 26 მაისის „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ გახდა ისტორიულ-სამართლებრივი საფუძველი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა.

შესაბამისად, 1991 წ. 31 მარტის საერთო-სახალხო რეფერენდუმის საფუძველზე 9 აპრილის აქტით გამოცხადებული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა აგვირგვინებს ამ 70-წლიან ბრძოლას და 1918 წლის 26 მაისის აქტს ანიჭებს **ისტორიულ-ფუძემდებლური** დოკუმენტის მნიშვნელობას; აღავსებს მას ეროვნული ენერგიითა და თანამედროვე შინაარსით; ის იძენს პოლიტიკურ ძალმოსილებას საერთაშორისო არენაზე, იქ, სადაც მას, როგორც ზემოთ ითქვა, ყრუდ ჰქონდა კარი მიკეტილი.



ამიტომ საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავის აღნიშვნა არა მარტო შიდაეროვნული, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხია, არამედ ის საერთაშორისო მნიშვნელობის აქტია, რომელსაც არა მარტო ჩვენ, რომლებმაც ბოლომდე შევძელით არ გველიარებინა საბჭოთა ოკუპაციის შედეგად დამდგარი რეალობა, აღვნიშნავთ, არამედ ყველა ისინი, ვინც სსრკ-ს დაშლის შედეგად თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა.

მოცემული თვალსაზრისით, ჩვენ ყველაზე მეტი სიახლოვე გვაკავშირებს ბალტიისპირეთთან, განსაკუთრებით ლიეტუვასთან, რომელმაც სწორედ 100 წლის წინათ, 1918 წლის 16 თებერვალს გამოაცხადა დამოუკიდებლობა, სამიოდე თვის შემდეგ იგივე გამეორდა საქართველოში და ერთი კვირის თავზე საქართველოში ლიტვის ოფიციალური წარმომადგენლობა გაიხსნა. ეს ურთიერთობა ლიეტუვასთან და, საერთოდ, ბალტიისპირეთთან, მიუხედავად ორივეს თავს დამტყდარი დიდი უბედურებისა, არ მოშლილა. კავშირი სრული ძალით ისევ აღორძინდა თანამედროვე ეპოქაში. ამ მაგალითზე იმისთვის გავამახვილეთ ყურადღება, რომ ნათელი გახდეს, – საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავის საკითხისადმი ზერელე მიდგომა დაუშვებელია, რომ მის უკან დგას რუსეთის უღლისგან განთავისუფლებული საქართველოს ხალხის, სახელმწიფოს საერთაშორისო იმიჯი, არაფერი რომ არ ვთქვათ თვით იურიდიულ-სამართლებრივ საფუძველზე. ე.ი. ეს საკითხი საერთაშორისო დონეზეა გადაწყვეტილი.

\* \* \*

ჩვენ ზემოთ შევეხეთ იმას, თუ როგორ მოხდა XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საბჭოურ ხელისუფლებაზე აღორძინებული ეროვნული მოძრაობის მხრიდან ზენოლა და აიძულეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, თავისი დაგენილებით ოფიციალურად ელიარებინა, რომ 1921 წელს დაიდგა 1918 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და მოხდა თვითმპყრობელობის უღლისგან განთავისუფლებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ოკუპაცია. ეს იყო ზემოთ მი-

მოხილული ისტორიული პროცესების ლოგიკური გაგრძელება.

საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 14 ნოემბრის სხდომაზე ზვიად გამსახურდია აცხადებდა, 1921 წელს საბჭოთა რუსეთისგან საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდგომ, მსოფლიოში უმკაცრესი დიქტატურის პირობებშიც კი გრძელდებოდა ბრძოლა დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვისო. ის იქვე აღნიშნავდა ამ ბრძოლაში პირველი რესპუბლიკის მთავრობის მიერ „არალიარების სტრატეგიის“ განხორციელების მნიშვნელობაზე: დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, მიუხედავად საქართველოს ანექსიისა 1921 წელს, კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია. ამის გამო დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო და მისი კონსტიტუცია იურიდიული თვალსაზრისით დღესაც განაგრძობს არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ ამ კონსტიტუციის მოქმედება დროებით შეჩერდა ანექსიის შედეგად.

ამიტომ საქართველოს ტერიტორია იურიდიულად კვლავ ერთიანი და განუყოფელია, მასზე არ მოქმედებს არცერთი უცხო სახელმწიფოს კონსტიტუცია, მათ შორის არც სსრკ-ს კონსტიტუციები 1936 და 1978 წლებისა. მართალია, სსრკ იმპერიამ საქართველოს ძალადობით თავს მოახვია თავისი კონსტიტუცია, მაგრამ მისი მოქმედება მხოლოდ ფაქტობრივი იყო და არა იურიდიული. დღეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და არასაბჭოური არჩევნების შედეგად ამ ფაქტობრივ მოქმედებასაც თანდათანობით ეცლება საფუძველი (კრებული ტ. I, გვ. 24/25), რაც სულ მალე განხორციელდა კიდევც.

ამიტომ გავიმეორებთ და ვიტყვით: ეჭვის შეტანა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის 100 წლისთავის აღნიშვნის სამართლებრივ საკითხში ძალზე დიდი შეცდომაა, რომელიც, ვის ვის და, არ ეპატიებათ იმათ, ვინაც თავიანთი ხელმოწერით დაადასტურეს, რომ საქართველო თავისუფალი დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე და აღადგენს ფაქტობრივად წაგლეჯილ დამოუკიდებლობას.

## რეკანონისტული მიდგომა 9 აპრილის აქტისადმი და მისი სოციალურ-ეკონომიკური გავლენა

მაშასადამე, ზემოთ მიმოხილული ისტორიული პროცესების ლოგიკურ და სამართლებრივ დაგვირგვინებას წარმოადგენდა 1991 წლის 9 აპრილს თავისუფალი დემოკრატიული, არასაბჭოური არჩევნებით ფორმირებული საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარირება. ეს იყო გარდაუვალი მნიშვნელობის მქონე პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც, მიუხედავად ყველაფრისა: იმპერიის თავხედური შემოტევისა, პროსაბჭოური ნომენკლატურულ-კრიმინალური პუტჩისა, მათ მიერვე ხელოვნურად გამოწვეული კონფლიქტებისა და ომისა, ლაღატისა, მმართველი ელიტის დიდი ნაწილის კოლაბორაციონალური მისწრაფებებისა, ამ დოკუმენტისა და ამ ფაქტის საფუძველზე აღსდგა ქართული, დემოკრატიული წყობისკენ მიმსწრაფი სახელმწიფოებრიობა. მის საფუძველზე გახდა ქვეყანა მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი.

ამდენად, 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი წარმოადგენს უმთავრეს სამართლებრივ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც აიგო თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობა და მისი კონსტიტუციური წყობა. მიუხედავად ამისა, მისადმი დამოკიდებულება 1991-1992 წლების მიჯნაზე მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოსული უკანონო ხელისუფლების, მისი საყრდენის – „წითელი ინტელიგენციის“ და ნეოსოციალისტური კრიმინალური ალიანსის მხრიდან ცალსახად მტრული იყო.

დიახ, შევარდნაძისა და მისი ნეოკომუნისტური ჯგუფის ირგვლივ თავმოყრილი **პუტჩისტურ-კრიმინალური მასა ფორმირდება ფსევდოსოციალურ ფენად** და ყოველი ღონით ცდილობს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და განსაკუთრებით ახალი ქართული სახელმწიფოს შემოქმედი კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის მებრძოლი სახალხო ძალების განადგურებას (სხვათა შორის, ამ ალიანსს თავისი არ-

სებობა დღემდე არ შეუნყვეტია; მხოლოდ მისი ფორმით მეტამორფოზირება ხდება კორუმპირებული სახელმწიფო აპარატისა და კრიმინალურ საბანკო კაპიტალის შერწყმის გზით). ამ მიზნით ეს ანტიეროვნული ალიანსი ცდილობდა და ცდილობს 9 აპრილის აქტის როლისა და მნიშვნელობის დაკნინებას. ამ მიზნით ხელოვნურად ახდენენ 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის მნიშვნელობის ზედმეტად გაბუქებას და თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძველთა საფუძველის – დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტის როლის დამცრობას. ეს მაშინ, როცა **9 აპრილმა დაუბრუნა პოლიტიკურ-სამართლებრივი სიცოცხლე 26 მაისის ამ აქტს, მის გარეშე ის ოდენ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია.**

დღეს, ყოველგვარი მიეთმოეთის გარეშე ლაპარაკობენ იმაზე, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტის სრული იგნორირება ხდება **სახელმწიფოებრივად**. საქმე იქამდე მისულა, რომ თუ შესაძლებლობა მიეცემათ, სიამოვნებით მოახდენენ ამ აქტის **დენონსირებას**.

უზენაესი საბჭოს დეპუტატი, პროფესორი თ. ყურაშვილი წერს, რომ „ამ აქტის არსებობით გამონვეული შედეგებით... ძალიან სარგებლობდნენ და სარგებლობენ“ (მმართველი წრე და მისი თანამგზავრი ელიტა. – მ.ზ.). მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოფილი ხელისუფლება (ვარდების რევოლუციის შემდგომი) ამ აქტის დენონსირებასაც არ მოერიდებოდა, რათა ხელისუფლებაში მათ მოსვლასთან ერთად დაწყებულიყო საქართველოს ისტორია.

საკითხის ასეთ კონტექსტში განხილვა ოდენ სუბიექტური – პიროვნული დამოკიდებულების ასახვაა. ამ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხისადმი სულ სხვანაირი მიდგომაა საჭირო.

სინამდვილეში საქმე გვაქვს, როგორც ზემოთ ვნახეთ, ღრმა სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენასთან. მას ფესვები გადგმული აქვს იმ კრიზისულ პროცესებში, რომლებმაც დაანგრია საბჭოთა სისტემა და ჭეშმარიტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავგანწირული ბრძოლით შესაძ-

ლებელი გახადა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. ამიტომ ამ საკითხის სამართლიანი გადწყვეტა ამ სუბიექტური მომენტების განსჯითა და მისი აღმოფხვრით შეუძლებელია. აქ ერთმანეთშია გადაჯაჭვული მრავალი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და თუნდაც კულტურულ-ფსიქოლოგიური პრობლემა. პირველ რიგში აუცილებელია პრინციპული (ზოგადი) მიდგომის საკითხის დარეგულირება. **ეს გზა კი ოდენ ეროვნული თანხმობის იდეის საყოველთაოდ აღიარებაზე გადის.**

მაშასადამე, თუ სუბიექტურ მომენტებს დროებით გვერდით გავწევთ, ამ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულების უმთავრესი მიზეზი მაინც, როგორც ნაწილობრივ ზემოთაც ითქვა, ყოფილი საბჭოური, – ნომენკლატურულ-კრიმინალური და „წითელი ინტელიგენციის“ ალიანსის ფორმანაცვალის სახით არსებობაა საკუთარი ფსევდოიდეოლოგიით.

ჯერ კიდევ ედ. შევარდნაძის უკანონო ხელისუფლების დროიდან მომდინარე ამ ფსევდოლიბერალურ-დემოკრატიულ (სინამდვილეში ანტიდემოკრატიულ) ბაზაზე დგას და წვალლობს ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოებრიობა. ამიტომაც, რომ პერმანენტულად გრძელდება სისტემური კრიზისი, უწყვეტად გვესმის გულის მოსაოხებელი ფსევდორევოლუციური ლოზუნგი, მსგავსი: „სისტემა უნდა დაინგრეს!“

სინამდვილეში შეძახილის ობიექტ-სუბიექტი და თვით შემძახებელი **ამ ფსევდოიდეას ეფუძნებიან**, ამიტომაც, სამწუხაროდ, ეს სისტემა თვით რევოლუციამაც ვერ დაანგრია ბოლომდე, ვინაიდან მან ვერ შეძლო და **არც უცდია** ამ ბაზისის ძირისძირამდე ამოძირკვა. რევოლუციამ მხოლოდ მოანგრია დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის დამანგრეველი პუტჩისტური ალიანსის რევანშისტული აისბერგის ხილული ნაწილის წვერი და შეეცადა მასზე ახალი პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემის კონსტრუქციის დაშენებას. ეს კი წმინდა წყლის ილუზია იყო, ვინაიდან, ისედაც უსაფუძვლოდ მოდრეიფე უკანონობისა და ძალმომრეობის, სიცრუის აისბერგის ნატეხილ თავზე ვერავითარ სამართლებრივ სისტემას ვერ დაა-

შენებ. სინამდვილეში მივიღეთ რაღაცა რუსულ-კრიმინალური და დასავლურ-ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის ნაჯვარი, რომელმაც გზა გაუხსნა ყოველგვარი ჯურის დენაციონალიზებულ და დეკლასირებულ ანტიძალებს, რომელთათვისაც კატეგორიულად მიუღებელი იყო არა მარტო რეალური პროდასავლური რევოლუციური გარდაქმნები, არამედ თვით დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენის **ბაზისური საფუძველი** – 1990 წლის 28 ოქტომბრის არასაბჭოური მრავალპარტიული, ნამდვილად თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების სახით (პრეცედენტი).

ამ პრეცედენტის მიჩქმალვა პუტჩისტური ფსევდოდემოკრატიული სოციუმისთვის შევარდნაძის ცრუარჩევნებიდან მოყოლებული დღემდე „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი“ საკითხია. შესაბამისად, მათი შეტევის ობიექტს წარმოადგენდა ასევე უმაღლეს დემოკრატიულ დონეზე ჩატარებული საერთოსახალხო **რეფერენდუმი** და მის საფუძველზე დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გამოცხადება, ძირითად შტრიხებში მისი სისტემურად, ყველა საერთაშორისო ნორმის დაცვით ფორმირება.

მაშინდელი პოლიტიკური ვითარების შედეგად შექმნილი მართლაცდა პარადოქსული სიტუაციის მიუხედავად, როცა დასავლური დემოკრატია მკერდით გადაეფარა ასაფეთქებლად გამზადებული საბჭოთა ტოტალიტარიზმის ამბრაზურას და „სისხლის უკანასკნელ ნვეთამდე“ მისი დაცვა განიზრახა, „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ ბლოკმა და მის ირგვლივ დარაზმულმა თავისუფლებისთვის მებრძოლმა საქართველოს მოსახლეობამ, ზვიად გამსახურდიას თითქმის **უშეცდომო**, გამჭრიახი ტაქტიკით ამ ჯერ გაუგონარ ალიანსს დემოკრატიზმისა და ტოტალიტარიზმისა (სულ სხვა რანგის იყო მეორე მსოფლიო ომის პროცესში შექმნილი კოალიცია) ცხვირწინ ააცალეს დამოუკიდებლობა (ბალტიისპირეთთან ერთად) და აღადგინეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, რომელსაც მოჰყვა ჯაჭვური რეაქცია არა მარტო სსრკ-დან, არამედ დასავლეთიდანაც და თითის დაქნევით გვითხრეს: დინების საწინააღმდეგოდ მიცურავთო, რაზედაც მიიღეს იმ

მომენტისთვის ერთადერთი სწორი და ღირსეული პასუხი: „დინებას მკვდარი თევზები მიჰყვებიანო“. ცხოვრებამ დაადასტურა, ვინ იყო მართალი და ვინ – მტყუანი.

**„მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ ამ უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებას ფსევდოდემოკრატიული სოციუმი თავიანთ დამარცხებად მიიჩნევდა.** ის პუტჩის შემდეგ ყველა საშუალებით ცდილობდა 9 აპრილის აქტის მნიშვნელობის დამცირებას და დაკნინებას, 26 მაისის ისტორიული დოკუმენტით მის ვირტუალურად ჩანაცვლებას და ამ გზით სრულფასოვანი რევანშის განხორციელებას.

\* \* \*

კრიმინალურ-ნომენკლატურული და „წითელი ინტელიგენციის“ ამ ალიანსმა შეაკონინა ფსევდოიდეოლოგიური ბაზისი, აგებული რუსულ-საბჭოურ კორუფციულ სანყისებზე და შეაჯერა „მამარდაშვილისტური“ – ვულგარული დემოკრატიზმი-თა და ლიბერალიზმით. ეს პოსტპუტჩისტური ფსევდოდემოკრატიული ალიანსი უკვე ოდენ თავისი არსებობით ამუხრუჭებდა და ამუხრუჭებს იმ პროცესებს, რომლებითაც უნდა წარმართულიყო და უნდა წარიმართოს 9 აპრილის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტის საფუძველზე ფორმირებადი დემოკრატიული წყობა.

ამ პუტჩისტურ-კონტრრევოლუციური სოციუმის სოციალურ-ეკონომიკური ბაზისი აგებულია სოციალისტური წარსულიდან მომდინარე, სახელმწიფო დონეზე დანერგილი მექრთამულ-კორუფციის წესის მისადაგებით ახალ საბაზრო-ეკონომიკურ ვითარებასთან (თავის დროზე ველური კაპიტალიზმი შეცდომით რომ უწოდეს, ის სინამდვილეში მაროდიორულ-მძარცველურია).

მისთვის დამახასიათებელია სახელმწიფო ხელისუფლების ბოროტად გამოყენება პირადი სარგებლის მიღების მიზნით. ეს ცნება კი გულისხმობს მექრთამეობას, ნეპოტიზმს (შემოსავლიან და სარგებლიან თანამდებობაზე ნათესავების ან „თავისი ხალხის“ დანიშნვას), პირადი სარგებლობის მიზნით საჯარო საშუალებების უკანონო მითვისებას და ა.შ. (კორუფცია, სახელმძღვანელო,

გვ.7, თბ. 2009 წ.) ამ დეფინიციაში კორუფციის სუბიექტთა კატეგორიას მიეკუთვნებიან არა მხოლოდ სახელმწიფო თანამდებობის პირები და ჩინოვნიკები, არამედ სხვადასხვა კერძო სექტორში მომუშავე პირებიც. ჩვენში ისინი საბჭოური გამოცდილებიდან გამომდინარე ქმნიან კორუფციულ-კრიმინალურ ფენებსა და ჯგუფებს, რომლებმაც „წითელ ინტელიგენციასთან“ კავშირში პოსტპუტჩისტური ეპოქა შექმნეს, – როგორც ითქვა, ახალი ფსევდოსოციალური თავისი კრიმინალურ-კორუფციული ბაზისითა და ფსევდოიდეოლოგიით.

მაშასადამე, ბაზისური თვალსაზრისით, კანონიერი ხელი-სუფლების დამხობის შემდეგ დღემდე თითქმის არაფერი იცვლება, მაშინ როცა მთელ მსოფლიოში ანტიკორუფციული კანონმდებლობა ვითარდება არსებული სამართლებრივი არსენალის საფუძველზე და კორუფციის პრევენციის გზით. „საქართველოში ამ კუთხით... უძრაობაა“, როგორც ეს ზემოთ დასახელებულ სახელმძღვანელოშია მითითებული; კიდევ უფრო მეტიც: „კორუფციასთან ბრძოლის სამამულო კანონმდებლობა დღევანდელ დღემდე ფრაგმენტულ, მზაკვრულ ხასიათს ატარებს“. ძალზე საინტერესოა ის ფაქტი, რომ საერთაშორისო კონფერენციის მიერ შემუშავებულ ამ დოკუმენტში ეს ვითარება სრულებით მისადაგებულია რუსულ რეალობასთან და მის გაგრძელებად განიხილება. დოკუმენტში ნათქვამია: „იგივე შეიძლება ითქვას რუსულ სამართალზეც, სადაც ანტიკორუფციული ნორმები ასევე არასრულყოფილია“ (დასახ. ნაშრ. გვ.53). მაშასადამე, იმედი გვრჩება, არავის მოეჩვენება გადამეტებულად ჩვენ მიერ ზემოთ თქმული ფსევდოდემოკრატიულ-პუტჩისტური ალიანსური ბაზისის რუსული წარმომავლობის თაობაზე.

ამდენად, შევარდნაძისტიულმა კორუფციულ-კრიმინალურმა სოციალიზმმა, გადაცემულმა ლიბერალიზმისა და დემოკრატიზმის ქართულ ძონძებში, ისე მაგრად გაიდგა ფესვები, რომ მას დიდი ვერაფერი დააკლო თვით სახალხო რევოლუციამაც კი. მან თავისი „დემოკრატიზმითა“ და უსაცვალეზო ლიბერალიზმით სულ მალე შერყვნა მშვიდობიანი „ვარდების რევოლუცია“, შემდეგ კი ის ჩაანაცვლა ასევე მშვიდობიანი, ალიანსურ-კოჰაბიტაციური კონტრრევოლუციით.



მაშასადამე, სახელმწიფოს ბაზისურ საყრდენს ისევ ის პუტჩისტურ-კრიმინალური სოციუმი და მისი იდეოლოგია წარმოადგენს, რომელთაც დასაანახავადაც კი არ უნდოდათ ქართველი ხალხის ეროვნული იდენტობისთვის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის გამოცდილებით ნასაზრდოები ეროვნული თავისუფლების იდეოლოგია, ზოგადად ქართული იდეა. მათთვის განსაკუთრებით მიუღებელია დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენის შემოქმედი ძალები, პირველ რიგში, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

პროფ. ყურაშვილი ზემოთ დამოწმებულ წერილში ხაზგასმით მიუთითებს, რომ 1992 წლის შემდგომ პერიოდში ისტორიული მნიშვნელობის პიროვნებებისა თუ ფაქტების მიჩქმალვა-მიჩუმების პოლიტიკამ მიგვიყვანა იმ სავალალო მდგომარეობამდე, რომელშიც დღეს საქართველო იმყოფება. ძალზე სწორად ფორმულირებულ ამ დასკვნას თვითონვე აუფერულებს ავტორი, როცა იმედის თვალით შეჰყურებს იმ ხელისუფლებას, რომელიც სავალალო მდგომარეობაში ამყოფებს საქართველოს. ის ეხვეწება ამ რუსულ-კრიმინალურ ბაზისზე მდგარ ალიანსური ფსევდოსოციუმის ხელისუფლებას – „ვეცადოთ და ნუ გავიმეორებთ იმ შეცდომებს, რაც დაშვებულ იქნა ამ 22 წლის (? – მ.ზ.) განმავლობაში“.

ის შეცდომები, რაზედაც ავტორი მიუთითებს, პუტჩისტურ-ალიანსური სოციუმისთვის, რომელნიც სხვადასხვა კონფიგურაციით ამ ხნის განმავლობაში განაგებენ ქვეყანას თუ მონაწილეობენ მის რეალურ მართვაში, შეცდომა კი არა, მიზანმიმართული ქმედებაა – სტრატეგიული გამარჯვებაა, რომლის მეოხებით მათ არა მარტო ხელში ჩაიგდეს მმართველობის ბერკეტები, არამედ დღეს უკვე პოლიტიკური ძალაუფლებისა და ერთადერთი რეალურად მოქმედი ეკონომიკური ბერკეტის – საბანკო კაპიტალის შერწყმით სრულად დაეპატრონენ მთელ ეროვნულ სიმდიდრეს. ამიტომ ამაოა ავტორის ღალატისი, რომ „1991 წლის 9 აპრილს მიღებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიული (!) აქტი, ბოლოს და ბოლოს, დაიდებს ბინას საქართველოს პარლამენტის შენობაში“.

\* \* \*

იმედი მაქვს, ავტორი პარლამენტის შენობაში ამ არა ისტორიული, არამედ მოქმედი – ჩვენი სახელმწიფოებრიობისა და კონსტიტუციის ფუძემდებლური დოკუმენტისთვის კუთვნილი ადგილის მიჩენაში მის რეალურ ამოქმედებას გულისხმობს და არა ოდენ ფორმალურ მხარეს (დოკუმენტის გამოფენას). ასეთ შემთხვევაში უნდა გვესმოდეს, რომ პუტჩისტური ალიანსის შედეგად ფორმირებული ნეოსაბჭოური – ფსევდოლიბერალური ფსევდოსოციალიზმის ბატონობის ხანაში ეს არ მოხდება. **ეს ფსევდოსოციალური ფენა, ფორმირებულია არა სოციალური და ეკონომიკური კანონზომიერების კვალობაზე, არამედ საბჭოური ნომენკლატურულ-კრიმინალური რევანშიზმის მიზანდასახულობის მოთხოვნილებათა შესაბამისად.**

დევნილობაში მყოფი პირველი პრეზიდენტი წერდა: რაც საქართველოში გაიმარჯვა დემოკრატია და ჩატარდა თავისუფალი მრავალპარტიული არჩევნები, მათ გულში ჩაიდეს რევანში და ყოველ ღონეს ხმარობდნენ ამ მონაპოვრის გასანადგურებლად. მათ კიდევაც მიაღწიეს ამას იმპერიული ძალების დახმარებით. ედ.შევარდნაძე „იყენებდა დასავლეთთან კავშირს საკუთარი ქვეყნის გასანადგურებლად“. ჩვენ კი უნდა გვესმოდეს, რომ მაშინ მოსკოვში შექმნილი რევანშისტული შტაბი უწყვეტად მოქმედებს, მეტ-ნაკლები სიმძაფრით, ვითარებათა შესაბამისად დღემდე ხდება ამ კავშირების ქართული ინტერესების საზიანოდ გამოყენება.

სახელმწიფოებრივად ეს გეზი დაიწყო და უწყვეტად გრძელდება იმ ხანიდან, რაც 1992 წლის 9 აპრილი ოფიციალურად არც კი აღნიშნეს შევარდნაძემ და მისმა სამხედრო ხუნტამ (შეად. დასახ. კრებული, ზ.გამსახურდია, ტ. I, გვ. 54, 55 და 63). მაშასადამე, **ის სოციალიზმი, რომელიც თავისი ნახევრადკრიმინალური ხელისუფლებით მთელი ამ მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში განაგებდნენ ქვეყანას, სისხლხორცეულადაა დაინტერესებული, მიწასთან გაასწორონ 1991 წლის 9 აპრილის მონაპოვარი.**

## ბადარჩენისა და ალორქინების გზა

მაშასადამე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ 9 აპრილის აქტის არსებობას ეს გაბატონებული ფსევდოსოციუმი მხოლოდ იმდენად **ითმენს**, რამდენადაც ის მათ სჭირდებათ საკუთარი პოლიტიკური ძალაუფლებისა და კეთილდღეობის მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის, საერთაშორისო არენაზე თავის წარმოსაჩენად და სავაჭროდ.

თუ ჟამი დადგა, რასაც დაუფარავად აახლოებენ რუსული კოლაბორაციონალური ძალები, ისინი „ხალხის სახელით და ხალხისთვის“, სამშობლოს „ფიზიკური გადარჩენის მიზნით“ „კეთილგონივრულ“ პოლიტიკას გაატარებენ და ამ დამოუკიდებლობასაც ისევე იოლად შეეღებვიან, როგორც ამ აქტის საფუძველზე მსოფლიო საზოგადოების მიერ აღიარებულ საქართველოს ტერიტორიის 20%-ს.

ამდენად, არა ოდენ პოლიტიკური მმართველობის უმაღლესი ეშელონი, არამედ ეს „ალიანსური“ სოციუმი, 1991/1992 წლების მიჯნაზე მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დემოკრატიული ნიღბით რომ განაგებს ქვეყანას, სისხლხორცეულად არის დაინტერესებული არა მარტო მიჩქმალოს და მიაჩუმათოს „9 აპრილის მონაპოვრის„მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის აწყმოსა და მომავლისთვის, არამედ თურმე მის დენონსირებაზეც კი წავა. ავტორის თქმით, ამას გააკეთებენ იმ სუბიექტური მიზეზით, რაზედაც ზემოთ ითქვა: დაადასტურონ ის, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია მათგან იწყება.

სინამდვილეში ისინი ამას გააკეთებენ ან უკვე მყარად ფეხმოკიდებული, პიროვნული კეთილდღეობისა და განდიდების მანიით შეპყრობილი კოლაბორაციონალური, კორპორაციული ძალების ინტერესებიდან გამომდინარე.

მიუხედავად ე.წ. პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში მეტ-ნაკლები განსხვავებულობისა, ისინი პოსტპუტჩისტური ალიანსის პირმშოები არიან და პრივილეგირებული სოციუმის ორ ფრთას წარმოადგენენ. სინამდვილეში ერთი და იმავე ფსევდოდემოკრატიული იდეოლოგიით საზრდოობენ და სული-

ერი ობსკურანტიზმის წყაროს წარმოადგენენ.

ამ სოციუმის „გენეალოგიური“ დახასიათება და მასთან ურთიერთობის ერთადერთი სწორი გზა გვიჩვენა ზვიად გამსახურდიამ. ის წერდა: იმძლავრეს და იმრავლეს მოღალატეებმა, ერთგულებას ღალატმა სძლია, წითელი ინტელიგენცია, კომუნისტური პარტოკრატია და მაფია გაერთიანდნენ. იმპერია კვლავ სამარეს უთხრის საქართველოს საკუთარი შვილების ხელით.

**აი, ასეთია მმართველი სოციუმის გენეტიკა, ისაა საბჭოური პარტოკრატის, წითელი ინტელიგენციის და კრიმინალ-მაფიოზთა ჰიბრიდი, შეფერადებული ცრუ დემოკრატიითა და ფსევდოლიბერალიზმით.** ისინი კვლავ ძარცვავენ ქვეყანას, კვლავ გრძელდება ქართველთა გენოციდი არა მარტო ოკუპანტთა მხრიდან, არამედ თვით ამ ჰიბრიდული სოციუმის მხრიდან. მოსახლეობის 1/3 კიდევ სიღარიბის ჩვეული გაგების ზღვარს მიღმაა და ა. შ. ეროვნული მოძრაობა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში იდევნებოდა, ჩანაცვლებულია ფსევდოეროვნული – იმპერიისგან მართული, გადაგვარებული მოძალადეებით.

**იძარცვება საქართველო, იდევნება ეროვნული მოძრაობა, გრძელდება ქართველთა გენოციდი.**

„დღეს საქართველო დილემის წინაშე დგას. ჭეშმარიტი საქართველო უნდა აღდგეს დამპყრობელთა და გადაგვარებულთა წინააღმდეგ. ქართველნი და არაქართველნი უნდა დაირაზმონ სიმართლისთვის ბრძოლაში. კვლავ ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ თავისუფლება“. შესაბამისად, როგორც ბრძანებდა ზ. გამსახურდია, ჭეშმარიტი საქართველო უნდა აღდგეს დამპყრობელთა და ამ გადაგვარებული სოციუმის წინააღმდეგ, ეს გზა კი **ბრძოლის გზაა**. ამ ბრძოლის გზის დახასიათება მოგვცა ისევ და ისევ ზვიად გამსახურდიამ: „ჩემი ერთადერთი გზა არის პოლიტიკური მეთოდებით ბრძოლის გზა... ამას ვიმეორებ კატეგორიულად და მინდა ყველამ დაიმახსოვროს ეს“ (ტ. III გვ. 195). დიახ, დღევანდელი ვითარებისთვის ზედგამოჭრილია საქართველოს პირველი პრეზიდენტის ეს მითითება.

„მოიმედობისა“ და „მეოცნებეობის“ ილუზიებს წერტილი უნდა დაესვას. საქართველოს ჭეშმარიტმა შვილებმა უნდა სძლიონ მათ და ეროვნული თანხმობის გზით აღაზვევონ 26 მაისისა და 9 აპრილის ერთიანი დროშა. უნდა გაჩაღდეს ჭეშმარიტად სახალხო ბრძოლა ჩვენი ერის მოლაღატეთა წინააღმდეგ; კვლავ უნდა ავალორძინოთ 28 ოქტომბრის დემოკრატიული იდეები და საერთო-სახალხო სულიერება, რათა გადავარჩინოთ ეროვნული და სოციალური კატასტროფის წინაშე მდგარი ქვეყანა.

მიუხედავად პოსტპუტჩისტური ალიანსური სოციუმისა და მისი ხელისუფლების მრავალგვარი მცდელობისა, ჩაეკლათ ერთხელ უკვე **ალორძინებული ღირსება**, გვჯერა, რომ მათ ეს არ გამოუვათ. ჩვენი ხალხი არ შეურიგდება ოკუპანტს, რომელიც ცდილობს ტერიტორიების მიტაცებას, თავისუფლების შეზღუდვას, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ლიკვიდირებას. იმპერია ამას ვერ შეძლებს ამ გაბატონებული სოციუმის გარეშე, რომელსაც მყარად აქვს ფესვები გადგმული კორუფციაში, ისინი ეროვნული ინტერესების ღალატის გზით იკეთებენ კარიერას და ერთვებიან მსოფლიო მაფიოზურ სისტემაში. ამიტომ, პირველ რიგში, **ბრძოლა უნდა გაუშართოთ ამ პუტჩისტურ-ალიანსურ ფენას**, რომლის გარეშე, როგორც ზვიად გამსახურდია ამბობდა, „იმპერია ვერ გაძლებს... იგი ღალატს, კორუფციას, გადაგვარებულ პიროვნებებს ეყრდნობა“ (იქვე, გვ.99).

ამდენად, თავს ნუ მოვიტყუებთ იმით, რომ ამ ფსევდოდემოკრატიული სოციუმის ბაზისზე აგებული მმართველობა და რომელიმე ხელისუფლება კუთვნილ ადგილს დაუდებს (მიუბოძებს) 9 აპრილის აქტს. ფორმალურად ეს კიდევაც რომ გააკეთებინო მათ, ე.ი. დოკუმენტი რომ გამოფინო, ეს არაფერს ცვლის, ეს იქნებოდა კიდევ ერთი ფარისევლობა, რომლის მსგავსი მრავალი „ლონისძიების“ მომსწრენი ვართ.

**მთავარია, დაბრუნდეს 9 აპრილის აქტით „ალორძინებული სული“ თანხმობისა, სული ხალხის ერთიანობისა, რომელიც იყო მსაჯული ქვეყნის თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის ბრძოლის სინმინდისა.** გავიხსენოთ პირველი

პრეზიდენტის მითითება, რომ სინდისია მთავარი მსაჯული და კიდევ ხალხი, რომელსაც გამოაქვს ყველასთვის განაჩენი და ბოლოს ისტორია – ისიც მსაჯულია (კრებული ტ. III, გვ. 103).

აი, ასეთ მოქმედ ფაქტად და ფუძემდებლურ აქტად გვჭირდება ჩვენ სახელმწიფოებრიობის აღდგენის ეს დოკუმენტი. **თავისუფლებისათვის ბრძოლის მარადუშრეტი ენერჯის ამოქმედებით უნდა შევძლოთ ახალი ეპოქალური იდეებისადმი ფეხის აწყობა, რუსული – კორუფციული სისტემისგან თავის დახსნა და ამ უმთავრეს საკითხში თანხმობის მიღწევა.**

ამ მიზნით უნდა მოხდეს კრიმინალური მათეოზური ანარქიისგან, საითკენაც მიექანება ქვეყანა, მისი დახსნა.

ამდენად, აუცილებელია იმ ნეგატიური ფსევდოლიბერალური წარმოდგენების გაქარწყლება, რომლითაც ეს პუტჩისტურ-ალიანსური სოციუმი დღემდე ებრძვის ქვეშაბრტად ეროვნულ თავისუფლების იდეას, კანონიერ ხელისუფლებას და პირადად ზვიად გამსახურდიას.

ქვეყანაც ამ ფსევდოდემოკრატიული სოციუმის მიერ ათწლეულების განმავლობაში გამოგონილი ამ ტყუილებით იმართება. დღემდე გაჯერებულია დასავლური პოლიტიკური სივრცე, განსაკუთრებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ამ სიცრუით. საუბედურო ისაა, რომ ამ ტყუილებზე გამოგონილ და ამაზრზენ უწმინდურებებზე იზრდება მომავალი თაობა.

მაგალითისთვის მოვიყვანთ ერთ ადგილს ზ. გამსახურდიას „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტისადმი მიცემული ინტერვიუდან: კორესპონდენტის შეკითხვაზე, რომ თითქოსდა აფხაზეთში ჩრდილოკავკასიელი კონფედერატების მოხალისეთა უკან ზვიად გამსახურდია დგას, პრეზიდენტი პასუხობს: ეს ვერსია კრიმინალური ხუნტის მორიგი სიცრუეა. იგი ყოველგვარ დეზინფორმაციასა და მონაჭორს ავრცელებს. იმასაც ამბობენ, რომ მე მოვუწოდებდი აფხაზეთში ლაშქრობისკენ და ვამბობდი, რომ საქართველო არის მცირე იმპერია, რომელიც უნდა დაიშალოს. ამას არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან. მე, პირიქით, მოვუწოდებდი აფხაზებს, აღადგინონ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი, კანონიერი კონსტი-

ტუცია, მე ყოველნაირად ვმოქმედებდი იმისთვის, რომ საქართველოს მთლიანობა იქნეს შენარჩუნებული. მე მაქვს შესაძლებლობები, ამნაირ ქმედებებს შევუშალო ხელი, მაგრამ ხუნტა ყოველნაირად ცდილობს, ქართველ ხალხს არასწორი ინფორმაცია მიანოდოს (დასახ. კრებ. ტ. III, გვ. 194). ეს ამონარიდი დევნილი პრეზიდენტის ინტერვიუდან ნათელყოფს, თუ რა დეზინფორმაციაში ამყოფებდა ხალხს მაშინდელი ე.წ. პოლიტიკური ელიტა. ასე ფორმირდებოდა ეს პოსტპუტჩისტური სოციუმი. ის ანადგურებდა და ანადგურებს მომავალი თაობის თვითშეგნებას.

აი, ეს შეგნებულ ტყუილსა და გამიზნულ სიცრუეზე „გამოზრდილი“ ფსევდოლიბერალური სოციუმი, ამკარა მოღალატურ-კოლაბორაციონალურ „რუსეთუმეებთან“ ალიანსში, უპირისპირებს ერთმანეთს 26 მაისსა და 9 აპრილს, ამ ორ ფუძემდებლურ აქტს და მათ საფუძველზე განვითარებულ პროცესებს.

\* \* \*

მათი სამიზნე, რა თქმა უნდა, პირველ რიგში იყო და არის 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომლის არჩევასაც ისინი ეწინააღმდეგებოდნენ, და მის მიერ გატარებული სახელმწიფო-შემოქმედებითი ღონისძიებები, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი თუ მის საფუძველზე მიღებული 9 აპრილის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტი. ისინი განსაკუთრებული ზიზღითა და ისტერიით შეხვდნენ ამავე წლის 26 მაისს საერთო-სახალხო არჩევნების გზით პრეზიდენტის არჩევას.

პუტჩისტური ალიანსით შეკონინებული ეს ფსევდოსოციუმი ამ ფუძემდებლური დოკუმენტისთვის თავისი კუთვნილი ადგილის მიკუთვნების წინააღმდეგი არიან თუნდაც იმიტომ, რომ მათ დაარღვიეს ამ აქტით გათვალისწინებული უმთავრესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დებულება, რომ „ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული

მთლიანობის დარღვევისკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად“. პუტჩისტურ-შევარდნაძისტულმა ალიანსმა კი რუსულ იმპერიასთან კოლაბორაციაში არა მარტო შეზღუდეს კანონიერი ხელისუფლება, არამედ კიდევაც დაამხვეს ის. ვინმეს გაზვიადებულად რომ არ მოეჩვენოს რუსეთისა და ალიანსის ეს კავშირი, დავიმონმებთ ადგილს ზ. გამსახურდიას ღია წერილიდან რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინისადმი. ის წერს: „აგერ უკვე მეორე თვეა, რაც საქართველოში შეიარაღებულმა ოპოზიციამ ა/კ სამხედრო ოლქის სამხედროთა მხარდაჭერით დაიწყო სამხედრო მოქმედება... იღვრება სისხლი...“ შემდეგ ამავე იმპერიის ნებით არა მარტო დაარღვიეს ტერიტორიული მთლიანობა, არამედ სეპარატისტებთან წყვილში წამოიწყეს ომობანას თამაში და იმპერიას ლანგარზე მიართვეს საქართველოს ტერიტორიის 20%.

ამიტომ ეს ფენა 9 აპრილის აქტის მნიშვნელობისა და ღირებულების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დონეზე წარმოჩენით არ არის დაინტერესებული, პირიქით, როგორც ითქვა, მათი მიჩქმაღვითა და დაკნინებით ცდილობენ თავიანთი დანაშაულობების დაფარვას, მღვრიე წყლიდან სუფთად გამოსვლას. ამისთვის კი აუცილებელი იყო შესაფერისი იდეური ბაზისის ფორმირება და მის საფუძველზე ახალი თაობის აღზრდა, რა თქმა უნდა, შესაბამისი მითოლოგიითა და ისტორიით, რაც დიდწილად კიდევ მოახერხეს.

## სიცრუეზე აგებული ანტიისტორია

ამ პუტჩისტური სოციუმის იდეოლოგების ხელით იწერება დამოუკიდებელი საქართველოს ყალბი ისტორია, დემაგოგიური და ცინიკური, საკუთარი ვინრო ეგოისტური ინტერესების გამართლების მიზნით, რითაც კიდევ უფრო ამძიმებენ ისედაც მძიმე მდგომარეობას ერისას, ქართული სახელმწიფოებრიობისას.



ნათქვამი რომ ზოგად სიტყვებად არ დაგვრჩეს, ამჯერა-დაც გადავუხვევთ კონკრეტულ საკითხს და წამიერად ჩავახედებთ მკითხველს ავტორთა კოლექტივის მიერ (დავით მუსხელიშვილი, მიხეილ სამსონიძე, ალექსანდრე დაუშვილი) შედგენილ საქართველოს ისტორიაში – უძველესი დროიდან 2009 წლამდე. წიგნი გამოცემლია 2012 წელს. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ აქ გატარებული შეხედულებანი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე წარმოადგენს იმ სოციალისტური შეხედულებას, რომელსაც ეს ავტორები განეკუთვნებიან და მათზე ზენოლას ვერ მოახდენდა ვერც შევარდნაძისტული პუტჩისტურ-კრიმინალური მმართველობა და ვერც რევოლუციური რეჟიმი „გიჟი მიშასი“. ამიტომ ყოველგვარ ეჭვგარეშეა, რომ აქ გატარებული შეხედულებანი დიდი ხნის მანძილზე უწყვეტად ფორმირებადი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის დონეზეა შემუშავებული. სანამ ეს ფსევდოიდეოლოგია მოქმედებაშია, ისინი არ დაუშვებენ დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის რეალური მნიშვნელობის აღიარებას. ახლა კი ამ ანტიისტორიაში ჩავიხედოთ.

პუტჩისტური ალიანსის ისტორიკოსთა შეტყვის ობიექტი, რა თქმა უნდა, ზვიად გამსახურდიაა და მისი ლიდერობით გატარებული ყველა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება, რომელზედაც დგას და მუდამ იდგება დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობა.

მათ თვალთ დასანახავად არ უნდათ ის უზენაესი საბჭო, რომელიც საბჭოთა დიქტატურის პირობებში არჩეულ იქნა „... საქართველოს შეურიგებელი, დემოკრატიული ოპოზიციის ძალისხმევით... მრავალპარტიული, დემოკრატიული, არასაბჭოური არჩევნებით“, განსაკუთრებით მისი ის დემოკრატიული ნაწილი, რომელმაც შეძლო არა მარტო კომუნისტების დამარცხება, არამედ ბოლომდე მიჰყვა ამ დემოკრატიულ პრინციპებს და სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ არ დაუშვა ხალხის მიერ დელეგირებული ძალაუფლების გადაცემა სამხედრო-კრიმინალური ხუნტისთვის, რათა მათ შემდეგ ჩაეტარებინათ „კანონიერი“ არჩევნები.

**ისევე, როგორც 1921 წლის 25 თებერვალს ოკუპაციის შემ-**

დეგ კაპიტულაციაზე უარის თქმა, ამჯერადაც პრეზიდენტთან ერთად პარლამენტის უმრავლესობის და ხელისუფლების დიდი ნაწილის ემიგრაციაში წასვლა და კანონიერების აღდგენისთვის ბრძოლის წარმართვა იყო ერთადერთი სწორი გზა მოდერნიზებულ იმპერიაში უკან არმიბრუნებისა. მას შეგნებულად ებრძოდნენ და დღესაც ებრძვიან შევარდნაძისტულ-პუტჩისტური ალიანსით ფორმირებული სოციუმი და მათ იდეოლოგიაზე აღზრდილი ფსევდოლიბერალები.

\* \* \*

„ისტორიის“ ავტორები ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორ ფრთას გამოყოფენ, რომელიც თურმე დაფიქსირდა 1988 წლის დეკემბერში იპოდრომზე გამართულ მიტინგზე. ერთი, ის, რომელსაც სურდა ნაკლები დანაკარგებით (?) მიეღწია ეროვნული დამოუკიდებლობისთვის; მეორე – რადიკალურ-ექსტრემისტული. **ზომიერთა ჯგუფი** ატარებდა მშვიდ განონასწორებულ პოლიტიკას საკავშირო ცენტრის მიმართ, იყო ქართველი ინტელიგენციის წარმართველი ჯგუფი, რომელიც გრძნობდა, რომ კრემლი ყოველნაირად შეეცდებოდა შეტევაზე გადმოსვლას და წყობისა და სსრკ-ს გადარჩენას, რადიკალები კი იბრძოდნენ სრული დამოუკიდებლობისათვის.

1989 წლის 9 აპრილთან დაკავშირებით დანალვლიანებით აღნიშნავენ, რომ საქართველოს კპ ცკ-ს ხელმძღვანელობის დაბნეულობამ გამოიწვია ის, რომ ინიციატივა აიღეს ულტრა-რადიკალებმა (ზ.გამსახურდია, მ.კოსტავა. ი.წერეთელი და სხვ.). მათ შეძლეს ზომიერი პოლიტიკური ძალების ჩანაცვლება და მიტინგს მისცეს აგრესიული ხასიათი (საქ. ისტ. გვ.519, თბ.2012წ.).

ამდენად, ისინი 9 აპრილის ტრაგედიაზე პასუხისმგებლობას „ექსტრემისტ“ ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და მათ მიერ „აყოლიებულ“ ახალგაზრდებს აბრალებენ. ასეთია მათი სურვილი, მაგრამ სინამდვილეში ისინი მათდაუნებურად აღიარებენ თავიანთ – „ზომიერთა“ კავშირს ცკ-ის ხელმძღვა-

ნელობასთან, შესაბამისად, საკავშირო ცენტრთან, ედუარდ შევარდნაძესთან. ავტორები „ალალად“ აცხადებენ, რომ მათ ინიციატივა დაკარგეს ცკ-ს ხელმძღვანელობის დაბნეულობის გამო. ე.ი. მანამდე ისინი „დაუბნეველი“ ცკ-ს სრული ნდობითა და მხარდაჭერით სარგებლობდნენ და წარმოადგენენ ფსევდო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს.

დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ამ ფენის კოლაბორაცია საბჭოურ, შემდეგში რუსულ-იმპერიულ იდეოლოგიასთან, იქიდან იღებს საფუძველს და, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ ამ ე.წ. ისტორიაში 9 აპრილის ტრაგედიის თანამგრძობთა შორის დედა ტერეზას გარდა ადგილი არ აღმოჩნდა არცერთი ნალდი მეგობრისთვის, მაშინ როცა, როგორც ისტორიამ გვიჩვენა, ჩვენი ყველაზე მოსისხლე მტრები: ბორის ელცინი და ანდრეი სახაროვი გულშემატკივრებად დაასახელეს. არადა, ერთმა საქართველო მცირე იმპერიად მონათლა, მეორემ კი გზა გაუხსნა სამხედრო-კრიმინალურ პუტჩსა და სახელმწიფო გადატრიალებას, ომს აფხაზეთში, განახორციელა აფხაზეთის და სამაჩაბლოს ოკუპაცია, ეთნიკურ ქართველთა ამ ტერიტორიებიდან განდევნა. **აი, ამათ – უპირველეს მტრებს უსახავენ მომავალ თაობებს საქართველოს გულშემატკივრებად და მეგობრებად.** ეს კი არა მარტო ეროვნული ინტერესების თვალსაზრისითაა მიუღებელი, არამედ დანაშაულია მომავალი თაობების წინაშე.

ამ კოლაბორაციონერთა სიცრუე და ორპირობა მაშინ უნდა ნახო, როცა საქმე მიდგება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხზე და მასში ზვიად გამსახურდიას **მძლავრი პოლიტიკური ფიგურის** როლზე. ავტორები ცალკე პატარა ქვეთავს უთმობენ მას არა იმისთვის, რომ შეკრული ფორმით მართლა წარმოაჩინონ მისი როლი და დამსახურება დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეში, არამედ შეგნებულად ცდილობენ, შეცდომაში შეიყვანონ მკითხველი და, საბოლოო ჯამში, მოახდინონ საზოგადოების დეზინფორმაცია. **მათი ძირითადი სამიზნე**

ის ახალგაზრდა თაობაა, რომლებიც იზრდებიან ამ პოსტპუტჩისტური ალიანსის ფსევდოლიბერალურ იდეოლოგიაზე.

ამ თავში რამდენი მოსაზრებაცაა გამოთქმული, იმდენი სიცრუე და ორპირობა წარმოჩინდება ამ საკითხებში მეტ-ნაკლებად გარკვეულ მკითხველთა წინაშე.

ავტორთა თქმით, 9 აპრილის შემდეგ საოცრად გაიზარდა არაფორმალების ავტორიტეტი. განსაკუთრებით გამოიკვეთა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ფიგურა, რაც **ლოგიკურად არ გამოიყურებოდა**\*. შესაბამისად, თურმე ამან დააფრთხო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ჩვენ ამჯერად არ ვაპირებთ აქ დახვავებულ სიცრუესა და ორპირობაზე მსჯელობას, მათი მიზეზების „დადგენას“, მხოლოდ იმაზე მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას, რომ ამ განცხადებიდან ნათლად ჩანს, თუ სად და რა მიზეზით ჩაეყარა საფუძველი ანტისახელმწიფოებრივ პუტჩისტურ იდეოლოგიას და ვისი ხელით განხორციელდა ნომენკლატურული, სამხედრო-კრიმინალური სახელმწიფო გადატრიალება.

რაც შეეხება ავტორთა მოსაზრებას ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ფიგურის „წარმოჩენაზე“ და ამით ეროვნული მოძრაობის დაფრთხოებაზე, ამას პასუხი თვით ისტორიამ გაცა. ამ „წარმოჩენას“ კი არ დაუფრთხია ქეშმარიტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელმაც 9 აპრილის შემდეგ საერთო-სახალხო ხასიათი მიიღო, **არამედ მოახდინა ერის კონსოლიდაცია**, წარმოაჩინა მისი მზაობა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღსადგენად „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე“ ბრძოლისთვის, ამ საყოველთაო სახალხო ბრძოლის ასპარეზს ჩამოაცილა საბჭოთა ნყობილებასთან და იმპერიულ სისტემასთან მოთანამშრომლე ძალები, ნიღაბი ახადა მასში ჩანერგილ ფსევდოეროვნულ პარტიებსა თუ სუ-

---

\* ავტორების ამ ლოგიკიდანაც ცხადად ჩანს, თუ რამდენად შორს დგანან ეს მოღვაწეები მეცნიერული ზნეობისა და კეთილსინდისიერებისაგან. ვინც მეტ-ნაკლებად ერკვევა XX საუკუნის განმათავისუფლებელი და დისიდენტური მოძრაობის ისტორიაში, ალბათ გაოცებული იკითხავდა, აბა, ვისი ფიგურა უნდა გამოკვეთილიყო, თუ არა განუყრელი ტანდემისა: ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.

ბიექტებს, რომლებსაც ავტორები „ზომიერებს“ უწოდებენ და **სინამდვილეში კრემლის გარდაქმნების მეგზურები იყვნენ**; ძალზე ხელშესახები ნაწილი კიდევ წარმოადგენდა საბჭოური მრავალსახოვანი ძალოვანი თუ ნომენკლატურული სტრუქტურების აგენტ-პროვოკატორებს, რუსულ-საბჭოური ინტერესების გამტარებლებს საქართველოში.

ამასთან, რაც შეეხება მათ მიერ გამოყენებულ ტერმინ „წარმოჩენას“, ზვიად გამსახურდია მერაბ კოსტავასთან და რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად ეროვნული მოძრაობის „პატრიარქები“ და ეროვნული მოძრაობის ლიდერები იყვნენ და მათ ახლად წარმოჩენა არ სჭირდებოდათ. ჩვენ ამ საკითხზე თავის ადგილას გვექნება მსჯელობა, მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში, ორიოდ სიტყვით შევახსენებ მკითხველთ იმ ურთულეს გზას, რომელიც ამ დისიდენტურ ჯგუფს, კერძოდ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას გამოვლილი ჰქონდათ 9 აპრილამდე.

\* \* \*

ზვიად გამსახურდია თავის ღია წერილში ედ. შევარდნაძისადმი წერს: საქართველოს სავალალო მდგომარეობამ, დრაკონულმა რეპრესიებმა, ანტიქართულმა და ანტიდემოკრატიულმა პოლიტიკამ გამოიწვია საპროტესტო მოძრაობა, რომელსაც მე და მერაბ კოსტავა ჩავუდექით სათავეში. თქვენ გამოსვლებში დაუსახელებლად ხშირად გვინოდებდით ანტისაბჭოთა დემაგოგებს, სამშობლოს მოლალატეებს (რა თქმა უნდა, საბჭოთა სამშობლოს, სხვა სამშობლო არც არასდროს გნამდათ და არც გნამთ). ბოლოს მთლიანად გადავედით იატაკქვეშ ბრძოლაზე და დავუკავშირდით სსრკ დემოკრატიულ მოძრაობას, რადგან მაშინ ჩვენი ბრძოლა ერთ მიზანს ემსახურებოდა. ამას მოჰყვა ჩვენი დევნა სუკ-ის მიერ, დაბარებები, გაჩხრეკები, დაკავებები, ბოლოს კი ჩვენ წინააღმდეგ გაჩაღდა უპრეცედენტო ცილისმწამებლური კამპანია პრესითა და ტელევიზიით, ხოლო 1977 წელს დაგვაპატიმრეთ (კრებული. ტ. III გვ. 51) აი, ვისზე წერენ ეს „ზომიერი ფრთის“ ისტორიკოსები, ე.ი. ცკ-სთან მოთანამშრომლე იდეოლოგები, 1990 წ. 9

აპრილის შემდეგ **წარმოჩინდა** ზვიად გამსახურდია, როგორც პოლიტიკური ფიგურა, და დააფრთხო ეროვნული მოძრაობის რაციონალურად მოაზროვნე ნაწილი.

სინამდვილეში კი, 9 აპრილის ორი წლის თავზე ზვიად გამსახურდიამ, 1990 წლის 28 ოქტომბრის არასაბჭოურ არჩევნებში კომუნისტური პარტიაზე ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად შექმნილი ეროვნული ხელისუფლების მიერ ჩატარებული რეფერენდუმით (1991წ. 31 მარტი) გამოხატული ხალხის ნების (ამომრჩეველთა 98%-ის) საფუძველზე, გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა, ახდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ოცნება.

აი, ამას უწოდებენ ისინი ხალხის და ეროვნული მოძრაობის მოაზროვნე ნაწილის **დაფრთხობას**, ხოლო ამ ხუთსაუკუნოვანი ოცნების ამხდენელ პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებას – „ზ. გამსახურდიას პოლიტიკურ დაჯგუფებას“. რბილად რომ ვთქვათ, მეცნიერული არაკეთილსინდისიერება ამაზე შორს ვერ წავა. ეს კი შედეგია ისტორიული და პოლიტიკური აზროვნების ზნეობრივი დეგრადაციისა.

**ჩვენი უახლესი ისტორიის მანძილზე ქართული პოლიტიკური აზროვნების აპოგეას წარმოადგენს საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში, 28 ოქტომბერს დამოუკიდებელი არჩევნების ჩატარება და მასში გამარჯვება, რაც სიზმარშიც არ დაესიზმრებოდათ არა მარტო სსრკ-ში, არამედ თვით დემოკრატიულ სამყაროშიც.** მაგრამ ამ დიდმა გამარჯვებამ დაბადა დიდი მტრები – დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ „მებრძოლი“ რევანშისტები, რომლებიც დღემდე აგრძელებენ თავიანთ მოლაღატურ საქმიანობას და ცდილობენ ამ ნამდვილად დიადი გამარჯვების იგნორირებას, მისი შედეგების მიწასთან გასწორებას.

სამწუხაროდ, კიდევ უფრო დიდი უბედურებაა ის, რომ მათი „ისტორიული აზროვნების“ **დეგრადირება ვერც ამ ზღურბლზე ჩერდება და სრულ ისტორიულ-პოლიტიკურ (მეცნიერულ) ნაძირლობამდე დადის.**

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები, რომელიც ყველა დონეზე – როგორც ნაციონალური თვალსაზრისით, ასევე სა-

ერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით – წარმოადგენდა არასაბჭოურს, მრავალპარტიულს, თავისუფალს და დემოკრატიულს, რაც მთავარია, სამართლიანს, ისინი კომუნისტებთან **გარიგებას** უწოდებენ (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მსგავსი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება მას შემდეგ დღემდე თითქმის ვერ მოხერხდა). ეს მაშინ, როცა ეროვნული მოძრაობის დეგრადირებული და ნაწილობრივ გზას აცდენილი უმნიშვნელო ნაწილის მიერ გათამაშებული ე.წ. კონგრესის არჩევნები გამოცხადებულია, როგორც პარალელური არჩევნები, რომელსაც თურმე „მოსახლეობის გარკვეული ნაწილის **ძლიერი** მხარდაჭერა ჰქონდა“ (დასახ. წიგნი, გვ. 522). ამას წერენ ისტორიის სახელმძღვანელოში, რომლითაც სწავლებისას თუ კვლევისას უნდა იხელმძღვანელონ, ყოველ შემთხვევაში, ისარგებლონ მაინც დამოუკიდებელი საქართველოს მომავალმა თაობებმა; არადა, ეს „კონგრესი“ მისი „არჩევის“ მეორე დღიდანვე არ ახსოვდა არა მარტო „ხალხის ნაწილს“, არამედ მის დამკვეთთ და შემოქმედთ.

ამდენად, მასზე მსჯელობა ალბათ ზედმეტიცაა, მაგრამ ამ ისტორიული იდიოტიზმის მხილების მიზნით მოვიყვანთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონი ზვიად გამსახურდიას მიერ ამ ე.წ. კონგრესის არჩევნების შეფასებას, რომელიც მან გააკეთა ამერიკელ ჟურნალისტებთან საუბრისას.

ჟურნალისტები სწორედ იმ საკითხებით ინტერესდებიან, რაზედაც ეს ჩვენი ისტორიკოსები ცრუ ცნობებს იძლევიან.

ზვიად გამსახურდია ე.წ. კონგრესის ირგვლივ დასმულ კითხვაზე პასუხობს: „მათ არ გაუმართავთ არავითარი ნამდვილი არჩევნები, ეს იყო გაყალბებული არჩევნები, რომლებშიც საქართველოს მოსახლეობის **ორ პროცენტსაც** არ მიუღია მონაწილეობა. მათ არ გამოუქვეყნებიათ დეტალური მონაცემები რაიონებისა და უბნების მიხედვით, ისინი არ შეუძომნებიათ საზღვარგარეთელ ექსპერტებს, ასე რომ, თვითმარქვია „ეროვნული კონგრესი“ არავითარ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენს და, მით უმეტეს, არ არის „ხელისუფლების სტრუქტურა“... ისინი მფარველობენ რაიონებში მოკალათე-

ბულ შეიარაღებულ ბანდებს, რომლებიც ტერორში ამყოფებენ და ძარცვავენ მოსახლეობას – აი, მთელი მათი „მოღვაწეობა“ (დასახ. კრებ. ტ. I გვ. 58/59).

აღსანიშნავია ისიც, რომ უკვე დევნილობაში მყოფი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ამ საკითხს უბრუნდება ხუნტისტური ე.წ. სახელმწიფო საბჭოს ბატონობის დროს, აფხაზეთის ომის მიმდინარეობის პირობებში არჩევნების ჩატარების იმიტაციასთან დაკავშირებით და ამხელს მისადმი ამ ე.წ. კონგრესული პარტიების დამოკიდებულებას.

პრეზიდენტი ნათლად გვიხატავს მათ სახეს. ის წერს: ნიშანდობლივია, რომ ხუნტის მიერ დანიშნულ არჩევნებს მიესალმებიან ერის მოღალატე, ცრუპარტიების კორუმპირებული ლიდერები, რომლებიც დღეს იმპერიის ინტერესებს ემსახურებიან ხუნტასთან ერთად. მათი ეს მხარდაჭერა იმდენად იყო საყურადღებო, რამდენადაც დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პროცესში, სწორედ მათ „გაითქვეს სახელი“ ე.წ. არჩევნების ჩატარებით და მისი შედეგების ათასჯერ გაყალბებით. ამიტომ ისტორიული თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა პრეზიდენტის მიერ ამ „არჩევნების“ ფიზიონომიის აღწერა, მისი თქმით: მათ „ჩაატარეს“ ე.წ. ეროვნული კონგრესის არჩევნები, სადაც ფალსიფიკაციით, თვალთმაქცობით და შედეგების გაყალბებით კომუნისტებსაც გადააჭარბეს (დას. კრებ. ტ. III, გვ. 79). ასეთია რეალობა.

\* \* \*

28 ოქტომბრის არჩევნებზე და მის შემდგომ ნოემბერ-დეკემბერში განვითარებული მოვლენების გაყალბების შემდეგ, ამ პუტჩისტურ-კრიმინალურ-ნომენკლატურული სოციაუმის ისტორიკოს-იდეოლოგებს შეტევა მიაქვთ ქართველური მოდემის მრავალსაუკუნოვანი ოცნების აღსრულების (განხორციელების) უმთავრეს ღონისძიებებზე: **1991 წლის 31 მარტის საერთო-სახალხო რეფერენდუმზე, მის საფუძველზე 9 აპრილის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის გამოცხადებაზე.** ცდილობენ ამ ღონისძიებათა როლისა და მნიშვნელობის დამცრობას დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორ-



მირების საკითხში. მათი ამ უზნეო ანტიისტორიზმის გამოხატულებაა 9 აპრილის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღის, მნიშვნელობის უკიდურესობამდე მიჩქმალვა.

კიდევ უფრო სავალალოა საქმე ახლად აღორძინებული, დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისთვის ისეთ სასიცოცხლოდ აუცილებელ ღონისძიებათა მიმართ, როგორც იყო ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების (ადგილობრივი არჩევნები) და პრეზიდენტის საერთო-სახალხო არჩევნების გზით არჩევის გაშუქებისას.

ჩვენი ისტორიკოსები ყოველნაირად ცდილობენ ამ ღონისძიებათა ჭეშმარიტად სახალხო ხასიათის გაუკუღმართებას და მათი ფუძემდებლური მნიშვნელობის იგნორირებას. მათი მსჯელობით, ეს ღონისძიებები არა იმდენად საქართველოს მოსახლეობის თავისუფალი ნების გამოხატულება იყო, არამედ ხალხის ზედმეტი პოლიტიზებისა და – **ჯერაც ხელისუფლების ფორმირების პროცესში მყოფ** (მ. ზ.) – ზვიად გამსახურდიასა და მისი ჯგუფის „დიქტატორული“ მმართველობისა. ისინი წერენ: ქვეყანა ზედმეტად პოლიტიზებული იყო, ზ.გამსახურდიას მომხრე პოლიტიკური ძალები ახალი ხელისუფლების ყველა გადაწყვეტილებას ტაშით ხვდებოდნენ, ოპოზიციის ხმა მათ არ ესმოდათ (იქვე, გვ. 523).

ჩვენ საკითხიდან გამომდინარე არ შევეუდგებით ამ პოლიტიკური და ისტორიული თვალსაზრისით მონაჩმასის კრიტიკას, მხოლოდ იმას დავადასტურებთ, რომ იმ ეტაპზე, რომელზედაც ავტორები მსჯელობენ, მართლაც ისმოდა ერთსულოვანი ტაში, მაგრამ არა ზვიად გამსახურდიას ჯგუფისგან, არამედ **მთელი ქართველი ერის, საქართველოს მოსახლეობის მხრიდან**. სიყვარულსა და ურთიერთგამტანობას დაესადგურებინა ქვეყნად. ამ საყოველთაო ბედნიერებაში, რომელიც მოიტანა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმმა და 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებამ, თვით ეს ვაჟბატონები და მათი წრის ყველა „ანტი“ მონაწილეობდა და თვითონაც უკრავდნენ ტაშს, ჭეშმარიტად, თავისუფალი ხალხის რიდით.

ბატონებო, თქვენი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებით, ნომენკლატურულ-კრიმინალური პუტჩით ხალხს ჩააშხამეთ ეს ბედნიერება და დღემდე ანადგურებთ იმ საყოველთაო ერთობითა და სიყვარულით ნაშენ თავისუფლების ტაძარს ერისას. ამიტომ რა გასაკვირია, რომ თუნდაც იმ დიდი სიხარულის მეხსიერების ამოძირკვისთვის იღვანოთ თქვენეული ცრუისტორიებითა თუ ფსევდოიდეოლოგიით.

\* \* \*

მაშასადამე, მათი თქმით, ასეთ ვითარებაში (ე.წ. ხალხის ზედმეტი პოლიტიზებისა და ზვიად გამსახურდიასა და მისი ჯგუფის დიქტატურის პირობებში) ზ. გამსახურდიას ხელისუფლებამ (როგორც ზემოთ აღნიშნეს, ვოლუნტარისტურად) ჩაატარა 31 მარტის რეფერენდუმი, „რომელმაც გამოავლინა, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდ უმეტესობას (98%) სურს დამოუკიდებელი საქართველო“ (იქვე, გვ.524). მგონი, მკითხველი ყოველგვარი კომენტარისა და გონებისთვის ძალდაუტანლად მიუხვდება ამ წინადადების სტილში დაფარულ ნამდვილ მიზანს – ცდას, რაც შეიძლება ბურუსში გაახვიონ ამ რეფერენდუმით საყოველთაო-სახალხო ნების თავისუფლად გამოხატვის რეალობა. ამიტომაც ითქვა, **„ასეთ ვითარებაში“** (და იგულისხმეს ჯ. იოსელიანის, გ. ჭანტურიას, გ. ხაინდრავას წმინდა კრიმინალურ თუ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებათა გამო დაპატიმრებანი, მომხდარი მანამდე თუ მის მერე). რეფერენდუმის შედეგებზე კი ირონიულად, უფრო **ვულგარულად იტყვიან:** რეფერენდუმმა „გამოავლინა, საქართველოს მოსახლეობის დიდი უმეტესობას (98%) (ვითომ, მ.ზ.) სურს დამოუკიდებელი საქართველო“. აშკარად ჩანს ეს „ვითომ“ უნდა იგულისხმოს მკითხველმა. ეს იმითაც დასტურდება, რომ დღემდე მიზანმიმართულად ინერგება მოსაზრება, თითქოსდა სარეფერენდუმო კითხვა ისე იყო ფორმულირებული, რომ ამომრჩეველს იძულებულს ხდიდა დადებითი პასუხი გაეცა.

რეფერენდუმზე ამ ვულგარული ირონიის შემდეგ ისინი

**მშრალად** აღნიშნავენ: 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

არაფერი რომ არ ვთქვათ ამ ფაქტის გადმოცემის გულგრილ და ზიზღნარევ ფორმაზე, თუნდაც იმის არხსენება, რომ ეს იყო საგანგებო სხდომა და ყველაფერს ასეთი დიდი მოვლენის შესაფერისი ფორმა მიეცა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მაშინდელ პოლიტიკურ სიტუაციაში; რომ სპონტანურად მთელი ქვეყანა, მთელი ქართველური მოდგმა ზეიმობდა. ამ საყოველთაო სახალხო აღმაფრენის არაღნიშვნა ისტორიის სახელმძღვანელოში მტერს თუ შეეძლო. **იმ დღეს ამ არაოფიციალური „საზეიმო რეფერენდუმით“ მოხდა 9 აპრილის ნაციონალურ დღესასწაულად კურთხევა.** მისი ხელყოფა ხალხის ნების ხელყოფაა – ღალატია. ამიტომ დღეს მისთვის კუთვნილი ადგილის მიჩენა **საერთო-სახალხო საკითხია.**

\* \* \*

ახლა კი, მოდით, მივუბრუნდეთ იმ ფაქტობრივ „შეცდომებს“, რომელთაც ეს ისტორიკოსები უშვებენ. ჯერ ერთი, აქტით გამოცხადებულია არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, არამედ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, რაც ორი განსხვავებული შინაარსის მომცველი ცნებებია. ამაზე უკვე გვქონდა მსჯელობა და მეტად არ შევჩერდებით, მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ ამ შემთხვევაში ავტორმა თუ ავტორებმა შეგნებულად გამოტოვეს ცნება „სახელმწიფოებრიობა“, რათა მორიგი სიყალბე დააფიქსირონ, რაც ამ წინადადებას მოსდევს.

მათი თქმით, დამოუკიდებლობის აღდგენა მოხდა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე და შეფასების პროცესში გვერდს უვლიან იმ უმთავრეს, საერთაშორისო სამართლის ნორმებით ჩატარებულ **რეფერენდუმს**, რომლითაც არა მარტო ახლად აღდგენილი სახელმწიფოებრიობა იძენს თავისი არსებობის უფლებას, არამედ თვით ისტორიულ დოკუმენტს: „1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს“ სძენს ახალ სიცოცხლეს და იურიდიულ-სამართლებრივ საზრისს.

ამდენად, მათ შეგნებულად გამოტოვეს ამ დოკუმენტის უმთავრესი საზრისმომცველი ფაქტი: „ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს...“ და ა.შ. მაშასადამე, ამ შეგნებული ქმედებით მათ საყრდენი გამოაცალეს ახლად აღდგენილ სახელმწიფოებრიობას და ის უშუალოდ, მექანიკურად მიაბეს 26 მაისის ისტორიულ აქტს, რომელიც, თავის მხრივ, თვითონაც მოითხოვდა ამ საყოველთაო სახალხო ნების გამოხატულებით გამაგრებას, რაც უშეცდომოდ, ზედმინევნით სამართლებრივად კიდევ გააკეთა საყოველთაო მრავალპარტიული არჩევნებით არჩეულმა ხელისუფლებამ.

მიზანი ასეთი გამიზნული სიყალბისა, რა თქმა უნდა, ისაა, რის გარკვევასაც ეს ვრცელი თავი ეძღვნება: **პუტჩისტური სოციუმის მისწრაფება – დააკნინოს ყოველივე ის, რაც დაკავშირებულია კანონიერი ხელისუფლების მოღვაწეობასთან;** ამის შედეგად თუნდაც სრულად ჩამოხერხონ „სახელმწიფო ხის“ ის ტოტები, რომლებზედაც დღეს თვითონ სხედან.

ისინი 26 მაისის აქტის ხაზგასმით წინ წამოწევიტ და რეფერენდუმის არხსენება-მიჩუმატებით ერთმანეთს უპირისპირებენ ამ ორ ერთიან ღონისძიებას, სადაც უმთავრესი და კონსტიტუციური ძალის მატარებელი სწორედ რომ **9 აპრილს გამოცხადებული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტია.** მაგრამ ამ ცრუსოციუმსა და მის ცრუისტორიკოსებს სწორედ მისი – ამ აქტის „მინასთან გასწორება“ დაუსახავთ მიზნად. აი, რას წერენ ისინი ამ აქტის შეფასებითს ნაწილში: „ეს დეკლარირებული გამოცხადება იყო“ და შემდეგ მოდის უაზრო ბოღვა სუბსიდიებზე, ცენტრის ეკონომიკურ სანქციებზე, რათა გაამართლონ თავიანთი ეს მოლაღატური დამოკიდებულება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის, მთელი კაცობრიობის წინაშე საზეიმოდ გამოცხადების მიმართ.

„დეკლარირებული გამოცხადება“ ამ შემთხვევაში გულისხმობს შინაარსისგან დაცლილ, რეალობას მონყეტილ პოპულისტურ ქმედებას, რის დამტკიცებასაც ისინი იქვე ცდი-

ლობენ, სინამდვილეში კი ეს იყო დეკლარირება – ოფიციალური, საზეიმო გამოცხადება იმ რეალური ვითარებისა, რომელიც დადგა ქართველი ხალხის პერმანენტული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად.

კონკრეტულად: ჩატარდა 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები, არჩევნების შედეგების შედეგად ფორმულირებულ იქნა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – უზენაესი საბჭო, მთავრობა სრული ფუნქციონალური დატვირთვით, რომელმაც კონსტიტუციური და ყველა საერთაშორისო ნორმის დაცვით ჩაატარა ეს რეფერენდუმი. სწორედ ამ საყოველთაოდ აღიარებული წესისა და რიგის საფუძველზე მოახდინა ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ხალხის ქვეშარტი ნების დეკლარირება და არა ისე, როგორც ეს ცრუმეცნიერები აფასებენ მას საფუძველს მოკლებულ „დეკლარირებულ გამოცხადებად“. ეს არის მიზანმიმართული დაკნინება არა მარტო ამ ფუძემდებლური დოკუმენტის მნიშვნელობისა, არამედ **ხდება ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის არსებობის სრულფასოვნების ეჭვქვეშ დაყენება.**

ამ ისტორიკოსთა ეს დაუფარავად ზიზღნარევი პროსაბჭოური მიდგომა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისადმი აპოგეას აღწევს, როცა საქმე ეხება ზვიად გამსახურდიას სახალხო არჩევნების გზით ქვეყნის პრეზიდენტად არჩევის პროცესს, რითაც უნდა დასრულებულიყო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა. პოლიტიკურად და სამართლებრივად სრულფასოვანი ფორმირება. ამის შემდეგ მისი აღიარება, უნდოდათ ეს თუ არა, დღეს თუ ხვალ აუცილებლად მოუწევდა საერთაშორისო საზოგადოებას. ვინაიდან ქართული სახელმწიფოებრიობა ახლა უკვე ფაქტიურად დაეფუძნებოდა ორგზის რეფერენდუმს. შესაბამისად, ისინი ვერ გაიმეორებდნენ 1918 წლის გამყიდველობას.

სხვათა შორის, პრეზიდენტის სახალხო არჩევნების გზით არჩევა ისეთი დაუძინებელი მტრის სამიზნედ ქცეული, არასტაბილური დემოკრატიის გარემოცვაში მოქცეული პატა-

რა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, თავდაცვის ერთ-ერთი ძლიერი საშუალებაა. ამ მიზეზით განხორციელდა უზენაესი საბჭოს მიერ არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის ქვემარტივად სახალხო ინსტიტუტად გადაქცევა. ამ ნაბიჯის სისწორეში ჩვენ სულ მალე დავრწმუნდით, როცა ნომენკლატურულ-კრიმინალური სამხედრო პუტჩი მოაწყვეს და კანონიერი ხელისუფლება დაამხვეს კრემლის მითითებითა და მათი ჯარის ნაწილების უშუალო მონაწილეობით. მაგრამ მათ ვერ შეძლეს „25 თებერვლის“ მოწყობა, ერთხელ გამობატული ხალხის ნების სამართლებრივად გაუქმება და ა.შ. მაგრამ ეს ძალზე საჭირობოროტო ცალკე საკითხია, რაზედაც ჩვენ შემდეგ თავებში გვექნება მსჯელობა.

ყოველივე ზემოთქმულის იგნორირებას ახდენენ ეს ისტორიკოსები, თუმცა ისიც თვალსაჩინოა, რომ მათი საბჭოური „ცოდნა და გამოცდილება“ ისედაც ვერ სწვდება ამ დემოკრატიულ ნიუანსებსა და მის სიღრმეებს. მაგრამ ის, რასაც ისინი პრეზიდენტის არჩევნების მიმართ აცხადებენ, მიზანმიმართული ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა, რომელიც სრულად გამოხატავს ამ პუტჩისტური სოციაუმის იდეოლოგიას; ის დღემდე ანგრევს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის წმინდა ნაციონალურ-დემოკრატიულ იდეოლოგიასა და სახელმწიფოებრივ იდეას.

ეს ვაჟბატონები აცხადებენ: ასეთ ვითარებაში (ე.ი. ცუდ პოლიტიკურ სიტუაციაშიო, მაგრამ ცუდი პოლიტიკური სიტუაცია იყო იმპერიისა და მისი ადგილობრივი დამქაშებისთვის) ზ.გამსახურდიას პოლიტიკურმა **დაჯგუფებამ** ჩაატარა საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ზ.გამსახურდიამო (იქვე, გვ.524).

\* \* \*

მოცემულ შემთხვევაში ამ პოლიტიკურ უზნეობაზე არ შევჩერდებით, რადგან, როგორც ითქვა, ქვემოთ მოგვიხდება ამ საკითხის უფრო დეტალური განხილვა. აქ კი იმას აღვნიშნავთ, რომ ამ პუტჩისტური ალიანსის შემოქმედთა შხამიანი ისრები ძირითადად მიმართულია პირველი პრეზიდენტის წი-

ნააღმდეგ. მისადმი სიძულვილი თავიანთი იდეოლოგიის საფუძვლად უქცევიათ და იმავეს უნერგავენ მომავალ თაობებს. ისინი სახელმწიფოს აღმშენებლობისთვის აუცილებელი ამ უდიდესი მოვლენების როლისა და მნიშვნელობის გაქარწყლებას ლამობენ მათივე პუტჩისტურ-ალიანსურ წრეში გამოგონილი ბინძური მონაჭორებით, რეალური ფაქტების გაყალბებით. სამწუხაროდ, ეს პროცესი დღემდე გრძელდება და, როგორც ვხედავთ, უკვე ისტორიის სახელმძღვანელოებშიც ისადაგურებენ.

ერთ-ერთი ასეთი სიბინძურეთაგანია ამ ე.წ. ისტორიაში დაფიქსირებული ინფორმაცია, თითქოსდა აშკარად ხდებოდა ზ.გამსახურდიას იდეალიზება (ე.ი. ხელოვნურად, ხალხის ნების საწინააღმდეგოდ), ხოლო მისი მომხრეების მხრიდან ძლიერდებოდა ჯერ ზენოლა ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ მოღვაწეებზე, შემდეგ მათი აშკარა დევნა (ისტორია, გვ.324). სინამდვილეში, თუ რა პოლიტიკურ ოპოზიციას წარმოადგენდნენ ისინი, ეს ნათლად დაგვანახვა პუტჩმა და მის შემდგომმა პროცესებმა, რომლის რეციდივი დღემდე შეგვახსენებს თავს და ანადაგურებს ჩვენს ეგზისტენციას.

\* \* \*

ამ პუტჩისტური სოციუმის ფიზიონომია მთელი სისრულით წარმოაჩინა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მათი სულიერი მამისა და მარჩენალის ედ. შევარდნაძისადმი მიწერილ ღია წერილში (საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია: „ღია წერილი ელჟარდ შევარდნაძეს“).

ბატონი ზვიადი, ახასიათებს რა პუტჩის შემდგომ პოლიტიკურ ვითარებას ზოგადად, შეახსენებს ე.წ. სახელმწიფო საბჭოს ახალგამომცხვარ მეთაურს: თქვენი მმართველობა როგორც საბჭოთა პერიოდში, ასევე დღესაც სახეცვლილად გრძელდება. ის ასახავს ურთიერთობას საქართველოსა და იმპერიულ ცენტრს შორის, რომელშიც თქვენ გეკისრებათ ფუნქცია საქართველოს ჟანდარმისა. როგორც ავტორი წერილის დასაწყისში აცხადებს, ესაა ობიექტური რეალობის ასახვა.

ამ ობერჟანდარმის მიერ ჩამოყალიბებული რეტროგ-

რადთა წრე წარმართავდა პოსტპუტჩისტურ პოლიტიკას, რომელიც იყო ნაწილი, როგორც პრეზიდენტი აღნიშნავდა, „შევარდნაძის მიერ დაწყებული რუსიფიკაციული იმ კამპანიისა, როგორც არ მოსწრებია ქართველ ხალხს თვით ცარიზმის შავბნელი რეჟციის წლებშიც, როცა ისტორიულ თემაზე წერაც კი „ნაციონალიზმად“ ითვლებოდა. მწერლები და კინორეჟისორები ამკარად გადავიდნენ ისტორიის გაყალბებაზე (დასახ. კრებ. გვ.46). ამათაა, ეს ე.წ. ისტორიის ავტორები „ზომიერ ოპოზიციასა“ და „პოლიტიკურ მოღვაწეებს“ რომ უწოდებენ. რეალობის გაყალბება მათ სისხლში აქვთ. ისინი ანადგურებენ ეროვნული სულის ჭეშმარიტ გამოვლინებას, მინასთან ასწორებენ ზოგადად ქართულ იდეას.

ეს შევარდნაძისტულ-პუტჩისტური ალიანსი იმ დღიდან, რაც გაიმარჯვა დემოკრატიაში, ჩატარდა თავისუფალი, მრავალპარტიული არჩევნები, გულში იდებს რევანშს, მიზნად ისახავს ამ მონაპოვრის განადგურებას და აღწევნ კიდეც ამას იმპერიული ძალების დახმარებით (იქვე, გვ.54). ამ მოლატური ანტისახელმწიფოებრივი ალიანსისა და მის ბაზაზე ფორმირებული სოციუმის რეალურ სახეს ასე აღწერს პრეზიდენტი: „თქვენ შექმენით მოსკოვში შტაბი, რომელშიც გააერთიანეთ საქართველოდან გაქცეული ყველა რენეგატი-პარტოკრატი და გააჩაღეთ უპრეცედენტო კამპანია მთელს მსოფლიოში საქართველოს ახალი ხელისუფლებისა და პირადად ჩემს წინააღმდეგ. თქვენს მიერ მოსყიდულ ყოფილ დისიდენტებთან და ეროვნული მოძრაობის მოლატეებთან ერთად არწმუნებდით მსოფლიოს, რომ საქართველოში დამყარდა ტოტალური რეჟიმი, ფაშისტური დიქტატურა, რომლის დამხობაც აუცილებელია, სინამდვილეში კი იკრძალებოდა ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდება, რადგან თავისუფლად დათარეშობდენ ე.წ. პარტიებს ამოფარებული უკანონო შეიარაღებული ფორმირებები. დავაპატიმრეთ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც სჩადიოდნენ კონკრეტულ სისხლის სამართლის დანაშაულს, ბანდიტიზმს, ქურების გადახერგვას... ტელევიზიის ალების მცდელობას“ (იქვე, გვ.54). აი, ამ კატეგორიის ხალხსაა, ეს ჩვენი ისტორიკოსები, როგორც ითქვა, პოლიტი-



კურ მოღვაწეებს რომ უწოდებენ, უფრო მეტიც, მათ ისტორიის სახელმძღვანელოში გადააქვთ რევანშისტ-რენეგატთა მიერ გავრცელებული სიცრუე, თითქოსდა „საქართველოში დამყარდა ტოტალიტარული რეჟიმი“. ისინი წერენ, „ქვეყანა აშკარად ავტორიტარული რეჟიმისკენ მიექანებოდაო“, ლაპარაკია რეფერენდუმამდე პერიოდზე.

ჩვენ არ უნდა დაგვაგინყდეს, რომ ეს სოციუმი და ეს იდეოლოგია დღემდე წარმართავს ქართულ პოლიტიკას კრემლის უზარმაზარი პროპაგანდისტული „რბილი ძალის“ მეშვეობით და, როგორც მაშინ ზვიადი ბრძანებდა, ჩვენი საინფორმაციო საშუალებები უძღურია მათ წინაშე. დღეს ეს პროცესი კიდევ უფრო საშიშად ვითარდება, ვინაიდან თვითონ ეს რუსული მანქანა დაიხვენა და კომპიუტერიზებული და გლობალიზებული გახდა, ხოლო ის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური წინააღმდეგობა, რაც მას ხვდებოდა ადრე მოიშალა პუტჩისტური ალიანსის თარეშის პროცესში. ქვეყანა არა მარტო იდეურად, არამედ პრაქტიკულადაც კრემლის ხელით იმართებოდა (ყველა ძალოვანი მინისტრი იქიდან ინიშნებოდა) და მეტ-ნაკლებად იმართება დღესაც.

\* \* \*

პუტჩისტური სოციუმის ამ „იდეოლოგებს“, რომელთა ხელით იწერება არა მარტო ეს ცრუ ისტორია, არამედ ყალიბდება დღევანდელი „სახელმწიფო იდეოლოგიაც“, სამიზნედ აქვთ გადაქცეული დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის უმთავრესი შემოქმედი ზვიად გამსახურდია და პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“. ისინი ყოველგვარ პოლიტიკურ და ზნეობრივ სპეკულაციებზე მიდიან, ოღონდაც ხაზი გადაუსვან დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის მათ თავდადებულ ბრძოლას და მის შედეგებს. ამიტომ 1991 წლის 9 აპრილის აქტით სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღის ეროვნულ-კონსტიტუციურ დღესასწაულად დადგინება მათ გეგმებში არ შედის. პირიქით, ისინი (მთელი ეს სოციუმი) ყველაფერს ღონობენ, რათა მიწასთან გაასწორონ კა-

ნონიერი ხელისუფლების ფუძემდებლური სახელმწიფო-შე-  
მოქმედებითი საქმიანობა.

მკითხველს გვინდა შევთავაზოთ კიდევ რამდენიმე მაგა-  
ლითი ამ შტრაიკბრეხერ-კოლაბორაციონალისტ მეცნიერთა  
ნააზრევიდან.

ისინი არჩევნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძ-  
რაობის „პარტიათა მრგვალი მაგიდის“ გამარჯვებას **კომუ-  
ნისტებთან გარიგებად** რომ თვლიან, ამაზე უკვე ითქვა, მაგ-  
რამ უფრო საზიზღარია მათი ირონიული ტონი, უფრო სწო-  
რად, **დაცინვა** თავისუფლებისთვის მებრძოლი **ხალხისადმი**.

ისინი წერენ: უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს  
ზ. გამსახურდია, რომელმაც „**საზეიმოდ გამოაცხადა** საქარ-  
თველოში კომუნისტური ეპოქის დასასრული... მოსახლეობის  
დიდი უმეტესობა მიესალმა ამ არჩევანს და **იმედი ჰქონდათ**,  
რომ ახალი ხელისუფლება **უზრუნველყოფდა** საქართველოს  
**ღირსეულ** დაბრუნებას მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში“  
(ხაზი. – მ.ზ. დასახ. წიგნი, გვ.522). ეს მარტო ირონია კი არაა, არა-  
მედ ესაა ამორალური განცხადება – მათ მიერ „საბჭოურ არ-  
ჩევნებად და კომუნისტებთან გარიგებად“ გამოცხადებული  
არჩევნებიდან **მეთხოთმეტე დღეს** ჩატარებული უზენაესი საბ-  
ჭოს სხდომის მიერ არჩეული ხელისუფლებისგან მოითხოვო,  
რომ მან უზრუნველყოს ორასწლოვანი ჩაგვრისგან ჯერაც  
თავდაუხსნელი ქვეყნის ღირსეული დაბრუნება (?) მსოფლიო  
ერთა თანამეგობრობაში.

„მსოფლიო ერთა თანამეგობრობა“, როგორც ცნება,  
იბადება მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში „ერთა ლი-  
გის“ სახით, როცა **საქართველო, როგორც თავისთავადი პოლი-  
ტიკური ერთობა, არაფერი რომ არ ვთქვათ ფაქტობრივ სახელ-  
მწიფოებრიობაზე, არ არსებობდა**. შესაბამისად, **დასაბრუნებე-  
ლი** არაფერი იყო, სხვა საკითხია ჯერ პოლიტიკურად არსე-  
ბობის აღდგენა და შემდეგ კუთვნილი ადგილის მოპოვება.

ეს ირონია მათ იმისთვის დასჭირდათ, რომ შეამზადონ  
მკითხველი ცრუმეცნიერული უნაძირლესი დასკვნებისთვის,  
რომლებსაც ისინი შემდგომ ქვეთავში „დაპირისპირება“ აკე-  
თებენ.

მათი თქმით: „საქართველოს ახალი ხელისუფლება უცნაურ პოლიტიკას აწარმოებდა, ის **სიტყვით** უპირისპირდება მოსკოვის რეჟიმს, **იქცეოდა ისე**, თითქოს უკვე მთლიანად დამოუკიდებელი იყო, ფაქტობრივად უამრავი ძაფით იყო დაკავშირებული ცენტრთან... ამიტომაც, **ორ სკამზე ჯდომა** მას სერიოზულ პრობლემას უქმნიდა“ (იქვე, გვ. 523). ამას წერენ ერთი თვის შექმნილ ჯერაც სსრკ-ს კონსტიტუციურ სივრცეში მყოფ ხელისუფლებაზე, მაშინ როცა უზენაესი საბჭოს პირველ სხდომაზევე გაცხადდა, რომ ეს **დასაწყისია ახალი უფრო ხანგრძლივი ომისა**, რომელშიც უნდა გაიმარჯვოს ჩვენმა ერმა და შევძლოთ დამოუკიდებელი საქართველოს მკვდრეთით აღდგინება.

პოლიტიკური და მეცნიერული ნაძირლობაა, აბა, რა არის, ამ განცხადებიდან ერთ თვის ამბებთან დაკავშირებით დაწერილი: „ისე იქცეოდა, თითქოს უკვე მთლიანად დამოუკიდებელი იყო“. მით უმეტეს, რომ იმავე პირველ სხდომაზე გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი და მისი უმთავრესი საკითხი: კონსტიტუციური რეფორმის საკითხი, დროებითი ძირითადი კანონის შექმნა არსებულ კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საფუძველზე.

## სიცრუე ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხზე

შეიძლება ითქვას, ავტორთა თავხედობას ზღვარი არა აქვს. ისინი 1990 წლის დეკემბრის ცხინვალის მოვლენებთან დაკავშირებით ცალკეად წერენ: მათ (ოსებს) ვიღაც ამკარად მფარველობდა და აიმედებდაო. თითქოსდა გასარკვევი იყოს, ვინ აქეზებდა და ვინ მფარველობდა ოსებს საქართველოს ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში „ახალ ხელისუფლებაზე“ მითითება იმას გულისხმობს, რომ ეს ხელისუფლებაა კონფლიქტის გამწვავების მიზეზი და პასუხისმგებლობაც მან უნდა იტვირთოს. ამას არც მალავენ, მთელ პასუხისმგებლობას უშუალოდ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას აკისრებენ. ისინი წერენ: „ასევე ეჭვებს ბადებს

ზ.გამსახურდიას ხელისუფლების ვოლუნტარისტული პოლიტიკა ოსებთან დაკავშირებით, როცა **არ იქნა** თავიდანვე გამოყენებული (?) კონფლიქტის დარეგულირების **მშვიდობიანი ფორმები**. ამის აუცილებლობას ხაზგასმით აღნიშნავდა ოპოზიციის წევრები.

ჩვენ არ შევუდგებით ამ იდიოტური მოსაზრების სიღრმისეულ ანალიზს, უბრალოდ, მათ მიერვე მოტანილი ფაქტებიდანაც ნათლად ჩანს, – ვოლუნტარიზმსა და პოლიტიკურ თავგასულობას ადგილი ჰქონდა სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მხრიდან, რომელიც მოქმედებდა კრემლის უშუალო მითითებით.

მათ თბილისთან შეუთანხმებლად, საბჭოთა კონსტიტუციის დარღვევით მიიღეს უკანონო გადაწყვეტილება – „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შესახებ“, რასაც, რა თქმა უნდა, სათანადო რეაგირება მოჰყვა. ჩვენი სტორიკოსები კი ამ ნორმალურ რეაქციას იქედნურად აღწერენ: „ამის საპასუხოდ საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერს **საერთოდ** (ხაზი, მ.ზ.) გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომია“. ისე, თითქოსდა მოცემულ შემთხვევაში ძველი საოლქო ავტონომიის, გაუქმებულ მისი ხელმძღვანელობის მიერ კრემლის მითითებით, შენარჩუნებას რაიმე აზრი ჰქონებოდა.

ეს ცრუისტორიკოსები წერენ, თითქოსდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება (რომელიც სულ რაღაც ერთი თვისაა არ იყო, 1990 წლის 11 დეკემბრისთვის) ვოლუნტარისტულ პოლიტიკას აწარმოებდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის წინააღმდეგ და არ ისმენდნენ ოპოზიციის ხაზგასმით მოთხოვნილ მშვიდობიანი დარეგულირების საკითხს. სინამდვილეში, ფორმირების პროცესში მყოფი ხელისუფლების მთელი ყურადღება აქეთკენ იყო მიმართული და ყველაფერი წყდებოდა არა ვოლუნტარისტულად, არამედ ღიად, ხალხის თვალწინ, უზენაესი საბჭოს ღია სხდომაზე.

უზენაესი საბჭოს პირველი სხდომის შემდეგ, როცა ჯერ კიდევ მიმდინარეობს საბჭოურ კონსტიტუციურ კანონმდებ-

ლობებში ცვლილებების შეტანა, სინამდვილეში საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ პროგრამებში გაცხადებული დებულებებია ყოველგვარი პოლიტიკის ორიენტირი. მასში კი გაცხადებულია ერთა შორის თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემისა და მშვიდობიანი თანაარსებობის იდეალების დამკვიდრება. ეს კი, თავის მხრივ, ეფუძნებოდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის აქტის მიერ აღიარებული საერთაშორისო ნორმებს.

იმ ხელოვნურად გამძაფრებულ სიტუაციაში ასე ხორციელდებოდა ეს პროგრამა. პირველი სხდომიდან რაღაც სამიოდე კვირაში, რუსეთის მითითებებით გამწვავებულ „ოსურ საკითხთან“ დაკავშირებით მოწვეულ იქნა სპეციალური სხდომა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსი, რაც თავისთავად გამორიცხავდა ყოველგვარ ვოლუნტარიზმს ამ საკითხთან დაკავშირებით.

ზვიად გამსახურდიამ ამ სხდომაზე კიდევ ერთხელ დაადასტურა „საქართველოში არსებულ ეროვნულ უმცირესობათა ავტონომიების შენარჩუნების საჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ავტონომიები ჩამოყალიბდა ბოლშევიკური ანექსიის შემდეგ“. ის იქვე აცხადებდა: ჩვენი ამგვარი პოზიცია მიზნად ისახავდა ერთაშორისი ურთიერთობის მშვიდობიანად განვითარებას, საკონფლიქტო საკითხების მოლაპარაკების გზით მოგვარებას, სამოქალაქო მშვიდობისა და სტაბილიზაციის უზრუნველყოფას (დასახ. კრ., გვ.71). ამაზე მეტი რა მშვიდობიან მიდგომას ითხოვდნენ მაშინდელი ე.წ. ოპოზიციონერები ან საიდან ხედავენ დღევანდელი ისტორიკოსები ამ განცხადებასა თუ ქმედებებში ვოლუნტარიზმს?

თუმცა არც ამით მთავრდება მათი სიცრუე და ორპირობა; თურმე საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც ფორმირების სტადიაშია და სამიოდე კვირას ითვლის, ოპოზიციის ხმა არ ესმის და „საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფებს მისცეს უფლება სამხრეთ ოსეთში გაეკონტროლებინათ ვითარება“ (იქვე, გვ. 523). იმდროინდელ ე.წ. ოპოზიციაზე არაფერი რომ არ ვთქვათ, ამ ზნეო-

ბისგან დაცლილ ისტორიკოსთ მინდა ვკითხო, მაშინ, სამი კვირის შემდეგ კი არა, დღეს, თუნდაც 2012 წლისთვის, როცა ეს „ისტორია“ დაბეჭდილი, ვინ აკონტროლებს თქვენს საყვარელ სახელდებაში „სამხრეთ ოსეთი“ ნაგულისხმევ ტერიტორიებს და ვინ მისცა ამის უფლება?

ახლა კი იმ სინამდვილეზე, რომელთანაც გვექონდა მაშინ საქმე და რომელზედაც გულლიად მოუთხრო საქართველოს მოსახლეობას უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ტელეეკრანიდან 1990 წლის 15 დეკემბერს.

იგი, დადებითად აფასებს რა ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის იმდროინდელ პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით, ირ. წერეთლის გამოსვლასთან დაკავშირებით აკეთებს განმარტებას და მოუწოდებს: მინდა ვიმოქმედოთ კონსტიტუციურად და არა ცალ-ცალკე. ის აღნიშნავს: ეს ჯარი იყო სამაჩაბლოში და ოდნავ გაიზარდა კონტინგენტი. რუსი კომენდანტი არავის დაუნიშნავს, პირიქით, როდესაც ეს პიროვნება გუშინ გამობრძანდა ტელევიზიით, უკვე დანიშნული იყო ქართველი შალამბერიძე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე. ამას მოჰყვა უმწვავესი რეაქცია. ამ საქმეში ოფიციალურად ჩაერთო მოსკოვი. ზვიადის შეფასებით, დაწყებული იყო საკონსტიტუციო ომი სამაჩაბლოს საკითხთან დაკავშირებით. ის აცხადებს: ჩვენი მიზანია შინაგანი ჯარები დაექვემდებაროს ქართველ კომენდანტს და უზენაეს საბჭოს. თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ ჩვენ მოვუწოდებთ საპროტესტო აქტივისკენ და ვაიძულებთ კრემლს დაგვიქვემდებაროს ჯარი (დასახ. კრებ. გვ.106-107). აი, ამაზე იტყვიან ცრუმეცნიერები: „მისცეს უფლება გაეკონტროლებინათ ვითარება“.

სინამდვილეში ყოველივე ეს – „ოპოზიციის“ მაშინდელი მოთხოვნაც და დღევანდელ „ისტორიკოსთა“ მონათხრობიც – არის დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედება. ეს „იდეოლოგია“ დღემდე გრძელდება. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, მთელი ძალისხმევა მიმართულ უნდა იქნეს ამ იდეოლოგიის ამოძირკვისკენ, ნაყალბევი ისტორიის „შემოქმედთა“ მხილებისაკენ, ვინაიდან მათთვის წაყრუება მტრის წისქვილზე წყლის დასხმაა.

\* \* \*

მართალია, ძალიან გაგვიგრძელდა სიტყვა ისტორიის ამ ყალბისქმნადობაზე, მაგრამ ვერც უამისობა იქნებოდა, ვინაიდან სწორედ მათში იკვეთება ის მიზეზები, რომელთა გამოც ხდება ჩვენი სახელმწიფოებრიობის არსებობის ფუძემდებლურ დოკუმენტთა არსის ინტერპრეტირება და მათი მნიშვნელობის მიჩქმალვა.

იმისთვის, რომ მკითხველს სწორი წარმოდგენა შეექმნას ამ საკითხზე და გადამეტებულად არ მიიჩნიოს ჩვენი კრიტიკული მიდგომა ამ ე.წ. ისტორიისადმი, მთლიანობაში, ვთავაზობთ ზემოთ განხილულ საკმაოდ ვრცელ ამონარიდს ამ წიგნიდან, რომლიდანაც კარგად ჩანს, თუ ვის მიერ და რატომ იბლოკება 1991 წლის 9 აპრილის აქტის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და არ ხორციელდება ამ თარიღის საზემოდ აღნიშვნა.

ისინი წერენ: „ზ.გამსახურდიას ხელისუფლებამ ჩაატარა 31 მარტის რეფერენდუმი, რომელმაც გამოავლინა, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდ უმეტესობას (98%) **სურს დამოუკიდებელი საქართველო** (რა გამოთქმაა, რა სტილია?). 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. ეს დეკლარირებული გამოცხადება იყო, რადგან ეკონომიკურად საქართველო ჯერ კიდევ მთლიანად საბჭოთა კავშირზე იყო დამოკიდებული და ცენტრის მიერ შეწყვეტილმა ეკონომიკურმა სუბსიდიებმა სერიოზული პრობლემები შეუქმნა ქვეყანას (დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესში რომელი ქვეყანა არაა მიბმული კოლონიასთან?). ასეთ ვითარებაში ზ.გამსახურდიას პოლიტიკურმა დაჯგუფებამ ჩაატარა საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ზ.გამსახურდიამ. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გახდა ტრადიციონალისტი ა.ასათიანი.

დაპირისპირების ესკალაციის პირობებში, როცა აშკარად ხდებოდა ზ.გამსახურდიას იდეალიზება, მისი მომხრეების მხრიდან ძლიერდებოდა ჯერ ზენოლა ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ მოღვაწეებზე, შემდეგ მათი აშკარად დევნა“

(საქართველოს ისტორია, გვ. 524) \*.

თუ მკითხველი ზედმეტად ზერელედ არ მიუდგება ამ ამკარად პუტჩისტურ-ალიანსურ ოპუსს, ნათელი იქნება, რომ ასეთი თვითნებური მიდგომა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფუძემდებლური ფაქტებისადმი არის ამკარა მტრობა არა მარტო მათ შემოქმედთა მიმართ, არამედ ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ.

ესაა წინასწარგანზრახული ქმედება, ამიტომ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მეცნიერული უპასუხისმგებლობისა და ამორალურობის გამოხატულება ამაზე შორს ვერ წავა. შესაბამისად, კიდევ უფრო უზნეო და თახსირია ამ პუტჩისტური სოციუმის პოლიტიკური საქმიანობა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის ბრძოლის მთელ პერიოდში. ეს ტენდენცია ცრუიდეურ სახეს იღებს და დღემდე ანადგურებს ჭეშმარიტ თვითიდენტობასა და სახელმწიფოებრივად აზროვნების უნარს.

**პუტჩისტური ალიანსისგან შობილი სოციუმის ეს იდეოლოგია ასულდგმულებს კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდგომ მოსულ ყველა მმართველობას. ფაქტობრივად, ისინი განაგებენ ქვეყანას უშუალო მმართველობის გზით თუ მის გარეშე. ამ წრისთვის ამოსავალი დოქტრინაა კანონიერ ხელისუფლებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ფაქტებისა და ფუძემდებლური დოკუმენტების ფალსიფიცირება, მათი რეალური საზრისების გაუკუღმართება, ჭეშმარიტი დემოკრატიული არსისგან დაცლა და მათივე პირადი ინტერესებისა და მისწრაფებებისადმი მისადაგება.**

ამ ერთ ხმაზე ანყობილი ქოროს უშუალო სამიზნეა, რა თქმა უნდა, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, არა მარტო როგორც პიროვნება, არამედ მის მიერ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების გარანტიად შექმნილი **საერთო-სახალხო ინსტიტუტი** –

---

\* მკითხველი ალბათ მიხვდა, რომ აქ გამოთქმულ ძირითად „დებულებებზე“ ჩვენ ზემოთ ცალ-ცალკე გვექონდა მსჯელობა, ამიტომ ამჯერად მათ ვთავაზობთ ზოგად დასკვნას.



**პრეზიდენტისა.** სინამდვილეში, ამ ინსტიტუტის არსებობა წარმოადგენს პერიოდულ დადასტურებას ხალხის ნებისას, რომ ის ხმას აძლევს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობას და ამ მიზნით ახორციელებს საპრეზიდენტო უფლების დელეგირებას. ამ ინსტიტუტის ასეთი დამატებითი ფუნქციონალური მნიშვნელობის აუცილებლობაში ამ მოკლე პერიოდში ჩვენ არანაკლებ ორჯერ უკვე დავრწმუნდით – სამხედრო პუტჩისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ. დღეს მგონი ამასაც მოულო ბოლო ამ პოსტპუტჩისტურმა სოციუმმა. თუმცა ეს ცალკე საკითხია და მასზე ლაპარაკი, როგორც ვთქვით, ქვემოთ გვექნება.

### დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის ფორმირებისადმი დისპარატული მიდგომის ჩასახვაზე

ჩვენი მსჯელობა ამ თანამედროვე „ისტორიულ ლაკუნებზე“, ზოგადად, პუტჩისტური ალიანსის ანტიეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაზე, მათ მიერ დახვავებულ სიცრუეებზე არასრულყოფილი იქნებოდა, თუ ორიოდე სიტყვით მაინც არ შევჩერდებით მათ პიროვნულ დამოკიდებულებაზე ზვიად გამსახურდიას, როგორც პიროვნებისა და დისიდენტის, მიმართ, მერაბ კოსტავასთან ერთად XX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამლორძინებლისა და ლიდერისადმი მტრობაზე.

სწორედ ამ ურთიერთობაშია, ყველაზე უფრო რელიეფურად რომ აისახება დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განვითარებისადმი **დისპარატულ** მიდგომას. თვალნათლივ წარმოჩინდება დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის, დემოკრატიულად მოწყობისა და თავისუფლების გზით – კონსტიტუციურად განვითარების მიმართ ორი ერთმანეთისგან ძალზე განსხვავებული ფორმა, რომელთაც არაფერი საერთო აქვთ ერთმანეთთან, გარდა საკუთრივ მიდგომის ობიექტისა – ქვეყნისა.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სინამდვილეში საქმე გვაქვს ქეშმარიტებისა და სიცრუის დაპირისპირებასთან, როცა ყალბისმთქმელთა კასტა ცდილობს, თუნდაც მცირედი საბუთი მაინც მოიპოვოს საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების გასამართლებლად. ამიტომაც, მათ შეტევა მიაქვთ ზვიად გამსახურდიაზე, როგორც რუსულ-საბჭოური იმპერიის უღლისგან სამშობლოს დახსნისთვის თავგანწირულ მებრძოლსა და ლიდერზე.

მათ შეძლეს, გაერყვნათ არა მარტო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მერყევი ნაწილი, მიბმული „ნითელ ინტელიგენციასთან“, არამედ დასავლურ-ემიგრანტული წრეც რომელნიც თავმოყრილი იყვნენ ჟურნალ „ივერიის“ ირგვლივ. ამ გზაზე სუკის კვალდაკვალ პირველობას არავის უთმობდა ედუკეს ჭანტურიასეული დაჯგუფება. ამ ჟურნალის წარმომადგენელი საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლას შეწირულ პრეზიდენტზე ედუარდ შევარდნაძის თითქოსდა მკაცრი კრიტიკის ფონზე წერს: „ამასვე უნდა დაუვმატოთ, რომ არც ის კაცი, ვინც შევარდნაძეზე ადრე იკისრა საქართველოს მეთაურობა, ჩვენდა საუბედუროდ, სრულებით არ იყო აღჭურვილი იმ თვისებებით, რომელიც მაშინდელ მეთაურს მოეთხოვებოდა“ (მ.ქავთარაძე, ცხოვრების 100 წელი, გვ.200, თბ.2007). ამას ამბობს და ამბობენ იმ ლიდერზე, რომელმაც არა მარტო იმპერიას, არამედ ილუზიებისა და თავიანთი კერძო ინტერესების ტყვეობაში მყოფ დასავლეთს თვალსა და ხელს შუა გამოსტაცა თავისუფლება და სულ რაღაც ოთხიოდე თვეში არა მარტო ამ ავტორისთვის, არამედ მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის მოულოდნელად აღადგინა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა. ამ ფენომენალურ პოლიტიკურ მოვლენას განსაკუთრებული ადგილი უნდა მიენიჭოს ქართული პოლიტიკის ისტორიაში. ამაზე უნდა ზრუნავდნენ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიკოსები თუ პოლიტოლოგ-მეცნიერები. ეს არანაკლებ მნიშვნელოვანი და ორიგინალური პოლიტიკური მოვლენაა იმპერიული მონობისგან მშვიდობიანი გზით თავდასხნისთვის ბრძოლისა, ვიდრე „განდიზმი“ იყო.

ჩვენ ამ მაგალითს იმისთვის მოვუხმეთ, რომ გვეჩვენები-

ნა, თუ რამდენად გამხრნელი იყო სუკურ-პუტჩისტური იდეოლოგია, რომელიც მიმართული იყო პრეზიდენტ გამსახურდიას წინააღმდეგ. ეს ავტორი, რომელიც ფეხდაფეხ მოჰყვებოდა კანარისის გვარდიას თითქოსდა საქართველოს გასათავისუფლებლად და თავს სწირავდა ქვეყანას, უფრო გვიან ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დისიდენტური ბრძოლის გულშემტკივარი იყო, როცა თავისუფლებისთვის ბრძოლის ნამდვილი ჟამი დადგა, ზურგი შეაქცია ყოველივე ამას და „ახალი ედპს“ ჭაობში ჩაიძირა.

ის გორბაჩოვის მიერ სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების მოლოდინშია და გვეკითხება: „გონიერია თუ არა მეტი სიჩქარის მოთხოვნა“ ან „იმპერიის დამშლელი რევოლუცია“ სასურველია თუ არაო; რა ვიცით, რომ „რევოლუციას ჩვენი თავისუფლება მოჰყვება და არა უფრო მკაცრად დამონება შოვინისტური სამხედრო რეჟიმის მიერ“, – ასკვნის ის (იქვე, გვ.221).

**მაგრამ ცხოვრებამ და ზვიად გამსახურდიას განმათავისუფლებელი ბრძოლის სწორმა პოლიტიკურმა ტაქტიკამ, რაც მაშინდელ სიტუაციაში არსებული მსოფლიო წესრიგის გამოწვევაც იყო, შესაძლებელი გახადა, იმპერიას მის მიერ 9 აპრილს დაღვრილი სისხლი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის სახით ეზღვია.**

ყოველივე ამის იგნორირება ხდებოდა და ხდება მიზანმიმართულად. ისინი, როგორც ჩვენი ავტორი, თითქოსდა დათმობაზე მიდიოდნენ, „დიდბუნებოვნად“ გადმოადგებენ: „საჭიროა, ის სიკეთე მაინც არ დავუკარგოთ, რაც ჰქონდა: „ზვიადს საქართველო ნამდვილად უყვარდაო“ (იქვე). საქართველოს პირველი პრეზიდენტის მიმართ თქმულ ამ ფრაზაზე უფრო დიდ მკრეხელობასა და ცინიზმს, ალბათ, ვერ გაიგებს ადამიანის ყური.

ფრანგული ემიგრანტული ჯ.კამიასეული წრის ეს სუკისტური, ცრუიდეური კომპლექსი, საკუთრივ საქართველოში ასჯერ და ათასჯერ გაუკუღმართებული იყო. მათი პოტენციული ვერც რევოლუციამ დააქვეითა, პირიქით, მშვიდობიანი კონტრრევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში სრულად მობრუნებული ეს ფენა, თავისი ცრუ იდეოლოგიით სულ უფრო

მტკიცე კოლაბორაციაში შედის რუსულ-იმპერიულ რბილ ძალასთან და ანადგურებს ქვეშარიტი დემოკრატიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, ახშობს ეროვნული იდენტურობის შენარჩუნებისა და განვითარების გზებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ ემიგრანტულ, წმინდა სუკისტური წარმონაქმის წარმომადგენელი სახალხოდ არჩეულ პრეზიდენტობას ესწრაფვის, რაც დასრულდება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ე.წ. რესპუბლიკების საერთაშორისო აღიარებით თუ არა, საკუთრივ საპრეზიდენტო ინსტიტუტის სრული დეგრადირებით. აი, რა უდიდეს საჭირობოროტო საკითხებთანაა დაკავშირებული ეს თითქოსდა სუბიექტური საკითხი. სინამდვილეში, **ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ეს უზნეო ბრძოლა მიმართულია ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ერის წინააღმდეგ.**

\* \* \*

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ამ პუტჩისტური სოციუმის ისტორიკოსთა მხრიდან თავიანთი ანტიმეცნიერული ყალბისქმნადობის, თუნდაც მცირედით გამამართლებელ საბუთად წამდაუნუმ ე.წ. „მონანიების“ მოშველიებაზე. თავის მხრივ, ეს კონცეფცია „მონანიებისა“ შემუშავებულია სუკის კედლებში. დღეს ის გამოიყენება არა მარტო ზვიადის წინააღმდეგ, არამედ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის რეალური არსისა და სახის დამახინჯების საშუალებად. ამის არაღნიშვნა ამ გაყალბებული ისტორიის კრიტიკისას ისე იქნებოდა გაგებული, თითქოსდა ჩვენ განგებ ვუვლით გვერდს ამ ე.წ. საკითხს.

ამ „ცრუისტორიაში“ ისინი წერენ: „განსაკუთრებით გამოიკვეთა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ფიგურა, **რაც ლოგიკურად არ გამოიყურება (?)** მისი 1978 წლის მონანიების შემდეგ. ამან დააფრთხო ეროვნულ-განმათავისუფლებული მოძრაობა, განსაკუთრებით მისი **რაციონალურად მოაზროვნე ნაწილი** (ხაზი. – მ.ზ.) („ისტორია“ გვ.521). ამ ამონარიდის მეორე ნაწილზე ჩვენ ზემოთ გვქონდა მსჯელობა, ამჯერად შევჩერდეთ იმაზე, თუ რა გამოიყურება არალოგიკურად.

ამ ისტორიკოსთა ზღვარს გადასული ცინიზმი იმდენადაა საშიში, რამდენადაც ისინი ამ ყურით მოთრეულ საკითხზე არა ისტორიულობის თვალსაზრისით – წარსულ დროში მომხდარის აღნიშვნის აზრით მსჯელობენ, არამედ მას ანმეოს უკავშირებენ, აღიარებულ და მიღებულ ფაქტად ასაღებენ ამ, როგორც ითქვა, სუკის კედლებში დამუშავებულ და მათი ადგილობრივი დამქაშების მიერ ატაცებულ და ინტერპრეტირებულ „შეფასებას“.

მოცემულ შემთხვევაში ჩვენი კომენტარები ან მსჯელობა ამ სიბინძურეზე ზედმეტია, ვინაიდან ეს საკითხი ძირის ძირამდე გახსნილიცა და ახსნილიცაა ამ პროცესის უშუალო მონაწილეთა – ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ. მასთან მიბრუნება იძულებით გვიხდება და ალბათ უამით-უამამდე კიდევ იქნება აუცილებელი, რამდენადაც ყალბისმქმნელები და ცრუისტორიკოსები ამ სუკური ღონისძიებისა და მისი შემდგომი ცრუ ინტერპრეტაციის ისტორიაში დამკვიდრებას ცდილობენ,\* რისი მიზანიც არის ახალგაზრდა თაობის ჯერ შეცდომაში შეყვანა და შემდეგ მათი ცრულიბერაღური ანტიეროვნული იდეოლოგიით გამოკვება. სამწუხაროდ, ამის შედეგსაც უხვად ვიმკით.

\* \* \*

ახლა კი, ამ აუცილებელი ნიაღვრების შემდეგ, მივუბრუნდეთ ამ ისტორიკოსთა ზემოთ მოყვანილ ცინიზმით აღსავსე მოსაზრებას ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ფიგურის წარმოჩენის არალოგიკურობაზე.

საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზემოთ ნახსენებ ღია წერილში ედ.შევარდნაძისადმი საგანგებოდ ჩერდება ამ ე.წ. მონაწილების საკითხზე და მის ირგვლივ შესაძლო ყველა კით-

---

\* სამწუხაროდ, მათ ეს რამდენადმე გამოსდით. ისინი სახელს უტყვენ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით უკომპრომისო ბრძოლაში მოპოვებულ ღიად გამარჯვებას ქართველი ხალხისას დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზაზე, სწორედ ამ მიზნით ხდება სახელმწიფოებრიობის აღდგენის ეროვნული დღეასწაულის მიჩქმალვაც.

ხვას სცემს პასუხს, რომელსაც მთლიანად ვთავაზობთ მკითხველს. ის წერს: „სუკ-ში პატიმრობისას წელიწადნახევრის მანძილზე მიწვედნენ შანტაჟს, მემუქრებოდნენ ამერიკის დაზვერვის აგენტად გამოცხადებით, სამშობლოს ღალატის მუხლით გასამართლებით, ოჯახის წევრების ფიზიკური განადგურებით, მოსალოდნელი ახალგაზრდული დემონსტრაციების გაუფლევით, ხოლო მოსკოვში პატიმრობისას ავადსახსენებელი სუსლოვის ემისრები საქართველოდან აფხაზეთის ჩამოშორებითაც კი მემუქრებოდნენ, თუ არ მოვინანიებდი. ჩემი მეუღლე კი, ძუძუთა ბავშვის დედა, დეკრეტულ შვებულებაში მყოფი სამსახურიდან მოახსნევინეს, რაც არც ჰიტლერს და არც სტალინს არ ჩაუდენიათ. დღეს თქვენი აგენტები აყალიბებენ ჩემი ე.წ. „მონანიების“ არსს, იყენებენ ამას ჩემი დისკრედიტაციისათვის, თითქოს არ იცოდნენ საქმის რეალური ვითარება. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია კიდევ ერთხელ განვმარტო ჩემი ტაქტიკური უკანდახევა სასამართლოზე 1978 წელს.

ჩვენი დაპატიმრების შემდეგ ეროვნულ მოძრაობას განადგურების საფრთხე დაემუქრა. აღარავინ რჩებოდა გარეთ დასავლეთის ქვეყნებთან ხიდის გამდები, თვითგამოცემებისა და იატაკქვეშა მუშაობის ორგანიზატორი. ბოლოს მე და მერაბ კოსტავამ მოვილაპარაკეთ, რომ მე „მოვინანიებდი“ ჩემს ზოგიერთ ქმედებას, გამოვიდოდი ციხიდან და გარეთ გავაგრძელებდი საქმიანობას, შევინარჩუნებდი თვითგამოცემას, შევინარჩუნებდი საინფორმაციო ხიდს დასავლეთთან, ხოლო მერაბ კოსტავამ თავად იტვირთა ციხეში დარჩენა, თანაც გააკეთა წერილობითი განცხადება, რომ ჩემი ე.წ. „მონანიება“ აუცილებლობით იყო გამოწვეული ჩვენი საერთო საქმის ინტერესებიდან გამომდინარე. მე გამოვიტანე ეს განცხადება ციხიდან, მაგრამ არ გამომიქვეყნებია, ვშიშობდი, რამე ზიანი არ მიმეყენებინა მეგობრისთვის. ბოლოს, განთავისუფლების შემდეგ მან თავად გამოაქვეყნა იგი 1987 წელს მოსკოვის ყურნალ „გლასნოსტის“ მეხუთე ნომერში (რედაქტორი ს.გრიგორიანცი). ამგვარი შინარსის წერილი მისწერა მან ე.ბონერსაც სახაროვისათვის გადასაცემად ქსნის კოლონიიდან იმავე

ნელს. მაგრამ ჰოი საოცრებავ, დღეს თქვენ და თქვენი დამქაშები ჩემს ამ ტაქტიკურ უკან დახევას „ლალატად“ ნათლავთ, თითქოს მერაბ კოსტავაზე დიდი მორალური ავტორიტეტები იყოთ და ეროვნული მოძრაობის თავკაცები.

მაგრამ თქვენ სულ სხვა მიზეზის გამო არ გასვენებთ ჩემი „მონანიება“. საქმე ის გახლავთ, ჩემი „მონანიება“ და ციხიდან გამოსვლა რომ არ მომხდარიყო, არ იქნებოდა არც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა, არც 9 აპრილი და არც იმპერიის ბატონობის დასასრული 1990 წლის 28 ოქტომბრის თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების სახით, ამიტომაც ვერ მოგინელებიათ ჩემი „მონანიება“ და კბილებს აღრჭიალებთ მისი გახსენებისას.

ბოლოს გადამასახლეთ ნოღაეთის ნახევარუდაბნოში, სადაც ქართველმა მწყემსებმა გადამარჩინეს შიმშილითა და სიცივით სიკვდილს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი თქვენმა დამქაშებმა გამივრცელეს ჭორი, თითქოს მე თქვენი აგენტი გავხდი, რაც ერთხანს ირწმუნა საზოგადოების ნაწილმა და რასაც დიდ ხანს იმეორებდნენ ჭანტურია და სხვა მოლალატენი, ვიდრე თავად არ გამოვლინდნენ, როგორც თქვენი აგენტები. თანაც საზოგადოებამ დაინახა, რომ ისევ მე ვიყავი ერთადერთი კაცი, რომელიც მსოფლიო საზოგადოებას ვაწვდიდი ინფორმაციას საქართველოს შესახებ, ვახერხებდი თვითგამოცემას, ვაწყობდი საპროტესტო აქციებს ახალგაზრდა მეგობრებთან ერთად, ბოლოს ის ახალგაზრდებიც ჩამომამორეთ და მტრებად მიქციეთ ისინი სუკ-ის ჯოჯოხეთური მანქანის მეშვეობით. გარდა ამისა, ყველა ხედავდა, რომ სუკის ყველაზე დიდი დევნისა და მეთვალყურეობის ობიექტი ისევ მე ვიყავი, ხელახალ დაპატიმრებას კი ვეღარ ბედავდით, რადგანაც უცხოეთში ძალზე გახმაურდა ჩემი სახელი („კრებული“, გვ.51-53).

მოცემულ შემთხვევაში ზედმეტია ყოველგვარი კომენტარი, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ბატონი ზვიადის ნათქვამი ჭორების გავრცელებაზე, რომ ზვიადი აგენტი იყო, ეს თითქმის ზედმინევით მეორდება ამ ე. წ. ისტორიაში. ისინი 1990 წლის 28 ოქტომბრის დემოკრატიულ არჩევნებთან და-

კავშირებით წერენ, – ოპოზიციის დარჩენილმა ნაწილმა ეს **კომუნისტებთან გარიგებად მიიღესო** და ამ ნაწილს რაციონალურად მოაზროვნეებს უწოდებენ, სინამდვილეში ვინ იყვნენ ისინი და რას ემსახურებოდა მათი საქმიანობა, ეს ყოველივე ზუსტად გადმოგვცა პრეზიდენტმა ამ წერილში. ამიტომ აშკარაა, რომ ეს ისტორიკოსები თვითონ იხსნიან მეცნიერული მიუმხრობლობის ნიღაბს და ადასტურებენ იმას, რომ ისინი თვითონაც შედიან იმპერიის დამქაშებისა და ეროვნული საქმის მოლაღატეთა სიაში, რაზედაც ლაპარაკია ამ ვრცელ ამონარიდში. მათ, ერთობლიობაში, თავიანთი შავი საქმე გააკეთეს, ახლა კი მომავალ თაობას ნამლავენ.

## თაოზის ბაძცევა

ასეთი ცრუისტორიების შექმნა იმდენადაა საშიში, რამდენადაც, პირველ რიგში, ისინი ამ გზით რყვნიან მომავალ თაობას. ეს თავის დროზე ზედმინევენით ზუსტად განმარტა პირველმა პრეზიდენტმა მიმართვაში სტუდენტი ახალგაზრდობისადმი. ის აღნიშნავდა: კრემლის ემისრები განაგრძობდნენ თავიანთ ბნელ საქმიანობას და ერთხანს მათ დიდ შედეგებს მიაღწიეს. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ჩამოაშორეს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, უფრო მეტიც, ეროვნული ხელისუფლებისადმი მტრულად განაწყვეს და ფსევდო-ოპოზიციურ საქმიანობაში ჩაითრიეს (დასახ. კრ. ტ. III, გვ. 255). შესაბამისად, ისინი მოწყვიტეს ეროვნულ-პატრიოტულ იდეოლოგიას და მათში ჩანერგეს, როგორც ბატონი ზვიადი ბრძანებს, პოლიტიკური ინდიფერენტიზმი, ეროვნული ნიჰილიზმი, ყალბად გაგებულ კოსმოპოლიტიზმი, ხოლო ახალგაზრდების მეორე ნაწილში – კრიმინალური იდეოლოგია. ამ ცრუმოდვრებმა ეროვნული იდეალების ერთგულება პროვინციალიზმად მონათლეს, რწმენის ერთგულება – ფანატიზმად. წერგავდნენ დასავლეთის ფსევდოკულტურას, ფსევდომუნდიალიზმს და ა.შ. ისინი უმაღლავდნენ ახალგაზრდებს იმას, რომ თვით უნივერსალური კოსმოპოლიტურად მოაზროვნე გენიოსები



გულმხურვალე პატრიოტები იყვნენ, რომ კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი ურთიერთგამომრიცხავი არ გახლავთ (იქვე, 254). ამ მოლაღატურმა საქმიანობამ დამანგრეველი ეფექტი იქონია ჩვენი ახალგაზრდა თაობის ეგზისტენციაზე.

1989 წლის 9 აპრილის თავგანწირული მებრძოლნი, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის გულმხურვალე მედროშენი, ჩამოაშორეს სამშობლოს თავისუფლებისა და ერის ღირსებისათვის ბრძოლის წმინდა საქმეს. ისინი შეუწყვნენ ავბედით გზას ინდიფერენტიზმისა, ნიჰილიზმისა და კრიმინალური იდეოლოგიისა; ისე გაუმრუდეს მათ ცხოვრება, რომ საბჭოურ-კომუნისტური იდეოლოგია ლამის სანატრელი გაგვიხადეს.

მათ არა მარტო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩამოაშორეს ახალგაზრდობა, არამედ ჩამოაშორეს თავიანთ სამშობლო ქვეყანას, ოჯახს, სისხლსა და ხორცს, ტოლსწორთ. უიდეობით ან ცრუ იდეით განზნეულნი მიმოფანტეს მთელ დუნიაზე, სადაც ავსებენ კრიმინალურ სამყაროს და ნარკოტიკებით გაბრუებულები ისწრაფებენ სიცოცხლეს. იმ მცირედთ, ვინც შემორჩა ამქვეყნად, ეს კრემლის ემისრები და მათი პროტოტიპები გონებასა და სულს უწამლავენ ამ და სხვა მსგავსი „ისტორიებით“ თუ ცრუ იდეოლოგიით. მათი მიზანია, აღისრულონ თავიანთი ბინძური ზრახვები, საბოლოოდ დაეპატრონონ მთელ ეროვნულ სიმდიდრეს და ასე **ბოლომდე გაკოტრებული, უკვე უიმედოდ და უოცნებოდ დარჩენილი ქვეყანა უკან შეაბრუნონ იმპერიაში, ან სრულაც ქვა უთოვია შემდეგ.**

\* \* \*

ძალზე მძიმე სურათია? – იქნებ ასეცაა, მაგრამ ეს ფაქტია. ამის დასადასტურებლად რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ კრემლის ემისრებისა და ცრუდემოკრატიების იდეოლოგიით მიზანმიმართულად უგზო-უკვლოდ მიმოზნეული, გადაგვარების გზაზე შეყენებული ახალგაზრდობის ცხოვრებიდან, მარიო მერონის წიგნიდან – „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს!“ (თბ. 2005 წ.).

აი, როგორ აღწერს ავტორი პუტჩისტური ალიანსის მიერ

შექმნილი ფსევდოსოციუმის სახეს: **ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ხალხს იმედი ჩაესახა, იმედი ხვალინდელი დღისა** (გვ. 72). ამ იმედსაა, რომ შეუტყვის მტრებმა ადგილობრივ მოლაღატეთა ხელით. კრემლიდან ორჯონიკიძის მისიით მოავლინეს ედ. შევარდნაძე; რა მოჰყვა ამას, ამაზე ნიგნის ავტორს მოვუსმინოთ: შევარდნაძის მუხანათაური, შავბნელი ხელი მასაც (ზ.გ.) მისწვდა და ომი გააჩალა (იქვე), და აგრძელებს: სინამდვილეში ეს ანტიქრისტე ქვეყნის დასაღუპავად, მინასთან გასასწორებლად ჩამოვიდა. გაუცრელი მჭადით გამოზრდილმა ფერშალმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ახალგაზრდები კალაშნიკოვის ავტომატებით შეაიარაღეს და ერთმანეთს დაერივნენ, შეიქმნა საძმოები, დაჯგუფებები, რომელთა მიზანი ერთი იყო: ვინმეს დაჩაგვრა და დიდი ფულის შოვნა.

უსაქმურად დარჩენილი ქართველი ახალგაზრდობა, როგორც საშოვარზე გამოსული მშიერი მგელი – სოფელს, უცხო ქვეყნებს მიადგნენ (იქვე, გვ. 73). ეს იმიტომ მოხდა, რომ შევარდნაძის ბატონობის ავბედითმა ათმა წელმა საერთოდ მინასთან გაასწორა ქვეყანა, გონებაარეული, მერყევი ნებისყოფის ახალგაზრდა კაცი დარჩა ქუჩაში, შიშველი, მწყურვალი, უმუშევარი, უფულო (იქვე, გვ. 69), ოდენ პუტჩისტური ალიანსის ცრუიდეოლოგიის ამარა. ნაწილმა ეს მეტამორფოზირებული პოსტკომუნისტური სოციუმი შეავსო. უმრავლესობამ ვერც იქ მონახა თავისი ადგილი, აზრი დაკარგა სწავლამ, ფეხქვეშ გაითელა ღირსეული ტრადიციები, გამოიფიტა ქართული სული. გაუცხოება დაეტყო ქართველ კაცს (იქვე, 70). ამის შედეგია ის, რომ „მშობლები... ატყუებენ შვილებს, შვილები კი – მშობლებს“ [იქვე გვ.72].

რამდენადმე ვერ გამართლდა ბატონი ზვიადის იმედები, რომ საიმედო ძვრები შეიმჩნეოდა ჩვენი ახალგაზრდობის აზროვნებაში, სტუდენტობა საბოლოოდ გაარჩევდა თეთრსა და შავს, დაუბრუნდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას და იხსნიდა საქართველოს დაღუპვისგან. მათ ვერ გაუძლეს ცრუარჩევნებითა და დემაგოგიებით ხელისუფლებაში უკვე მყარად ფეხმოკიდებულ ნომენკლატურულ-კრიმინა-

ლური სოციუმის მმართველობის ახალ შემოტევას, **ბრძოლას გაქცევა არჩივს.**

ავტორი წერს: ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი, რა ტანჯვა-წამებითა და რის ვაი-ვაგლახით ახერხებდნენ ქართველები ევროპაში (სხვა კონტინენტებშიც. – მ.ზ.) ჩასვლას (იქვე, 73). ასეთი მასიური გაქცევა საკუთარი სამშობლოდან, ისეთი – საკუთარ მიწა-წყალს განსაკუთრებულად მიჯაჭვული გენოსისტვის, როგორც ქართულია, არ შეიძლება ოდენ უკეთესი ცხოვრების სურვილით იყოს გამოწვეული, მაშინ დავლუპულვართ და ეს არის.

**ეს გაქცევა პროტესტიცაა,** მიმართული არსებული ნომენკლატურულ-კრიმინალური მაფიის ფსევდოდემოკრატიული მმართველობისადმი, მათდამი, ვინაც, ჩვენი ავტორის პერიფრაზით რომ ვთქვათ, ამ ხნის მანძილზე ისე გააღარიბა ხალხის სული, რომ ყველა ერთიმეორის მტრად გადაიქცა; **საკითხავი გახდა: დარჩა თუ არა სპეტაკი, გაურყენელი სული, სამშობლოს ხვალინდელ დღეზე დაფიქრებული.**

**პროტესტი იმის მიმართ,** რომ ტყუილი სახელმწიფოებრივი ცხოვრების წესად იქცა და რომ ამ ტყუილისა თვითონაც სჯერათ.

ავტორი ერთგან აღწერს კარლსრუეს შემკრებ და გამანაწილებელ პუნქტში არსებულ ვითარებას და მას 21-ე საუკუნის საკონცენტრაციო ბანაკს უწოდებს გაზის კამერების გარეშე. აი, ამ ბანაკებში არიან თავმოყრილი ეს ბრძოლას განრიდებული პროტესტანტები. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, იქ თურმე საქართველოდან ოცდაათ წლამდე ასაკის ახალგაზრდებია ძირითადად წარმოდგენილი. ამ ახალგაზრდების თითქმის 90% ნარკოტიკებს იკეთებდა და სასმელი, პურმარილი, რა თქმა უნდა, ვის რაში აინტერესებდა (დასახ. ნიგნი, გვ. 83). სხვათა შორის, აი, საიდან მოდის „გირჩული“ – ფსევდოლიბერალური შედარება ნარკოტიკული თრობისა ქართულ სუფრასთან, კახურ ღვინოსთან, ქეიფთან.

ესეც წინასწარ გამიზნული ქმედებაა, ქართული სტუმარ-მასპინძლური ტრადიციის წინააღმდეგ მიმართული, რომელ-

მაც, გაარღვია რა რუსული სივრცე (სადაც დიდი პოზიტიური მუხტი დატოვა), აღფრთოვანებამდე მისული მოწონება დაიმსახურა უკიდურესი აღმოსავლეთიდან (იაპონია) უკიდურეს დასავლეთამდე (აშშ). ესეც შედეგია იმ დიდი ლალატისა, რომელიც მოხდა 1991/92 წწ. დეკემბერ-იანვარში.

ამდენად, ცრუ არჩევნებით ხელისუფლებაში მოკალათებული სახენაცვალი ნომენკლატურულ-კრიმინალური მაფიის, დოლარებზე გაყიდულ პოლიტიკოსთა და მათი მეგზური, შავი ფულის გარეცხვით გაბანკირებული ფინანსური ოლიგარქიის მიერ კატასტროფის პირამდეა მიყვანილი ქვეყანა. ეს წრე შევსებული და „გალამაზებულია“ გალიბერალებული „ნითელი ინტელიგენციით“; ეს ნაჯვარია, რომ ქმნის იმ ფსევდოსოციუმს, რომლის მსგავსი რამ უცნობია დემოკრატიული სისტემების დღემდე ცნობილი ყველა ფორმისთვის.

იმავე ატორის თქმით, მშობლიურ მიწიდან გაქცეულები ხმამაღლა კი არა, ერთმანეთსაც ძლივს უმხელენ ეროვნებას. ქართველებს ქურდობით ისე აქვთ სახელი გატეხილი ევროპაში, რომ მათ შეგნებულად ანაწილებენ ისეთ ადგილებში, სადაც მოსაპარავი თითქმის არაფერია. ავტორს იქვე მოჰყავს დასრულებული სქემა კრიმინალური ოპერაციისა: ქართველი-მაღაზია-მოპარვა-გაყიდვა-ზანგი-ნარკომანი.

აი ბედისწერა ჭეშმარიტებისა და ღირსებისთვის ბრძოლას გარიდებული ახალგაზრდებისა და ყოველივე ეს შედეგია იმ დიდი ლალატისა, რომელიც ჩადენილ იქნა 1991/92 წწ. მიჯნაზე და რომლის გამოვლინებაც დღემდე გრძელდება და ანადგურებს ქართულ იდეას. აი, ამ დიდი ლალატის გამართლებას ელტივან როგორც ხელისუფალნი, ასევე მთელი ეს სოციუმი და მათი ისტორიკოს-იდეოლოგები. ამიტომ ისინი ყოველგვარ ღონეს ხმარობენ, რაც შეიძლება უფრო ღრმად ჩაძირონ სიცრუის ჭაობში მომავალი თაობა.

ამის მიზეზია, რომ **ქვეყნად ისევ იმძლავრა** პრორუსულმა კოლაბორაციონალურმა ძალებმა, რომლებიც სხვადასხვაგვარი ფსევდოეროვნული ლოზუნგებითა და ქმედებებით თავგზას უზნევდნენ ხალხს; სინამდვილეში წარმოადგენენ რუსულ მეხუთე კოლონას, შევსებულს სხვადასხვა პარტიული თუ

ე. ნ. საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელით მოქმედი კოლაბორაციონალებით.

ორიოდე სიტყვა ამ მიძიმე სიტუაციიდან გამოსვლის პრესპექტივაზე.

საქართველოს მოსახლეობამ ახალი ძალით უნდა გაშალოს ბრძოლა არა მარტო ეროვნული გამათავისუფლებელი იდეის ასაღორძინებლად, არამედ ამ იდეათა ცხოვრებაში განსახორციელებლად. მისი უმთავრესი მიზანი უნდა იყოს საოკუპაციო ჯარების გაყვანა ოკუპირებული ტერიტორიებიდან, საოკუპაციო რეჟიმის მოხსნა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ეს პროცესი უნდა დაიწყოს პუტჩამდელ შეთანხმებათა განახლებით და გაგრძელდეს 2008 წლის აგვისტოს „სარკოზის ხელშეკრულების“ საფუძველზე თუ გაეროს, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის დადგენილებათა აღსრულების მოთხოვნის გზით.

რაც შეეხება ყოველივე ამის პრაქტიკაში განხორციელებას, ამ შემთხვევაში არაა საჭირო ახალი ველოსიპედის გამოგონება. რუსული საოკუპაციო ჯარებისგან თავდახსნის, ამ რეგიონებში კანონიერების აღდგენის, ქვეყნად ჭეშმარიტი დემოკრატიზმის დამყარებისა და თავისუფალი საზოგადოების შექმნის ეს გზა ზვიად გამსახურდიამ ჯერ კიდევ 1992 წლის 24 მარტის მიმართვაში დასახა. პრეზიდენტი წერდა: „ეს ყოველივე შესაძლოა განხორციელდეს წინააღმდეგობის ერთიანი ფრონტის შექმნით, სრული ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობით... (შეადარ. ტ. III, გვ. 30/31) „მოცემული მომენტისთვის თუ სახელმწიფო მოიშლის შტრაიკბრეხელობას საკუთარი ხალხის მიმართ და უარს იტყვის კოლაბორაციაზე რუსულ იმპერიალიზმთან, მაშინ, რა თქმა უნდა, „**დაუმორჩილებლობას**“ ჩაანაცვლებს „**თანხმობა**“; ე.ი. ერთიანი ფრონტი ამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა დაეფუძნება სრულ ეროვნულ და სამოქალაქო თანხმობას.

ასეთი თანხმობის იდეა დიდი ხანია ხალხის მოთხოვნადაა ქცეული, მაგრამ, სამწუხაროდ, ალიანსური სოციუმის მიერ მოყვანილი და დასმული ყველა ხელისუფლება **სიტყვით განადიდებს ამ იდეას სამოქალაქო თანხმობისას, მაგრამ სინამდვილეში ებრძვის მის ყოველგვარ გამოვლინებას**, არაფერი რომ

არ ვთქვამთ რევოლუციამდელი ხელისუფლების ორპირობასა და მოლაღატურ ბუნებაზე.

რევოლუციურმა ხელისუფლებამ კი ზურგი შეაქცია მისი არსებობისთვის აგრერიგად აუცილებელ ამ საზოგადოებრივი თანხმობის იდეას. მიუხედავად ეკლესიაში, ღვთისა და ერის წინაშე მათ მიერ დადებული ფიცისა, რომ ივლიდნენ სამოქალაქო თანხმობის გზით, მასში მოკალათებულმა ფსევდოლიბერალებმა და კონტრრევოლუციურმა პრორუსულმა ელემენტებმა სწორედ ეროვნულ თანხმობას შეუტიეს და წირვა გამოუყვანეს მას.

ისე აღმოჩნდა, რომ ამით რევოლუციურმა იდეალებმა ჭირი მოგვჭამა. აღმოჩნდა, რომ თურმე ხელისუფლებამ საკუთარ თავს ხარაკირი მოუნყო და ყველაფერი დასრულდა მშვიდობიანი კონტრრევოლუციით. გზა გაეხსნა რუსულ მრავალსახოვან ძალას.

## იდეის დაბრუნებაზე ზრუნვა

მრავალპარტიული, დემოკრატიული, არასაბჭოური, თავისუფალი არჩევნების ჩატარება და მასში გამარჯვება – ეს იყო მართლაც საოცრება! – **დემოკრატიის ტრიუმფი** საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის მძვინვარების პირობებში.

ზ. გამსახურდია უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე ასე აფასებდა ამ არჩევნებს: **ქართველმა ერმა გამოამჟღავნა უდიდესი პოლიტიკური სიმნიფე, მაღალი ეროვნული და მოქალაქეობრივი შეგნება, დაამტკიცა, რომ იგი მზადაა თავისუფლებისთვის. ეს გამარჯვება დემოკრატიის გამარჯვებაა, თავისუფლების და სამართლიანობის პრინციპების გამარჯვებაა ჩვენს ქვეყანაში.**

ამასთან, ის დაუფარავად მიმართავდა ხალხს: ყოველივე ეს **დასაწყისია** კიდევ უფრო მნიშვნელოვანი **ომისა**, რომელშიც უნდა გაიმარჯვოს ჩვენმა ერმა და რომელსაც ჰქვია **თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს მკვდრეთით აღდგინება!**

„ღრმად მწამს, მეგობრებო, რომ ის ერი, რომელმაც ესოდენ მაღალ დონეზე ჩაატარა თავსუფალი არჩევნები, შეძლებს დაბრუნებას დაკარგული სახელმწიფოებრიობისას“ (კრ.

ტ. I, გვ. 23), აცხადებდა ის სრული დაჯერებით 9 აპრილის ჯალათების პარპაშისა და სისხლიანი დიქტატურის შემოტევის პერიოდში.

**აი, ამ იღვის დაბრუნებისთვის უნდა იღვანოს დღეს ქართველმა ხალხმა, რომელიც მას ხელიდან გამოსტაცა სახელმწიფო გადატრიალების გზით „ნითელი ინტელიგენციისა“ და ნომენკლატურულ-კრიმინალურმა პუტჩისტურმა ალიანსმა.**

ჩვენში ფაქტობრივად ჩამოყალიბდა ზემოთნახსენები ფსევდოსოციალური ნაჯვარი სოციუმი და დღემდე ანადგურებს ამ არასაბჭოური მრავალპარტიული არჩევნების გზით მოპოვებულ თავისუფლებას; გადაკეტეს ეროვნულ ინდენტობაზე დაფუძნებული დემოკრატიული წყობილების ყოველგვარი გზა-სავალი იმავე დემოკრატიისა და სამართლიანობის სახელით; რაც მთავარია, ხალხს, რომელმაც საბჭოთა დიქტატურის მძვინვარების ხანაში მოახერხა ნამდვილად თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, **დღეს ეს უფლება წართმეული აქვს.** მას ის რეალობა, რომელიც მსოფლიოს თვალწინ დადგა, ისევ ოცნებად უქციეს – **უიმედო ოცნებად.** ეს არის მიზანმიმართული **განადგურება ერის სულიერი მისიისა,** მისი **სწრაფვისა თავისუფლებისაკენ,** ჭეშმარიტი დემოკრატიული ცხოვრების წესის დამყარებისკენ.

ამდენად, დღეს ჩვენ არ უნდა ვკმაყოფილდებოდეთ ფორმალური საკითხების მოგვარების მოთხოვნით (თუმცა არც ისაა მისაღები), არამედ ჩვენი პერმანენტული ბრძოლით სისხლით მოპოვებული ხელშესახები მიღწევების განახლებას უნდა ვესწრაფოთ. უნდა **განვაახლოთ ის დიდი ომი,** რომლის გადატანა მოუხდა ჩვენს ხალხს ზვიად გამსახურდიას წინამძღოლობით და შეძლო მის მიერ 1990 წლის 14 ნოემბერს გაჟღერებული გეგმის განხორციელება და მოახდინა დამოუკიდებელი საქართველოს მკვდრეთიდან აღდგინება.

\* \* \*

სამწუხაროდ, მაშინ მისი შენარჩუნება ვერ მოხერხდა, ვინაიდან „ერთგულებას ღალატმა სძლია“. ეს პროცესი ღალატისა, მეტ-ნაკლები სიმწვავეით, დღემდე გრძელდება. „გრძელ-

დება ქართველთა გენოციდი, იძარცვება საქართველო, იღვე-  
ნება ეროვნული მოძრაობა“.

ზ.გამსახურდიას მიერ 1992 წ. 26 მაისის დღესასწაულისად-  
მი მიძღვნილ მიმართვაში (გაზეთი „აღდგომა“, №4, 1992 წ.) ჩამოთ-  
ვლილი ყველა ეს ავბედითი მოვლენა მოქმედებაშია. ამიტომ  
შევეცდებით, სამივე მათგანი ცალ-ცალკე განვიხილოთ.

1. **„გრძელდება ქართველთა გენოციდი“**: ვინაიდან ისევ  
ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ოკუპანტთა მიერ ადამიანთა გა-  
ტაცება, მკვლელობები, არანაკლებ საგანგაშოა შიდა ვითარე-  
ბა, აქაც გატაცებები, მკვლელობები თითქოს ყოველდღიურ  
ნორმად იქცა. მთელ მსოფლიოში მიმოფანტულ ქართველ  
დეენილებს ქვეყანაში არსებულ გაუსაძლის სოციალურ-ეკო-  
ნომიკურ პირობებს გამოქცეულთა ახალ-ახალი ტალღები ავ-  
სებენ; იქ კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, 90% ნარკომანიით,  
ქურდობით, პროსტიტუციით და ა.შ. არის დაკავებული. ისინი  
სრულიად ახალგაზრდა ასაკში იღუპებიან. საკუთრივ ოკუპი-  
რებულ ტერიტორიებში კი ქართველები სინამდვილეში რე-  
ზერვაციაში არიან მოქცეულნი და არავითარი პერსპექტივა  
არ უჩანთ, თვით ბუნებრივი გამრავლების, პოპულაციის  
(ოჯახის შექმნის) მხრივაც კი, არაფერი რომ არ ვთქვათ  
მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობაზე.  
მით უმეტეს, არ არსებობს არავითარი სოციალურ-კულტუ-  
რული ღონისძიებანი, მიმართული ადამიანთა სულიერი და  
გონებრივი განვითარებისაკენ.

ამდენად, ქართული რასის გენოციდი არაფრით ჩამორჩე-  
ბა, თუ არ აღემატება ომის პროცესის დანაკარგებს. ომს,  
როგორც წესი, მთელი რიგი პოზიტიური მომენტებიც თან ახ-  
ლავს, სულიერი თუ მატერიალური. ამ შემთხვევაში კი სუფ-  
თა გამანადგურებელ სტიქიასთან გვაქვს საქმე, ყოველგვარი  
პოზიტიური მომენტის გარეშე, რაზედაც პასუხისმგებლობა  
სრულად და მთლიანად ეკისრება პუტჩისტური ალიანსის ბა-  
ზაზე ფორმირებულ სოციუმს, რომელიც ამ ბოლო მეოთხედი  
საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა ფორმით განაგებდა და  
განაგებს ქვეყანას.

2) **„იძარცვება საქართველო“**: ეს პროცესი, რომელიც პუ-



ტრისტური გადატრიალების დღიდანვე დაიწყო, ნომენკლატურისა და კრიმინალურ ავტორიტეტთა არაკანონიერ სახელმწიფო სტრუქტურებთან კავშირში რომ მიმდინარეობდა, დღემდე გრძელდება.

აშკარა ძალადობაზე დამყარებულმა ამ ალიანსმა თანდათანობით ფორმა იცვალა, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა, მოხდა კრიმინალური გზით დატაცებული სახელმწიფო სიმდიდრის კერძო საბანკო კაპიტალად გარდაქმნა და მისი შერწყმა სახელმწიფო სტრუქტურებთან – ოლიგარქიზება. ამ ფონზე ფეშენებელური ვილებიდან თუ კაბინეტებიდან „კანონებითა და დებულებებით“, „კონსტიტუციურად“ **მიმდინარეობს ხალხის მასობრივი ძარცვა**, ამ ოლიგარქიული სტრუქტურების გარეთ მდგომი ყოველგვარი საშუალო თუ წვრილი ბიზნესის განადგურება.

3) **„იდევნება ეროვნული მოძრაობა“**: რაც შეეხება ამ საკითხს, აქ კიდევ უარესადაა საქმე. ზემოთ უკვე მოხსენიებული ფსევდოსოციუმის ფორმირებითა და ფსევდოლიბერალური იდეების გავრცელებით, გადაგვარებულმა „პოლიტიკიტამ“ და ფსევდოდემოკრატიულმა იდეოლოგიებმა გაათახსირეს ჭეშმარიტი, თავისუფლების მაძიებელი იდეოლოგია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა. მათ გზა ჩაუხერგეს ქვეყანაში რეალური დემოკრატიის განვითარებას, ნამდვილად მრავალპარტიულ, თავისუფალ არჩევნებს, როგორც დემოკრატიული განვითარების საფუძველს, თავისუფლებისა და სამართლიანობის დამკვიდრების გარანტიას. ის ჩანაცვლეს ფსევდოარჩევნებით, ჯერ „ბუხანკა“ პურზე, საპონსა და მარილზე „შესვეს“ განამებული ხალხი, შემდეგ კი ოლიგარქებმა 15 ლარად გადაუფასეს ყოველივე ეს. ვინც ასეთ დამცირებაზე არ წავიდა, მას **ჭირის დღესავით შეაძულეს არჩევნები**. სადაა ამ დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და მისი გულისგული – ახალგაზრდობა?

ძველი საბჭოური საგანმანათლებლო სისტემიდან ახალ დემოკრატიულში გარდამავალი პერიოდი თავისთავად რთული პროცესი იყო, რაც უკიდურესად დაძაბა კრიმინალურმა პუტჩმა და სახელმწიფო გადატრიალებამ. სასკოლო პროგრამა-

მების არევ-დარევამ გამოიწვია მასწავლებელთა მომზადების დონის დაცემა, საგანმანათლებლო პროცესის თითქმის სრული მოშლა. კიდევ უფრო უარეს დღეში აღმოჩნდა აღმზრდელობითი პროცესი, სრულად განადგურდა სასკოლო სისტემა, 12-14 წლის ასაკის ბავშვები ჯგუფებად ავსებდნენ კრიმინალურ საძმოებს, ქუჩა გაბატონდა მთელ სააღმზრდელო სისტემაზე; თითქმის განუყოფლად გაბატონდა ქურდულ-ბანდიტურ-ძველბიჭური მენტალიტეტი. სხვა ყოველგვარმა იდეამ და იდეოლოგიამ აზრი დაკარგა.

მხოლოდ კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის მებრძოლთა პირადი თავგანწირვის მაგალითები და მათი ეროვნული სულიერება ასულდგმულებდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების იდეას.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემდეგ, ზოგადეროვნული თვალსაზრისით ამ გავლენასაც ნელ-ნელა ეცლებოდა ნიადაგი. ხელისუფლების ნაქეზებით ნარკომანია-სა და ქუჩური წესების ქაობში ჩათრეულ ახალგაზრდობას მოღალატური ომით, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეგიონის რუსეთისთვის ჩამბარებელი ხელისუფლების წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლის თითო-ოროლა მაგალითიც კი არ აღელვებდა. ისინი გულგრილად შეჰყურებდნენ, ზოგი სიხარულითაც კი, თუ როგორ ხოცავდა ხელისუფლება ე.წ. ზვიადისტებს თითქმის ყოველდღიურად, თითო-თითოდ თუ წყვილ-წყვილად, დღისით და ღამით, ქუჩაში თუ ტელევიზორის ეკრანის წინაშე. ხელისუფლებამ ქუჩური ქაობი და ნარკომანია აქცია მათი ცხოვრების წესად.

ეს მოსაზრება ვინმეს გადაჭარბებული რომ არ მოეჩვენოს, აქვე მოვიყვან რამდენიმე ციტატას ნიგნზე „ჯორჯ ეული და ძმა საბურთალოდან, ქსივით გამოგზავნილი კრიმინალური ნოველები“ (თბ. 2006 წ.) წამძღვარებული ეპიგრაფიდან: „დამნაშავეთა სამყაროს გენერლებს პირამიდის ძირებად რამდენი ახალი ნატიფი სულითაც მეტი ეყოლებათ, მით უფრო აწყობთ თავიანთი მახინჯი ფსიქოლოგიის გასავრცელებლად და გავლენაც ეზრდებათ, ხოლო **ათიათასიანი პირამიდის ძირებიდან** ზევით მხოლოდ ერთეულები ადიან, უმეტესობა ინგრევიან, ბანძდებიან და

ბოროტდებიან და უძრავ ლოდებად იქცევიან, შემდეგ თავიანთ ქვევითა შრის შესაქმნელად და ახალი ხალხის ჩასათრევად ყველაფერს აკეთებენ, რომ მათ ფეხით დაადგნენ“ (გვ. 5). ეს ზოგადი გამონათქვამი დამნაშავეთა სამყაროზე ჩვენს სინამდვილეში უფრო სასტიკი და საყოველთაო იყო, ვინაიდან ეს პროცესები მიმდინარეობდა სახელმწიფო იდეოლოგიის უშუალო გავლენით. ახალგაზრდა თაობის გადაგვარება არა მარტო იდეოლოგიურად, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც, უფრო სასტიკი და საყოველთაო იყო, ვინაიდან ეს პროცესები მიმდინარეობდა სახელმწიფო იდეოლოგიის უშუალო გავლენით. ახალგაზრდა თაობის გადაგვარება ხდებოდა არა მარტო იდეოლოგიურად, არამედ მმართველი წრეები უშუალოდ მონაწილეობდნენ მასში. პრაქტიკული თვალსაზრისით სახელმწიფოდ ნოდებული ურჩხული გეგმაზომიერად ანადგურებდა ქვეყნის მომავალს – ახალგაზრდობას. ფიზიკურად უსწორდებოდნენ ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობის, კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენისთვის მებრძოლ ნაწილს, ძირფესვიანად სპობდნენ სახელმწიფო იდეას, მის ყოველგვარ სულიერ და იდეურ გამოხატულებას იმ დონეზე, რომ პატრიოტიზმი, ეროვნული იდენტობა, ნაციონალური ინტერესები – ის, რაზედაც უნდა იდგეს ყოველგვარი ნორმალური სახელმწიფოებრიობა, საძრახისი გახდეს.

საბჭოთა ნომენკლატურისა და კრიმინალური სამყაროს ე. წ. სახელმწიფო სტრუქტურებთან შერწყმის კვალობაზე მიმდინარეობდა ეს დამანგრეველი პროცესი, რომელიც **სახეცვლილი ფორმით დღემდე გრძელდება**. დღეს ამ ველურმა კრიმინალურმა დაგროვებამ საბანკო სექტორში გადაინაცვლა და ახლა იქიდან ანადგურებს ყოველივე ეროვნულ-სულიერსა თუ ჰუმანურ-ცნობიერს და, პირველ რიგში, ხალხის ნების ყოველგვარ გამოვლენას.

ეს პერმანენტული დამანგრეველი პროცესი თითქოსდა ზურგში უნდა გადაეტეხა **სახალხო რევოლუციას**. მის სათავეში მოქცეულმა პოლიტიკურმა ალიანსმა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებებით (რომელნიც არასრულყოფილი იყო) რაღაც სტრუქტურული წესრიგი კი დაამყარა და ანარქიაში ჩაძირულ ქვეყანას სახელმწიფოებრივი სახე დაუბრუნა, მაგ-

რამ მან ვერ შეძლო პუტჩისტური გადატრიალების შედეგად შეწყვეტილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის პროცესის განახლება და იქიდან კანონიერებისა და სამართლიანობის, რეალური დემოკრატიის გზით სიარული.

მათ, ნაცვლად იმისა, რომ **აელორძინებინათ ჭეშმარიტად სახალხო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წმინდად სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, ქცეულიყვნენ მის ავანგარდად და გაეგრძელებინათ თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს მკვდრეთიდან აღდგინებისთვის ბრძოლა**, რაც იქნებოდა „ომი“ დემოკრატიის, თავისუფლებისა და სამართლიანობის პრინციპისათვის. საუბედუროდ, ისინი ისევ ძველ ფსევდოდემოკრატიულ იდეას შეუდგნენ და მას მოუხარეს ქედი, რაც დღემდე ხრავს და **ანადგურებს ჭეშმარიტად განმათავისუფლებელ მოძრაობას**. ამ ელიტამ თავიანთი რიგები გააფერეს „გადემოკრატებულ-გალიბერალურ“ „წითელი ინტელიგენციითა“ და მათი ნაშეიერებით, ქუჩური ჭაობიდან წამოსული „რევოლუციურ-განაციონალურ“ მასით. ასე და ამგვარად, ისინი მოწყდნენ რევოლუციურ, განმათავისუფლებელ ბრძოლას, რეალურ მამოძრავებელ ძალებს და **საკუთარ უბეში გამოზარდეს კონტრრევოლუცია**.

ჭაობი ამოუშრობი დარჩა. ახალგაზრდა თაობის სული ისევ ნარკომანიამ და კრიმინალური ანარქიისკენ სწრაფვამ მოიცვა. დღეს ეს მოდერნიზებული ფსევდოლიბერალური მასა, რასაც პუტჩისტურ-ალიანსური უკანონო ე.წ. სახელმწიფო გამოუცხადებლად აკეთებდა, იმის დაკანონებას მოითხოვს, ე.ი. ქუჩური ცხოვრების წესის კანონის ძალით გამაგრებას. ყველაზე უფრო საშიში ისაა, რომ „ქუჩური წესის“ რეამინირება ისევ სახელმწიფოს უშუალო **მონაწილეობით ხდება**, ვინაიდან კრიმინალური კაპიტალი ბანკებსა და სახელმწიფო სტრუქტურებში ვერ ჩაეტევა; მისთვის ბრძოლა აუცილებლად გადმონაცვლებს გარეთ, რისი მაგალითებიც მრავლად გვაქვს.\*

---

\* წერილი გამზადებული იყო დასაბეჭდად, როცა იფეთქა „მარიხუანასა“ და ტელევიზია „იბერიის“ კრიზისმა და ერთი-ერთზე დაადასტურა ჩვენი ეს თითოეული გააზრებანი.

მომაკვდინებლად საშიშია ყოველივე ამის **იდეალიზების სწრაფი ტემპი**, რომელიც, პირველ ყოვლისა, ანადგურებს ქვეყნის იმედს – სრულიად ნორჩ თაობას, რომლის სყოველთაოდ ცნობილ მაგალითს წარმოადგენს „ხორავას ქუჩის ტრაგედია“ და, რაც მთავარია, მასზე სახელმწიფოს რეაქცია, ამ პროცესში ძალოვანი სტრუქტურების „ქცევის ნორმები“, რომელიც ზედმინევენით შეესაბამება სახელმწიფოს წარმართველი სოციუმის იდეოლოგიას. კიდევ უფრო საგანგაშოა მასზე განათლების სისტემის რეაქცია და სახელმწიფოს რეაგირება თვით განათლების სისტემაზე; უფრო ამაზრზენია ხალხის სრული ინდიფერენტული, გულგრილი დამოკიდებულება ასეთი სისტემისადმი.

ეს კონკრეტული ფაქტი გვიჩვენებს, თუ რა დონეზეა დაცემული ქვეყნის საგანმანათლებლო-სააღმზრდელო კულტურა. ის შევარდნაძე-კვაჭანტირაძის დროინდელი სისტემის დონეზეა დასული.

საერთო ჯამში, ყოველივე ეს შედეგია ეროვნული თავისუფლების იდეის დაკნინებისა, მაშინ როცა სწორედ ამ იდეით უნდა ხორციელდებოდა ქვეყნის თავისუფალი დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობა.

დღეს პუტინისტური სოციუმი იბრუნებს ფაქტობრივ ხელისუფლებას და პრივილეგიებს, ყალიბდება ფსევდოდემოკრატიული ფენა და მისი ელიტა. მათ უკან მდგარი რუსული შოვინისტური ძალები კი ცდილობენ საქართველოს, როგორც გეოსტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი რეგიონის ძველ ორბიტაში შებრუნებას. ამდენად, ქვეყანას სრულად და განუყოფლად განაგებს ეს პარტოკრატიულ-კრიმინალური და „წითელი ინტელიგენციისგან“ შობილი სოციუმი, ხოლო რუსული შოვინისტურ-იმპერიალისტური ძალები აშკარა ომით თუ მისი ე.წ. რბილი ძალის მეშვეობით ნელ-ნელა ახრჩობენ საქართველოს სახელმწიფოებრიობას. მან არა მარტო მიიტაცა საქართველოს ტერიტორიის თითქმის მეოთხედი, არამედ **ხელახლა ააღორძინა აქ რუსული იდეა** და მიწასთან ასწორებს ყოველგვარ ქვეყნობას. გამოვლინებას ეროვნული სულიერებისა და დემოკრატიისა. განგაშის ზარის შემომკვრელი კი არსაიდან ჩანს.

საკამათო არ უნდა იყოს ის, რომ დღევანდელი რეალობა ასეთია: პუტჩისტური ალიანსით შობილი ფსევდოდემოკრატიული ძალები დამკვიდრდნენ სახელმწიფოს ყველა სტრუქტურაში; მათ ხელში მოექცა ქვეყნის მთელი ეროვნული სიმდიდრე, კრიმინალური გზით შექმნილი საბანკო-საფინანსო კაპიტალი. კიდევ უფრო საზარელი და გამანადგურებელია მათი მძლავრობა კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში, სადაც ისინი ამკვიდრებენ ზემოთ განხილულ და მსგავს ცრუ ქრონიკებს და ცრუიდეოლოგიებს. ისინი რომ წერენ სიყალბითა და ბოროტებით გაჯერებულ ცრუ ისტორიებს, ამკვიდრებენ ცრუეროვნულობას რუსული შოვინიზმის თარგზე, შეიჭრნენ სარწმუნოებრივ სფეროში, გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს საეკლესიო სისტემაში, რის სავალალო შედეგსაც დღეს ყველა თვალნათლივ ხედავს. ყოველივე ეს კი იწვევს ხალხის არა მარტო მატერიალურად დაძაბუნებას, არამედ სულიერად გადაგვარებას, განსაკუთრებით ჯერაც მოუძღვარებელი ფსიქიკის ახალგაზრდა თაობისას – ასეთია შედეგი ჭეშმარიტად ეროვნული გამათავისუფლებელი იდეის განადგურებისა.

დღეს ახალი ძალით აღზევდა ლალატი და ორპირობა, ანგარება და, რაც მთავარია, სრული უპასუხისმგებლობა მმართველი ელიტისა, ზოგადად, სახელმწიფო სტრუქტურებისა ხალხის წინაშე. ისევ ძალაშია, ის კი არა, უფრო დახვეწილად მოქმედებენ ეს კოლაბორაციონალური ანტიძალები, იზრდება ქრისტიანული სარწმუნოებისა და სულიერ-კულტურული კავშირების ნილაბს ამოფარებული მათი რიტორიკა და წმინდა წყლის დემაგოგია. ამიტომ კულტურული სამყაროს მიერ საკაცობრიო საშიშროებად აღიარებული რუსული რბილი ძალა თითქმის სრულად დაეპატრონა იმ იდეურ ფრონტს, რომელსაც სახელმწიფოსთან ერთად უნდა წარმართავდეს ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლებისთვის მებრძოლი ერთიანი საერთო-სახალხო ფრონტი.

სამწუხაროდ, ეს გამოცარიელებული ეროვნულ-პოლიტიკური სივრცე დაიკავეს წმინდად კოლაბორაციონალურმა თუ ამკარად ანტისახელმწიფოებრივმა, პრორუსულმა ძალებმა

სხვადასხვა ჯურის პარტიებისა თუ ე.წ. საზოგადოებრივი გაერთიანებების სახით.

რამდენადაც წინამდებარე ნარკვევი ეხება დამოუკიდებლობის ორ აქტს, შედარებისთვის ვიტყვი, რომ დღეს ეს პრორუსული ძალები ასჯერ და ათასჯერ აღემატება იმ ბოლშევიკურ – „ინტერნაციონალურ“ ძალებს, რომელთაც შემოუძღვა ორჯონიკიძე და კომპანია და დაამხვეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა; უფრო მეტიც, დღეს ეს პრორუსული კოლაბორაცია უფრო სრული და მობილურია იმდენად, რომ მასთან შედარებაც არ შეიძლება იმ პუტჩისტური ალიანსისა, რომელმაც დაამხო კანონიერი ხელისუფლება. ისინი აშკარა მოქმედებისგან თავს იკავებენ ოდენ ქართველი ხალხის მიმართ საერთაშორისო მხარდაჭერის გამო. მათი მიზანია საქართველოს მშვიდობიანი და თანდათანობითი ინკორპორაცია რუსულ იმპერიულ სისტემაში, რასაც ახორციელებენ კიდევ მათ მიერ ხელისუფლებასა და ოლიგარქიულ სისტემაში დასმული ძალების ხელით.

ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა მყარი ნაბიჯი, როცა სახალხოვად არჩეულ პრეზიდენტად დასვეს ჭეშმარიტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ზვიად გამსახურდიასეული გზის დაუძინებელი მტერი სალომე ზურაბიშვილი.

რუსულ სისტემაში ინკორპორირება არაა ჰიპოთეზა, ეს გარდაუვალი რეალობაა, თუკი არ გაიდვიძა ქართველი ხალხის თვითშეგნებამ და კიდევ ერთხელ დაუშვა დანაშაულის ტოლფასი გულგრილობა. ნუთუ შესახსენებელია ვინმესთვის, თუ რა მოჰყვა შევარდნაძის წინაშე დაჩოქებას? მაშინ შეგახსენებთ: ის დაჩოქება იყო კრემლისთვის ხელ-ფეხის გახსნა განიარაღებულ აფხაზეთზე შემოტევისთვის, რის შედეგადაც მოხდა რუსული ბატალიონების წინამძღოლობითა და რუსული ავიაციის მიერ, ძირითადად, მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა, მათი განდევნა მშობლიური მიწა-წყლიდან და ეთნოგენოციდი, ქართველებისგან დაცლილი ქვეყნის რუსული ე.წ. სამშვიდობო ძალებისადმი გადაცემა და ა.შ.

\* \* \*

წარმოდგენილია, ქვეყანაში, რომლის ტერიტორიების 1/5 ოკუპირებულია, სადაც ასობით საზოგადოებრივი ორგანიზაციებია, **არ არსებობდეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი, ანტიოკუპაციური სახალხო მოძრაობა**. ეროვნული თანხმობის მოძრაობა კი, რომელმაც უმძიმესი კრიზისის ჟამს უდიდესი როლი შეასრულა მიხრწნილ-მოლაღატური რეჟიმის დასაძარების საქმეში, რევოლუციური ხელისუფლების ხელითვე იქნა განადგურებული. დღემდე ყვალაფერი კეთდება **მისი** ალორძინების **წინააღმდეგ**.

თანხმობის პროცესზე მსჯელობისას უნდა გვახსოვდეს, რომ ეროვნული თანხმობა – ეს ზოგადი ცნება კი არაა, არამედ აქ უნდა გამოკვეთილ იქნეს კონკრეტულ სახალხო (ეროვნული) და საზოგადოებრივ პრობლემათა რიგი, რომელთა გადაწყვეტის (მარტივიდან – რთულისკენ) მიზნით, შესაძლებელი იქნება რეალური თანხმობის მიღწევა და ყოველივე ეს უნდა დაგვირგვინდეს ჩვენი სამშობლოს სახელმწიფოებრიობის **დემოკრატიული მონყობის პრინციპებზე შეთანხმებით**.

თანხმობის მიღწევის თვალსაზრისით, უალტერნატივო პრობლემას წარმოადგენს ოკუპაციის საკითხი, რომელზეც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თანხმდება. ამიტომ, **პირველ რიგში, მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება ანტიოკუპაციური სახალხო-განმათავისუფლებელი ფრონტის შექმნაზე**, ეს, თავის მხრივ, იქნებოდა გზა განადგურებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ალორძინებისაკენ. მისი არსებობის პოლიტიკურ აუცილებლობაზე უკვე ითქვა, მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულიდან გამომდინარე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის სახელმწიფოსგან პარიტეტული მნიშვნელობის მინიჭება არა მარტო თანამედროვე დაუცველობის პირობებში, არამედ თუნდაც ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგაც აუცილებელი იქნება.

\* \* \*

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ქვეყანაში,



რომლის ტერიტორიის 1/5-ზე მეტი ოკუპირებულია და მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ფაქტობრივად საომარ ურთიერთობაშია ბოროტების იმპერიასთან, მისი სახელმწიფოებრიობის წარმართველ ბირთვს უნდა წარმოადგენდეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ის უნდა იყოს დეოკუპაციისთვის საერთო-სახალხო მოძრაობის ორგანიზატორი.

ეს ავანგარდული ძალა სახელმწიფოსთან ერთად უნდა წარმართავდეს ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლებისთვის ბრძოლას.

**ანტიოკუპაციური მოძრაობის ავანგარდის ავანგარდს კი უნდა წარმოადგენდეს საკუთრივ ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობა.** სხვა ამაზე უფრო საშური საქმე რა უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს. სწორედ საკითხის ასე დაყენების შემთხვევაში გახდებოდა და გახდება შესაძლებელი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა და მთელი რიგი სოციალურად აუცილებელი პროგრამების განხორციელება, ვინაიდან ამის გარეშე ვერავითარი განმათავისუფლებელი ანტიოკუპაციური მოძრაობა ვერ მიაღწევდა მის წინაშე დასმული საკითხის გადაჭრას.

**ასეთი საერთო-სახალხო მოძრაობა გახდიდა შესაძლებელს მთელ სამყაროში მიმოფანტული ეკონომიკური თუ სოციალური აქტივების თავმოყრას და მათი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აუცილებლობის კვალობაზე წარმართვას, რაც, თავის მხრივ, ამ აქტივების გააქტიურებასაც შეუწყობდა ხელს, მასში სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის შედეგად.**

ამასთან ასეთი კონსოლიდაცია და მის მიმართ არა სახელმწიფოებრივი, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხრიდან თვითმორიტორინგი შესაძლებელს გახდიდა კორუფციის დონის მინიმუმამდე დაყვანას და ა.შ. არაფერი რომ არ ვთქვათ საკუთრივ ერის სოციალურ და ეკონომიკურ კონსოლიდაციაზე ამ ერთი მიზნის ირგვლივ.

საუბედუროდ, ამ პოტენციურად ავანგარდულ ძალებს მიაყენა გამანადგურებელი დარტყმა პუტჩისტურმა ფსევდოსოციუმმა სახელმწიფოს ხელით. ერის საღ სხეულში ანტისხეულებად ჩანერგილი პოსტპუტჩისტური იდეოლოგია კიბოს უჯრედებივით ანადგურებს ქართულ იდეას, ხალხს უჩლუნგებს

ფსიქოლოგიური წყობის საფუძვლებს, უქვეითებს ღირსებას, ანადგურებს ზნეობრიობას. სამწუხაროდ, ის არც ამაზე ჩერდება, რუსულ შოვინიზმთან კოლაბორაციაში ხდება კოლხ-იბერული მოდგმის ფიზიკური განადგურება.

\* \* \*

პოლიტიკური დეგრადირების პროცესმა აპოგეას მიაღწია. რუსული შოვინისტური იმპერია თავის სანადელს აღწევს. ამის დადასტურებას წარმოადგენს ბოლოდროინდელი მოვლენები, შემოთავაზებული კონტრრევოლუციური ხელისუფლების მხრიდან. საპრეზიდენტო „არჩევნებით“ დაწყებული და დამთავრებული „მარიხუანას საკითხით“.

პირველი მიმართულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ქმედით პრეტენზიებზე უარის თქმისკენ, რაც სინამდვილეში ნიშნავს ქართულ სახელმწიფოებრიობაზე უარის თქმას არა მარტო ამ ეტაპზე, არამედ ისტორიულადაც, რის შესახებაც დრამის დაწყების ეტაპზე გაგვაფრთხილა არძინბამ, resp რუსეთმა, რომ „აფხაზეთის დამოუკიდებლობას პირველი საქართველო აღიარებდა“. ეს გეგმა მოქმედებაშია. ეს საპრეზიდენტო „არჩევნები“, საერთოდ, პრეზიდენტის ინსტიტუტის მიზანმიმართული დეგრადირებაა.

მეორე საკითხი – მარიხუანას სასაქონლო წარმოების დაშვების თაობაზე კი სინამდვილეში წარმოადგენს მოდგმის სულიერად და ფიზიკურად განადგურებისკენ მიმართულ ლონისძიებას.

ამჯერად ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ სალომე ზურაბიშვილის პროექტზე, რომელიც, უდავოდ, დამუშავებულია კრემლისა და სუკის პალატებში, როგორც ყველა სხვა, რომელთა შედეგადაც განხორციელდა კანონიერი ხელისუფლების დამხობა, სამოქალაქო დაპირისპირება და სისხლიანი ტერორი მთელ ქვეყანაში, გამოუცხადებელი ომი აფხაზეთში რუსეთსა და საქართველოს შორის და ქართული (სხვათადაც) მოსახლეობის გენოციდი და დეპორტაცია აფხაზეთიდან და ჩრდილო შიდა ქართლიდან და ა.შ. ამჯერად, დღევანდელი მმართველი სოციალისტების მიერ შემოთავაზებული გეგმა, გაცხა-

დებული პრეზიდენტობის მათი კანდიდატის ენით, წარმოადგენს გაგრძელებას რუსულ გეგმისა – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიერთებისას, რასაც ისინი აცხადებდნენ 1992 წლიდან.

\* \* \*

სხვადასხვა წყაროდან გაირკვა, რომ ეს ქალბატონი ჯერ კიდევ რევოლუციურ ხელისუფლებაში ყოფნის დროიდან ყოფილა რუსეთთან განსაკუთრებულ ურთიერთობაში. ის იქიდანვე ამზადებდა ნიადაგს იმისათვის, რასაც დღეს აცხადებს, რომ ოკუპირებული ტერიტორიები განგრენაა საქართველოს სახელმწიფოს სხეულზე, ამიტომ უნდა მოიკვეთოს.

ესენი, თვითონ კიბოს უჯრედებად ქცეულნი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს სხეულზე, **ისტორიული საქართველოს სახელმწიფოს (სამეფოს) შემქმნელ აფხაზეთსა და შიდა ქართლს** განგრენიან ნაწილებად წარმოადგენენ და მის მოსაკვეთად ემზადებიან... ამად სვამენ მას საპრეზიდენტო ტახტზე, რათა თავიანთი ამ მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელება ხალხის მიერ ლეგიტიმებული ნების გამოხატულებად წარმოაჩინონ. ასეთია ამ დიდი ღალატის ანატომია, რომელსაც შევარდნაძის წინაშე დაჩოქება და მის ერთი თვის თავზე აფხაზეთის ჩაბარებაც ვერ შეედრება. **ის დასაწყისი იყო, ეს დასასრული იქნება.**

ჩვენდა საუბედუროდ, ამჯერადაც ისევ დუმილი (მაშინ კანონიერების აღდგენისთვის მებრძოლი ძალები მაინც ახმოვანებდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ ამ აშკარად შესამჩნევ ღალატს), უკეთეს შემთხვევაში, ისმის უაზრო ენამორჩევეთი ამოხროტილება ვაი-დიპლომატებისა და უი-ლიბერალებისა: იქნებ ასე... იქნებ ისე... სჯობდეს წავუყროთ... და ა.შ. და იძლევიან რალაც უაზრო განმარტებებს.

ისინი, რომ არა რუსთავი 2-ის მეტ-ნაკლებად ადეკვატური რეაქცია, სრულიადაც თანახმანი იქნებოდნენ ზურაბიშვილის განცხადებისა, რომ 2008 წლის ომი საქართველომ წამოიწყო და თავადაა დამნაშავე ქვეყნის 1/5-ის ოკუპირებაში.

თითქოსდა რუსეთის მიერ სამხედრო-კრიმინალური გა-

დატრიალების მოწყობის შემდეგ **ეს ომი რუსეთთან პერმანენტულად არ მიმდინარეობდეს;**

თითქოსდა ომი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში არ ყოფილიყოს რუსეთის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული; თითქოსდა ქართველ ხალხს ამ ომამდე არ ეწარმოებინოს პოლიტიკური ბრძოლა აფხაზეთის რუსეთის მიერ ოკუპირებულად გამოცხადებისათვის და ა.შ.

შესაბამისად, ომი 2008 წელს კი არ დაწყებულა რუსეთსა და საქართველოს შორის, არამედ **ის გამოაცხადა რუსეთმა ელცინის ულტიმატუმით პრეზიდენტ ზვიად გუმსახურდიასთვის აღმა-ატიდან გამოგზავნილი „ზაპისკით“:** „ან განაცხადებთ თანხმობას სნგ-ში შესვლაზე, ანდა შეგექმნებათ უდიდესი პრობლემა“, რომელიც მეორე დღესვე აღსრულდა კიდევც. ა/კ სამხედრო ოლქის ოფიცერთა ინსპექტირებითა და უშუალო მონაწილეობით დაიწყო შეტევა უზენაესი საბჭოს შენობაზე. **აი, საიდან იწყება რუსეთ-საქართველოს თანამედროვე ომი.** მაშინ ჩვენი პრეზიდენტი ქალბატონი თავის ოჯახთან ერთად რუსულ ნავში იჯდა მოლალატე პუტჩისტებთან ერთად და მიაფრიალებდა ანტისახელმწიფოებრივ დროშას. ელცინის ულტიმატუმისთვის უარის მთქმელ საქართველოს პირველ პრეზიდენტს პირად მტრად აცხადებდნენ, რაც მთავარია, ცდილობდნენ მისთვის მთელი ევროპული (და არა მარტო) ემიგრაციის გადამტერებას, რაც მეტ-ნაკლებად კიდევაც შეძლეს.

ამდენად, ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერილი „კანდიდატის“ ეს მოლალატური განცხადება, როგორც აღვნიშნეთ, უფრო საშიშია, ვიდრე ადრეული დიდი ლალატები, ვინაიდან ეს იქნება დასასრული ამ 25-წლიანი ომისა, რომელშიც ეს ბოროტების იმპერია საბოლოოდ, ახლა უკვე დე იურე გაიფორმებს და მოახდენს ოკუპირებული მიწების ინკორპორირებას იმპერიის შემადგენლობაში.

მიუხედავად ასეთი საშიშროებისა, არ ისმის გულიდან ამოხეთქილი მონოდება: ხალხო, გამოიღვიძეთ – ლალატია, ლალატია! და მამაპაპური შეძახილი: ხალხის რისხვა მოლალატეთ!

სამწუხაროდ, მრავალთ საკუთარი ძველი ცოდვების სიმ-

ძიმე აჩერებს. სახელისუფლებო უმრავლესობის დასი, მთლიანად პუტჩისტური სოციუმი, მზადაა დაჩოქებისთვის, ამჯერად უკვე ახალი მამა-მარჩენალისა და მის მიერ შემოგზავნილი „ტროას ცხენების“ წინაშე.

ჯერ კიდევ ამ ოცდახუთი წლის წინათ დიდი ღალატის ანატომიაზე მიუთითებდა დევნილი პრეზიდენტი და გვთავაზობდა მისი დაძლევის **ერთადერთ სწორ გზას**.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორის ქალბატონი მარიკა აბაიშვილის ვრცელ, ფაქტობრივად, მიმოხილვითს კითხვაზე პასუხობს პრეზიდენტი:

„რედ. – მიმდინარე მოვლენებმა თავალნათლივ დაგვანახა, რომ სიკეთის წინააღმდეგ მიმართული ძალები (სუკი, კომპარტია, კომკავშირი, კრემლი და ა.შ.) ახერხებდნენ წლების მანძილზე მომხიბლავი ნიღბების მორგებას საკუთარი რეკრუტიზისათვის. მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა. დღეისათვის გამჟღავნებული ბინძური ადამიანების „ერისკაცობა“ სავსებით რეალურად გამოიყურებოდა სულ მცირე ხნის წინათაც კი და ბევრნიც მოვტყუვდით.“

საკამათო არ უნდა იყოს, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლის ქურქში გახვეული სუკის აგენტი გაცილებით უფრო საშიშია და გაცილებით მეტი ზიანის მომტანი, ვინემ გაცხადებული ჩეკისტი. ასეთივე სავალალო შედეგებამდე მივყავართ **საქმისადმი უპასუხისმგებლო, ანგარებიან დამოკიდებულებას**, იმისდა მიუხედავად, ამას სუკის აგენტი ამჟღავნებს თუ, **უბრალოდ, არამზადა**. ასეთი მაგალითებიც ბევრი იყო ჩვენ შორის.

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ასეთი ადამიანებისგან ჩვენ სრულად განვთავისუფლდით დღეს, მეტადრე კი, რომ სახვალიოდ კვლავაც არ შემოგვეჯარებიან ისინი.“

დღეს, ამ ინტერვიოდან 25 წლის შემდეგ, ამ მოღალატური სოციუმის მხრიდან „შემოჯარვის“ პროცესმა აპოგეას მიაღწია, ამიტომაც პრეზიდენტის პასუხი არა მარტო ცნობადაა მისაღები, არამედ **სახელმძღვანელოდ უნდა გავიხადოთ ის**:

„დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობაა საჭირო, რათა ფართო მასებს შევავნებინოთ, თუ რაში მდგომარეობს დღეს სი-

კეთის წინააღმდეგ მიმართული ძალების ტაქტიკა. ეს არის უაღრესად დახვეწილი დემაგოგია, ახალი „დემოკრატიული და ქრისტიანული“ ნიღბების მორგება. ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებს, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ცნობდა ხალხი. იყვნენ აშკარა აგენტები, კრემლისა და სუკის ღია ემისრები, მაგრამ უფრო საშიში იყვნენ და არიან „წყალქვეშა ნაგები“ და „ტროას ცხენები“, რომელთაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს ხალხისა და საზოგადოების დაბნევაში, მოტყუებაში. საბჭოთა პერიოდში მათ „დისიდენტების“ სახელებიც კი ჰქონდათ, ან „ნეიტრალური“ ინტელიგენტების, „რეალისტების“ და ა.შ. ყოველ შემთხვევაში, არავინ იცოდა მათი ნამდვილი მისია, როდესაც მე ვამხელდი ასეთ პიროვნებებს, თვით ჩვენს მომხრეებშიც კი გაისმოდა უკმაყოფილო ხმები: „აჭარბებს“, „აზვიადებს“, „ყველგან აგენტები ეჩვენება“. ახლა კი ვრწმუნდებით, რომ თურმე მეც არ მქონია სრული ინფორმაცია ყველას შესახებ, იმდენად ოსტატურად ინიღბებოდნენ ისინი.

რედ. – ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგაჩნიათ თუ არა, რომ კანონიერების აღდგენისთანავე ხელისუფლება და მთავრობა უპირველესად საკუთარი თავის მიმართ უნდა გახდეს ზედმინევნით მომთხოვნი და ფხიზელი, რათა მომავალში არავითარი ძალაუფლება არ ჩაუვარდეს ხელში მათ, ვისთვისაც საკუთარი პატივი უფრო ღირებულია, ვიდრე საქმე.

პრეზიდ: – ჩვენი თავისადმიც, ცხადია, უფრო მომთხოვნნი უნდა გავხდეთ, უფრო მკაცრნი, შეცდომებისაგან არც ჩვენ ვიყავით დაზღვეულნი, მაგრამ, როგორც იტყვიან, „ზოგი ჩირი მარგებელია“.

დღეს უფრო მეტი ვიცი საკუთარი შეცდომების შესახებ, უფრო დაზღვეულნი ვართ შენიღბულთა ხრიკებისა და ფანდებისაგან. ჩვენ არ უნდა ვემსგავსოთ ბურბონებს, რომელთაც საფრანგეთის რევოლუციამ არც არაფერი შემატა და არც არაფერი ასწავლა“ (კრებული, ტ. III, გვ. 219–220, 1993 წლის 17 იანვარი).

ბატონი ზვიადის ეს დახასიათება მაშინდელი სიტუაციისა

ზედმინევით, ის კი არა, მეტადაც მიესადაგება დღევანდელ ვითარებას. დღეს უფრო რთულია, სრულ გაუგებრობაში მოქცეულ მასებს შევაგნებინოთ „სიკეთის წინააღმდეგ მიმართული ძალების ტაქტიკა“, დავანახვოთ მათ, „ახალი დემოკრატიული“ და „ქრისტიანული“ ნიღბების მიღმა არსებული ფაქტობრივი სახე მოლაღატეთა, მათი „უაღრესად დახვეწილი დემაგოგია“, რომ ისინი წარმოადგენენ ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებს; შევასხენოთ პატიოსან ხალხს, რომ ისინი, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ცნობდნენ ამ მგლებს, რომ განსაკუთრებით საშიში არიან „წყალქვეშა ნავეები“ – ივანიშვილები და ოლიგარქია და „ტროას ცხენები“ – ზურაბიშვილები და მათი დასი. ისინი მოსისხლე მტრები იყვნენ და არიან კანონიერი ხელისუფლებისა და პირადად ზვიად გამსახურდიასი.

ბატონი ზვიადი ბრძანებს, რომ ამ „ტროას ცხენებმა“ თავის დროზე დისიდენტური იმიჯიც კი შეიქმნეს. სინამდვილეში კი არავინ უწყოდა მათი ნამდვილი მისია. ისინი დღეს კიდევ უფრო სრულყოფილად ინიღბებიან ამ ფსევდოდემოკრატიზმითა და ფსევდოდასავლურობით და ანადგურებენ დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოებრიობას, ეროვნულ სულიერებასა და ქართულ იდეას.

ამ უდიდესი ლალატის საწინააღმდეგო წამლის გამოგონება არ დაგვჭირდება, თუკი გონების თვალს მივაპყრობთ ბატონი ზვიადის რჩევებსა და მოწოდებებს, რომ **უფრო მომთხოვნი, უფრო მკაცრი უნდა გავხდეთ ჩვენი თავის მიმართაც. მუდამ გვახსოვდეს, რომ შეცდომებისაგან არც ჩვენ ვიყავით დაზღვეულნი. დღეს უფრო მეტი უნდა ვიცოდეთ ამ შეცდომების მიზეზთა შესახებ და მეტად არ უნდა გავიმეოროთ ის.** კონკრეტულად: უნდა ვისწავლოთ ჩვენც და ხალხსაც უნდა განვუმარტოთ ამ „წყალქვეშა ნავეებისა“ და „ტროას ცხენების“ არსებობის, მათი საქმიანობის უკიდურესი მავნებლობის შესახებ, დაზღვეულნი უნდა ვიქნეთ შენიღბულთა ხრიკებისა და ფანდებისაგან. მათ ფანდებში გახვეულნი ნუ ვისვრით როყიო სიტყვებს, ვილაცის მიმართ ჩვენი პირადი მტრული დამოკიდებულების თუ პოლიტიკურ სიტუაციებში სრული გაურკვეველობის გამო **ნუ გავხდებით ამ ტრამალის მგლების კერძნი.**

მე არ დავინწყებ რაიმე ახალი პოსტულატის შემოთავაზებას, ეს მრავალჯერ გაუკეთებია უზადო ერისკაცსა და თანამედროვე დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის შემოქმედს (მიუხედავად 90-იანი წლების თითქმის მთელი პოლიტიკური სამყაროს წინააღმდეგობისა), პირველ პრეზიდენტს. ზემოთ მოყვანილ მსჯელობაში არც ის ამოდის მხოლოდ საკუთარი თავიდან, არამედ გვთავაზობს დემოკრატიული სამყაროს შემოქმედთა საწყისიერი გამოცდილებიდან მომდინარე სიტყვათქმის პერიფრაზს: „ჩვენ არ უნდა ვემსგავსოთ ბურბონებს, რომელთაც საფრანგეთის რევოლუციამ არც არაფერი შემატა და არც არაფერი ასწავლა“. ბურბონებისა რა გითხრათ და ფაქტი ისაა, რომ ჩვენს შემთხვევაში, ამ პუტჩისტური ალიანსიდან მომდინარე ფსევდოსოციუმს ვერც კანონიერი ხელისუფლების დამხობის შედეგებმა და ვერც „ვარდების რევოლუციის“ ქაცვებმა ასწავლეს ვერაფერი და დღეს მივიღეთ უკიდურესად გამწვავებული სიტუაცია, როცა პროვინციულ-კრიმინალური ოლიგარქიზმი თავის აპოგეას აღწევს და „წყალქვემა ნავებისა“ და „ტროას ცხენების“ აღლუმი ეწყობა.

მაშასადამე, თუ რეალურად შევხედავთ სიტუაციას, ბევრ რამეზე პასუხისმგებელი თითოეული ჩვენგანიცაა, ვინც ამ პოსტპუტჩისტური სოციუმის ელიტურ მმართველობაში არ მონაწილეობს, ვინაიდან თითქმის დავივინწყეთ ბრძოლის ის მიმართულება, რომელზედაც მიგვიითებდა პრეზიდენტი და, სამწუხაროდ, **გამოვიშავეთ რალაც მუდმივად მოქმედი თავგასამართლებელი იმუნიტეტი** რუსეთის იმპერიის ვერაგობისა და მათი ადგილობრივი ემისრების მოღალატური ქმედების ნახევრად მკვეთრ ტონში მოხსენიებისა.

სამწუხაროდ, ეს დიდწილად დასჩემდა ეროვნული ხელისუფლების მომხრე ინტელიგენციას, რამაც ისინი მიიყვანა უპრინციულობამდე და ყოველგვარი მკვეთრი მოძრაობების გარეშე მიჰყვებიან სახელისუფლებო კომპასის მიერ ნაჩვენებ გზას, ის კი თითქმის ყველა შემთხვევაში და ყველა საჭირობოროტო სიტუაციაში, კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ, არასწორ მარშრუტს სახავს და გვამყოფებს მუდმივ



დაძაბულობაში. დაბნეულობა და უგზოუკვლობა ჩვენი არსებობის თანმდევ და განუყოფელ ნაწილად იქცა.

ამიტომ მინდა შევახსენო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენაში მონაწილე და მისი შენარჩუნებისთვის მებრძოლთ, ჭეშმარიტად პატრიოტულ-ანტიოკუპაციურ და ანტიოლიგარქიულ ძალებს, თავიანთი გულისყური მიმართონ ზვიად გამსახურდიას მიერ დასახული ერთადერთი სწორი გზისკენ, რომ ყოველ ჟამს და ყოველ სიტუაციაში, როცა გვიხდება ბრძოლა შავბნელი ძალების წინააღმდეგ, **„საჭიროა ერთიანი შეტევა საყოველთაო მხილების გზით“**, ესაა გზა კანონიერებისა და სამართლიანობის გამარჯვებისა. ეს კი მოითხოვს **„ყველა ჯანსაღი ეროვნული ძალის კონსოლიდაციას... რათა ვიხსნათ ერი დაღუპვისგან“** (იქვე, გვ.219). მაშინ ეს არ გააკეთეს, ახლა კი თვალნათლივ ვხედავთ, ჩვენდა დასალუბად, რამდენად შორს შევედით ამ პერმანენტული ლაღატის უღრან ტყეში.

## ისევ „ცხრა აპრილის“ წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაზე

აღბათ დადგა დრო, მოვეშვათ უაზრო ყბედობას და წამდაუნუმ ნაჯექ-უკუჯექობას „ნაცებიდან-ქოცებამდე“ და უაზრო ბორიალს ამ ლაღატთანა წრეში. რა თქმა უნდა, ჩვენ მხედველობაში არ გვაქვს, სახელმწიფო სისტემების გავლით ამ პროცესში გინდა თუ არა ჩართულია ფართო ფენები, არამედ ის **სახელმწიფოს წარმმართველი პოლიტნრე**, რომლებიც გეგმაზომიერად ანადგურებენ ყოველივე ფუძემდებლურს, რომელზედაც დგას მკვდრეთიდან აღმდგარი ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა.

ამ პროცესს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის საფუძველთა საფუძვლის მოშლისა შევარდნაძის ჩამოსვლის დღიდან მიეცა ორგანიზებული ხასიათი. ის სათავეს იღებდა ე.წ. ოპოზიციონერთა საქმიანობიდან, რომლებიც „წითელ ინტელიგენციასთან“ ერთად ახალი პუტჩისტური ალიანსის მთავარ საფუძველს წარმოადგენდნენ. ისინი ედუარდის ინტერნაციონალურ-ორგანიზატორული „ნიჭით“ გაფორმდნენ ფსევ-

დოსოციუმად. მათ პირველივე შეტევა სწორედ ამ საფუძველთა საფუძველზე – 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტზე მიიტანეს. შევარდნაძის ჩამოსვლიდან ერთი თვის თავზე 9 აპრილი – ქართული სახელმწიფოებრიობის მკვდრეთიდან აღდგენის დღე კი არ აზიანებს ხალხს, არამედ ის გლოვის დღედ გაუხადეს ერს. ამით ედ. შევარდნაძემ, 1989 წლის 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტის ორგანიზატორმა, სრულად აღისრულა თავისი სურვილი, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა: **აილო სრული რევანში მაშინდელი მარცხისთვის**. საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების გზით ლეგიტიმირებული ხელისუფლება – დამოუკიდებელი სახელმწიფო მმართველობა, სახალხო არჩევნებით არჩეული პრეზიდენტი დამხობილ იქნა, ხოლო უდიდესი ბრძოლითა და ძალისხმევით აღდგენილი სახელმწიფოებრიობის გამოცხადების დღე ზარისა და გლოვის დღედ აქციეს, რათა სამითაყამიოდ ჩარჩენოდა ხალხს გულში „მისი საყვარელი სამშობლოს“ (ზ.გ.) – რუსული იმპერიის წინაშე შიში და ძრწოლა, ჩაეკლა აბობოქრებული სული კოლხ-იბერული მოდგმისა. ის ამას ამკვიდრებდა ცეცხლითა და მახვილით, ცდილობდა, ხალხის გონებიდან ამოეშანთა **ამ უდიდესი დღესასწაულის იმთავიდანვე დადგენილი არსი**, რომ „სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი, 9 აპრილს წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ, და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა“ (კრებ. ტ. I, გვ. 335). დიახ, როგორც ყოველთვის, ხალხის ამ ნებას უპირისპირდებოდა ე.წ. დემოკრატიული რუსეთის მიერ დასმული ეს ე.წ. დემოკრატი, რათა **ხალხს არ ჰქონოდა თავისი დიადი ნების აღსრულების შესაბამისი ეროვნული, სახელმწიფოებრივი, ნამდვილად სახალხო დღესასწაული, რადგან ამ დღეს ერი არა მარტო ამქვეყნიურად აღივსებოდა თავისი მოდგმის მრავალსაუკუნოვანი ოცნების ახდენის სიხარულით, არამედ ის სულიერადაც დაუკავშირდებოდა 9 აპრილს წამებულთა სულებს, ყველა იმათ სულებს, რომელთაც საუკუნეთა მანძილზე თან ჩაიყოლიეს ეს აუხდენელი ოც-**

**ნება თავისუფლებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და იქნებოდა ერთი დიდი ზეიმი მინიერი და ზეციერი საქართველოსი.**

აი, რა დიდებულება წაართვეს ხალხს პუტჩისტური ალიანსის ხელისუფლებამ და მის მიერ ფორმირებულმა ფსევდოსოციუმმა, **უფრო ანტისოციუმმა – უცხო სხეულმა კოლხ-იბერიული მოდგმის ერთიან ეროვნულ სხეულში.**

მას ვერაფერი დააკლო ამ მოლაღატურ-ანარქიული რეჟიმის დამამხობელმა რევოლუციამაც, რომლის **სათავეში მოქცეული ელიტის** უდიდესი ნაწილი ვერ განთავისუფლდა **პუტჩისტური ალიანსის იდეოლოგიისგან** და თვითონაც ჩათრეულ იქნა ამ მორევში.

ზემოთ ითქვა და გავიმეორებთ: **პოსტრევოლუციურმა მმართველობამ საკუთარ უბეში გამოზარდა კონტრრევოლუცია**, რომელიც **ახალ ხარისხში და ახალი ფორმით** სრულად აღადგენს პოსტპუტჩისტურ იდეოლოგიას ფსევდოსახელმწიფოებრიობისას. ის მიწასთან ასწორებს ყოველივე იმას, რაც **დაკავშირებულია კანონიერი ხელისუფლების მიერ მიღებულ ფუძემდებლურ აქტებთან და მისგან მომდინარე პროცესებთან**, თუ როგორ აკეთებენ ამას ეს პოსტპუტჩისტური ფსევდოსოციუმი და თანამედროვე **კონტრრევოლუციური პროვინციული ოლიგარქიული მმართველობა**, ამაზე საკმარისად ითქვა ამ კონკრეტული საკითხისადმი მიძღვნილი ისტორიულ და პოლიტიკურ მიმოხილვითს ჩანართებში.

ამიტომ ნათელი უნდა იყოს: ეს თითქოსდა წმინდად სუბიექტური (ზეიმის) საკითხი უდიდეს ისტორიულ-პოლიტიკურ პრობლემებთან არის დაკავშირებული და მისი გადანყვეტა შესაძლებელია ოდენ საერთო-სახალხო ძალისხმევით, რომელზედაც გამუდმებით მიგვითითებდა ზვიად გამსახურდია და რაზედაც ზემოთ ითქვა, რომ აუცილებელია ყველა ჯანსაღი ეროვნული ძალის კონსოლიდაცია. **დღეს ასეთი კონსოლიდაციის გზა ეროვნულ თანხმობაზე გადის.** ამის აუცილებლობაზე თითქოსდა ყველანი (მხედველობაშია ზვიადის მიერ მითითებული ფენა) თანხმდებიან, ის კი არა, ყოფილ და ახლანდელ ხელისუფლებსაც სულ ენაზე აკერიათ, მაგრამ **საქმით**

**ყველანი მტრობენ ამ პროცესს.** ის კი არა, ორგანიზაციულად არსებული ასეთი ორგანიზაციები (პროტოტიპების ჩათვლით) განადგურდნენ, ერთადერთი დღემდე იურიდიულად არსებული ეროვნული თანხმობის კავშირიც, არა მარტო ეკონომიკურად სახსარგამოცლილი, არამედ ირგვლივ არსებული მუდმივი ლალატისა და უპრინციპობის პირობებში სულიერადაც შელახული გარიდებია არა მარტო ამ საშინელებას, არამედ საკუთარ თავსაც. ამიტომ დღეს არ ჩანს ისეთი ძალა, რომელიც აღასრულებდა განადგურებული ეროვნულ-განმათავისუფლებული მოძრაობის მისიას და **აიძულებდა** ამ აშკარად ანტიხალხურ ხელისუფლებას, ამ უდიდესი ეროვნული დღესასწაულისთვის თავისი კუთვნილი ადგილი რომ მიეჩინა.

მიუხედავად ასეთი მძიმე ვითარებისა, ჩვენ არა გვაქვს უფლება ყურების ჩამოყრისა, ვალდებული ვართ, ის მაინც გავაკეთოთ, რომ ბოლო მოვულოთ ბნელეთიდან ხელოვნურად გამოხმობილ სინამდვილეში არარსებულ დაპირისპირებას 1918 წლის 26 მაისისა და 1991 წლის 9 აპრილის დღესასწაულებს შორის, რაც ასე ცხადად წარმოჩინდა ზემოთ მოხმობილ ისტორიულ თუ პოლიტიკურ მიმოხილვებში.

ამ მიმოხილვებითა და ნიაღვრებით ჩვენ თითქოსდა ზედმეტად დავამძიმეთ ეს კონკრეტული, ერთი შეხედვით, სუბიექტური პრობლემა და თემას გადავუხვიეთ, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ამ ორი აქტის ურთიერთმიმართების საკითხის გადანყვეტა და მათთვის კუთვნილი ადგილის მიჩნევა ჩვენი ეროვნული დღესასწაულებისა და განსაკუთრებული თარიღების რიგში – ეს კომპლექსური კვლევის საკითხია, ვინაიდან სწორედ რომ შიდაპოლიტიკური, პარტიული დაპირისპირებულობის (თუნდაც სოცდემკებისა და ეროვნულ-დემოკრატიებისა, არაფერი რომ არ ვთქვათ პუტჩისტურ ალიანსზე) შედეგადაა ხელოვნურად შექმნილი.

ეს საკითხი წმინდა პოლიტიკურ ჭრილში, **ეროვნული თანხმობის პრობლემის პრინციპითაა გადასაწყვეტი**, ვინაიდან ზემოთ მიმოხილულ გაუკუღმართებათა შედეგად ის ერთ-ერთ საჭირბოროტო საკითხადაა გადაქცეული. მის გონივრულად გადანყვეტაზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი სახელმწიფო-

ებრიობის არსებობის არა მარტო ფორმალური მხარე, არამედ მისი არსობრივი კონტექსტი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო არენაზე.

ასეთია ის ისტორიული და რეალურ-პოლიტიკური დანაშრევეები, რომლებიც აყალიბებენ ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ფუძემდებლური აქტების ეგზისტენციას, ე.ი. რაც განსაზღვრავს მათ ბედ-იღბალს, არსებობის საზრისსა და შესძენს მათ ახალ სიცოცხლეს. ამიტომ **აუცილებელია ამ აქტებისადმი ორგვარ – დისპარატულ მიდგომათა მაფორმირებელი მოტივების აღმოფხვრა.**

ამდენად, დღეს ის მაინც უნდა შევძლოთ, რომ ისტორიულ-პოლიტიკური, თუნდაც მეცნიერული კეთილსინდისიერების ფარგლებში, თეორიულ დონეზე გადავწყვიტოთ ეს ხელოვნურად ერთმანეთს ძალიან დაშორებული მიდგომა ამ ეროვნულად და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხისადმი. ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია საფუძველი დაუდოს ეროვნული თანხმობის ასევე ხელოვნურად მიგდებული პროცესის რეალურ განახლებას ამ კონკრეტული მაგალითით.

ამიტომ ჩვენ არ უნდა ვკმაყოფილდებოდეთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტისთვის მისი კუთვნილი ადგილის მიჩენით უსაქმურთა თავშესაფრად და საკამათოდ ქცეული პარლამენტის შენობაში, არამედ ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს მისადმი მიდგომა. თუ ფორმალურ მხარეზე მიდგა საქმე, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, ქართულ პარლამენტს უნდა ამშვენებდეს საამაყო ლოზუნგები: „1990 წლის 31 მარტის რეფერენდუმი – საქართველოს მოსახლეობის სოლიდარობის დღეა“ და „1991 წლის 9 აპრილი – საქართველოს სახელმწიფოებრიობის მკვდრეთიდან აღდგენის დღეა“. მათზე უნდა იზრდებოდეს მომავალი თაობა, მათში ჩადებული იდეით უნდა ფორმირდებოდეს ის ნაციონალური ღირებულებანი, რომლის მატარებელიც უნდა იყოს ქართული სახელმწიფოებრიობა.

ფაქტი ისაა, რომ ეს არ არის რაღაც ფორმალურ დონეზე გადასაწყვეტი საკითხი, არამედ ეს არის დიდი სახელმწიფო-

ებრივი პრობლემა. მისი გადანყვეტა ძალუძს იმ ხალხს, ვისი საყოველთაო ნების გამონახვითაც მკვდრეთიდან აღსდგა ქართული სახელმწიფოებრიობა.

ამდენად, ამ საკითხის ფუნდამენტურად გადანყვეტისთვის აუცილებელია ეროვნული მობილიზება ცრუსახელმწიფოებრივი იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომლის მეშვეობითაც ცდილობენ, მიჩქმალონ მშვიდობიანი დემოკრატიული გზით მოპოვებული ეს უდიდესი გამარჯვება ბოროტების იმპერიაზე, მიჩქმალონ ის, რომ **28 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვება – ეს იყო დემოკრატიზმის პრინციპის გამარჯვება საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში.** დემოკრატიულობის თვალსაზრისით, ამ ნამდვილად სახალხო არჩევნებთან მიახლოებული არჩევნებიც კი დღემდე ვერ ეღირსა ქართველ ხალხს, **ამიტომ სამხედრო-კრიმინალური პუტჩი სწორედ ამ დემოკრატიული პრინციპების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული.** ამ ანტიდემოკრატიულ პრინციპზე შექმნილი ეს პოსტპუტჩისტური ფსევდოსოციუმი დღემდე ინარჩუნებს პოზიციებს როგორც სახელისუფლებო, ასევე საბანკო-საფინანსო სისტემებში და ფსევდოდემოკრატიზმით ანადგურებს სახელმწიფოებრიობის ყოველგვარ თავისუფალ სახალხო გამოვლინებას.

**დღეს გამოსავალი ჭეშმარიტად ეროვნული და დემოკრატიული იდეების ირგვლივ ხალხის კონსოლიდაციაშია.** მისი განხორციელების საშუალებას კი წარმოადგენს ეროვნული თანხმობა ხალხისთვის უმთავრეს სასიცოცხლოდ აუცილებელ საკითხებში და, უპირველეს ყოვლისა, საყოველთაოდ თავისუფალი, რეალურად დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებაზე, რომელსაც ჩაატარებს არა დღევანდელ ცსკო, არამედ თანხმობის შედეგად შექმნილი საარჩევნო კომისია.

ამ დიდი საქმის პრელუდიად შეიძლება იქცეს ჩვენ მიერ აქ განხილული საკითხის – თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის ორ აქტის მნიშვნელობისადმი ორგვარი მიდგომის საკითხის გადაჭრა. ამიტომ გვინდა მკითხველს დასკვნის სახით შევთავაზოთ ამ ვრცელი ისტორიული და პოლიტიკური მსჯელობებიდან და მკტიცებულებებიდან გამომდინარე ჩვენეული ვერსია.

\* \* \*

ზემოთ მიმოხილული ისტორიული თუ პოლიტიკური მასალის საფუძველზე, პირველ რიგში, უნდა ჩამოვყალიბდეთ 1918 წლის 26 მაისის „დამოუკიდებლობის აქტის“ არსის საკითხზე და მას თავისი კუთვნილი ადგილი მივუჩინოთ სრულიად საქართველოს (კოლხ-იბერული მოდგმის) ნაციონალურ დღესასწაულთა და ღირსშესანიშნავ ქრონოსთა (უძველესიდან მომდინარე ღირსშესანიშნავ თარიღთა) რიგში.

მთელი რიგი მტკიცებულებებითა და მსჯელობებით დავრწმუნდით იმაში, რომ ერთმორწმუნე – მათი ქრისტიანულობის გამო მოხმობილმა – რუსეთის იმპერიამ საქართველოს სამეფო-სამთავროებს, ზოგადად ქართველ ხალხს, **მთლიანად წაართვა პოლიტიკურად არსებობის უფლება**, არაფერი რომ არ ვთქვათ სახელმწიფოებრიობაზე, ხელი მიჰყო მის **დენაციონალიზებასა და გარუხებას**, კულტურის ძირფესვიანად ამოძირკვას, ეკლესია-მონასტრების გაძარცვით დაწყებული მათი რუსულ ყაიდაზე გადაკეთებითა და შეღებვა-გადათეთრებით დამთავრებული. მაშასადამე, **ქართველ ხალხს სრულად წაჰგვარეს თავისუფლება**.

ამდენად, 26 მაისის აქტით უპირველესად აღსრულდა ქართველი ხალხის, საქართველოს მოსახლეობის ღვთითმონიჭებული უდიდესი მოვალეობა რუსულ-შოვინისტური დესპოტიის უღლისგან **განთავისუფლებისა**. **ამაშია მისი უმთავრესი მისია**, შემდეგ სხვა დანარჩენი: დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აშენების სურვილის გაცხადება იქნება თუ ამ დამოუკიდებელი სახელმწიფოს დემოკრატიულ პრინციპების საფუძველზე – რესპუბლიკის სახით – ფორმირება, დამოუკიდებლობის სხვა ატრიბუტების საერთაშორისო ნორმების ფუნდამენტზე აგება და ა.შ.

26 მაისის აქტისთვის განგებით მონიჭებული ძალის შედეგად გახდა იძულებული ლენინის საბჭოთა რუსეთი **1920 წლის ზავით ელიარებინა საქართველოს განთავისუფლება და დამოუკიდებელი არსებობა**. სწორედ ამ ღვთიური მისიის – განთავისუფლების აღსრულების გამო იყო, რომ ოკუპაციისა და საბ-

ჭოთა დიქტატურის პირობებშიც კი ერთი ხელის მოსმით ბოლო ვერ მოუღეს მას და მცირე ხნით, მაგრამ მაინც დღესასწაულობდნენ ამ დღეს და **მაშინ ის სინამდვილეში იყო განთავისუფლების დღის ზეიმი.**

შესაბამისად, სწორედ ამ აქტის განმათავისუფლებელი მისის საფუძველზე, მართალია, ფორმალურად, უკიდურესი შეზღუდული სახით, მაგრამ მაინც მოხდა სსრკ-ს კონსტიტუციაში მისი დაფიქსირება **თავისუფალი რესპუბლიკის** სტატუსით. მიუხედავად იმპერიის 70-წლიანი მცდელობისა, მოესპო 26 მაისის იდეები, ჩაეკლა თავისუფლების სულისკვეთება, მან ეს ვერ შეძლო.

26 მაისის აქტში მოცემულმა ამ **განმათავისუფლებელმა არსმა** გახადა ის 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველი და მასში გამოხატული ხალხის ნების განხორციელების წყარო, რომელიც დეკლარირებულ იქნა 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ.

**ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ცხადია, 1918 წლის 26 მაისის აქტის უმთავრესი ღირებულება ხალხისთვის (ერისთვის) იმთავითვე ღვთით მონიჭებული განმათავისუფლებელი მისიის აღსრულებაშია (განხორციელებაში).**

ამიტომ **26 მაისი არის საქართველოს რუსული-შოვინისტური იმპერიის 117-წლიანი მონობის უღლისგან განთავისუფლების გამოცხადების დღე.**

შესაბამისად, საქართველოს (კოლხ-იბურული მოდგმის), რამდენიმე ათასწლოვან, ღირსშესანიშნავ ქრონოსთა და ნაციონალურ დღესასწაულთა რიგში 26 მაისი კონსტიტუციურად უნდა დავამკვიდროთ, როგორც **საქართველოს რუსეთის იმპერიის უღლისგან განთავისუფლების საერთო-სახალხო დღესასწაული – „განთავისუფლების დღე“.** ასეთი ფორმა ეროვნული დღესასწაულებისა მრავლადაა თანამედროვე ცივილიზებული ერების კალენდრებში, ე.ი. ეს საყოველთაოდ მიღებული ფორმაა სახალხო-ეროვნული დღესასწაულისა.

\* \* \*

„განთავისუფლების დღის“ არსში ნათლად იკვეთება, რო-



გორც ეს თავის ადგილას გავარკვეით, სამი უმნიშვნელოვანესი ფუძემდებლური ღირებულებანი: კოლონიური უღლისაგან განთავისუფლება; საქართველოს მოსახლეობის (ერის) ნების გამოხატვა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისა და მისი ფორმის – დემოკრატიული რესპუბლიკა – განსაზღვრისა. სწორედ ამ გარდაუვალ ღირებულებათა არსის მომცველობის კვალობაზე იქცა ის კონსტიტუციური (შიდასახელმწიფოებრივი) და ყველა საერთაშორისო ნორმების დაცვით დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის ისტორიული საფუძველი, ხოლო **1991 წლის 31 მარტის სარეფერენდუმო კითხვაში მისი დაფიქსირებით მან შეიძინა სრული ხალხურობა და ახალი სიცოცხლე, ახალი ლეგიტიმაცია**. ამით ის იქცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების შემადგენელ ერთ-ერთ კონსტრუქციად, რითაც მან მთელი თავისი პოლიტიკური მისია სრულად გადასცა **1991 წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმით გამოსატყული ხალხის ნების განსაზღვრულობას**, რომლითაც გაცხადდა: „ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოსატყულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე“.

1991 წლის 9 აპრილის აქტში დაფიქსირებული ამ დებულებით განისაზღვრა საკუთრივ ამ აქტის, როგორც ფუძემდებლური დოკუმენტის, სახელმწიფოებრივ-კონსტიტუციური მნიშვნელობა, ასევე, 1918 წლის 26 მაისის დოკუმენტის ისტორიულ-განმათავისუფლებელი არსი.

ამდენად, 1991 წლის 9 აპრილის „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“ და მის საფუძველზე შექმნილი სტატუსი წარმოადგენს თანამედროვე ქართული სახელმწიფოს არსებობის საფუძვლისა და არსის განმსაზღვრელს, მის სუბსტანციას. შესაბამისად, უნდა გაქარწყლდეს ყოველგვარი სკეპსისი ამ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი დღისადმი. ერთდასამუდამოდ უნდა შევთამბმდეთ იმაში, რომ თანამედროვე ქართული სახელმწიფოებ-

რიობის „მკვდრეთიდან აღდგენის“ გამოცხადების ეს დღე – **9 აპრილი წარმოადგენს სრულიად საქართველოს საყოველთაო – ნაციონალურ დღესასწაულს.**

სათანადოდ, საზეიმოდ დღეთა ქრონოსში, მისი თანამედროვე პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, **მას უნდა დაუმკვიდრდეს ქვეყნის (სახელმწიფოს) უპირველესი დღესასწაულის სტატუსი.** ამ კონტექსტიდან გამომდინარე, კანონმდებლურ საფუძველზე უნდა განისაზღვროს 26 მაისისა და 9 აპრილის დღესასწაულთა შინაარსობრივი და ფორმითი სტატუს-კვო.

\* \* \*

ამ ორ საზეიმო თარიღთა სტატუს-კვოდან გამომდინარე კი, უნდა განისაზღვროს მათი საზეიმოდ აღნიშვნის ფორმა და შინაარსი.

26 მაისი – „**განთავისუფლების დღე**“ უნდა წარმოადგენდეს ისტორიული მნიშვნელობის მატარებელ სახალხო დღესასწაულს, შესაბამისად, მისი აღნიშვნა უნდა ხდებოდეს სახალხო (სამოქალაქო) დღესასწაულის ფორმით, რომელშიც ერთმანეთში შერწყმული იქნება საერო-კულტურული და სასულიერო-სარწმუნოებრივი ღონისძიებები ყველა კონსტიტუციური და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმის სრული დაცვით, როგორც ეს შეეფერება დემოკრატიული წყობის სახელმწიფოს.

მაგრამ, ამასთან, ამ ზეიმში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რომელმაც საქართველოს რუსული იმპერიის უღლისგან განთავისუფლების გზაზე პირველი კვალი გაავლო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიურობის მოპოვებით.

**ამდენად, 26 მაისის – „განთავისუფლების დღის“ ზეიმი უნდა იყოს საერო და სასულიერო ზეიმის ერთიანი პროექტი, ნამდვილი სახალხო დღესასწაული, ნაკლები სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური დატვირთულობით და მეტი კულტურულ-პატრიოტული მიზანსწრაფულობით.**

9 აპრილი, როგორც მსოფლიოს ცივილიზებულ ერთა წი-

ნაშე საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის გამოცხადების დღესასწაული, თავისი არსით **წარმოადგენს პოლიტიკური მნიშვნელობის და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელ წმინდად ნაციონალურ სახელმწიფო დღესასწაულს**. შესაბამისად უნდა წარიმართოს მისი აღნიშვნა, **„ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი“** (ზ.გ.)

ეს დღესასწაული „აღვსებული“ უნდა იყოს სახელმწიფოებრივი აუცილებლობით ნაკარნახევი ღონისძიებებით და **წარიმართოს სამხედრო და საერო (სამოქალაქო) აღლუმის თანხლებით**. ეს სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობაა ნახევრად ოკუპირებული და თავისუფლების დამკვიდრებისთვის მებრძოლი ქვეყნისთვის. ამას მოითხოვს არა მარტო პატრიოტული აღზრდის მოთხოვნები, არამედ უნდა იყოს მუდმივი შეხსენება იმისა, რომ ჩვენ პერმანენტულ ბრძოლაში ვიმყოფებით „ბოროტების იმპერიასთან“ – მშვიდობის დაუძინებელ მტერთან – და მანამდე არ გვაქვს ჩამუხვლის უფლება, სანამ არ მოეღება ბოლო ოკუპაციას და არ აღსდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფოებრიობა, სანამ თუნდაც მტრის ერთი ტანკი დგას ამ მიწაზე ან თუნდაც ერთი ლტოლვილი მაინც მოკლებული იქნება უფლებას, დაუბრუნდეს თავის მამულს, თავის სახლს.

ცხრა აპრილის დღის აღნიშვნის აუცილებლობის სულიერი არსი მისი გამოცხადების დღესვე განისაზღვრა საქართველოს უზენაესი საბჭოსა და მისი თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას მიერ: „სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება ცხრა აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი, ცხრა აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა“.

ამდენად, **ცხრა აპრილის დღესასწაული თავისი ამ ორი ასპექტით: სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და სულიერ-სიმბოლურით წარმოადგენს საქართველოს უმთავრეს ნაციონალურ დღესასწაულს**. ვინც ამის მიჩქმალვას ცდილობს, ის უდიდეს დანაშაულს და ღალატს სჩადის საქართველოს ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე.

## თავი II

### პრეზიდენტის ინსტიტუტი და ხალისუფლების სახალხო ლეგიტიმაციის პრობლემა

#### ზომადი ნაწილი

ნიგნის პირველ თავში წამოჭრილი და განხილული საკითხები თანამედროვე ქართული სახელმწიფოს არსებობის ფუძემდებლური აქტების როლისა და მნიშვნელობის თაობაზე, თავის ლოგიკურ გაგრძელებას მოითხოვს სახელმწიფო მმართველობის პირამიდის კონსტრუირების თვალსაზრისით.

მაგრამ სანამ ამ პრობლემის განხილვას დავიწყებდეთ, კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ გადაუდებელი ამოცანაა წინა თავებში ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტით განხილული საკითხის – 1918 წლის 26 მაისის, დამოუკიდებლობის აქტის მიღების თარიღის, **საქართველოს განთავისუფლების (თავისუფლების) დღედ დადგენის**, ხოლო 1991 წლის 9 აპრილის, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტის გამოცხადების დღის, **თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მთავარ დღესასწაულად** (სახელმწიფო დღესასწაული) **გამოცხადება** კონსტიტუციურად. ძალზე საშურია მათი ადგილის გამოკვეთა საერთაშორისო არენაზე, როგორც ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ატრიბუტისა.

\* \* \*

ჩვენს სინამდვილეში, დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობისა და ფუნქციონირებისთვის ასევე **ატრიბუტული მნიშვნელობის საკითხია** სრულფასოვანი, პირდაპირი გზით არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობა. სხვა ყველაფერი განზე რომ გადავდოთ, ისეთი პატარა და დემოკრატიული აღმშენებლობის გზაზე შემდგარი ქვეყნისთვის, როგორც ჩვენია, რომელიც გარს მოჯარული მტრების შემოტევის ში-

შით ირხევა, როგორც ლერნამი, მისი არსებობა სასიცოცხლოდ აუცილებელია.

ჩვენთვის ისტორიულად ცნობილია ასეთი რხევისგან თავის დაცვის გზა: „ჩვეულებისამებრ მამულისა სვლისა, ჭირისა მოთმინებებით“. შესაბამისად, დღევანდელ ურთულეს, პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმებით აღსავსე ვითარებაში, დაუყოვნებლივაა მოსაგვარებელი პრეზიდენტის საყოველთაო-სახალხო არჩევნების გზით არჩევისა და მისთვის სრულფასოვანი სახალხო ლეგიტიმაციის მინიჭების ნაძალადევად შექმნილი პრობლემა.

### **ეს საკითხი ხანგრძლივი პერიოდისთვის უნდა გადაწყდეს.**

ამაზე უარის თქმა ნიშნავს ჩვენი მოსისხლე მტრისთვის, თუნდაც ბევრი სათუო მოყვრისათვის, კარის ღიად დატოვებას. ამიტომ აუცილებელია, სანამ დროა, შეჩერდეს სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმების მიზნით განხორციელებული ის უგუნური ცვლილებები, რომლებიც შეტანილ იქნა კონსტიტუციაში.

ეს უგუნური მიდგომა **სახალხო ლეგიტიმაციისადმი** ზოგადად „მძლავრობასა ქვეშე დამონებულთა და ნაკლოვანებითა და სიგლახაკითა შეკრულთა“ მხრიდან არახალია, ის სათავეს იღებს რუსეთის იმპერიის უღლისგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის გარიჟრაჟიდან და აღორძინდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის კვალობაზე, იმ ბანაკში, რომლის ნაწილი, „დამონებული“ და „სიგლახაკითა შეკრული“, ეწინააღმდეგებოდა ამ თავგანწირულ გამათავისუფლებელ ბრძოლას და რუსეთის გადემოკრატიებისა და კეთილი ნების გამოჩენისთვის მოცდას გვირჩევედა.

მონინააღმდეგეთა მეორე რიგი – ფსევდოპარტიებთან და „ხელმოცარულ პოლიტიკოსებთან შეკრული მაფიოზურ-კრიმინალური ბანდების“ (ზ.გ.) დაჯგუფებები, რომელთა მიზანი იყო ქაოსისა და ანარქიის შენარჩუნება, „უმალღესი ხარისხის“ დემოკრატიული საზოგადოების აშენების მამარდაშვილისეულ ფსევდოლოზუნგს ამოფარებული, ამ გზით ძარცვავდნენ ქვეყანას. პასუხისმგებლიანი საპრეზიდენტო მმართველობის (დემოკრატიული რესპუბლიკის) წინააღმდეგ ყო-

ველგვარი ხერხებით ბრძოლა მათს ამ მძარცველურ ბუნებას შეესაბამებოდა, რომელთანაც ზედმინევნით თავსდებოდა საბჭოური კორუფციული ნომენკლატურის როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური ინტერესები.\*

ამით ის გვინდა ვთქვათ, რომ პრეზიდენტის ლეგიტიმურ ინსტიტუტზე უარის თქმა არასდროს ყოფილა სახელმწიფო ინტერესებით ნაკარნახევი. ეს, მაშინაც და დღესაც, ან პოლიტიკურ-სამართლებრივი უვიცობის მიზეზით ან კიდევ, მიზანმიმართულად, საკუთარი, პირადი თუ ჯგუფური მიზნების ან კიდევ ხარბი ამბიციურობისა და თავხედობის დასაკმაყოფილებლად ხდება.\*\*

\* \* \*

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ სიტუაციაში, რომელშიც იმყოფება დღეს ჩვენი სახელმწიფოებრიობა (ალბათ საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდისთვისაც), ყოვლად დაუშვებელია მმართველობითი სტრუქტურის ფორმირება ე.წ. კლასიკური მოდუსით, ე.ი. აკადემიური პოლიტიკური თეორიებისა და ენციკლოპედიური განსაზღვრების მოშველიებით, უფრო სწორად, მათი სოფისტიკით, როცა ამ კლასიკურ თეორიებს იყენებენ თავიანთი ვიწრო პარტიული, კიდევ უარესი, როგორც ითქვა, პირადი თუ კორპორაციული მიზნების დასაკმაყოფილებლად.

---

\* ისტორიული კონტექსტით, ეს იყო გადამღერება სოცდემების ინტერნაციონალური, ევროპის დემოკრატიისთვისაც სამაგალითო საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების აშენების ილუზორული ლოზუნგისა. მაშინაც ამ ლოზუნგის საბურველქვეშ პატარ-პატარა კლანური ჯგუფები სპეციალურად ინარჩუნებდნენ ანარქიულ სიტუაციას და ძარცვავდნენ ეროვნულ სიმდიდრეს, რაც იყო ერთ-ერთი მიზეზი პირველი რესპუბლიკის დაცემისა. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ნ. მიწიშვილის სტატიის მინისტრ გეგეჭკორისეული შეფასება დაბეჭდილი გაზეთ „Новый день“-ში. ის დაპატიმრებულ ავტორს ეუბნება: „რა ხელმა დაგანერინა, რომ მენშევიკები კომოვიაჟორები არიან რომ ინგლისის ჯარი ამოსანყვეტია... ეს კომივიაჟორები და ანტიეროვნული ჯგუფები ე. წ. პარტიები, ეწინააღმდეგებოდნენ საპრეზიდენტო – პასუხისმგებლიან მმართველობას.

\*\* ხშირ შემთხვევაში ყოველივე ეს სახელმწიფო ინტერესების ღალატად იქცევა და მას ეწირება ქვეყანა. ასე იყო 1921 წელს და იგივე გამოვლიდა 1991/92 წლების მიჯნაზე.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საკითხის დაყენება და მისი გადაწყვეტა უნდა მოხდეს „განსაკუთრებული“ ქართულ სინამდვილიდან გამომდინარე. რა თქმა უნდა, უპირველესად გასათვალისწინებელია მსოფლიოში უსასტიკეს ბოროტების იმპერიასთან პერმანენტულ ომში ყოფნა, მოსისხლე მტრის მიერ მიტაცებული (ოკუპირებული) და თითქმის სრულად ანექსირებული ტერიტორიების განთავისუფლებისა და ნახევარ-მილიონიანი დევნილი მოსახლეობის თავის მამულში დაბრუნებისა და რეაბილიტაციის უალტერნატივობის პრობლემა, რომლის უპირველესი გარანტი უნდა იყოს სახალხო (არანაკლებ 51%-იანი ბარიერით ნდობამინიჭებული) არჩეული პრეზიდენტი.

ჩვენ წინა საკითხის განხილვისას გაკვრით შევეხეთ სახალხო არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობის კიდევ ერთ, განსაკუთრებულად მნიშვნელოვან თავისებურებას, რომ ჩვენი სტრატეგიული და რეალ-პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, **საპრეზიდენტო არჩევნები იმავდროულად ირიბად უნდა ატარებდეს რეფერენდუმის ფუნქციას**, რომლითაც პერმანენტულად დადასტურდებოდა საქართველოს მოსახლეობის ურყევი ნება და ერთგულება იმ პირველი – 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის გადაწყვეტილებისადმი, შესაბამისად, ეს იქნება დადასტურება **საზოგადოებრივი ნებისა** თავისუფალი, დამოუკიდებელი, სრულფასოვანი დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობაზე – რესპუბლიკური მმართველობით. ამას მოითხოვს არა მარტო ზემოთ მითითებული საგარეო სტრატეგიული პოლიტიკური კონტექსტი, არამედ **ჩვენი ნელა განვითარებადი შიდასოციალური პარამეტრები**.

იმპერიის უღლისგან განთავისუფლებული ხალხის ეგზისტენციის ევოლუცია დარღვეულ იქნა ჯერ პუტჩისტური ალიანსის ძალადობის შედეგად, შემდეგ „რევოლუციური თავბრუხვევისაგან“ და ბოლოს მისი სტაგნაცია მიმდინარეობს კონტრრევოლუციური კოჰაბიტაციის ფონზე.\* მმართველი

---

\* ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ სახალხო რევოლუციის მიღწევები და ბოლო პერიოდში ნაცრეუიმის ფორმირება.

ელიტის ირგვლივ შეკონინებული „წითელი ინტელიგენციის“ ნაშთები და კრიმინალურ-მეფახშური კაპიტალი აყალიბებენ ფსევდოსოციუმს, რომელიც არა მარტო არ მიესადაგება თავისუფალ საბაზრო ეკონომიკურ და დემოკრატიულ მმართველობით სისტემას, არამედ ძირშივე სპობს ასეთი წყობილებისთვის დამახასიათებელი სოციალური ფენების ნორმალურად ფორმირების ყოველგვარ შესაძლებლობას. მათ ნაცვლად იქმნება ფსევდოსაზოგადოება ფსევდოდემოკრატიული სისტემით, რომლის ბაზაზეც ყალიბდება კრიმინალური ოლიგარქიზმი. მის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს თავისი კანონგარეშე საქმიანობისა და არსებობის სახელმწიფოებრიობასთან შერწყმა. ამ გზით ხდება დემოკრატიზმთან ბრძოლაში დაცემული საბჭოეთის ვრცელი სივრცეში **მაროდორობით ნაშოვნი** შავი კაპიტალის გათეთრება.

ამ ბაზისზე შენდება ფსევდოსოციუმის შესაბამისი ფსევდოპოლიტიკური, ყაჩაღური სისტემის ფორმირება, რომელსაც ჯერ შევარდნაძისეული დემოკრატიით ფუთავდნენ, შემდეგ ნაცრეჟიმად, დღეს კი შელამაზებულად „არაფორმალური მმართველობა“ უწოდეს.\*

ამ სისტემური პროცესისთვის უფრო ადეკვატური სახელდება ისევ ევროპიდან მოგვანოდეს: „სახელმწიფოს მიტაცების“ მცდელობაო. დიახ, შეიარაღებული ნომენკლატურულ-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ ყველა ხელისუფლება ცდილობდა სახელმწიფოს დაუფლებას. 2012 წლის არჩევნებში ანტირევოლუციური ძალების გამარჯვების პირველი საათებიდანვე ხდება სახელმწიფოს თანდათანობით მიტაცება რეაბილიტირებული, საბჭოური ნომენკლატურისა და მისი თანმდევი კრიმინალური ბანდების და „მაროდოროული ბურჟუაზიის“ მიერ. ასეთ ვითარებაში, ერთადერთი გზა რეალური სახალხო მმართველობის თუნდაც სუსტი ფორმის შენარჩუნე-

---

\* ზემოთ განხილულ საკითხებთან ერთად აქ გამოთქმული მოსაზრების დადასტურებად უნდა მივიღოთ წერილის გამოქვეყნებიდან სულ რაღაც რამდენიმე დღეში ამტყდარი ალიაქოთი 1989 წ. 9 აპრილის ირგვლივ, რასაც „მეჩითოვის სინდრომს“ ვუწოდებდი, ვინაიდან ის მარტოობაში არაა. სინამდვილეში, იყო გამართლება რუსული (საბჭოური) მაროდოროზმისა.



ბისა არის ის, რომ პერმანენტულად, არა უგვიანეს 4-წლიანი ვადისა (ძირითადად მიღებული) პრეზიდენტის არჩევნებით მოხდეს ხალხის ნების საყოველთაოდ დაფიქსირება, რათა გარეშე მტრებმა და შიდა მაროდიორულ-კრიმინალურმა არაფორმალურმა მმართველობამ შეიგრძნონ „ხალხის სურნელი“ და სრულად არ „წარგვტაცონ სახელმწიფოებრიობა“.

იქნებ ვინმეს ეჭვი ეპარება გარეშე მტრის – რუსული იმპერიალიზმის შესაძლო კავშირთან ასეთ ადგილობრივ მმართველობით წრეებთან, ისინი მწარედ ცდებიან, ასეთი კავშირი ვინმეს ნება-სურვილზე კი არ კიდია, არამედ ფსევდოისტორიული მოთხოვნისგან გამომდინარე, ვინაიდან რუსული იმპერიალისტური კაპიტალიზმი და მისი ტოტალისტური მმართველობა საბჭოური სოციალიზმის მძორითაა გამოკვეთილი. ასევე იმავე მძორით იკვებებოდა პუტჩისტურ-შევარდნადისტული ფსევდოდემოკრატიული სოციალიზმი და მისი მმართველობა, რომლის გაუარესებული ვარიანტი გვაქვს დღეს.

**ამ რეალობიდან გამომდინარე, ჩვენს სინამდვილეში პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი განსაკუთრებული მიდგომაა საჭირო. აქ სრულყოფილად ვერ იმუშავენ საპრეზიდენტო მონყობის შეზღუდული ფორმა. ამისთვის, როგორც ითქვა, არც საგარეო და არც შიდასაზოგადოებრივი პირობებია მომნიშვნელოვანი.**

\* \* \*

ე.წ. საპარლამენტო მონყობის კლასიკური ფორმა, რომლის ირგვლივ დავა-კამათი რუსული კოლონიალიზმის უღლისგან განთავისუფლების დროიდან მიმდინარეობს, დღეს სოფისტისკური აბლაბუდითაა შემოგარსული, მმართველობის ამ ფორმაზე გადასვლა თითქოსდა სახალხო განხილვის გზით (უსირცხვილობის აპოგეა), შეტანილ იქნა ე.წ. „კონსტიტუციური ცვლილებების“ ნუსხაში და „გაიტანეს“ პარლამენტში. ეს სრული პოლიტიკური სიყვეყჩაა.

სიყვეყჩა იმდენად, რამდენადაც, ქვეყანაში, სადაც არა მარტო პარტიები (მისი კლასიკური გაგებით), არამედ თუნდაც დემოკრატიული წყობისთვის დამახასიათებელ ფორმას-

თან მიახლოებული სოციალური ფენები არ არსებობენ და ყველაფერს (ეკონომიკას, პოლიტიკას, სოციალურ მოწყობას, კულტურას, რელიგიასაც კი) წარმართავენ ფსევდოსოციუმები (კლანურ-ჯგუფური წარმონაქმნები) თავიანთი მაროდორული წარსულით, ასეთ სიტუაციაში წმინდა საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლის საკითხის დაყენებაც კი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისთვის ნირვის გამოყვანის ტოლფასია. სანამ საქართველოს არ ჩაუცვამს მყარი დამცველი ჟილეტი და თავი ოდნავ მაინც დამშვიდებულად არ უგრძნია მისთვის დამიზნული ბოროტების იმპერიის ტყვეებისგან, – ამის გაკეთება ლალატია.

საკუთრივ, ამ რუსულ-შოვინისტურ ბოროტებაზე არაფერიც რომ არ ვთქვათ, ყველა მეტ-ნაკლებად ძლიერი ქვეყნები, მძლავრი ოფიციალური ეკონომიკური ფორმირებები, მსოფლიოს ჩრდილოვანი ეკონომიკის მონაწილე რომელიც გინდა მაფიოკარტელი თუ ნარკომანგნატი დაინტერესების შემთხვევაში შეძლებდა სამთავრობო კრიზისის გამონვევასა და აიძულებდა მათივე წრიდან გამოსულ არაფორმალურ მმართველს თუ ოლიგარქიულ ჯგუფს, ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მოეხდინა მათთვის სასურველი ცვლილება. **მათ ამისთვის არ დასჭირდებოდათ სახალხოდ არჩეული და ლეგიტიმაციის მქონე პრეზიდენტის თითქმის დაუძლეველი ბარიერის დაძლევა.** ამისთვის თავის დროზე დიდი ძალისხმევის დახარჯვა დასჭირდათ არა მარტო რუსეთის იმპერიას და მათს ადგილობრივ დამქაშებს, არამედ თვით დიდ დემოკრატიულ ქვეყნებსაც, რომლებსაც სამუდამო ლაქად აქვთ მოცხობილი 1991/92 წლების მიჯნის სახელმწიფო გადატრიალება.

ამდენად, ცვლილებებშეტანილი კონსტიტუციით დაფიქსირებული ფორმა მმართველობისა, უკეთეს შემთხვევაში, ოდენ კლსიკური ფორმებით გატაცებისა და უსისხლხორცო მიმბაძველობის ნიმუშად შეიძლება მივიღოთ, ვიდრე ჩვენი ქვეყნის რეალ-ისტორიული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე ფაქტად (რაც ნაკლებად სარწმუნოა). ის განპირობებულია ფსევდოსოციუმისა და მისი წარმმართველი კრიმინალურ-მაროდორული, ე.წ. ოლიგარქიული კლანების ინტერესებით,

რათა ასეთი უსისხლხორცო, სუსტი მმართველობის პირობებში გარედან მართონ ქვეყანა. ამის უდავო დადასტურებაა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის მთელი შემდგომი პერიოდი: სახელმწიფო გადატრიალების (ნომენკლატურულ-კრიმინალური პუტჩის), მშვიდობიანი რევოლუციისა და ასევე მშვიდობიანი, კონტრრევოლუციის ურთულესი გზის გამოვლა.

## ახლო ისტორია და დღევანდელი

დამოუკიდებლობის აღდგენისა და საერთაშორისო პოლიტიკურ-სამართლებრივი ნორმების სრული დაცვით პრეზიდენტის არჩევის და საპრეზიდენტო რესპუბლიკის მეშვეობით დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებისთვის ხალხის სრული მზაობის გამოხატვის შემდეგ, რევანშისტთა ხელში საპარლამენტო მონეობის ყურით მოთრეული საკითხი პუტჩისტური ალიანსის ლოზუნგად და საბჭოური ნომენკლატურულ-კრიმინალური გადატრიალების წინ ნამძღვარებულ დროშად იქცა.

საპრეზიდენტო მმართველობას, რომელიც ხალხმა დემოკრატიული სისტემის დამკვიდრების გარანტიად მიიღო, და ძალზე სწორადაც, ომი გაუჩაღეს ამ ე. წ. პარლამენტარისტებმა. პრეზიდენტი – დემოკრატიის ყველაზე გულმხურვალე დამცველი – დიქტატორად გამოაცხადეს და, პირიქით, ტოტალიტარიზმის ერთ-ერთი უმაღლესი წარმომადგენელი (ცკ-ის მდივანი და სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი) – დემოკრატიის შუეჭურად.

ამდენად, მმართველობის „საპარლამენტო მოდელზე“ გადასვლა და საპრეზიდენტო ინსტიტუტის ისეთი ფორმით მონეობა, როგორადაც ის ამ ქოცურად „შერემონტებულ“ ე.წ. „ახალ კონსტიტუციაშია“ დაფიქსირებული, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით არა მარტო უფიცობაა, არამედ, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობაზე უარის თქმაა.

გადატრიალების შემდეგ, იმ შემთხვევაში უკანონოდ, მაგრამ მაინც, ფაქტობრივად არსებობდა „არჩეული“ პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომელიც ავტომატურად არ იძლეოდა საშუალებას, ყველა ვიგინდარას თავის გემოზე ეცვალა ხელისუფლება (მთავრობა). სწორედ ამ ინსტიტუტის არსებობა (თავისთავად), ამ შემთხვევაში არაფერს ვამბობთ დევნილობაში მყოფი კანონიერი ხელისუფლების როლზე, არ აძლევდა საშუალებას ჯერ სსრკ-ს და მერე მის მემკვიდრე რუსეთის იმპერიას, მათ მიერ ხელისუფლებასა და განსაკუთრებით ძალოვან სტრუქტურებში დასმული უმაღლესი ძალაუფლების პირების მეშვეობით განეხორციელებინათ **დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ფუძემდებლური აქტების** საფუძველზე არსებული სისტემის ბოლომდე მოშლა.

ამჯერად, თუკი ასეთი სახალხო ლეგიტიმაციის გარეშე დარჩება სახელმწიფო, მაშინ შიდაკორუფციული და პროიმპერიულ-ანტიდასავლური ძალებისა და რუსული „რბილი ძალის“ ზემოქმედებით, დასავლეთის ყურადღების მოდუნების შემთხვევაში (რაც დღესაც აშკარად ჩანს), ის თვითონ მოჭამს დროს\* (ეს პროცესიც აშკარად შესამჩნევია, მას ისევ და ისევ აკავებს თუნდაც ძალზე სუსტი, მაგრამ მაინც სახალხო ლეგიტიმაციით ზურგმომადგრებელი საპრეზიდენტო ინსტიტუტი), რომელიც დიდი უბედურების ყამს ერთადერთ ლეგიტიმურ სტრუქტურად დარჩება.

ამიტომ გავიმეორებ და ვიტყვი: არა მარტო დღევანდელ პირობებში, როცა დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან პერმანენტულ ომში ვიმყოფებით იმპერიასთან, არამედ მას შემდეგაც, სანამ იარსებებს საშიშროება რალაცნაირი ექსპანსიისა, ჩვენი თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის გარანტიად არ იქცევა რომელიმე საერთაშორისო თავდაცვითი დემოკრატიული სტრუქტურა, სახალხოდ არჩეული პრეზი-

---

\* ამის უტყუარი დადასტურება დღევანდელი რეალობა, როცა „კონსტიტუციური ცვლილებების“ ამოქმედებამდე აფეთქდა ისედაც არანომინალურად არსებული ეს სტრუქტურა და დღეს ხელისუფლება კი არა, საკუთარი თავი ვერ გაუკონტროლებია.

დენტის ინსტიტუტზე უარის თქმა დაუშვებელია – **ეს საგარეო ურთიერთობის თვალსაზრისით.**

არანაკლებ მნიშვნელოვანია შიდაპოლიტიკური პროცესების დალაგება. **უპირველეს ყოვლისა, გარდაუვლად აუცილებელია პუტჩისტური სახელმწიფო გადატრიალების შედეგების ლიკვიდირება მისი სოციალურ-პოლიტიკური გამოვლინების ყველა მიმართულებით.**

პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ის, რომ საქართველოში სოციალური ფენებისა და ჯგუფების (არაფერი რომ არ ვთქვათ კლასებზე) საზოგადოებრივი ერთიანობა ეროვნული ინტერესების თვალსაზრისითაც კი უკიდურესობამდე მოშლილია. ის ჩანაცვლებულია პუტჩისტური ალიანსის შედეგად ფორმირებულ ფსევდოსოციალურ ჯგუფთა მექანიკური ჯამით, რომელიც სოციალურ-პოლიტიკურ წინააღმდეგობათა წამოჭრის ყველა ეტაპზე ფერს იცვლის, ხოლო შინაგანად იგივე რჩება – ანტისოციალურ ნახევრადკრიმინალურ კორუმპირებულ დაჯგუფებად. ის მზადაა მიეყიდოს ყველა ჯურის ანტიძალას, ოღონდაც მისგან გამორჩენა მიიღოს.

ეს ანტისოციუმი ქმნის იმ ღრმა პოლიტიკურ ქაობს, რომლიდანაც ამოყვინთავენ ხოლმე სხვადასხვა შეფერილობის დრაკონები და გველვეშაპები, რომლებიც ნაციონალური ინტერესების საზიანოდ ქმნიან მუდმივ სამთავრობო ქაოსსა და პოლიტიკურ არასტაბილურობას. ისინი კეტავენ ეროვნული სულიერების ანკარა წყაროსთავს.

ამდენად, სანამ ფსევდოსოციუმის ადგილს არ დაიკავენ ბენ დემოკრატიული სისტემისთვის დამახასიათებელი სოციალური ფენები შესაბამისი პოლიტიკური პარტიებითა და სამოქალაქო ორგანიზაციებით, ე.წ. წმინდა სახის საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლა, მით უმეტეს, **საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარებისა და ხალხის ნების დაზუსტების გარეშე**, არა მარტო პოლიტიკური სიყვეყნეა, არამედ სახელმწიფო ინტერესების **ღალატი**. ის, რაც ამ ე.წ. „ახალ კონსტიტუციაში“ დაფიქსირდა, მხოლოდ რუსეთის იმპერიასა და მის საოკუპაციო ძალებს შეიძლება ანყობდეთ, ვინაიდან, **ყოველგვარ სოციალურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საფუძ-**

ველს მონყვეტილი ასეთი სისტემა, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობაზე ნებაყოფილებით უარის თქმის ტოლფასია.

\* \* \*

სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობის აუცილებლობის საკითხის ამ ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, ჩვენ შევეცდებით საკითხის უფრო კონკრეტულად განხილვას როგორც ისტორიულ კონტექსტში, ასევე ჩვენი თანამედროვე დამოუკიდებელი სახელმწიფოს შიდასოციალურ-პოლიტიკურ და საერთაშორისო-სამართლებრივ მოთხოვნათა თვალთახედვიდან. ამის აუცილებლობა იმიტომ დადგა ჩვენ წინაშე, რომ, როგორც ზემოთაც ითქვა, პრეზიდენტის საყოველთაო-სახალხო არჩევნებით არჩევაზე უარის თქმა ნიშნავს ჩვენი დაუძინებელი მტრისთვის თუ მტრებისთვის ღია კარების დატოვებას, რომელშიც, როცა უნდა, მაშინ შემოალაჯებს და გამოაპანდურებს იქ მისივე ძალისხმევითა და მიმსგავსებით შექმნილი სოციუმის მიერ წამოსკუპებულ პრემიერ-მინისტრსა და მის კაბინეტს. არადა, ამ ჭკუათმყოფელებმა ე. წ. კონსტიტუციური ცვლილებებით ეს კარი სრულიად მოაღიავეს.

ვინმეს გადაჭარბებულად თუ ეჩვენება ჩვენი ეს მოსაზრება, მათ ვურჩევ, გაიხსენონ ჩვენი პოსტპუტრისტური წარსული; გაიხსენონ ის, თუ ვინ სვამდა და ათავისუფლებდა ყველა ძალოვან მინისტრს, ვინ წარმართავდა ომის მიმდინარეობას აფხაზეთსა და ჩრდილო შიდა ქართლში და ა.შ. და ა.შ. რევოლუციამდე სულის მიტანა კიდევ იმით შევძელით, რომ, მართალია, უკანონოდ, მაგრამ მაინც, საერთაშორისო არენაზე ედუარდ შევარდნაძეს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის სახელი ჰქონდა დაგდებული.

## ისტორიის გაკვეთილები

დისკუსია პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებისა თუ არშემოღების გარშემო საქართველოს რუსეთის კოლონიალური უღლისგან განთავისუფლების დღიდან – „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ მიღებიდან დაიწყო; ვინაიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს სამეფო-სამთავროთა სრული ინკორპორაციის შემდეგ „დავინყებულ იყო ძველი სახელმწიფოებრივი ტრადიცია და ... ძირეულად შეიცვალა თავად საქართველო“ (მ.მაცაბერიძე, უზენაესი ბატონი ქვეყნისა, გვ. 63). მემკვიდრეობის ძიება ძველი, თუნდაც ცენტრალიზებული სახელმწიფოს არსებობის ბრწყინვალე ისტორიული პერიოდების მაგალითზე შეუძლებელი იყო. **ისინი მხოლოდ დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფოს სახით არსებობის უფლების გენეტიკურად შესისხლხორცებული მესხიერების დადასტურების საშუალებად თუ გამოდგებოდა.** რეალურად არც არავის ახსოვდა საუკუნეების წინ მოშლილი ცენტრალიზებული სამეფო-დინასტიური მმართველობა.

ამ ეტაპზე, როგორც ზემოთ დასახელებული შრომის ავტორი მიუთითებს, „საქართველოში მოქმედი პოლიტიკური ძალები დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივ მონყობას თავიანთი პარტიული დოქტრინებიდან გამომდინარე აპირებდნენ. ამასთან, მაშინდელ საქართველოში, რიგი მიზეზების გამო, რევოლუციური და სოციალისტური განწყობა დომინირებდა“ (იქვე). ეს მომენტი არ უნდა დაგვავიწყდეს, როცა ვმსჯელობთ ე.წ. საპარლამენტო მმართველობის იდეის დაბადებაზე. ეს მოხდა 100-კაციან „პარტიებად“ და ჯგუფებად დაქუცმაცებულ საზოგადოებაში, რომელთაც არც ამ პარტიულობისა ესმოდათ დიდი რამ და ცალი თვალით რუსეთისკენ იხედებოდნენ. მათი დიდი ნაწილი დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოში მხოლოდ თავიანთი მემარცხენე-რევოლუციური ინტერესების (რუსეთის იმპერიასთან კავშირის გზით) განხორციელების საშუალებას ხედავდა. მათთვის დამახასიათებელი იყო და არის ეროვნული პრობლემებისადმი ნიჰილისტური მიდგომა. ამ ჯგუფისთვის ეროვნული საკითხი

ოდენ ნილაბია. აი, როგორ ახასიათებდა მათ ასეთ დამოკიდებულებას გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ (26.I.1920 წ.): „არა ერთი და ორი პოლიტიკური მოღვაწეც გულწრფელად ივიწყებდნენ ისტორიულ უფლებას და ... დაუცხრომელ ლტოლვას ნაციონალური თვითაღდგენისადმი“.

პ. საყვარელიძის ამ მოსაზრების დადასტურებაა ესერი (სოციალისტ-რევოლუციონერი) ლ.შენგელიას აღიარება, რომ „თვით ჩვენ, ვინც ასე თავგამოდებით ვიცავთ საქართველოს დამოუკიდებლობას, რამდენიმე წლის წინად ვერ ვიმეტებდით საქართველოსთვის უბრალო ავტონომიას“. მემარცხენე ძალთა ამ შეხედულებებს აგვირგვინებს ამ საკითხებში ღრმად განსწავლული და ერუდირებული, მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს „ლიდერი“ ნოე ჟორდანიას.

1920 წლის ივნისში სოციალ-დემოკრატიული პარტიის მე-2 ყრილობაზე (რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე შვიდი-რვა თვით ადრე) ის აღნიშნავდა: პარტიის მოღვაწეობაში „უაღრესი როლი... ეჭირა და უჭირავს... სოციალურ პოლიტიკურ შეხედულებას, ხოლო **ხელქვეითი** როლი უჭირავს სხვა დანარჩენ შეხედულებას, მათ შორის **ნაციონალურსაც**“. მის ამ შეხედულებას ზედმინევნით სწორ კომენტარს უკეთებს ნაშრომის ავტორი: ნოე ჟორდანიას ლოგიკით, სოცდემებს საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა დაეცვათ არა იმის გამო, რომ ეს მათი სამშობლო და უპირველესი მოვალეობა იყო, არამედ იმიტომ, რომ ამის გარეშე ვერ მოხერხდებოდა პარტიის ინტერესების განხორციელება. მისივე თქმით: დამოუკიდებლობის ამ ეტაპზე ხდებოდა ეროვნული ინტერესებისკენ მიბრუნება, მაგრამ არა მისი უპირობოდ მიღება\*, არამედ მათი თანდათანობით შეთვისება თუ მათთან შეგუება. ყოველი-

---

\* ეროვნული თვითიდენტობის საკითხი მისაღები რომ გაუხდებოდა საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, მით უმეტეს, ახლადფეხადგმული სახელმწიფოს მმართველ ძალას – ეს ტრაგედიაა თავისთავად, რაც, საუბედუროდ, დღევანდელ ეტაპზე არანაკლებ გამოკვეთილად ჩანს, მაგრამ არა პარტიული იდეოლოგიის თვალსაზრისით, არამედ წმინდად შტრაიკპრეხერული და კოლაბორაციონალისტური ინტერესებიდან გამომდინარე.



ვე ეს ზეგავლენას ახდენდა სახელმწიფოს პოლიტიკაზე და განაპირობებდა სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მაღლა პარტიული თვალსაზრისის დომინირებას.

ამ მემარცხენე მიმდინარეობებში, რომელთა ინტერესსაც შეადგენდა არა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მყარად ფეხზე დაყენება და ამ გზით ეროვნული თვითიდენტობისა და ჭეშმარიტად ქრისტიანულ-კოსმოპოლიტურ რაობაზე აგებული ხალხთა თანაარსებობის იდეის გატარება, არამედ თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური ინტერესების გატანა თანასწორობის ყბადაღებულ ლოზუნგქვეშ. ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პასუხისმგებლობაზე უარის თქმა იმ დონეზე, რომ ამ საკითხში სოცდემების საკმაოდ ერუდირებული ბელადისთვისაც მიუღებელი იყო, რაც მან, როგორც ვნახეთ, ზემოთ ნახსენებ ყრილობაზეც დაადასტურა (დასახ. ნაშრომი, გვ. 5-6).

**ამდენად, ჩვენი სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურულ-ფსიქოლოგიური მენტალიტეტისთვის ყოვლად შეუსაბამო, უკიდურესად უპასუხისმგებლო სახელმწიფოებრივი მონყობის სისტემისადმი მიდრეკილება ჩვენი თავისუფლების გარიჟრაჟზე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მმართველობითი მონყობის ურთულეს პერიოდში, მემარცხენე, თითქმის ანტიეროვნულ ძალთა ბანაკში იღებს დასაბამს. კიდევ უფრო უარესი, ის ანტისახელმწიფოებრივი – პუტჩისტური ალიანსის სოციუმში ცოცხლდება.** ამიტომ კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით შევეცდებით მკითხველი გაგარკვიოთ ჩვენი სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისათვის ყოვლად მიუღებელი, ანტისახელმწიფოებრივი, ნაციონალური ინტერესებისთვის საზიანო (თუ არა დამღუპველი), **უპასუხისმგებლო** მმართველობითი სისტემის (უფრო უსისტემობის) თავზე მოხვევის პროცესების განვითარებაში.

### ა) იდეოლოგიური საფარველი

პირველ რიგში, უნდა შევეხოთ მაშინ საყოველთაოდ გავრცელებულ იმპერიალისტურ იდეოლოგიას, რომელიც თანაბრად აიტაცეს როგორც ბურჟუაზიულ, ასევე სოციალის-

ტურ წრეებში და საზოგადოების ფართო ფენებშიც. ამ თეორიის თანახმად, მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების დონე განაპირობებდა ეროვნული სახელმწიფოების კვდომას, **საკითხი იდგა ერთა თვითგამორკვევის უფლების განხორციელების უარყოფის თაობაზე.**

საკითხს ასე აყენებდნენ: ღირდა კი დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოს მტკიცე საფუძვლების შექმნაზე ზრუნვა, მაშინ როცა ასეთ სახელმწიფოებრიობას მომავალი არ უჩანდა. ამიტომაც ხომ არ სჯობდა, რომ ეზრუნათ თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური, პარტიული პროგრამების განხორციელებაზე. შესაბამისად, ცდილობდნენ ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი საკითხი, როგორც წარმავალი მოვლენა, ოდენ თავიანთი ამ მიზნების განხორციელების საშუალებად გამოეყენებინათ.

ასეთი განწყობითა და პოლიტიკური მიზანსწრაფულობით ძლიერი, პასუხისმგებლიანი სახელმწიფო მმართველობითი სისტემის შექმნა არც ამ ცრუთეორიის მოთხოვნებსა და არც მემარცხენე სოციალისტური მიმდინარეობის პარტიების ინტერესებს შეესაბამებოდა. ამიტომაც, მათთვის მისაღები იყო, თუკი პარლამენტის მიერ ლეგიტიმური აღმასრულებელი ხელისუფლება ერთ წელიწადს, თუნდაც ნახევარ წელს, გაუძლებდა და არ მოხდებოდა მისი დათხოვნა იმავე პარლამენტის მიერ.

ასეთი ვითარება, რა თქმა უნდა, თავის დაღს ასვამდა რუსული კოლონიალური უღლისგან ახლად განთავისუფლებული ქვეყნისა და ხალხის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და მმართველობითი მონყოფის საკითხებს. ამის დასტურად მოვიყვანთ ზემოთ გამოყენებული შრომის ავტორის მოსაზრებას: „სწორედ ასეთი თვალსაზრისი იყო უარსაყოფი ქართველ პოლიტიკოსთა მხრიდან, რადგანაც, თუ მსოფლიოს განვითარების მიმდინარე ეტაპი ძირს უთხრიდა ეროვნული სახელმწიფოს არსებობას, მაშინ შეუძლებელი და უიმედოდ განწირული საქმე ხდებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამკვიდრება“ (მ. მაცაბერიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 7).

## ბ) რეაქცია ამ თეორიაზე

აი, რა თეორიული წყაროთი საზრდოობდა საპრეზიდენტო რესპუბლიკის საწინააღმდეგო ე.წ. საპარლამენტო მოწყობის პრინციპი. ეს სინამდვილეში იყო რეაქცია სოციალ-დემოკრატთა და სხვა მემარცხენულ ე.წ. პარტიათა (დაჯგუფებათა) „ახალი რეალობისადმი“. ისინი ცდილობდნენ თავიანთი ადრეული დოქტრინების მისადაგებას დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოს ფორმირების პროცესისადმი, სადაც უმთავრესი იყო არა სახელმწიფოებრივი საფუძვლის ფორმირება, არამედ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს სუსტი სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა გამოეყენებინათ თავიანთი სოციალისტური მიზნების განხორციელებისთვის მსოფლიოში მიმდინარე ზემოთ მოყვანილი ტენდენციების გათვალისწინებით.

## გ) დასკვნა

წურავინ წუ იფიქრებს, ამ ე.წ. საპარლამენტო მოწყობისა და პრეზიდენტის, როგორც სახალხო ლეგიტიმაციის ინსტიტუტის, გაუქმებას დღეს უფრო მყარი საფუძველი ჰქონდეს, ვიდრე იმ შორეულ ეპოქაში. პირიქით, ამჯერად ეს მიზეზები უფრო ტრივიალურია, ვიდრე თავის დროზე არსებული მსოფლიო სოციალიზმისკენ სწრაფვისა და ერთა თვითგამორკვევის უფლების თვითკვდომის მაშინდელი, მართალია, ილუზორული, მაგრამ მაინც თეორიული პოსტულატები.

დღეს მის საყრდენ ბაზას წარმოადგენს პუტჩისტური ალიანსის შედეგად ფორმირებული მმართველი ფსევდოსოციალისტური ყოველგვარ იდეალს მოწყვეტილი პირადი და ჯგუფური ინტერესები; საბჭოური ნომენკლატურის „იდუური“ მემკვიდრეებისა და კრიმინალური დაჯგუფების ბაზაზე ფორმირებული „მაროდიორული საფინანსო ოლიგარქიის“ სურვილი, თავი დააღწიონ ხალხის ნებას და ასე, გარედან, ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე განაგონ ეროვნული სიმდიდრე თვით გენოფონდის ჩათვლით, ითამაშონ მათი ბედ-იღბლით, ხალხს მაცოცხლებელი ჰაერიც კი დოზირებით მიანოდონ, ოღონდაც იქიდან რაიმე მოგება ნახონ.

ესაა მიზანი დღევანდელი ე.წ. საპარლამენტო მოწყობის

კანონმდებლობისა, რომელიც ყოველგვარი სახალხო განხილვის თუ რეფერენდუმის გარეშე იქნა მიღებული მაროდიორული ოლიგარქიის ინტერესებიდან გამომდინარე.

**საპრეზიდენტო ინსტიტუტის შემოღების ირგვლივ  
მიმდინარე დისკუსიები, მისი თანამედროვე  
რეალობასთან მისადაგება**

სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საკითხი ძირითადად ერთი პარტიის – სოციალ-დემოკრატების ხელში აღმოჩნდა და სწორედ მათი დომინირებით მიმდინარეობდა, მაგრამ მაშინ იდეური წანამძღვარების საფუძველზე გაშლილი ეს ბრძოლა უფრო გამჭვირვალე იყო და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმშენებლობის სურვილსაც უფრო კეთილსინდისიერად გამოხატავდა, ვიდრე დღევანდელი ფსევდოსოციალური და „მაროდიორული ოლიგარქიზმი“.

მიუხედავად იმისა, რომ მემარცხენე-სოციალისტური ძალები დომინირებდნენ, საპრეზიდენტო ინსტიტუტის ფორმირების ირგვლივ შეხლა-შემოხლა დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის მთელ პერიოდში გრძელდებოდა, ძირითადად, სამი მიმართულებით: საკონსტიტუციო კომისიაში, დამფუძნებელ კრებაში და თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით.

\* \* \*

პრეზიდენტის ინსტიტუტის საკითხი, როგორც ვარაუდობს მაცაბერიძე, **დამფუძნებელ კრებაზე** მსგავსი თანამდებობის საჭიროების საკითხის დადგომის შედეგად წამოჭრილა.

1919 წლის 14 მარტის სხდომაზე სოციალ-დემოკრატების წინადადებით ნოე ჟორდანიას, რომელსაც მთავრობის შედგენა მიენდო, იმავე დროს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის უფლებით აღუჭურვიათ. ფედერალისტებმა და ესერებმა ეს პრეზიდენტის თანამდებობის შემოღებად მიიჩნიეს და პროტესტი გამოთქვეს, ეროვნულ-დემოკრატებმა კი

მოიწონეს ეს გადაწყვეტილება. აღინიშნა, რომ ამით „უსათუოდ მყარდება ტრადიცია პრეზიდენტობისა საქართველოს რესპუბლიკაში“. ამდენად, **იმთავიდანვე გამოიკვეთა, რომ საპრეზიდენტო რესპუბლიკური მმართველობის ფორმა ყველაზე უფრო სრულყოფილად შეესაბამებოდა კოლონიალიზმის უღლისგან განთავისუფლებული ქვეყნის ნაციონალურ ინტერესებს.**

თამამად შეიძლება ითქვას: **საპრეზიდენტო რესპუბლიკურ მმართველობით სისტემას შესწევს უნარი რამდენადმე სრულყოფილად შეუსისხლხორცდეს კოლხ-იბერული მოდემის 3-ათასწლიანი, უძველესი სახელმწიფოებრიობის მეხსიერებას და შეესაბამოს ქართულ იდეას.**

ჩვენს სინამდვილეში სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე ე.წ. საპარლამენტო მმართველობით ფორმასთან დაკავშირებით. ის როგორც ფორმით, ისე არსით სრულიად მონყვეტილია ამ მეხსიერებას და ამ იდეას ქართული სახელმწიფოებრიობისას. ის წმინდა წყლის მემარცხენულ-სოციალისტურ მიდრეკილებას აჩენს (არსებულ სინამდვილეში ანარქიულობისკენ მიმსწრაფი) უძველესი გენეტიკიდან მომდინარე ერის ეგზისტენციაში – მის სულიერ და მატერიალურ ყოფიერებაში. ეს კი ქართულ იდეას მოსწყვეტს საკუთარ მეტაფიზიკურ და ქრისტიანულ-თეოსოფიურ ფესვებს და დატოვებს ოდენ სოციალურ მისწრაფებათა უიდეალო ყოფაში, რაც უძველესი ქართული კულტურის (მათ შორის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ტრადიციების) სრულ გაძარცვამდე და სულიერ ამორფულობამდე მიგვიყვანს; ამით სახელმწიფოებრივი მოწყობისა და მმართველობის ანარქიას გამოიწვევს. დაიწყება **უარჩევანი არჩევნებით არჩეული პარლამენტის** მიერ ფორმირებული არამდგრადი მთავრობის გარეშე დამკვეთთა სურვილისამებრ ხშირი ცვალებადობა. ეს დამკვეთი კი, საბოლოო ჯამში, ჩვენი მოსისხლე მტერი და ოკუპანტი აღმოჩნდება. ამაში ეჭვს ნურავინ ნუ შეიტანს. ასე მოხდა ეს იმ პირველი რესპუბლიკის ხანაში, როცა ამ ე.წ. საპარლამენტო, ყველასთვის სამაგალითო მმართველობის სტილის ძიებაში სრულიად მოუმზადებელი შევეფეთეთ საბჭოურ ურჩხულს.

დღევანდელი საპარლამენტო მოწყობა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩაგვადებს. მაშინ, ყოველივე ამას სისტემათა ბრძოლის სახე ჰქონდა და ამან, ბოლოს და ბოლოს, საბჭოეთის განადგურებამდე მიგვიყვანა და, მიუხედავად დროებითი მარცხისა, გადარჩენის გზა დაგვიტოვა. ამჯერად კი სისტემათა ფორმალური (კაპიტალისტური) ერთგვაროვნების პირობებში ჩვენი მმართველობითი სისტემის არამდგრადობა და ანარქიულობა (არაფორმალური მმართველობა ერთი მუჭა ოლიგარქებისა) ისევ შეგვაბრუნებს რუსულ იმპერიის რიგში, რომელიც სრული ინკორპორაციით დასრულდება და მოუსავლეთად გვექცევა.

**ამიტომ მყარი, პასუხისმგებლიანი მმართველობითი ფორმის არსებობა ჩვენს სიტუაციაში გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს. პასუხისმგებლიანობის ხარისხი კი მხოლოდ და მხოლოდ ხალხის თავისუფალი ნების გამოხატვითაა შესაძლებელი, მაგრამ ამ მარტივ ჭეშმარიტებას ვერც საუკუნის წინ მოუძებნეს გასაღები და ვერც დღეს დაადგა საშველი.**

პუტჩისტური ალიანსით შობილი ფსევდოსოციალიზმი და კონტრრევოლუციური საბჭოურ-ნომენკლატურული და კრიმინალური, მაროდიორული ფინანსური ოლიგარქია **მმართველობითი ანარქიის გავლით რუსული რეჟიმის სტილის დამყარებასა და მასთან შერწყმას გვიქადის.**\* ეს გარდაუვალია, თუკი ხალხმა თავის ხელში არ აიღო რეალური ძალაუფლება და ვერ შეძლო თავისი თავისუფალი ნების გამოხატვა. ახლა კი ისევ მივუბრუნდეთ საპრეზიდენტო მმართველობის ირგვლივ საუკუნის წინ გამართულ ბრძოლის პერიპეტიებს.

\* \* \*

ეროვნულ-დემოკრატიების მართლაცდა ამ ეროვნულ მიდგომას მყარი პასუხისმგებლიანი საპრეზიდენტო მმართველობის ტრადიციის დამყარებისადმი, ხელს უშლიდა ის გარე-

---

\* ამის დასტურია დღეს მიმდინარე პროცესები საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოებში, მისი დასასრული იქნება ერთპარტიული დიქტატი რუსული ყაიდისა.

მოება, რომ საქართველო აღმოჩნდა ის პირველი ქვეყანა, სადაც სოციალ-დემოკრატები ხელისუფლებაში მოვიდნენ. ისინი, თავის გამოჩენას და ყველასათვის სამაგალითო სოციალური სისტემის შექმნის ილუზორულ ლოზუნგს ამოფარებულნი, საკუთარი პარტიული ინტერესების განხორციელებას ცდილობენ. „მსოფლიო სოციალიზმის“ გამარჯვებას მიყურადებულნი სინამდვილეში რუსეთისკენ იყურებოდნენ, ამიტომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების მეორე პლანზე გადაწევის ხარჯზე ისინი ცდილობდნენ ძალაუფლების პარლამენტის ხელში მაქსიმალურად თავმოყრას და აღმასრულებელი ხელისუფლების კოლეგიალურობის უზრუნველყოფას. ეს კი იყო სოციალისტური ილუზია, მიუღებელი დემოკრატიული სისტემისთვის, სოცდემთა უმრავლესობის ამ ილუზორულ სურვილს ვერ უთავსდებოდა პრეზიდენტის პასუხისმგებლიანი ინსტიტუტის დაფუძნება.

როგორც ითქვა, პრეზიდენტის ინსტიტუტის კიდევ უფრო რადიკალური მოწინააღმდეგენი იყვნენ სოციალ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები (ესერები). მაშასადამე, პრეზიდენტის ინსტიტუტის მოწინააღმდეგებად იმთავიდანვე ჩამოყალიბდნენ მემარცხენე-სოციალისტური მიმდინარეობანი, რომლებიც თითქოსდა რეალური დემოკრატიის უზრუნველყოფის საბაბით უარყოფდნენ სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის (საერთოდაც) ინსტიტუტის დაფუძნებას და სინამდვილეში უარყოფდნენ ხალხის რეალურ მონაწილეობას მმართველობაში. ამით ისინი ცდილობდნენ პარტიის სახელით მთელი ძალაუფლება მიეთვისებინა საზოგადოების უმნიშვნელო ნაწილს. **ეს ტენდენცია სხვადასხვა მიზეზით დღემდე გრძელდება და იქცა მაროდორული ოლიგარქიზმის პოლიტიკურ (თეორიულ) საყრდენად.**

მაშინ ყოველივე ეს კრახით დასრულდა; კიდევ კარგი, როგორც ზემოთ ითქვა, რომ ხალხის ძალაუფლების პარტიის სახელით მიმტაცებელი ელიტის სათავეში მყოფებმა, თავიანთი გამონაყოფისადმი – ბოლშევიკებისადმი უდიდესი პიროვნული ზიზღისა და შეუთავსებლობის გამო ის მაინც შეძლეს, რომ ხელისუფლება არ გადააბარეს მათ და იურიდიული (დე

იურე) სტატუსი მაინც შეუნარჩუნეს ქვეყანას.

დღეს კიდევ უფრო მწვავედ დგას საკითხი, ამჟამად რუსული რენეგატული კონტრრევოლუცია იმავე „მეტი დემოკრატიზმის“ მოშველიებით საბოლოოდ ანადგურებს მას და კონსტიტუციით სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის უარყოფითა და რალაც სამარცხვინო, ბანანის რესპუბლიკათათვის მოგონილი „საარჩევნო კოლეგიის“ მიერ პრეზიდენტის არჩევას **სრულიად და მთლიანად გაჰყავს ხალხი ასპარეზიდან**, არადა, თუ რამდენად დიდია ხალხის ინტერესი პრეზიდენტის არჩევისადმი, ეს თუნდაც ბოლოდროინდელმა ძალადობრივმა და ოპონენტთა მიერ არალიარებულმა არჩევნებმაც დაადასტურა.

\* \* \*

რუსული თვითმპყრობელური უღლისგან განთავისუფლებული ქვეყნისთვის, რომელიც სახელმწიფოებრიობის მისთვის სრულად უცნობი, ახალი სისტემის ფორმირებას ცდილობდა, თუნდაც ისტორიულ-გენეტიკური მესხიერებიდან გამომდინარე, მისაღები ოდენ საპრეზიდენტო მმართველობა შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს მეტ-ნაკლები სისრულით, მაშინდელი სუსტი პარტიული სისტემის პირობებში, მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატებს წარმოედგინათ. ისინი პასუხისმგებლიანი მმართველობითი სისტემის შემოღების მომხრეებად გამოდიოდნენ, მაგრამ უმთავრესი ის იყო, რომ ხალხი თავისუფლების მოპოვების შემდეგ ინტუიციურად გრძობდა ამას. ის ასეთ მმართველობად აღიქვამდა სოცდემოკრატიული უმრავლესობის მოსვლას ხელისუფლებაში და მის ლიდერს ნოე ჟორდანიას კიდევაც დაუმკვიდრდა პრეზიდენტის სახელი.

ხალხის ასეთი ინტუიციური განწყობა განთავისუფლებული სამშობლოს ინსტიტუციონალური მოწყობისადმი, რა თქმა უნდა, გადაედებოდა ერთ მუჭა პარტიულ დოქტრინალისტებსაც, მიუხედავად მათი სოციალური თეორიებით დაავადებისა, მათაც უბიძგებდა რეალობის აღქმისკენ და აიძულებდა, ეროვნული იდეები თუნდაც „მეორე პლანიდან“ მაინც განეხილათ, რაც სოციალ-დემოკრატიულ უმრავლესობაშიც ინვევდა სუსტ, მაგრამ მაინც წინააღმდეგობას პარლამენტა-



რული მმართველობისადმი. თუმცა მთავარ გამწვევ ძალას საპრეზიდენტო სისტემის დადგინების საკითხში მაინც ეროვნულ-დემოკრატიები წარმოადგენდნენ. მათ კიდევაც დაიმკვიდრეს უპირველესი ნაციონალური პარტიის სახელი, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ფიქციად აქცია „ახალმა ედჰ“-მ ჩვენს დროში. ეროვნულ-დემოკრატიების წარმომადგენელმა გ. გვაზავამ საკონსტიტუციო კომისიის წინაშე დააყენა საკითხი **პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების თაობაზე**. კომისიამ ხმათა უმრავლესობით უარყო ის. მაშინ მან მოითხოვა კონსტიტუციაში შეეტანათ მუხლი: „**თავმჯდომარეს ირჩევს ხალხი**“. ესეც უარყოფილ იქნა.

ამდენად, იმთავიდანვე ნათელი იყო, რომ საპრეზიდენტო ინსტიტუტზე უარის თქმა მიზანმიმართულად ხდებოდა, რათა ქვეყნის მმართველობისგან ხალხი ჩამოეშორებინათ და ძალაუფლება ხელში ჩაეგდო ერთ მუქა, პარტიად წოდებულ ჯგუფს (ჯგუფებს).

სამი დღის შემდეგ გ. გვაზავა ისევ მიუბრუნდა ამ საკითხს და კონკრეტული ფორმულირება წამოუყენა კომისიას: „უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება ენიჭება რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელსაც ირჩევს ხალხი 3 წლის ვადით. წესი ამ არჩევნებისა აღნიშნული იქნება კერძო კანონით. ეს წინადადებაც კომისიამ უარყო“ (დასახ. ნაშრ. გვ. 66/67). ამ მაგალითებიდანაც კარგად ჩანს, რომ მემარცხენეებს სახალხო ლეგიტიმაციაზე, ხალხის ნების სრულყოფილ და თავისუფალ გამოხატვაზე წარმოდგენა არ აქვთ, არც სურვილი იმისა, რომ თავიანთი სოციალისტური და პარტიული მისწრაფებების იქით რაიმე უფრო ღირებული დაინახონ და გზის მაჩვენებლად ხალხის ნების (დემოკრატიის უმთავრესი არსის) აღსრულება გაიხადონ.

გ. გვაზავამ (ზოგადად ეროვნულ-დემოკრატიებმა), როგორც დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთმა ავტორმა, კარგად უწყის ის პრინციპული ისტორიული და სოციალურ-პოლიტიკური მოცემულობანი, რაც აუცილებელს ხდიდა, ახლად განთავისუფლებული ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობა აგებულებიყო საპრეზიდენტო მმართველობით სისტემაზე. მათ

კარგად ესმით, რომ თითქმის უაუდიტორიო პარტიების მიერ განხორციელებული დემოკრატია და პარლამენტი ვერც ხალხის ნების გამომხატველი იქნებოდა და ვერც მდგრადი სახელმწიფოებრივი სისტემის უზრუნველყოფის საშუალება, რაც სულ მალე დადასტურდა კიდეც. პირველივე ხელშეახლებმა განსაცდელმა იმსხვერპლა ის სამაგალითო პირველი „საპარლამენტო რესპუბლიკა“!

მხოლოდ საყოველთაო სახალხო არჩევნებით არჩეული სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი იქნებოდა სახალხო ნების გამომხატველი პასუხისმგებლიანი მმართველი სახელმწიფოსი. ასეთ შემთხვევაში სულ სხვანაირად წარიმართებოდა ვითარება ბოლშევიკური აგრესიის ჟამს და გარეშე რეაქციაც სულ სხვანაირი იქნებოდა.

### ხალხის ნების კოსმიშრობა

პრეზიდენტის ინსტიტუტის საკითხში უფრო ღრმად გარკვევისთვის მკითხველს ვთავაზობთ მოკლე წიადსვლას ამ პრობლემის მეტი ისტორიული და მეტაფიზიკური გააზრების კონტექსტში. ამით ჩვენ შევეცდებით სრულფასოვნად წარმოსახვას ჭეშმარიტი პოლიტიკური დემოკრატიზმის განხორციელების შემდეგი უმთავრესი საკითხებისა:

– ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დემოკრატიზმს სუვერენული ხალხი უყრის საფუძველს;

– ყოველგვარი უფლების წყარო ხალხია;

– ყველა დიდი სახელმწიფოებრივ საკითხის გადაწყვეტაში მთავარი სიტყვა ეკუთვნის ხალხს;

– ყოველი ორგანო სახელმწიფოსი უნდა მოქმედებდეს ხალხის ნების შესაბამისად;

– ქვეყნად ხელმწიფება ეკუთვნის ხალხს;

– ხალხის ნება აბსოლუტია და ხორციელდება სახელმწიფოს მემკვიდრით და სახელმწიფოსვე სასარგებლოდ!

ყველასთვის კარგად ცნობილი სახელმწიფოებრივი მმართველობის კონსტრუქციით, დემოკრატიზმის ამ კრედოთა (მრწამსთა) განხორციელებას ადამიანები ათენის კლასიკური დემოკრატიიდან მოყოლებული ვიდრე დღემდე ესწრაფვიან. ისინი ცდილობენ ხალხის ნების სრულფასოვან განფენას მათი სასუვერენო ტერიტორიების (ქვეყნის) მთელ სივრცეში. ეს მისწრაფება თავისუფლებამოპოვებული ხალხისა კარგად, თითქმის მხატვრულად, არის ასახული 1921 წლის კონსტიტუციის მე-4

თავისთვის დაწერილ პოლიტიკურ კომენტარში: „... ხალხი სუვერენია, როგორც მონარქი მონარქიულ სახელმწიფოში. მისი ხელისუფლება არ ისაზღვრება გარედან, თავის ნებას ის თვითონ ზღუდავს. თვით ხალხი იძლევა იმ საზღვრებს, რომელშიდაც უნდა გაიშალოს და იბატონოს მისმა ნებამ. ხალხი ცდილობს, ისე, როგორც ნაცია, მიიღოს სახელმწიფოებრივი კოსმოსის ფორმა. ყველაფერში და ყველგან მისი ნება სჭარბობს“ (დასახ. ნაშრ. გვ.15).

ამ განმარტების თუნდაც ზედაპირული გააზრების შემდეგ წარმოუდგენელია, ადამიანს ეჭვი შეეპაროს იმაში, რომ ჯერაც თავისი უფლების დაკარგვის უდიდესი საშიშროების წინაშე მდგარი ქვეყნის ხალხს შეუზღუდო ეს უფლებები და უარი უთხრა პრეზიდენტის საყოველთაო არჩევნებით არჩევაზე. ეს ნიშნავს მისთვის უმთავრესი პოლიტიკური უფლების წართმევას. მაგრამ, სჯობია, ისევე მიეუბრუნდეთ დაანონსებულ „თეორიულ“ საკითხს.

\* \* \*

კომენტარში **ხალხის ნების** კოსმოსთან და მონარქიასთან შედარება მას ღვთიური ნებელობის გამტარებელ ფენომენად წარმოაჩენს. ასეთ შემთხვევაში ამ ნების შეზღუდვა და მისივე სახელით სპეკულირება არა მარტო ხალხის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა, არამედ ეს არის ერის (სამშობლოს) და ღვთის წინაშე ჩადენილი დანაშაული და ცოდვა. ამიტომ შევეცდებით, მონარქიასთან და კოსმოსთან ხალხის სუვერენული ნების შედარების კვალობაზე წარმოვსახოთ მისი ადგილი ნახსენებ სახელმწიფო მმართველობის პირამიდაში.

იმთავითვე ღვთიური ნებით განხორციელებული სრულყოფილი სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმა – მონარქია კონსტრუირებული იყო პირამიდის ფორმით, სადაც ამ პირამიდის საფუძველში ჩაკირულია ხალხი, მასზე დგას მთელი მმართველობითი კონსტრუქცია. მის ზეცისკენ მიმსწრაფ წვეროში მეფეა – მინაზე ღვთის ნების განმახორციელებელი. ამ მყარი, ზეცისა და მიწის გამაერთიანებელი სისტემის ოპოზიციად იშვა ათენური დემოკრატია, რომელიც თავისი სულ რაღაც 50-წლიანი აყვავების პერიოდიდან მოყოლებული იქცა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისეთ ატრიბუტად, რომელიც უკიდურესი დიქტატურის, ტირანიის, თავგასული ოლიგარქიის პირობებშიც კი აიძულებდა მმართველ ძალებს, მისი, თუნდაც თავისთავად, არსებობისთვის ანგარიში გაენიათ.

ახალი დროიდან მოყოლებული, რაც დაიწყო მონარქთა თავმოჭრა და ფრანგულმა რევოლუციამ გზა გაუხსნა დემოკრატიზმის ყოვლისშემძლეობას, ყოველი მხრიდან უტყვენ ამ „დრომოჭმულ“ პირამიდას, ანადგურებენ თვით კონსტრუქციას ხალხისა და სამართლიანობის

სახელით, მაგრამ **ვერაფრით მოუხერხებიათ იმ ნაჭრილი თავის ადგილას ხალხის დასმა...** ისინი იქ ვერ ეტევიან... ჭკვიანთა და გონიერთ არც სურთ იქ ასვლა... ამ გასაჭირიდან გამოსავლად მიღებულ იქნა ნაჭრილი კონუსის (პირამიდის) მოდელი, სადაც ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლები დასვეს. თითქოსდა შეკრეს ეს თავნაჭრილი პირამიდა: **ქვემოთ – ხალხი, ზემოთ კი – მათი რჩეულნი.**

მაგრამ ამით ვერ აღსდგა სახელმწიფოებრივი მმართველობითი კონსტრუქციის სიმყარე, არაფერი რომ არ ვთქვათ მის სულიერ-მეტაფიზიკურ არსზე, მიწასა და ზეცას შორის კავშირზე, რომელიც მოიშალა.

ამ დარღვეული კონსტრუქციის ერთ მთლიან მონოლითად შეკვრის ყოველგვარი მცდელობა უდიდესი პოლიტიკური კატაკლიზმებით სრულდებოდა. ჯერ კიდევ ათენის დემოკრატიიდან მოყოლებული და ევროპული რევოლუციებით გაგრძელებული. მიწასა და ზეცას შორის დარღვეული კავშირი სულიერ საყრდენს აცლიდა ამ ილუზორულ სახალხო მმართველობას.

მას ვერაფერმა უშველა, სანამ ამ ნაჭრილი პირამიდის თავი გონიერულად არ მოაპირკეთეს და ხალხთა ცალკეული დაპირისპირებული ჯგუფების წარმომადგენელთა ადგილას **მთელი ხალხის ნებით**, კონკურენტულ გარემოში, სახალხო და გამჭვირვალედ არჩეული, ღვთისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებელი წარმომადგენელი – **პრეზიდენტი (თავმჯდომარე) არ გაამწესეს.**

ამით აღსდგა არა მარტო სახელმწიფოებრივი მმართველობითი კონსტრუქციის სიმთელე, არამედ მიწიერ და ზეციურ სამყაროს შორის დარღვეული კავშირიც და სახელმწიფო მმართველობით სისტემას ისევ აღუდგა ის სულიერი ენერჯია, რომლის გარეშეც ყოველგვარი სახელმწიფოებრიობა ფიქციად იქცევა.

ასე აღსდგა სახელმწიფოებრივი მმართველობითი სისტემის პირამიდა, ახალი შინაარსითა და წარმოქმნის ახლებური წესით, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ჩვენს თანამედროვე ეგზისტენციასთან. **ის სრულიად აკმაყოფილებს სახალხო მმართველობის განხორციელების მოთხოვნებს. პირამიდის ფუნდამენტს და მის საყრდენს წარმოადგენს ფიზიკური ხალხი, ხოლო ზემოთ, ყოველი საარჩევნო ხმის სახით – მათი ნება, მასზე პასუხისმგებელია პრეზიდენტი. ასე ხორციელდება არა მარტო რაციონალური ძალაუფლება, არამედ მისი ირაციონალური ასპექტიც. შესაბამისად, ვღებულობთ სრულფასოვან სახალხო მმართველობას.**

## 100 წლის წინ დრომოჭმული პარლამენტარული მმართველობა

ახლა კი მივუბრუნდეთ ჩვენს ძირითად სათქმელს. პრეზიდენტის ინსტიტუტის საკითხი, როგორც ითქვა, ცხარე დისკუსიის ფონზე მიმდინარეობდა როგორც საკონსტიტუციო კომისიასა და დამფუძნებელ კრებაში, ასევე სოცდემოკრატიული უმრავლესობის შიგნით, სადაც ყველა არ იყო მომხრე უპასუხისმგებლო პარტიული მმართველობისა და სახელმწიფოს მმართველობიდან ხალხის გარიყვისა, რასაც ეს პარტიული პროპორცია აწესებდა. აქ ხალხის სახელით ძალაუფლებას ეუფლებოდნენ 100-200-კაციანი პარტიები, რომლებიც ისე იყვნენ განუწკებულები, რომ საკუთარი, ამ ე.წ. პარტიის ლიდერებისთვისაც კი ვერ იმეტებდნენ პასუხისმგებელი პირის სტატუსის დელეგირებას, თუნდაც რამდენიმე წლით მაინც, და იმაზე დავობდნენ, მთავრობის თავმჯდომარე აერჩიათ ექვსი თვის ვადით თუ მთელი საბიუჯეტო წლის მანძილზე.

საკონსტიტუციო კომისიაში მოწვეული „მცოდნე პირი“ (ექსპერტი) გ. ნანეიშვილი **რჩევას იძლეოდა პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ**; თვით სოციალ-დემოკრატთა ზოგიერთი წარმომადგენელი კი მოითხოვდა, კონსტიტუციაში აღენიშნათ, რომ **მთავრობის თავმჯდომარე იმავე დროს არის რესპუბლიკის პრეზიდენტი**, მაგრამ სოცდემების უმრავლესობა თავიანთი უპასუხისმგებლიანი (კოლექტიური) მმართველობის დაკანონებას მიელტვოდა, მაშინ როცა მათი ბელადი ნ. ჟორდანიაც კი რჩევას იძლეოდა საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების თაობაზე.

კონსტიტუციასთან დაკავშირებულ სპეციალურ გამოსვლაში ის აღნიშნავდა: აზრთა სხვადასხვაობა ეხება პრინციპული მნიშვნელობის საკითხებს და „სადავო არის თვით არსებითი მხარე ჩვენი რესპუბლიკის“. მისი თქმით, წარმოდგენილი კონსტიტუცია იყო „პარლამენტარული რესპუბლიკის პროექტი“ და უნდა გადაენყვიტათ, რა სურდათ – **საპარლამენტო თუ დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა**.

ის ამტკიცებდა, რომ საპარლამენტო რესპუბლიკა

„ბურჟუაზიის გამონაგონია“, აქ მთელი ძალაუფლება პარლამენტის ხელშია თავმოყრილი და მის შიგნით მიმდინარეობს ბრძოლა სხვადასხვა პარტიებს შორის.

ამ ბრძოლის შედეგია მთავრობის ხშირი ცვლა, რომელიც პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. ის ხაზგასმით აღნიშნავდა: „**პარლამენტარიზმმა** (ე.ი. საპარლამენტო მმართველობა. – მ.ზ) მოჭამა დრო და ეხლა... სურთ, რომ ჩვენს კონსტიტუციაში ეს დრომოჭმული პარლამენტარიზმი შემოიღონ“ (დასახ. ნაშრ. გვ.719 (ხაზი, ყველგან – მ.ზ.)

ჩვენ არ შევუდგებით ამ გამოსვლის დედააზრის გაშლას, თუნდაც მის კომენტირებას. აქ ასახული საზრისი ე.წ. საპარლამენტო მმართველობის შესახებ დღემდე ძალაშია, განსაკუთრებით ყველა დროისა და ეპოქის „ახალი დემოკრატიებისთვის“.

## ახალ მმართველობით სისტემაზე გადასვლის რეალური მიზეზი

ასეთია „საპარლამენტო მმართველობის“ იდეის შემოგდების ისტორიული წანამძღვრები და ის უშუალოდ დაკავშირებულია რუსულ-მემარცხენულ-ანარქისტულ ილუზიებთან. მას არაფერი საერთო არა აქვს დასავლურ პარლამენტარულ მმართველობასთან. როგორც ვნახეთ, ეს ფორმა უკვე იმ საუკუნის პირველი მეოთხედისთვის დრომოჭმულად იყო გამოცხადებული. ის მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ახლებური მონყობის პირობებში მოდერნიზებული ფორმით იწყებს ფუნქციონირებას „ახალი წესრიგის“ შესაბამისად, მონარქიული ტრადიციის მქონე ქვეყნებთან, ინგლისური ანალოგიის მიმსგავსებით.

წმინდა საპარლამენტო მმართველობის განხორციელების უპირობო პირობას წარმოადგენს უმაღლეს დონეზე განვითარებული თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოება. ამიტომ ახალი დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც მის ნაციონალურ სუვერენიტეტსა და თავისუფლებას საშიშროება ემუქრება, ასეთი „დრომოჭმული“ მმართველობის კონსტიტუციუ-

რად დადგინება დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის თვითმკვლევლობის ტოლფასია.

ჩვენს პირობებში პრეზიდენტის სახალხოდ არჩევაზე უარის თქმა და პროპორციულ არჩევნებზე მთელი იმედის დამყარება დემოკრატიზმის განვითარების გზა კი არა, არამედ **მისი დასამარებისა და „სახელმწიფოს სრულად წარტაცების“ შეუქცევადი პირობაა**. პუტჩისტური ალიანსის მიერ საზოგადოების კლანებად და სოციალური ინტერესების პატარ-პატარა ჯგუფებად დაშლა და პარტიული „სისტემის“ ჩამოყალიბება ხდება არა იდეისა და ინტერესთა ერთიანობის ირგვლივ, არამედ ამა თუ იმ საშუალებით ხელისუფლებაში მოსული ძალა თავის ირგვლივ თავმოყრილი ჭრელი მასისგან ქმნის კონგლომერატს და პარტიას უწოდებს. ასე იყო პუტჩის შემდეგ: მოსული რეჟიმის ირგვლივ თავმოყრილნი ქმნიან „მოქცავშირს“, ხოლო რევოლუციის შემდეგ მოსულები – „ნაციონალური მოძრაობას“, კონტრრევოლუციური ალიანსის ირგვლივ კიდევ – „ოცნებას“. ასეთ პირობებში ხელისუფლების ირგვლივ თავმოყრილნი ანაცვლებენ ხალხს და მთელ მმართველობას ხალხის სახელით ისინი წარმართავენ. ხალხი ეთიშება ყოველგვარ რეალურ პოლიტიკურ საქმიანობას. სახელმწიფო ექცევა ერთი მუჭა საფინანსო ოლიგარქიის ხელში და ის ოდენ მათ ინტერესებს ემსახურება, რა და როგორ, ამაზე ზემოთ ვიმსჯელებთ.

ასეთი პირობებში საპარლამენტო არჩევნები თითქმის მუდამ ფიქციის დონემდეა დაყვანილი. პარლამენტი იქცევა სახალხო დოვლათის მიმტაცებელ უსაქმურთა ხროვად. მათ მიერ მიღებული თუნდაც საუკეთესო კანონებიც კი ხალხში ნდობით არ სარგებლობს.

... ეს არანორმალურია, მაგრამ ფაქტია... ამიტომ ხალხის ნების გამოხატვის, ე.ი. დემოკრატიზმის განხორციელების ერთადერთ წყაროდ და გარანტად პარლამენტის დადგინება სრული ფიქციაა.

\* \* \*

ჯერ პუტჩისტურმა ალიანსმა და შემდეგ მისმა მემკვიდრე ფსევდოსოციუმმა იმდენი გააკეთეს, რომ სახალხო

და თავისუფალი არჩევნებით არჩეული, მრავალსაუკუნოვანი ნანატრი თავიუფლებისა და დამოუკიდებლობის მომტანი და გარანტი – უზენაესი საბჭო განდევნეს. სახელს უტეხდნენ საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში წარმოუდგენელი თავისუფალი და ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნებით არჩეულ სახალხო ორგანოს. შემდეგ კი, „იმედის არჩევნებიდან“ მოყოლებული ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებით დამთავრებული (მცირე გამონაკლისით), იმდენად გააყალბეს და გაამრუდეს ეს უმთავრესი პროცესი დემოკრატიზმისა, რომ ხალხს არჩევნების ხსენებაზე ელეთმეღეთი მოსდის. **ასეთი სიყალბითა და ძალადობით შეკონინებული პარლამენტი შესძულდა ხალხს, თვით არჩევნების ინსტიტუტმაც დაკარგა ნდობა.**

მაშასადამე, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ჩვენს პირობებში, როცა არ არის ფორმირებული მტკიცედ შეკრული მსხვილი სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურულ-საზოგადოებრივი ფენები თავიანთი შესაბამისი იდეოლოგიითა და მრწამსით, ვერც მესამე ფენის და ვერც რეალური მრავალპარტიული სისტემის ფორმირება ვერ მოხერხდება.

ამიტომ, ასეთ ფეთქებადსაშიშ რეგიონში მდებარე პატარა სახელნიფოში, როგორც ჩვენია, ახლო მომავალში, სანამ არ აშენდება რეალური დემოკრატიზმი (ეს კი ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გამო ძალზე რთულია), რაც პარლამენტარიზმის უმთავრესი პირობაა, საპარლამენტო რესპუბლიკური მმართველობის მოწყობა ილუზიაა, კიდევ უფრო მეტი – **დანაშაულია**. ამის წყალგაუვალ მტკიცებულებაა კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდგომი პერიოდი, დღევანდელი არანაკლებ საშიში პოლიტიკური სიტუაციის ჩათვლით, რომელზედაც მეტ-ნაკლებად ზემოთ ვიმსჯელებთ.

დღეს, **100 წლის წინ დრომოჭმულად გამოცხადებულ** ამ „პარლამენტარულ მმართველობას“ „უმამლო“ ახალი „პარლამენტისტიები“ პანაცეად და „ღვთის წყალობად“ გვთავაზობენ; თუმცა, რას ჰქვია გვთავაზობენ, – ის, რაზედაც ნ. ჟორდანია აღშფოთებით ამბობდა – „სურთ ეს დრომოჭმული პარლამენტარიზმი ჩვენს კონსტიტუციაში შეიტანონ“ – 100 წლის შემდეგ რეალობად აქცია მეოცნებე უმრავლესობამ. (კრუდემოკ-



რატიზმის „საყმანვილო სნებამოუხდელმა“ პუტჩისტური ალიანსის ახალგაზრდა შთამომავლობამ სახელმწიფოებრიობის დამაქცეველი ამ პროექტის გატანა თავის სავიზიტო ბარათად გაიხადა.

უძაღლო ქვეყანაში აყეფებული ეს კატეხი ვერ გრძნობენ, თუ რა ღვთის ცოდვაში ჩადგეს ფეხი და რას უქადის მათ 1 იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. ახალი ვარიანტი კონსტიტუციისა.

ახალი წლის შემოსვლაც ვერ დასცალდათ, ისე იწყო ჩვენი სახელმწიფოებრიობის გარანტმა პარლამენტმა თუხთუხი.

ამ შემთხვევაში მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების განხორციელების მიმზიდველობა და მისგან პირადი თუ ფგუფური სარგებლობის მიღების პერსპექტივა გადათქერავს იმ სუსტ წინალობას, რასაც „ერთპარტიული მმართველობა“ ქმნის... სავალალო ისაა, რომ ამას სახელმწიფო გადაყვება...

კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული საკითხების: იუსტიციის საბჭოს მიერ უმაღლეს სასამართლოში მოსამართლეთა უვადოდ არჩევის კანდიდატთა სიის პარლამენტში წარდგენის ან ე.წ. „მარიხუნას პროექტის“ შებრუნების შესაძლებლობის გარდა, გჯეროდეთ, მალე სხვა მრავალიც გამოჩნდება სასკანდალო, საითკენაც მიპყრობილი იქნება საზოგადოების ყურადღება.

## **პუტჩისტური ალიანსის ბრძოლა საპრეზიდენტო წყობის წინააღმდეგ**

ასე შორს აქვს ფესვები გადგმული საპრეზიდენტო მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიას. ახლა კი გვინდა მკითხველის ყურადღება მივაპყროთ იმ წინააღმდეგობებს, რომელნიც თან ახლდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროცესში სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის შექმნას.

ჩვენ აქ არ შევუდგებით მამარდაშვილისეული „ჯერ დემოკრატიის...“, სინამდვილეში „ანტიდემოკრატიულ“ ლოზუნგს

ამოფარებულთა ორმაგ თამაშს **პასუხისმგებლიანი** სახელმწიფო მმართველობის შემოღების წინააღმდეგ, რომელმაც თავიანთი ანტისახელმწიფოებრივი, დამანგრეველი ქმედებებით დღევანდელ დღემდე მოგვიყვანა. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ შევეცდებით, რამდენიმე შტრიხით მოვხაზოთ და შევეხოთ იმ ვულგარულ ე.წ. თეორიებს და მისგან მომდინარე აშკარად ანტისახელმწიფოებრივ და ანტიხალხურ გამოვლინებებს, რომლებიც ანგრევენ ჩვენს ეგზისტენციას.

ეს „ორმაგი თამაშის“ დიდოსტატები, რომლებიც ფარისევლურად ცალი ხელით პირჯვარს იწერდნენ საქართველოზე, მის თავისუფლებაზე, დემოკრატიაზე, ხოლო მეორე ხელით ჩაჰბლაუჭებოდნენ რუსული იმპერიის კალთას, მთელი არსებით ებრძოდნენ **ქართველი ხალხის ბუნებრივ და შინაგან მისწრაფებებს პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი.**

საქართველოს მოსახლეობის ასეთი მისწრაფება სრულად დაადასტურა პირველი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებმა, რომლის შესახებაც არჩევნების მეორე დღეს პრეზიდენტმა განაცხადა, „ქართული მოსახლეობის 99 % და არაქართულის 65 % მე მიჭერს მხარს“. სწორედ **ამ საყოველთაო თანხმობაში აისახა ჩვენში საპრეზიდენტო ინსტიტუტის შემოღების ბუნებრიობა.**

არჩევნების მიმდინარეობის პერიოდში ზედმინევნიტ განემარტა ხალხს, თუ რატომ იყო აუცილებელი ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისთვის პირდაპირი გზით არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება. ზურაბ გაგნიძე „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ თავის წერილში აღნიშნავდა, რომ მრავალპარტიული გზით არჩეულმა უზენაესმა საბჭომ გზა გახსნა რეფერენდუმისკენ, რომლის საფუძველზე გამოცხადდა დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. ამან **ბუნებრივად** მოითხოვა პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება და დამკვიდრება, რომელიც კი არ უპირისპირდება პარლამენტს, არამედ გამომდინარეობს მისგან და წარმოადგენს მის ლოგიკურ დაგვირგვინებას (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, მაისი, 1991 წ.).

ესაა ის ერთიანი ჯაჭვი დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოებრიობისა, რომლისგანაც თუნდაც ერთი რგოლის ამოღება განყვეტს ამ ერთიანობას და საშიშროების წინაშე დადგება მთელი სახელმწიფოებრიობა, რაც კიდევაც მოხდა სახელმწიფო-კრიმინალური გადატრიალების პროცესში, როცა განდევნეს პრეზიდენტი და შეწყვიტეს ამ ინსტიტუტის საქმიანობა. ხელში შეგვრჩა განადგურებული სახელმწიფო და დეცენტრალიზებული ქვეყანა, იმპერიის მიერ მიტაცებული, ოკუპირებულ-ანექსირებული (თითქმის სრულად) ტერიტორიები. აღსრულდა ის, რაზედაც არაერთგზის აფრთხილებდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ე.წ. ოპოზიციას, სინამდვილეში რუსული იმპერიის მსახურ პარტიულ-ნომენკლატურულ, კორუფციულ ჯგუფებსა და შეიარაღებულ ბანდებს და მათ იდეოლოგებს, „ნითელ ინტელიგენციას“.

სხვათა შორის, პრეზიდენტის ინსტიტუტის ისტორიულ მნიშვნელობასა და მის დანიშნულებაზე ქვეყნის ცენტრალიზაციის სკიოტში ზემოთ მიითითებული წერილის ავტორი წერს: თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, რომლის ძირითადი მიმართულება იყო ბრძოლა ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცებისათვის, მის ძარღვს წარმოადგენდა ცენტრალიზებული ხელისუფლების გაძლიერება და ცენტრიდანულ მიმდინარეობათა შესუსტება, რაც გარანტია იყო ერთიანი ძლიერი სახელმწიფოს არსებობისა. მაშინ თავისთავად ცხადია, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოტანა მიმართულია ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცებისკენ, რაც გამოხატავს ქართველი ერის ნებას და, მაშასადამე, დემოკრატიულიცაა, რადგან ხალხის ნებიდან ამოდის და არა რომელიმე ელიტარული ფინანსურ-ოლიგარქიული თუ პარტიული ინტერესებიდან.

მაშასადამე, თუ ავტორისეული სიტყვებით ვიტყვით, **პრეზიდენტის ინსტიტუტი „ქართველი ერის მთლიანობის გაძლიერების და აღორძინების აუცილებელი საშუალება გახლავთ“.**

ისტორიული ცნობიერებიდან გამომდინარე, ავტორი იმავე დროს ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **ცენტრალიზებული ხელისუფლების შესუსტებისკენ მიმართული ქმედება კი ყო-**

**ველთვის აღიქმებოდა, როგორც საქართველოს ერთიანობის სა-  
წინააღმდეგო აქტი და ღალატი** (იქვე). დღეს რა შეგვრჩა ხელში  
„კონსტიტუციური რეფორმის“ შედეგად? – მხოლოდ ის, რომ  
მარჯვენამ არ იცის, რას აკეთებს მარცხენა. აღმასრულებელი  
ხელისუფლება მართავს სახელმწიფოს მთელ საქმიანობას,  
მას წარმოადგენს უმრავლესობა (პარტია) და ამტკიცებს პარ-  
ლამენტი, მის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს  
იგივე საკანონმდებლო ორგანო, ის კი, თავის მხრივ, ექვემდებ-  
რება პარტიულ დიქტატს. მაშასადამე, მთელი სახელმწიფო  
სისტემა იმართება კონსტიტუციური ფარგლებიდან გასული  
პირის (თუ პირთა ჯგუფის) მიერ. ეს დემოკრატია კი არაა,  
არამედ უკან მიბრუნებაა საბჭოური ერთპარტიულობისკენ,  
რომლის მოდიფიკაციასაც წარმოადგენს პუტინისტური რუსე-  
თი. ასეთ პირობებში დღევანდელი სახალხოდ არჩეული პრე-  
ზიდენტის ინსტიტუტი მკვდრად შობილია.

ასეთ სიტუაციაში იმყოფება ქართული სახელმწიფოებ-  
რიობა დღეს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა სახელმწიფო-  
ებრიობის დასუსტებასთან ან ამ დასუსტებისკენ მიმართულ  
ქმედებასთან, რომელიც ჩვენი ისტორიის მანძილზე, როგორც  
ითქვა, მუდამ აღიქმებოდა ქვეყნის მთლიანობის წინააღმდეგ  
მიმართულ აქტად – ღალატად, არამედ **სრულდება, როგორც  
დასავლეთში უწოდეს, „სახელმწიფოს სრულად მიტაცება“**.

ასეთი დამანგრეველი პროცესების თუნდაც შენელების  
გზა სახალხოდ არჩეული პრეზიდენტისთვის ჩვენი სახელმწი-  
ფოებრიობის აღდგენის გარიჟრაჟზე დაკისრებული, საერთა-  
შორისო ნორმებით აღიარებული ვალდებულებების რეანიმი-  
რებაშია.

როგორც ჩვენი ავტორი აღნიშნავს, პრეზიდენტის ინ-  
სტიტუტი და პრეზიდენტობა დღეს ფიქსირდება, როგორც  
უდიდესი ეროვნული ტვირთი. ის არის ქართველი ხალხის თა-  
ვისუფლებისა და მრავალი საუკუნის მანძილზე დაკარგული  
დამოუკიდებლობის აღდგენისა და მისი ხანგრძლივად დადგი-  
ნების, **სრულფასოვანი სახელმწიფოებრიობის არსებობის გა-  
რანტიცა და სიმბოლოც**.

საინტერესოა იმავე ავტორის მიერ საქართველოს პრე-

ზიდენტისთვის აუცილებელი ნიშან-თვისებების წარმოჩენა, რომ საქართველოს პრეზიდენტი უნდა იყოს სულით და ხორციტ ქართველი, არაამბიციური და ამავე დროს დიდი შინიგანი ღირსების მქონე. ის უნდა იყოს ერის, ხალხის და არა რომელიმე ჯგუფის წარმომადგენელი. პრეზიდენტობა წარმოადგენს დიდ ეროვნულ ტვირთს, უდიდეს ეროვნულ პასუხისმგებლობას. თუ ამ განმარტებას ჩამოვაცილებთ საარჩევნო ბატალიებისთვის დამახასიათებელ (მაგრამ მაინც ზომიერ) პათოსს პრეზიდენტობის კანდიდატის საუკეთესო თვისებების წარმოჩენისა, ჩვენ მივიღებთ ქვეყნის პრეზიდენტის იმ სახეს, რომლის გარეშეც ის ვერ განახორციელებს ხალხის მიერ მისთვის მინდობილ ნებას. თუ როგორ უნდა განხორციელდეს ხალხის ეს ნება, ამაზე პირველმა პრეზიდენტმა ჩვეული ლაკონიურობით და სიბრძნისეულად უპასუხა 1991 წლის 27 მაისს (არჩევნების მეორე დღეს) პრესკონფერენციაზე:

აშშ მასმედიის წარმომადგენლის შეკითხვაზე – გ.ჭანტურია (სხვა ანტისახელმწიფოებრივი ჯგუფებიც. – მ.ზ.) ამტკიცებს, რომ **პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებას** ოკუპირებულ ქვეყანაში **აზრი არა აქვსო** – ის პასუხობს: ჭანტურიასნაირი არასერიოზული პიროვნებების ციტირების აქ მოყვანა ცოტა უხერხულია. მან ისიც არ იცის, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებობს საბჭოთა ჯარი და მაინც ტარდება საპრეზიდენტო არჩევნები. მართალია, არა პირდაპირი გზით, მაგრამ მაინც პარლამენტების მიერ არჩეულნი იქნენ პრეზიდენტები. **ამით ზვიად გამსახურდიამ საერთაშორისო პრაქტიკითაც განამტკიცა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესისთვის ამ ინსტიტუტის არსებობის აუცილებლობა.**

სამწუხაროდ, ჭანტურიას არასერიოზულობაზე უფრო საშიში იყვნენ ის ანტისახელმწიფოებრივი ძალები, რომლებიც, საყოველთაო თავისუფლებისა და დემოკრატიის სოფისტურ ლოზუნგს ამოფარებულნი, სინამდვილეში საკუთარი ვინრო-ჯგუფური ინტერესებით აგზნებულნი ებრძოდნენ ხალხის წინაშე პასუხისმგებლიანი მმართველობის ფორმირებას, რათა სუსტი სახელმწიფოებრიობის პირობებში, მუდმივ კრიზისსა და ქაოსში დაეკმაყოფილებინათ თავიანთი ყინი.

იმას, რასაც ეს ქაოსური ჯგუფები აკეთებდნენ, პოლიტიკურ „ინეტერესს“ ვერ უწოდებს კაცი. შედეგიც ყველამ უნყის. მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ ეს ტენდენცია იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ჩვენი მეოთხედსაუკუნოვანი დამოუკიდებელი არსებობა ჯოჯოხეთად აქციეს, კრიზისისა და ქაოსის გზით ატარეს ქვეყანა. მათ თავისი გაიტანეს, გაანადგურეს საპრეზიდენტო პასუხისმგებლიანი მმართველობა, რაც ჩვენი სახელმწიფოებრიობის სრულ დეგრადაციას გამოიწვევს.

**საპრეზიდენტო ინსტიტუტს ზვიად გამსახურდია მიიჩნევდა ჩვენი დამოუკიდებლობის მტრების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად და ეროვნული თანხმობის გარანტიად.** ის აღნიშნავს, რომ ამ არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე საერთო ეროვნული თანხმობა საქართველოში მიღწეულია. პრეზიდენტის თქმით, მცდელობა ეროვნული მოძრაობის, ქართველი ხალხის ორად გაყოფაზე, ეროვნულ განხეთქილებაზე და სხვა მისთანები – ყოველივე ეს ქორია.

**ამდენად, პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნების ჩატარება თავისი არსით რეფერენდუმის მნიშვნელობის მატარებელია, რომლითაც პერმანენტულად ფიქსირდება საყოველთაო თანხმობა დამოუკიდებელი დემოკრატიული და თავისუფალი სახელმწიფოს არსებობაზე.** ეს ის გარდაუვალი ღირებულებებია, რომლებიც აკლია პოსტპუტჩისტურ საქართველოს.

პუტჩისტური ალიანსით შეკონინებული ფსევდოსოციუმი ისევ იმ ძველი ფორმულით ასაზრდოებს ხალხს, რომ მაშინ საზოგადოებრივი განხეთქილება მოხდა, ხალხი **ორად** გაიყო და ა.შ. „**ორივე მხარე**“ თანატოლდაა პასუხისმგებელი გადატრიალებასა და მის შემდგომ პროცესებზე, ამიტომ ყოველივე უნდა დავივიწყოთ და წყალს გავატანოთ. მას ჩავლილ ეტაპს უწოდებენ და უაზროდ გაიძახიან, ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთო, მაგრამ **არავინ უნყის, სადაა ეს თავი.**

**თავი კი იმ გარდაუვალ ღირებულებებშია,** რომელნიც ჩამოყალიბდა 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებით დაწყებული და 1991 წლის 26 მაისის საყოველთაო არჩევნებით დამთავრებული.

ამ ღირებულებების სრულფასოვნად ამოქმედების გარეშე დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის ყოველგვარი მცდელობა ფუჭია, ვინაიდან სწორედ ისინი წარმოადგენენ დემოკრატიული საზოგადოების შექმნის აუცილებელ პირობას. მოცემულ შემთხვევაში, ლაპარაკია იმ დემოკრატიულ ღირებულებებზე, რომელთა მეშვეობით საქართველომ შეძლო ბოროტების იმპერიისაგან თავის დახსნა, დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოსათვის საფუძვლის ჩაყრა, რომელზედაც დღესაც ბოგინებს (უფრო ზუსტია ზანური „გიჩაჩახნა“) პოსტპუტჩისტური ფსევდოდემოკრატიული სახელმწიფო ელიტა.

\* \* \*

ქართველი ხალხის ეს მიღწევა მაშინდელი **თავისუფალი სამყაროს მხრიდან პატარა საოცრებად იყო აღქმული**, რაც კარგად ჩანს ერთ-ერთი კორესპონდენტის მიერ ჩამოყალიბებული კითხვიდან: „**თქვენ პირველები იყავით იმ საბჭოთა იმპერიაში, ვინც ჩაატარეთ მრავალპარტიული არჩევნები და პირველებმავე ჩაატარეთ ძალზე კარგად საპრეზიდენტო არჩევნები. კიდევ რაში უნდა იყოთ პირველნი ამ იმპერიაში**“.\*

ზ.გამსახურდია ზემოთ მოყვანილ კითხვაზე პასუხობს: „**დემოკრატიაში, ადამიანის უფლებების პატივისცემაში და ლოცვაში და უნდა ვიყოთ ამ ტოტალურ იმპერიაში დემოკრატიის კუნძული, რომელიც მთელ მსოფლიოს აჩვენებს, თუ რა შეუძლია მთელი ერის, მთელი მოსახლეობის გაერთიანებულ ბრძოლას და ძალისხმევას. ამას ჩვენ აუცილებლად გავაკეთებთ**“.

ეს იყო უდიდესი **ჰუმანური პროგრამა** დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარებისა და ღირსეული ადგილის მოპოვებისა დასავლურ პოლიტიკურ კულტურაში.

---

\* სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ მინასთან გაასწორეს ეს დემოკრატიული მიღწევები, რასაც, როგორც ითქვა, ერთსულოვნად აღიარებდა დასავლური ცივილიზაცია. მათ ჩანასახშივე მოსპეს ის მისწრაფებები და მიზნები, რომელთა აღსრულებასაც ჰპირდებოდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ცივილიზაციურ სამყაროს არჩევნების მეორე დღეს.

დაჯერებით შეიძლება ითქვას: ეს იყო მიზეზი შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალებისა. რადგან ის პირველი გზამკვლევაა დემოკრატიზმისა ტოტალური იმპერიის მასშტაბით სასიკვდილო საშიშროებას წარმოადგენდა ბოროტების იმპერიისთვის. ბოროტება და დემოკრატიული ჰუმანიზმი, საითკენაც მიიღტვოდა საქართველო, შეუთავსებელი იყო. სხვა ყველაფერი, ის შიდა პროცესები, რომელნიც გადატრიალების საბაბად იქნა გამოყენებული ამ უმთავრეს მიზანს: **რუსული პოლიტიკური სისტემისგან მონყვეტის არდაშვებას ექვემდებარება.** აუცილებელი იყო, **არ დაეშვათ ტოტალური იმპერიის ინტერესთა სივრცეში საქართველოს დემოკრატიის კუნძულად ჩამოყალიბება და არსებობა.** ეს „პრინციპი“ დღემდე მოქმედებაშია და ანადგურებს ჩვენს ანმეოსა და მომავალს.

ესაა ნამდვილი მიზეზი რუსეთ-საქართველოს პერმანენტული ომისა, რაც სხვადასხვა ფორმით ვლინდება ხოლმე, რევოლუციის შემდეგ კიდევ საქართველოს დასავლური ორიენტაციის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიად იქნა სახელდებული, რაც ნაწილობრივ შეეფერება სინამდვილეს, ვინაიდან დასავლურობაში დემოკრატიულობაც იგულისხმება.

მთელი „პროდასავლური ძალების“ გულწრფელი თუ ნახევრადგულწრფელი საქმიანობა ამ „ნაწილობრივ სიმართლეზე“ აგებული. შესაბამისად, ისინი ნაწილობრივ წარმატებასაც ძნელად აღწევენ. მათი „დიდი ღვაწების“ შედეგს სრულად ითვისებს ის პოსტპუტჩისტური ალიანსისგან შობილი სოციუმის ხელისუფლება, რომელიც სწორედ სახელმწიფოებრივი განვითარების იმ უმთავრეს მიზეზს ებრძოდა და ებრძვის, რასაც **საქართველო დემოკრატიის კუნძულად უნდა ექცია.** ამ უმთავრესში ემთხვევა ერთმანეთს პოსტპუტჩისტური კონტრრევოლუციური ხელისუფლებებისა და რუსეთის ინტერესები. ეს არაა შემთხვევითი პროცესი, **ინტერესთა დამთხვევა სათავეს იღებს საქართველოს დემოკრატიის კუნძულად გადაქცევის პროგრამის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლიდან.**

ახსოვს კი ეს პროგრამა ვინმეს დღეს?

ეს ჩვენი ფსევდოსოციუმი კი არა, თვით კანონიერების აღდგენისთვის თავგადაკლული მებრძოლებიც ნაკლებად იხედე-



ბიან ამ სიღრმეებში. დღევანდელ „მედასავლეთენი“ და ლიბერალ-დემოკრატები იმ სახელმწიფო პროგრამის გაუთვალისწინებლად, რაღაც გაგონილით და მოსმენილით, სადღაც ამოკითხულით თუ ვილაცის დაკვეთით „აშენებენ“ დემოკრატიულ სახელმწიფოს. იმას კი არ დაგიდევენ, შეესაბამება თუ არა ის იმ ფუძემდებლურ მიზნებსა და ამოცანებს, რომელთაც ასახავდა იმპერიის კლანჭებიდან თავდახსნილი ხალხი. არც იმაზე ფიქრობენ, **სად განყდა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ჯაჭვი, რატომ მოხდა ისე, რომ „გაიმარჯვა“ რუსულმა იდეოლოგიამ და ნომენკლატურულ-კრიმინალურმა რევანშიზმმა.**

### მცირეოდენი ნიაღვრე

ეს დიადი პროგრამა ქვეყნის (სახელმწიფოს) დემოკრატიული განვითარებისა საბჭოთა ნომენკლატურისა და კრიმინალურ-კორუფციული ალიანსის მიერ პროვინციულ ფაშიზმად იქნა მონათლული მათი ბელადისა და „მამა-მარჩენალი“ ედ.შევერდნაძის ხელდასმით. ამით გზა ჩაუხერგეს არა მარტო დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირების პროცესს, არამედ იდეაშიც მოსპეს დემოკრატიული საზოგადოების აშენების პერსპექტივა. ქვეყანა ჩაძირეს სიცრუის ჭაობში. გაიმარჯვა ბოროტებამ. ამის ნაყოფს ვიმკით დღემდე.

ყოველგვარ ჭეშმარიტად დემოკრატიულ ღირებულებებზე უარის თქმა და სიცრუისა და ორპირობის გაფეტიშება იქცა ცხოვრების ნორმად. ამ საშინელებას ვერც რევოლუციამ უშველა, რადგან ისინი დიდნილად პუტჩისტური ალიანსის მიერ შემუშავებული ფსევდოღირებულებების ტყვეობაში აღმოჩნდნენ, რომელიც ანადგურებდა ჭეშმარიტად დემოკრატიული განვითარების ფუძემდებლურ პროგრამას.

მათ ამ ფსევდოღირებულებებთან დასავლეთურ თეორიულ სწავლებათა თუ პრაქტიკის მექანიკური შეჯვარებით იწყეს დემოკრატიის საოცნებო კოშკის აშენება. ეიფორიაში მყოფებმა თავი დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის გზის გამკვლავებად წარმოიდგინეს. ის კი ვერ შეამჩნიეს, რომ ამ მშენებლობის პროექტი უკვე მოხაზული იყო და კრემლის ბრძანებით და მისი ქართველი ემისრების ხელით ცხრაკლიტულში დაგმანული. უპროექტოდ აშენებული ეს „ახალი შენობა“ ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა, სადაც ცოტა ხანს იფარფატა და შემდეგ ზღართანი მოადინა მიწაზე. იზიგმა კონტრრევოლუციამ, რეაქციულმა პოსტპუტჩისტურმა ალიანსმა. გაცოცხლდა ჩრდილოური გზის იდეა და „დათვი თუ მოგერია, ბაბაია უთხარიო“-ს პრაქტიკამ. მისი განხორციელების პროგრამად კიდევ „ზედ-

მეტად თვალში ნურავის შევეჩხირებოთის სიბრძნე“, დასავლეთთან კავშირი და დემოკრატიის აშენებისკენ მიმართული „უდიდესი ძალისხმევა“ – შირმად, რომლის გარეშე ის პრაქტიკული, ეკონომიკური და საფინანსო კავშირები, საინვესტიციო პროგრამები ჩამოეკიდება, გზა ჩაეკეტება მსოფლიო ჩრდილოვანი ეკონომიკის გავლენას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ოლიგარქიული ელიტისთვის...

ამდენად, უდიდესი იმედგაცრუება მოელთ იმათ, ვინც კონტრე-ვოლუციით აღორძინებული პუტჩისტური ალიანსის ამ პროგრამის კრიტიკით თუ მათთან კონსტრუქციული თანამშრომლობით ილუზიას იქმნიან დემოკრატიული საზოგადოებისა და მმართველობითი სისტემის ფორმირების თაობაზე. ეს უდიდესი თვალთმაქცობაა, თორემ ნუთუ ვერაფერი ისწავლეს „დიდი დემოკრატის“ ედ.შევარდნაძის საქმიანობისგან, მის მიერ აშენებული დემოკრატიული სისტემისგან. ნუთუ ძნელია გაიგო, თუ სანამდე შეიძლება მიიყვანოს სახელმწიფო, საზოგადოება ამ საკითხში (დემოკრატიის) ორპირობამ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ ნამდვილად გვინდა გამოვიდეთ მეოთხედასუკუნოვანი კრიზისიდან, თავი უნდა დავანებოთ უზნეო თამაშებს ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოებრიობისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ საკითხზე – დემოკრატიაზე. მიუუბრუნდეთ დამოუკიდებელი სახელმწიფოს გარიჟრაჟზე ფორმირებულ პრინციპს ...ვიყოთ პირველნი დემოკრატიაში, ადამიანების უფლების პატივისცემაში და ლოცვაში... ავაშენოთ დემოკრატიის კუნძული... აი, რა არის ეროვნული თანხმობის უპირველესი საკითხი. ასეთი თანხმობის გარეშე ყოველგვარი მცდელობა დემოკრატიული სახელმწიფო სისტემის გაუმჯობესებაზე ამაოა.

არსებული კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთ სწორ გზად გვესახება, შევთავაზოთ ხალხს ეროვნული თანხმობისა და სოციალური თანაცხოვრების ახალი საზოგადოებრივ ხელშეკრულება. მონოდება ასეთ საზოგადოებრივი ხელშეკრულებაზე ჩვენში კი არა, კლასიკური დემოკრატიის ქვეყნებშიც გაისმის, ვინაიდან დღევანდელი ცივილიზებული სამყარო რაშიც ნამდვილად დარწმუნებულია, ეს ქაოსია – სოციალური და პოლიტიკური.

ასეთ უკიდურესად კრიტიკულ ეპოქაში პრეზიდენტის ინსტიტუტის დეგრადირება სწორედ რომ ქაოსის ხელოვნურად გამწვავებას ემსახურება. ამიტომ უნდა ვესწრაფოთ პრეზიდენტის პასუხისმგებლიანი ინსტიტუტის იმ მიზანდასახულობის დონეზე აღორძინებას, რომელიც მას დაესახა მისი დაბადების მეორე დღესვე.

\* \* \*

ახლა ისევ მივუბრუნდეთ მთავარ თემას:

პრეზიდენტის ინსტიტუტისათვის ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარების საკითხთან ერთად, **უპირველესი მნიშვნელობის პრობლემას წარმოადგენს საქართველოს პოზიციის განმტკიცება საერთაშორისო ასპარეზზე და აღიარება, როგორც თანასწორუფლებიანი სუბიექტისა და პარტნიორისა.**

**მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია პრეზიდენტის ინსტიტუტის ზრუნვა\* ეკონომიკური სტაბილიზაციისთვის როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ, რათა უზრუნველყოფილი იყოს ხალხის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის პერმანენტული გაუმჯობესება, მისთვის ხელშემშლელ გარემოებათა მოშლა.**

სამწუხაროდ, ამ ორივე მიმართულებით საქართველო დღეს საერთაშორისო არენაზე მოპოვებული **პოზიციების დათმობის** ეტაპზეა, პრეზიდენტის ინსტიტუტის სრული დეგრადირების შემდეგ ეს პროცესი კიდევ უფრო შეუქცევადი გახდება.

საწყის ეტაპზევე პრეზიდენტის ინსტიტუტისთვის გარდაუვალ ამოცანად დაისახა **სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის განსაზღვრა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და პრინციპების საფუძველზე, მის ურყევ კავშირ-ურთიერთობაზე დასავლური დემოკრატიის ქვეყნებთან.** პრეზიდენტი საქვეყნოდ აცხადებდა, რომ „ჩვენი პოლიტიკური კურსი ყოველთვის დაემყარება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებს, დემოკრატიის პრინციპებს“.

აი, ეს იყო მიუღებელი საბჭოური და პოსტსაბჭოური რუსული ტოტალიტარიზმისთვის, რომელიც ესწრაფოდა არა დემოკრატიულ გარდაქმნებს და საყოველთაოდ აღიარებული ამ ჰუმანიტარული პრინციპების დანერგვას და ტოტალიტარული ბოროტების საფუძვლის მოშლას, არამედ ყველაფერს აკეთებდა და აკეთებს იმისთვის, რომ რუსულ ტოტალიტა-

---

\* ზრუნვა და არა უშაუალოდ ხელმძღვანელობა.

რიზმს მიუსადაგოს ეს ე.წ. დემოკრატია და მმართველობის განსაკუთრებული რუსული სტილის შირმად აქციოს.

იმპერიის ნანგრევებიდან საქართველოში „დემოკრატიის კუნძულის ამოზრდა“ მათი ბუნებისთვის ყოვლად მიუღებელია. ამიტომ აწარმოებდნენ გორბაჩოვ-შევარდნაძე ხმალამოღებულ ბრძოლას საქართველოში ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების წინააღმდეგ.

ჩვენს თავზე დამოკლეს მახვილად ჩამოკიდული ამ საშიშროების გამო იყო, რომ პრეზიდენტი აცხადებდა: „...ჩვენ არ დავუშვებთ ანარქიას საქართველოში, ანარქიას, დესტაბილიზაციას და კრემლის ბნელი ძალების თარეშს“. ეს საშიშროება დღესაც ალესილ მახვილად კიდია საქართველოს თავზე; მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც დასავლეთისთვის „პოსტსაბჭოური დემოკრატიზმის“ იმედად მიჩნეულმა ელცინმა, როგორც ითქვა, საბჭოთა კავშირის დაშლის დღესვე, თავისი საქმიანობა იმით დაიწყო, რომ საქართველოს პრეზიდენტს შემოუთვალა, თავი დაენებებინა დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს მისეული გეგმის განხორციელებისათვის და დაუყოვნებლივ მიერთებოდა სნგ-ს. ულტიმატუმის გავლის შემდეგ, წუთი-წუთზე დაიწყო ის პრობლემები, რის შექმნასაც ელცინი იქადნიდა; დაიწყო „თბილისის ომი“, სინამდვილეში, განახლდა რუსეთ-საქართველოს ომი.

ამიტომ სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის თვინიერ არაა სხვა ინსტიტუტი, რომელიც შეძლებდა ყველა ამ მისიის სრულყოფილად განხორციელებას.

## პრეზიდენტის ინსტიტუტის როლი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში

ზემოთ ჩამოთვლილი ღირებულების განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრა და უნდა განისაზღვროს პრეზიდენტის ინსტიტუტის დანიშნულება სახელმწიფოს მონაწილეობაზე ჰელსინკისა თუ მის შემდეგ შექმნილი საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების საქმიანობაში თუ სხვა მრავალსახოვან პროცესებში.

პრეზიდენტმა არჩევის მეორე დღესვე ხაზგასმით აღნიშნა ამ პროცესებში საქართველოს მონაწილეობის პოზიტიურ მნიშვნელობის თაობაზე და დასახა სამომავლო მიზანი, რომ მათში მონაწილეობა სასიცოცხლოდ აუცილებელია, ვინაიდან „პელსინკის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა და პრინციპი არის სწორედ ისეთ ქვეყნებთან ურთიერთობა, სადაც არის ნამდვილი დემოკრატია და დაცულია ადამიანის უფლებები“.

მამასადამე, ყველა ძირითად პოზიციაში, რომელთა განხორციელებასაც უნდა ემსახურებოდეს პრეზიდენტის ინსტიტუტის დამკვიდრება, **მათ ამოსავლად აღიარებულია დემოკრატიული პრინციპები და ადამიანის უფლებათა დაცვა. აქედან გამომდინარე, განსაზღვრულია საგარეო ურთიერთობათა პრიორიტეტი, რომ მეგობრული კავშირი გვექონდეს ისეთ ქვეყნებთან, სადაც არის ნამდვილი დემოკრატია.**

ამდენად, სახალხოვად არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის ფუნქციონირება გარდაუვლად აუცილებელი ფორმაა ჩვენი დამოუკიდებელი ახალგაზრდა სახელმწიფოსთვის. **მხოლოდ ამ ინსტიტუტის მეშვეობითაა შესაძლებელი სახელმწიფო მმართველობაში ხალხის – საზოგადოებრივი ფენების სრულფასოვანი მონაწილეობისა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების უზრუნველყოფა.**

ამასთან, ისაა გარანტი ათასწლოვან სახელმწიფოებრიობასთან ისტორიული და ფსიქოკულტურული კავშირის შენარჩუნებისა, თვით სისხლისმიერი და გენეტიკური ერთობის ჩათვლით. ზვიად გამსახურდია კი ამ მეტაფიზიკურ სულიერ ერთობას მიიჩნევდა ნამდვილი დამოუკიდებლობის მოპოვების გზად. ის „ოგონიოკის“ კორესპონდენტს უხსნის: „... ნამდვილი დამოუკიდებლობის გზა ეროვნული სულის, ეროვნული ხასიათის რესტავრაციით, მრავალი თვალსაზრისით უკვე დაკარგული ეროვნული ხასიათის რესტავრაციით, ეროვნული სიამაყის, ეროვნული ღირსების აღორძინებით უნდა დაიწყოს, ეს ალბათ უფრო ძნელია, ვიდრე მრავალი პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხის გადაწყვეტა... უამისოდ საერთოდ

ვერ გადავწყვეტთ ვერც ერთ დიდ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ამოცანას“ (კრებული ტ.1, გვ.196-197).

ზვიად გამსახურდიას მიერ დამოუკიდებლობის განხორციელების ზეამოცანად გამოცხადებული ამ საკითხის გადწყვეტის ორგანიზება და მასზე პასუხისმგებლობის აღება მხოლოდ სრული სახალხო ლეგიტიმაციის მქონე ლიდერის კომპეტენციაში შედის. სახელმწიფო სტრუქტურაში ასეთად პირდაპირი გზით არჩეული პრეზიდენტი თუ შეიძლება იყოს.

### ზვიად გამსახურდია პრეზიდენტის საერთო-სახალხო გზით არჩევის მნიშვნელობაზე

საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ოფიციალურ ინაუგურაციამდე ცოტა ხნით ადრე, 1991 წლის 7 ივნისს, უზენაესი საბჭოს სესიაზე გამოსვლისას, თავისი სიტყვის შესავალ ნაწილში კიდევ ერთხელ განმარტა საყოველთაოდ არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობის აუცილებლობის საკითხი. მან მადლობა გადაუხადა ყველა მხარდამჭერს და მიმართა: „მე მსურს აგრეთვე თქვენი ყურადღება მივაპყრო უდიდეს მნიშვნელობას **საერთო-სახალხო არჩევნებისას**“ თავისუფლებისა და დემოკრატიის რეალური განხორციელების გზაზე..

ის განმარტავს: „მძიმე და ეკლიანია თავისუფლებისკენ მიმავალი გზა... ძნელია ამ გზაზე ყოველდღიური სიარული, როცა გაივლის პირველი ენთუზიაზმი, გამოჩნდებიან შეცდომილები და გზას აცდენილები, როდესაც ამქვეყნიერი ხორციელი პრობლემები თითქოსდა შურს იძიებენ შინაგანად უკვე თავისუფალ ერზე“. ის იქვე დასძენდა: „უნდა ვალიაროთ, რომ ოცნება თავისუფლებაზე, სტიქიური მოქმედება მისი სახელით, შეუდარებლად უფრო იოლი იყო, ვიდრე სახელმწიფო რანგში აყვანილი ეროვნული აღორძინება“. ამით პრეზიდენტმა ხაზგასმით გამოყო სახალხო არჩევნებით ფორმირებული პრეზიდენტის ინსტიტუტის უპირველესი საზრუნავი, **მოპოვებული თავისუფლების გაღრმავება და ეროვნულ აღორძინებაზე ზრუნვა, საკითხის სახელმწიფოებრივად უზრუნველყოფა.**

**მეორე** – აუცილებელ და არანაკლები მნიშვნელობის პრობლემად გამოიკვეთა ხელისუფლების ვალდებულება, შეამოწმოს ხალხის შინაგანი მზაობა თავისუფლებისთვის, რადგან არ შეიძლება ოდენ გარეგანად მივანიჭოთ ხალხს იგი. ეს აუცილებლობა თავისუფლებისთვის ხალხის შინაგანი მზაობის შემოწმებისა არის ის მომენტი, რომლითაც **პრეზიდენტის სახალხო არჩევნებით არჩევას ანიჭებს რეფერენდუმის მნიშვნელობას**. ამ გზით პერიოდულად მონმდება და დასტურდება ხალხის ნება თავისუფლებასა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით არსებობის სურვილზე.

პრეზიდენტის პირდაპირი გზით არჩევის მნიშვნელობის კიდევ ერთი, **მესამე** საკითხიც ნათლად გამოიკვეთა პრეზიდენტის სიტყვაში, რომელიც დასკვნის სახით გადმოგვცა: „დღეს უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ურყევია ქართველი ხალხის ნება დააღწიოს თავი იმპერიულ ბორკილებს. იგი პრინციპულად ადგას ამ გზას. ეს არ გახლავთ მოულოდნელი. ქართველი კაცი კიდევ ერთხელ ამბობს უარს ამქვეყნიურ ფიზიკურ კეთილდღეობაზე სულისმიერი, ეროვნული აღორძინების სახელით. აღორძინება კი განახლებისა და საკუთარი ჭეშმარიტი მეობისკენ დაბრუნებას ნიშნავს. **გადამწყვეტ მომენტში ამ გზის გაკვალვის პროცესში ქართველთა გვერდით დადგა არაქართველი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი**“ (დასახ. კრებული, ტ. II, გვ. 131-154). მაშასადამე საერთო-სახალხო არჩევნები ერის მიერ თავისი მეობის გამოსატყვის საშუალებაა.

ამასთანავე პრეზიდენტის სახალხოდ არჩევას ის მნიშვნელოვანი ფუნქციაც აკისრია, რომ ამ უაღრესად დემოკრატიული გზით შეამოწმოს **უმცირესობის** გუნება-განწყობა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიმართ, რაც პარტიული არჩევნების (საპარლამენტო) გზით ნაკლებადაა შესაძლებელი.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ თუკი რუსული ბოროტებისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო მისი ინტერესების სივრცეში „დემოკრატიის კუნძულის“ აშენება, დასავლური „ჩრდილოვანი დემოკრატიისთვის“ კატეგორიულად შეუსაბამო გახდა „ფიზიკურ კეთილდღეობაზე უარის თქმა სულიერი, ეროვნული აღორძინების სახელით“, „საკუთარი ჭეშმარიტი

მეობისკენ მიბრუნება“, მით უმეტეს, ამ საკითხში ქართველთა გვერდით დადგა ეროვნული უმცირესობის უმრავლესობა. ასე შეიკრა ჩვენს თავზე მანკიერი წრე.\*

კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი, რომე-

---

\* მგონი პრეზიდენტის ამ მსჯელობიდან აშკარად იკვეთება პასუხი იმათ მიმართ, ვინც ხმის ჩახლენამდე ამტკიცებს (ზოგი წინასწარ განზრახულად, ზოგიც მიამიტურად, განსაკუთრებით ახალგაზრდა და საშუალო თაობა): „ქართველი ხალხი არ აღმოჩნდა მზად თავისუფლებისათვის“. ზოგად მსჯელობას რომ მოვეშვათ, ერთ კონკრეტულ მაგალითზე შევჩერდები.

რუსთავი-2-ის ერთ-ერთი ძალზე მნიშვნელოვანი და საჭირო შოუს წამყვანი მწერლები (შემოქმედებითი ჯგუფი) ხმამაღლა ამტკიცებდნენ იმას, რომ ქართველი ხალხი არ აღმოჩნდა მზად თავისუფლებისათვის. ამ შემთხვევაში ჩვენ მათთან პოლემიკაში არ შევალთ, უბრალოდ, მინდა ამ ახალგაზრდებს შევასხნო, რომ საქართველოს მოსახლეობამ შვიდი თვის განმავლობაში სამჯერ დაადასტურა თავისი მზაობა თავისუფლებაზე, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობაზე. ამის დავინყება არ შეიძლება. მის გარეშე დემოკრატიული საზოგადოების აშენების ყველა მცდელობა ფუჭად ჩაივლის.

ის, რაც მოხდა, არ ყოფილა თავისუფლებისთვის ხალხის მოუმზადებლობის მიზეზით, არამედ იყო სახელმწიფოს დონეზე აყვანილი ხალხის თავისუფალი ნების წინააღმდეგ მონყობილი რევანში რუსეთის იმპერიის მხრიდან, ქართულ კომუნისტურ-ნომენკლატურულ კორუფციულ ფენაზე და კრიმინალურ „ბეზარედელზე“ დაყრდნობით.

თავისუფლებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის თვალსაზრისით, საქართველოს მოსახლეობა, მით უმეტეს, ერი არასდროს ყოფილა ორად დაყოფილი. ყოველივე ეს გამონაგონია პუტჩისტურ აღიანსში შეკონინებული იმ ძალებისა, რომლებიც, დემოკრატიის იდეას ამოფარებულნი, დღემდე კრემლის ორბიტაში ტრიალებენ ან კიდევ საერთაშორისო „ჩრდილოვანი დემოკრატიის“ (საფინანსო-ეკონომიკური) გავლენის სფეროში მოქცეულან. ამიტომ ზოგიერთების მიერ დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე გამოკრებული ეს თეზა, რომ „ერი (ხალხი) მზად არ აღმოჩნდა თავისუფლებისთვის“, სინამდვილეში უდიდესი სიცრუე, ის ნელი მოქმედების ნაღმია, რომელიც თქვენ კეთილ განზრახვებში – დემოკრატიულ საზოგადოების აშენებაში – ხელს გიშლით და ყოველი მკვეთრი მოხვევისას ხელში გიფეთქებთ.

ამდენად, დემოკრატიულ განვითარებაზე მსჯელობის ყოველ ჟამს, ათასწლეულობით თავისუფლებისთვის ბრძოლის იდეის გენეტიკაში გამომშემუშავებელ ხალხს თავისუფლებისთვის მოუმზადებლობა დააბრალო, ეს, არაფერი რომ არ ვთქვათ პოლიტიკურ სიბეცეზე, ისედაც დიდი ცოდვია, რომელიც აუცილებლად ამოხეთქავს. ის, რომ დღემდე მოაღწია თავისუფლებისა და დემოკრატიული აღმშენებლობის იდეამ, ეს ხალხის მიერ სამაგზის დადასტურებული ნების გავლენით ხდება, რომლის განახლება რევოლუციამ სცადა, მაგრამ მის ზედა ფენაში ამ და სხვა მსგავს იდეათა მოჭარბებულობის გამო ვერ მოხერხდა და ისევ იმარჯვა რეაქციამ.



ლიც გამოიკვეთა ზვიად გამსახურდიას ამ გამოსვლაში, ესაა **მოსახლეობის ნებისა და სახელმწიფოს (მთავრობის) პოლიტიკური გეზის ქვემარტი ერთიანობის უზრუნველყოფა**, ამ გზით ძირეული რეფორმების (საშინაო), საერთაშორისო საქმიანობის და ა.შ. **ლონისძიებათა გამჭირვალობა და მათში ხალხის მონაწილეობის გარანტირება**.

ამდენად, საპრეზიდენტო არჩევნებით პერმანენტულად უნდა დადასტურდეს სახელმწიფოს პოლიტიკური გეზის გამჭვირვალობა და ამ გზით მასში ხალხის მონაწილეობა. ის უნდა მიესადაგებოდეს მსოფლიოში გაცხადებული ახალი პოლიტიკური აზროვნებისა და მსოფლიოს ახალი წესების პრინციპებს, „ქართველი ერის უფლებას და ურყევ ნებას – იცხოვროს დამოუკიდებელ სახელმწიფოში“.

პირველი პრეზიდენტი ამ ახალი აზროვნებისა და წესის დანერგვას უკავშირებდა ქვეყნის მომავალს, რომ მას „ექნება მსოფლიოს დემოკრატიული სახელმწიფოების თანადგომა. საქართველოს რესპუბლიკა მსოფლიოს სახელმწიფოებთან ურთიერთობას ააგებს თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთხელსაყრელიანობის და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე. საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდება უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო შეთანხმებებს ერთიანი მშვიდობიანი თანაარსებობის ყველა სფეროში“ (დასახ. კრ. გვ.154).

ასეთია ის ძირითადი საკითხები, რომელთა განხორციელებაზე ზრუნვა სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის კომპეტენციაში უნდა შედიოდეს, მათდამი პასუხისმგებლიან მონიტორინგს ახორციელებდეს. ყველა სხვა შემთხვევაში მათი აღსრულება საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან არასრულყოფილი იქნებოდა, უფრო მეტიც – ფიქცია, რადგან მათში სრულყოფილი ნების ასახვა ვერ მოხერხდებოდა; ხალხი გამოეთიშება პროცესს; ხალხის გარეშე ვერც პროცესის გამჭვირვალობა მოხერხდება და ვერც დემოკრატიულობის უზრუნველყოფა. ყოველივე ეს კი დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობას, თვით მის არსებობასაც კი უქმნის საფრთხეს.

ჩვენ ამჯერად არ ვამახვილებთ ყურადღებას პრეზიდენტის პასუხისმგებლიანი ინსტიტუტის არსებობის ფორმალურ მხარეებზე, რომლის მეშვეობითაც მყარდება ისტორიული მემკვიდრეობითობა როგორც აწყმოსთან, ასევე მომავალთან (სიმბოლურად). მათ შორის ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრიობის არსებობის ღირსეული მატერიალური სიმბოლოს, პრეზიდენტის სასახლის – ქვეყნის მთავარი არქიტექტურული ნაგებობის არსებობა. ამდენად, ახლად დამოკიდებლობამოპოვებული, ჯერაც ფეხმოუმაგრებელი დემოკრატიული ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია სახალხო არჩევნებით არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობა. შესაბამისად, განუზომლად დიდია ის საშიშროება, რომლის მატარებელიცაა ახალი წლიდან ამოქმედებული „ახალი კონსტიტუცია“, რომელიც უარს ამბობს პირდაპირი გზით არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტზე და ახდენს ჯერაც არსებულის სრულ დეგრადირებას. მოკლედ, ქვეყანა უკიდურესი გამოცდის წინაშე დგას...

გადარჩენის გზა ეროვნულ თანხმობაზე გადის. ამიტომ გარდაუვლად მიგვაჩნია ავაშენოთ ნდობის ის პლატფორმა, რომელიც შესაძლებელს გახდის რეალური თანხმობის მიღწევისთვის გზის გაკვალვას.

## დღევანდელი მოზის თავსატაკივარი

რთულია იმ რეალური მიზნების დანახვა, რომლის განხორციელებასაც იწყებს „ოლიგარქიული მმართველობა“ „ახალი კონსტიტუციის“ ამოქმედების კვალდაკვალ.

ეს სრულიად არაკონსტიტუციური, სახელმწიფოს გარეთ მდგარი მმართველობა, რომელიც ხორციელდებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების მეოხებით (ცივილიზებული სამყაროს თვალწინ), ამჯერად **შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკის ვექტორს იცვლის და მას მიმართავს საკანონმდებლო ხელისუფლების მეშვეობით სახელმწიფოს სრულად დაუფლებისაკენ.**

ქვეყნის შიდაპოლიტიკური წესრიგი საგრძნობლად იც-

ვლება. ერთმანეთთან „შესაბამისობაში“ მოდის სახელმწიფო-ებრივი სტრუქტურის გარეთ მდგარი „ოლიგარქიული მმართველობა“ და ე.წ. „საპარლამენტო მმართველობა“. ეს დემოკრატიული ქაოსი დამთავრდება „რუსული დემოკრატიული ტოტალიტარიზმის“ ქართული ნაირსახეობის დამკვიდრებით. ეს იქნება დღეს არსებული საკონსტიტუციო უმრავლესობის არამყარი სისტემის ჩანაცვლება ერთპარტიული დიქტატურით, სადაც პარტია და მისი თავმჯდომარე სრულიად „კანონიერად“ წარმართავენ პარლამენტის დღის წესრიგს, ე.წ. საპარლამენტო მმართველობას.

ის შეძლებს თავისი პარტიული ლაბორატორიიდან უმტკივნეულოდ განკარგოს აღმასრულებელი ხელისუფლების მთელი საქმიანობა. პარტიის პოლიტსაბჭოს ყოველი სხდომა მათთვის ღვთის რისხვის ტოლფასი იქნება\*. აღმასრულებელი შტოს ხშირი ცვლილება ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა და პოლიტსაბჭოს „კანონიერ“ გადანყვევტილებაზე იქნება დამოკიდებული. ამ ცვლილებათა შესაძლო მიზეზებზე, უფრო სწორად საბაბზე და, თუკი კიდევ უფრო დავზუსტდებით და რუსულ სლენგს გამოვიყენებთ, „солдатская причина“-ზე იზრუნებს პარტიის ბოსი.

**მაშასადამე, სახელმწიფოს გარეთ მდგომი „ოლიგარქიული მმართველობა“ აღმასრულებელი ხელისუფლების ნებლობითი გზით მართვის ტაქტიკას შეცვლის საკანონმდებლო ორგანოს მეშვეობით სრულიად „კანონიერი“ მმართველობით. პარტიის თავმჯდომარის ხელში „საპარლამენტო მმართველობა“ იქცევა იმ ინსტრუმენტად, რომლის მეშვეობითაც ის შეძლებს სახელმწიფო მმართველობის ყველა შტოს თავის ხელში თავმოყრას და პიროვნული დიქტატის ღიად დამყარებას, მით უმეტეს, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი იქცა რუდინენტულ ორგანოდ, რომელიც ყოველგვარ პოლიტიკურ პროცესებს ჩამოშო-**

---

\* ეს თავი გამოქვეყნდა ჟურნალ „მიჯნაში“ (№1, 2019 წელი) ამ ორიოდე თვის წინ. ამ ხნის განმავლობაში პოლიტსაბჭოს (თავმჯდომარის) რისხვა თავს დაატყდა მრავალთ, მაგრამ აღსანიშნავია მინისტრ ქობულიას კინისკვრით გაგდება.

**რებულია და ოდენ ზიანის მომტანი პერსპექტივა თუ უჩანს.**

ამდენად, **სანამ ოპოზიცია და საზოგადოება იმ ძველ დუ-დუკზე უკრავენ, არაფორმალური მმართველი „კანონიერების“ სამოსით იმოსება და უპირველეს კანონმდებლად იქცევა, როგორც მმართველი პარტიის ხელმძღვანელი.**

ასე და ამგვარად, მისი პარტიის თავმჯდომარედ მობრუნება არ ყოფილა შიდა პოლიტიკურ პროცესებში მეტ-ნაკლებად ჩართვის და თავის შესხენების მიზნით განხორციელებული აქტი. ეს იყო წინასწარ განსაზღვრული ქმედება, განპირობებული „საპარლამენტო მმართველობის“ შესაბამისი ახალი ტაქტიკის შემუშავების მოთხოვნის მიხედვით. **მისი მიზანია საპარლამენტო უმრავლესობის გარედან მართვის გაცვეთილი ტაქტიკიდან ერთპარტიული დიქტატის ტაქტიკაზე გადასვლა,** ძალაუფლების განხორციელების ძველი სტილი: არჩევნები – უმრავლესობა – აღმასრულებელი ხელისუფლება, დამორჩილებული ერთმმართველის ნებელობას, მუდამ შეიცავს საშიშროებას რომელიმე რგოლის აფეთქებისას, როგორც ეს მოხდა მარგველაშვილი-კვირიკაშვილის შემთხვევაში, ამიტომ ის უნდა გამარტივებულიყო კონსტიტუციური ცვლილებების შესაბამისად **უშუალო კავშირით პარტია – კანონმდებელი,** რაც ხორციელდება კიდევაც.

**მყარდება ერთპარტიული დიქტატურა მისგან გამომდინარე შედეგებით, რომელიც დასრულდება „რუსული დემოკრატიული წესრიგით“.** ასეთი მმართველობა კი ოფიციალურად შეამზადებს საზოგადოებას ერთმორწმუნე რუსულ საზოგადოებასთან უმტკივნეულოდ დაახლოებისთვის. ამ შემთხვევაში აღმასრულებელ ხელისუფლებას პარტიის უკითხავად ამოსუნთქვის საშუალებაც არ ექნება.

\* \* \*

მკითხველს ერთპარტიული დიქტატის დამყარების და საკანონმდებლო საქმიანობის ასპარეზად პარტიის პოლიტსაბჭოს გადაქცევის ჩვენეული მოსაზრება გადამეტებულად რომ არ მოეჩვენოს, მოვიყვანთ რამდენიმე „ცხელ“ ფაქტს.

ჩვენ მიერ აქ გამოთქმულ მოსაზრებას ჯერ მელანიც არ

შეშრობოდა, როცა ახალი კონსტიტუციით სახელმწიფო მონიტორინგის განმხორციელებელი პირველი პერსონის მიერ გაკეთებულ იქნა განცხადება, რომელიც თვალნათელს ხდის ერთპარტიული დიქტატის (პიროვნული კულტის ფორმით) დამყარების მიმდინარე პროცესს.

სპიკერი აცხადებს: „ოცნება“ არის ერთი გუნდი. ბიძინა ივანიშვილის გუნდი! ვინც შეეცდება, ამ გუნდს დაუპირისპირდეს, ის მწარედ იზანებს“. ამაზე უფრო გულღია დადასტურება ერთპარტიული და პიროვნული დიქტატურისა წარმოუდგენელია. ამ შემთხვევაში ერთპარტიულობა შორს სცდილდება ცნობილ ლოზუნგს: „Партия – ум, честь и совесть нашего времени“. ჩვენს ახლადგამომცხვარ პარტიულ მოღვაწეს პარტია დაჰყავს „გუნდამდე“, რომელიც მოიცავს საკუთრივ „ბოსის“ ხელდებულთა ჯგუფს და ვაი მათ, ვინც მას დაუპირისპირდება. ამ შემთხვევაში პოლიტსაბჭო სრულად და „კანონიერად“ იქცევა საპარლამენტო საქმიანობის განხორციელების ადგილად. ამის დასტურია ისევე სპიკერ კობახიძის განცხადება, რომ გაიმართება იურიდიული კომისიის სხდომა, რომელსაც პარტიის თავმჯდომარე დაესწრება. ამ განცხადებამდე ცოტა ხნით ადრე უკვე გამართული იყო ამ კომისიის სხდომა, რომელმაც პარლამენტში ჩატარებული წინა სხდომის დადგენილება იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის თაობაზე გააუქმა, ე.ი. ეს საგანგებო შემთხვევა კი არა, არამედ „ახალი კონსტიტუციური“ ნორმების მიმართ შესაბამისი პარტიული რეაქციის გამოხატულებაა.

ამდენად, როგორც ვთქვით, ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას მელანი არ შეშრობოდა, რომ ახალი „солдатские причины“-ც წამოატივიტივეს „თი ბი სი“ ბანკის საკითხის სახით, რომელიც ძირეულად გარდაქმნის „ფინანსური ოლიგარქიზმის“ ფორმას და მისგან გამოდევნის იმ მცირედი დემოკრატიზმის მოცემულობასაც კი, რომელიც მასში იყო, როგორც დასავლეთთან კავშირის საშუალება.

ასე და ამგვარად, პარტიული დიქტატურისა და თავ-

მჯდომარის პიროვნების კულტთან უპირობო შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ფინანსური ოლიგარქიაც. ამ ახალ „ნესრიგში“ ადგილი არ დარჩება ფინანსური ოლიგარქიისთვის, იქ მარტო ერთი ადგილია – ოლიგარქისა, რომელიც ჩრდილოვანი საფინანსო მსოფლიო „სისტემის“ მოთხოვნათა დაცვით მარტივად წარმართავს თავის საქმიანობას. **ის ამ საკითხშიც დაამკვიდრებს რუსული ჩრდილოვანი ეკონომიკის შესაბამის ქართულ ვარიანტს.**

ყოველივე ამას სჭირდება შესაბამისი პროპაგანდისტული მხარდაჭერა, ე.ი. მასმედიის მართვა, რასაც ივანიშვილი და მისი პარტია იმთავიდანვე ცდილობდა და დღემდე ცდილობს, მაგრამ აქ რუსული გზის გაკვალვა გართულდა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ჩაერთო ამ საკითხის განხორციელებაში მთელი თავისი ინტელექტით... თუმცა ეს ცნობილი ამბებია.

ამდენად, „ახალი კონსტიტუციის“ ამოქმედების კვალდაკვალ, ზემოთ მითითებულ ღონისძიებათა გატარების პროცესში „ფინანსური ოლიგარქიის“ დამორჩილების შემდეგ უნდა გადანყდეს მასმედიის ბოლომდე მოთვინიერების საკითხიც, რომელიც წარიმართება ორი მიმართულებით: საკანონმდებლო ცვლილებებისა და ფინანსური შეზღუდულობის უკიდურესი ფორმის გატანით, რაც თავისთავად გადანყდება „დიდი ბანკების“ ხერხემალზე გადატეხით.

ეს გეზი გამოკვეთილად ჩანს ერთ შემთხვევაში „თი ბისი“ ბანკზე შეტევით, მეორე, პრეზიდენტი ქალბატონის საახალწლო მილოცვიდან და საშობაო ეპისტოლეს გამოქვეყნებიდან. სხვა დანარჩენი ტექნიკის საქმეა, სადაც ყველაფერი ნყდება „ბოსისთვის“ კარგად ცნობილი რუსული სენტენციით: „дело мастера νοится“. ის კი ამ შავი საქმეების უებრო ოსტატია, ექსპერტის თქმით, კარგი ტაქტიკოსი, მაგრამ ცუდი სტრატეგი\*.

---

\* ის აჟიოტაჟი, რაც დღეს ატეხილია „ოცნების“ – უფრო ოლიგარქიზმის ახლო აღსასრულზე, ტყუილია. ამ შემთხვევაში მიმდინარეობს „პარტიული წმენდა“, სახელგატეხილი ძველი კადრების ჩამოშორება. ეს მათ ღიად განაცხადეს.

\* \* \*

ჩვენი შეხედულებით, „ექსპერტი“ ცდება. აქ საქმე მისი სტრატეგიული უნარის სისუსტეზე კი არაა, არამედ იმაზე, რომ რუსეთთან კოლაბორაციაში მყოფი ე. წ. საქართველოს მმართველი წრისთვის ქვეყნის სტრატეგიული გეგმა არ არსებობს.

ჩემი მოსაზრებით, ისევე, როგორც საქართველოს ცკ-ს პირველ მდივანს, სახელმწიფოს მეთაურს, უკანონო პრეზიდენტს – ედუარდ შევარდნაძეს არ სჭირდებოდა არავითარი სტრატეგია, ასევე დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს გარეთ მდგარ ერთმმართველობას არ სჭირდება რაიმე სახელმწიფოებრივი სტრატეგია, ასეთი „სტრატეგია“ უკვე ჩადებულია მათ ურთიერთობაში რუსეთთან და საერთაშორისო ჩრდილოვანი ეკონომიკის სისტემასთან.

რუსული სტრატეგიისთვის საქართველოსთან მიმართებაში მთავარი ლოზუნგი არის „რაც უარესი იქნება საქართველოსთვის, მით უკეთესი ჩვენთვის“. ამიტომ ოპოზიციური ნკავნკავი იმაზე, რომ უნიათობით, უცოდინარობით, არაპროფესიონალიზმით, კორუფციით და ა.შ. ღუპავენ სახელმწიფოს, არა მარტო მგლის თავზე სახარების კითხვის ტოლფასია, არამედ იმის ბაიბურშიც არყოფნაა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა პოსტპუტჩისტური არაკანონიერი, მაგრამ მაინც ე.წ. სახელმწიფოებრივი მმართველობა და დღევანდელი ყოველგვარი სახელმწიფოებრივი სისტემურობიდან გასული, მაფიოზურ მორალზე აგებული მმართველობა.

ამ შემთხვევაში კრემლთან ურთიერთობასთან ერთად განმსაზღვრელად გამოდის საერთაშორისო „ჩრდილოვანი საფინანსო-ეკონომიკური სისტემა“, სადაც წარმმართველი პოზიცია, რა თქმა უნდა, რუსული ნედლეულის ბაზარს უკავია და, შესაბამისად, განსაზღვრავს ამ „შავი ბაზრის“ ჩრდილოვანი პოლიტიკური მმართველობის სტრატეგიას. ასე რომ, ბიძინას არ აკლია სტრატეგიული გეგმების განმსაზღვრელი „ტვინები“. მისი თავსატკივარია ამ განსაზღვრული სტრატეგიის განხორციელებისთვის ინტრიგული ხლართების ხლართვა, რასაც ტაქტიკას უწოდებენ და რომლის უბადლო ოსტა-

ტადაც მას აღიარებენ „მცოდნე“ ექსპერტები, ისევე, როგორც თავის დროზე „წითელი ინტელიგენცია“ განადიდებდა ედ.შევარდნაძეს. ამ უკანასკნელის ბოლო ყველამ ნახა, მაგრამ ამასთან იმ უბედურებით, რაც ამ „დიდმა პოლიტიკოსმა“ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის გზაზე მდგარ ქვეყანას თავს დაატეხა, **მან აღასრულა რუსული სტრატეგიით განსაზღვრული გეგმის ერთი ნაწილი.**

\* \* \*

შევარდნაძის რევოლუციური გზით ჩამოშორება და მისი სიცოცხლეშივე „პოლიტიკურ გვამად“ ქცევა განაპირობა იმან, რომ **მის წინააღმდეგ წარმოებდა უკომპრომისო ბრძოლა** დამხობილი კანონიერი ხელისუფლების მხრიდან... **ამ ბრძოლამ მოამზადა ბაზისი რევოლუციური სიტუაცია.** დღეს ასეთ უკომპრომისო პრინციპული ბრძოლის ნაცვლად საქმე გვაქვს ხელისუფლების მოპოვებისთვის „დემოკრატიულობანას თამაშთან“ მისთვის დამახასიათებელი უპრინციპო ოპორტუნიზმითა და ფსევდოპატრიოტიზმით. ეს იმდენად თვალსაჩინოა, რომ **ხალხი „მეექვსე გრძნობით“ გრძნობს, რომ ხელისუფლების შეცვლით არც არაფერი შეიცვლება უკეთესობისკენ.** უბედურება იმაშია, რომ ოპოზიციას ხალხისთვის კი არა, საკუთარი თავისთვისაც კი ვერ აუხსნია სრულად, თუ რა საფუძველზეა აგებული სახელმწიფოს გარეთ მდგარი ეს „ოლიგარქიზმი“ და როგორ უნდა განვითარდეს ის, რა პერსპექტივა უჩანს მას ჩვენთვის ცნობილ პოლიტიკურ მმართველობებთან მისადაგების თვალსაზრისით.

ეს ოპოზიციონერები ამ „ოლიგარქიზმისგან“ ითხოვენ დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ მთელ რიგ მოთხოვნათა აღსრულებას, მაშინ როცა არც ამ ე.წ. სისტემის არსში და არც მისი არსებობის პრაქტიკული განხორციელების მიზნებში არ შედის ასეთი დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელება. მისგან ამის მოთხოვნა, უკეთეს შემთხვევაში, ქარის წისქვილებთან ბრძოლას ჰგავს, უარესში – კონტრრევოლუციური იდეოლოგიის სრული უცოდინარობაა.



## ფოტოშოუს რეალური მიზანი

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ბიძინას პორტრეტის გამოჩენა პრეზიდენტობის კანდიდატის სურათის ნაცვლად არ ყოფილა ოდენ არჩევნების მიმდინარეობის მოთხოვნით განხორციელებული ქმედება, არც საერთაშორისო ჩრდილოვან კორპორაციათა (და არა მარტო მათი) წარმომადგენელთათვის დამახასიათებელი რიტუალური აქტი. ის მიმართული იყო არჩევნების, მის შემდგომ პერიოდში განსახორციელებელ პარტიული პოლიტიკის პრობლემებისკენ.

ფოტომანიის მიზანი იყო ხალხის ფსიქოლოგიური დამუშავება; საპრეზიდენტო მმართველობისადმი გამოვლენილი ნებელობის **გატეხა**, შესაბამისად, პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი დამოკიდებულების შეცვლა, მისი სრული იგნორირება. ეს კი ნიშნავს დამოუკიდებელი სახელმწიფოს დემოკრატიული ფორმით განვითარების სურვილის ხალხის მიერ პერმანენტულად დადასტურებაზე უარის თქმას. ამ ინსტიტუტის დაკნინება კი, **სინამდვილეში, ნიშნავს ხალხის გამოთიშვას პოლიტიკური მმართველობის პროცესებიდან და დემოკრატიის კვდომას.**

ნიჰილისტური დამოკიდებულება სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის უმაღლესი გარანტიისადმი, არა მარტო დემოკრატიისთვის ნიადაგის გამოცლას გამოიწვევს, არამედ ის საერთოდ ჩამოაშორებს ხალხს სახელმწიფოებრივ მმართველობას.

ეს კი **აუცილებელი პირობაა** სახელმწიფოს გარეთ მდგარი პიროვნული მმართველობის განხორციელებისთვის. ის როცა მიაღწევს საზოგადოებაში ისეთი ფსიქოლოგიური განწყობის შექმნას, როცა ხალხისთვის სულ ერთი იქნება, მის მიერ იქნება პრეზიდენტი არჩეული თუ ვილაც ვიგინდარული გზით შერჩეული კომისიის მიერ, ეს არაფორმალური მმართველობა (მმართველი) აღწევს თავის **უმაღლეს მიზანს: სრულად წარიტაცოს სახელმწიფოებრიობა.**

ასეთ ფსიქოპოლიტიკურ მიზნებს ისახავდა ის, თითქოსდა მსოფლიო საარჩევნო პრაქტიკისთვის უცხო, მაგრამ ჩვენი

პოსტპუტრისტური სოციუმისთვის ჩვეულებრივად აღქმული სიმბოლური მოვლენა პრეზიდენტობის კანდიდატის სურათის პარტიის თავმჯდომარის სახეებით ჩანაცვლებისა.

ზემოთ განხილულ ღრმა პოლიტიკურ მიზნებზე უფრო თვალსაჩინოდ და იოლად აღსაქმელი პირველი რიგის საკითხებიც იკვეთებოდა იმ თითქოსდა ფორმალურ ტექნიკურ ქმედებაში; ჯერ ერთი, ხალხის თვალისა და ყურის მიჩვევა იმაზე, რომ **მეორე ტურის** მიზნის ძირითადი განმსაზღვრელი და შემოქმედი ივანიშვილია. მის გარეშე არც არაფერი ხდება და არც არაფერი შეიძლება მოხდეს საქართველოს პოლიტიკურ მზისქვეშეთში. შესაბამისად, **ხალხი ირჩევს პრეზიდენტს, მაგრამ, სინამდვილეში, ხმას აძლევს ბიძინას** (ე.ი. ირიბად მისი არჩევა ხდება); მეორეც, ასეთი გარემოს შექმნით (როცა ყველა ძალოვან სტრუქტურას ოფიციალურად დაეკისრათ პასუხისმგებლობა არჩევნებზე), **ფაქტობრივად, სახალხოდ** დაანონსდა არჩევნების გაყალბების გარდაუვალობა. ეს **გაყალბებაც ხდება არა კანდიდატის, არამედ ბიძინას პატივისცემით.**

ამდენად, ბიძინას სურათისთვის ხმის მიცემა **მომავლისთვის გათვლილი აქტია**, „ახალი კონსტიტუციის“ ძალაში შესვლისთვის საზოგადოების შემზადება, თვალის მიჩვევა იმისთვის, რომ „პარტიის თავმჯდომარე“ არის პრეზიდენტის ინსტიტუტზე, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებზე ზემდგომი, ყოვლად შეუზღუდველი ძალაუფლების სახალხო ნებით მატარებელი ბოსი (ბელადი), რომ ხალხმა ის აირჩია და არა შიშით გათანგული პრეზიდენტად ნოდებულები არსება.

ამდენად, არაფორმალური მმართველობის კრიტიკოსებმა, რამდენიც უნდა იზინასწარმეტყველონ მისი „გარდაუვალი“, კრახი თუ არა, დასუსტება, ყველაფერთან ერთად ფინანსურადაც, **ივანიშვილი წარმატებით მიჰყვება სახელმწიფოს სრულად დაუფლების ერთხელ აღებულ გეზს** და, როგორც იტყვიან, „ტყვიას ტყვიაში აჯენს“. ის მთელი ორი ნაბიჯით წინ უსწრებს არა მარტო თავის ოპონენტებს, არამედ მისი გუნდის წევრებად ნოდებულ პარტიულ ბალასტს, რომლებიც არა მარტო იზინასწარვერ ხვდებიან, თუ რა აქვს მას ჩაფიქრებული, არამედ უკვე

დამდგარ ფაქტში გარკვევასაც ვერ ახერხებენ, სანამ ფეხებს არ დაინვავენ ამ ცხელ ნაკვერცხლებზე. ის ჩვეული „გარჩევებით“, მისი „თანამებრძოლები“ პოლიტიკურ ტაქტიკას რომ ეძახიან, აგვარებს ყველაზე ურთულეს „შიდაკოალიციურ“ პროცესებს იმ დონეზე, რომ მისი მსხვერპლნი, მათთვის საყვარელი რუსული სლენგი რომ ვიხმართ, „и аукнуть не успевают“.

ის ყველაფერს აგვარებს ღია თუ იდუმალი კავშირებით რუსულ, ასევე საერთაშორისო ჩრდილოვან სისტემებთან, თუმცა გამოჩნდებიან მთელი დასტა „პოლიტიკოსებისა“ თუ ძალად ექსპერტებისა, რომლებიც ასეთ ახსნას პროცესებისას თვალდაუხამხამებლად გააცამტვერებენ კარგად დაზუთხული ბანალური გამოთქმით: „შეთქმულების თეორია“, მაგრამ მათ უნდა ვუთხრა, რომ ასეთი „კავშირების“ გარეშე არა მარტო ჩვენ, არამედ თვით ის დიდი ქვეყნებიც არ არსებობენ, რომლებიც თვითონ წარმართავენ მსოფლიო პოლიტიკას. ჩვენ შემთხვევაში კი გარედან ჩარევის ორი მაგალითით შემოვიფარგლებით.

**პირველი** შემთხვევისთვის საკმარისია გავიხსენოთ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის პირველივე დღიდან რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მხარდამჭერი განცხადების გაკეთება „უმრავლესობის“ მხრიდან მხარდაჭერილი კანდიდატისადმი და მისი შემდგომი პერიპეტიები. ეს მომენტი იმის ირიბი მაგალითიც არის, თუ ვინ ცდილობს, გვიკარნახოს შიდასახელმწიფოებრივი სტრატეგია. საპრეზიდენტო არჩევნები სწორედ რომ სახელმწიფოებრივი სტრატეგიის უმთავრესი საკითხია.

**მეორე** საკითხისთვის სამაგალითოდ ე.წ. „მარხუანას პროექტის“ „შემოგდება“ გამოდგება. არავის ეჭვი არ უნდა შეეპაროს იმაში, რომ ის იშვა ჩვენი ეკონომიკური სივრცის მიღმა, ის კი არა, შეიძლება საერთაშორისო ლეგალური ეკონომიკის მიღმაც კი, და ხორციელდება ქვეყნის გეოსტრატეგიული მდებარეობისა და რეგიონში ეკონომიკური პოლიტიკის უკიდურესად გახსნილობის გათვალისწინებით.

ამდენად, საპრეზიდენტო არჩევნების (ბოლო) ჩამთავრებისა და „ახალი კონსტიტუციის“ ამოქმედების კვალდაკვალ

სახეს იცვლის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკის წარმმართველი – „პიროვნული ფენომენის“ პრაქტიკა. ის იღებს „ფსევდოპარტიული“ მმართველობის სახეს, ვინაიდან ხელისუფლების ირგვლივ თავმოყრილ კონგლომერატს ძნელია პარტია უწოდო. აუცილებელი ხდება სქემის გამარტივება. პარტიის მმართველი მცირე ჯგუფი, სინამდვილეში, თავმჯდომარე და მისი კანცელარია უშუალოდ წარმართავს პარლამენტში წარმოდგენილ კონსტიტუციურ უმრავლესობას და ასე განახორციელებს ზედამხედველობას აღმასრულებელ ხელისუფლებაზე.

მაშასადამე, „კანონებით“ მართვა წარიმართება პარტიული ინსტიტუციიდან ისეთ დონეზე, რომ თვით სტალინს შეშურდებოდა ერთ ხელში ძალაუფლების ასეთი თავმოყრა. კომპარტიას ძალაუფლება ფორმალურად კონსტიტუციურად ჰქონდა გამყარებული, აქ კი ეს წმინდად „ნებელობითი ფენომენის“ საკითხად იქცევა. ამიტომ მისი ხანგრძლივად განმტკიცების პრობლემას სისტემურობის პრობლემამდე მივყავართ, ასეთად კი რუსული მმართველობითი სტილი თუ გამოდგება ქართული ვარიაციებით.

## თაჲ III

### საზოგადოებრივი ნდობის პლატფორმის შემუშავების წინაპირობა

წინა თავებში თქმულიდან კარგად ჩანს, რომ ქვეყანა შორს დგას დემოკრატიული განვითარების ფუძემდებლურ მოთხოვნილებათა რეალიზებისაგან. ის სულ უფრო მიექანება რუსული ტოტალურ-კრიმინალური ოლიგარქიული სისტემისკენ. ამის მიზეზი არა მარტო უპრინციპო ანგარებიანი პოლიტიკაა, არამედ, მისი ფესვები უფრო ღრმადაა გადგმული ჩვენი საზოგადოების რუსულ-საბჭოურის ცუდ ასლად და დასავლური დემოკრატიული საზოგადოების პროფანაციად ყოფაში. ამის მიზეზი კი იმ ავადსახსენებელ 1991/92 წლების მიჯნაზე დატრიალებულ მოვლენებშია საძებარი.

ამ სამხედრო-კრიმინალური პუტჩის გზით განხორციელებული ნომენკლატურული სახელმწიფო გადატრიალების შედეგად განვითარებული მძიმე შედეგებიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისთვის ყველაზე უფრო გამანადგურებელი იყო ის, რომ შეჩერდა ქართველი ხალხის (საქართველოს მოსახლეობის) ახლებურ სოციუმად (საზოგადოებად) ფორმირების პროცესი.

იმ გადატრიალებით აგვაცდინეს დემოკრატიული განვითარებისთვის აუცილებელ პირობებს, რომლითაც უნდა აგვეთვისებინა სოციალისტური (კომუნისტური) საზოგადოებისთვის სრულიად უცხო, ახალი პოლიტიკური კულტურა თავისი ურთულესი ნიუანსებითა და ეგზისტენციალური რაობით.

ჩვენ ამ კულტურული ლანდშაფტის ნაცვლად ისევ ამოვყავით თავი რუსული პოსტსაბჭოური **ანტისაზოგადოების** უღრან ტყეში – უკომპასოდ. ტყე კი სავსე აღმოჩნდა დაუნდობელი მკვლევებით, დემოკრატიასთან ბრძოლაში დაცემული საბჭოეთის ნანგრევებს, სუკის ზედამხედველობით, მისეული მაროდორებით, „ახალი რუსებით“, სადაც სრულად გაბატონებული იყო ცხოველური ინსტინქტი ძალადობისა. **პუტჩის-**

**ტური ალიანსის საზოგადოება** მიჰყვა რუსული ცხოვრების ამ „ახალ“ წესს.

დამოუკიდებელი სახელმწიფოსა და ნორმალური საზოგადოების ფორმირებისთვის შექმნის პროცესში მყოფი გეგმის პროექტი თუ წინასწარი ნიშნულები განადგურებული აღმოჩნდა.

**დემოკრატიული საზოგადოებრივი სისტემისკენ მიმავალი ყველა გზა მოჭრილ იქნა.**

ცივილიზებული ცხოვრების ხმა ექოდ თუ აღწევდა და აღწევს ჩვენამდე.

ამ ილუზორულ ხმას მიყოლილნი საპირისპირო მიმართულებით მივემართებოდით და ხრამში გადავიჩეხეთ (რასაც, საუბედუროდ, არც ვგრძნობთ და პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ტრიბუნებიდან წარამარა გავიძახით – ხრამში არ გადავიჩეხოთ).

უფსკრულში აღმოჩენილები თორიას კასრის ვირთხებივით ვჭამთ ერთმანეთს... დასასრულისკენ მივდივართ... ვინც უნდა გაიმარჯვოს უფსკრულში (resp. კასრში) მყოფთა ამ უიდეო და უპერსპექტივო, საკუთარი კეთილდღეობისთვის ბრძოლაში, ფაქტია, ხელში შეგვრჩება თორიასეული (resp. რუსული) „სიბრძნის“ ნაყოფი – **მოდგმაჭამია ფენომენი**.\*

ამიტომ, სანამ სრულად არ დაგვიჭამია ერთმანეთი, გადარჩენის რესურსი ჩვენშივე უნდა მოვიძიოთ.

პირველ რიგში, იმაზე უნდა შევთანხმდეთ, რომ დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის სწორ გზას ავცდით. საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების ყველა გზა, ჭუჭრუტანაც კი დავგმანეთ და ცხოვრება ჯოჯოხეთად გვექცა. ეს ჯოჯოხეთი ჩვენი ეგზისტენციის განუყოფელ ნაწილად იქცა. ამიტომ უნდა აღვადგინოთ სახელმწიფო გადატრიალების შედეგად განადგურებული გზამკვლევი და ნიშნულები, რომლებიც მიგვითითებდა ქვეყნისკენ

---

\* არადა, ბოლო სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკების მოწმენი ვხდებით მოსამართლეთა და თი-ბი-სი ბანკის საქმეთა სახით, რომელიც კასრიდან დიდი მოდგმაჭამია მაგისტრის ამოსვლითა და მის მომყვანთა გამარჯვებით დასრულდება.

დემოკრატიული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმშენებლობის გზა-გეზებს. ეს კი მოგვცემს საშუალებას, დავსახოთ გეგმა გამრუდებული გზის გასწორებისა.

მაშასადამე, უნდა შევიმუშაოთ ეროვნული თანხმობის კონცეფცია, რომლის აუცილებლობის შესახებაც ფარისევლურად გაიძახოდა ყველა მთავრობა, პუტჩისტებიდან მოყოლებული დღემდე, თუ მათი უღიმღამო ფსევდოოპოზიცია და **რეალურად მოითხოვდა ხალხი**. ამიტომ ხორცი უნდა შევასხათ და სული უნდა შთაგებროთ ხალხის ამ სურვილს.

\* \* \*

ზემოთქმულიდან აშკარად ჩანს, რომ ჩვენი ცხოვრების ჯოჯოხეთად ქცევის უმთავრესი მიზეზი იყო და არის ის, რომ უარი ვთქვით „ქრისტეს გზაზე“ – ახალი პოლიტიკური კულტურის ფორმირების უმთავრეს პროგრამულ (დოქტრინალურ) პრინციპზე: **პირველნი ვყოფილიყავით დემოკრატიაში, ადამიანის უფლების პატივისცემასა და ლოცვაში**. ამის ნაცვლად მივყევით „ბარაბას ყაჩაღურ ნაკვალევს“, **გზას რევანშისა, ძალადობისა და მოძმეთა სისხლის ღვრისა, სახელმწიფო ინტერესის ლალატისა, კორუფციისა და მაროდიორობისა**.

ასე ვთქვით უარი, ტოტალიტარულ იმპერიამი გავმხდარიყავით **დემოკრატიის კუნძული**. ეს კი იყო ის მარტივი პროგრამა, რომელიც ერთსულოვნად იქნა მოწონებული საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ.

საქართველოს პირველ პრეზიდენტს ხალხის ეს თითქმის ერთსულოვანი ნება ესახებოდა ამ დიადი პროგრამის (დამოუკიდებელ საქართველოში დემოკრატიული საზოგადოებისა და სახელმწიფოს აშენების) განხორციელების გარანტიად. მისი თქმით, „ეს ნება-გამოხატულება ერისა მთელ მსოფლიოს აჩვენებს, თუ რა შეუძლია მთელი ერის, მთელი მოსახლეობის გაერთიანებულ ბრძოლას და ძალისხმევას“.

პრეზიდენტი ცალსახად მიუთითებდა ამ საერთო-სახალხო ძალისხმევის განხორციელების საერთაშორისო გარანტორზე – დასავლეთზე. ის აცხადებდა: „ჩვენი ერთადერთი იმედი დასავლეთია – მხოლოდ დემოკრატია დასავლეთს ჩვენი დაცვა“ და

ეს მითითებაც იყო იმ დიადი პროგრამის განუყოფელი ნაწილი, რომლის აღსრულების გარეშე ჩვენს დემოკრატიულ სახელმწიფოებრიობას მომავალი არა აქვს.

ამ პროგრამაში ყოველი სიტყვა, ყოველი საზრისი გაჟღენთილია თავისუფლებისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული ერის, მთელი მოსახლეობის დემოკრატიული მომავლისთვის ზრუნვით, მის ამოსავალს წარმოადგენს ხალხის ნება და საბოლოო მიზანიც ხალხია.

**მხოლოდ ამ პროგრამის განხორციელებით იყო შესაძლებელი ე.წ. სოციალისტური (კომუნისტური) საზოგადოების** (სინამდვილეში ტოტალური კორუფციის სისტემის) **გარდაქმნა ნორმალურ ცივილიზებულ სოციუმად.** სწორედ ეს გზა, მიმავალი ახალი პოლიტიკური კულტურისა და მმართველობითი სისტემისკენ, ჩაგვიხერგეს სახელმწიფო-კრიმინალური გადატრიალებით და მოგვაქციეს რუსულ პროგრამაში; შეგვაბრუნეს მაროდიორულ-კრიმინალური კაპიტალიზმისა და საფინანსო ოლიგარქიზმის წიაღში, რომლის ბაზაზედაც ფორმირდებოდა თვით რუსული სამოდერნაჟიესა და კომუნისტურ-ტოტალისტური სისტემისთვისაც უცხო, უკიდურესად თავაშვებული, აგრესიული შოვინისტური „ახალი რუსი“ და „ახალი იმპერია“.

აი, რატომ უნდა დავინყოთ ჩვენი გამრუდებული გეზის გამართვა იმ ადგილიდან, საიდანაც დაიწყო დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის ფორმირების ერთიანი ჯაჭვის ცალკეული რგოლების წყვეტა. თვინიერ ამისა, ყოველგვარი მცდელობა, **პოსტპუტჩისტური ფსევდოსოციუმის პირობებში**, რომელმაც მოინელა თვით დასავლეთის მხრიდან მხარდაჭერილი რევოლუციური გზნება და გადაავარა ის, ნორმალურ დემოკრატიულ სახელმწიფო მმართველობაზე ფიქრიც კი წყლის ნაყვანა, დემოკრატიზაციასა და პოლიტიკაზაციის თამაშია.

**ფსევდოსაზოგადოებაში მხოლოდ ფსევდოარჩევნებს მივიღებთ, რომელიც კონტრრევოლუციური ოლიგარქიზმის გავლით რუსულ მმართველობის სტილთან თუ დაგვაახლოებს, რომლის იქით აშკარად იკვეთება მასთან შერწყმის პერსპექტივა.**

ამიტომ არსებულ პირობებში საარჩევნო კანონებში რა-



დაც კოსმეტიკური ცვლილებების შეტანით, თუნდაც პროპორციულ სისტემაზე გადასვლით, შორს ვერ წავალთ. იქ, სადაც საზოგადოება, როგორც მთლიანი სოციუმი, მით უმეტეს, **პარტიები – სოციალურ ინტერესთა გამტარი იდეური ერთობა**, არ არსებობს, რაიმე პოზიტიური ცვლილებების მიღების იმედი ხალხის მოტყუებაა, რასაც პუტჩისშემდგომი ყველა ხელისუფლება აკეთებდა. ჩემი აზრით, იქნებ უარესიც, ვინაიდან ამ შემთხვევაში ოპოზიციური ბანაკიდან მომდინარე ეს მოლოდინი დიდი ცვლილებებისა ძირშივე მცდარია. ის, საბოლოო ჯამში, ხალხის იმედგაცრუებას გამოიწვევს, რაც უკურნებელ ნიჰილიზმში გადაიზრდება და ერს ფსიქოლოგიურად გატეხს და დააძაბუნებს, **მას წაართმევს უმთავრესს – თავისუფლებისთვის ბრძოლის უნარს**. საუბედუროდ, პუტჩისტური ალიანსით შობილ ფსევდოსოციუმს ამ გზით მიჰყავს ქვეყანა არჩევნებიდან არჩევნებამდე, ყოველი არჩევნები (გარდა რევოლუციური აღმავლობის ხანმოკლე პერიოდისა) უდიდეს დარტყმას აყენებს ერის ნებელობას.

ამდენად, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ქართული სახელმწიფოებრივი სისტემის **დღის წესრიგიდან გამქრალია თვით სახელმწიფო**, როგორც დემოკრატიული არჩევანის შედეგი, იმ დონემდე, რომ შევარდნაძის „იმედის არჩევნების“ პარლამენტართა წინასწარ შედგენილი სიებიც კი უფრო სამართლიანად გამოიყურება.

დღეს სახელმწიფოებრიობა დაყვანილია ამომრჩეველთა „უმცირესობის“ მიერ მიტაცებული „უმრავლესობის“ და ოლიგარქიული ჯგუფის ირგვლივ თავმოყრილი პოლიტიკანების ბატონობამდე. პარლამენტური მმართველობითი სისტემის მთელი ფუნქცია დაყვანილია პროვინციულად გამართულ შოუმდე, რომლის ანტურაჟს ქმნიდა „უმრავლესობასა“ და „უმცირესობას“ შორის მიმდინარე „მწვავე შეტაკებები“. ახლებურად „შეკერილი“ კონსტიტუციის ამოქმედების შემდეგ ეს ანტურაჟიც შეიცვლება.

სულ ვერ იგრძნობს, ისე „უმცირესობას“ ჩაენაცვლება ახალი „თემატური ოპოზიცია“, რომელიც ამ გზით შეძლებს მიიღოს მთელი სიკეთე „გადაკერებული“ კონსტიტუციისგან

და დემოკრატიულობის იერი შესძინოს ერთპარტიულ დიქტატს, რომელიც მყარდება ახლებური „კონსტიტუციური“ წესრიგის ფონზე. ის ამასთან მიმართულია ე.წ. მესამე ძალის „გამოყვანის“ იდეის წინააღმდეგ.

ორიოდე სიტყვით უნდა აღვნიშნოთ, რომ საარჩევნოდ „მესამე ძალის“ შეკონინების იდეა ილუზორულზე ილუზორულია. მას არავითარი სოციალური თუ პოლიტიკური, თუნდაც კულტურულ-ფსიქოლოგიური, წანამძღვრები არა გააჩნია, არაფერი რომ არ ვთქვათ მტკიცე საყრდენზე.

ცალ-ცალკე არსებულ (თავმოყრილ) საშენ მასალათა გროვებიდან ციხესიმაგრეს ვერ ააშენებ, თუ მისი დამუშავება და სისტემატიზება არ მოახდინე, რაც მთავარია, მის აშენებას მყარი საფუძველი თუ არ შეუქმენი. ჩვენს შემთხვევაში, ახლებური ერთობის შექმნის ძლიერ პოლიტიკურ ფუნდამენტს წარმოადგენს ოდენ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის ფუძემდებლურ დოკუმენტებში დაფიქსირებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენების დემოკრატიული პროგრამა. მისი განახლებისთვის კი აუცილებელია სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დარღვეული გეზის გამართვის აუცილებლობის თაობაზე თანხმობის მიღწევა.

\* \* \*

მოცემულ პროექტში ჩვენ თანხმობას ვიღებთ, როგორც იდეას დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების გარდაუვალ აუცილებლობაზე. ამისთვის კი საჭიროა განყვეტილი ჯაჭვის აღდგენის დაწყება იმ რგოლიდან, საიდანაც დაიწყო წყვეტა და მოჰყვა ჯაჭვური რეაქცია. შედეგად მივიღეთ ქართველი ხალხის (ზოგადად, საქართველოს მოსახლეობის) ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რაობად ფორმირების პროცესის გაყინვა.

ისევ ჩაგვიტორია რუსული ანტისაზოგადოებრივი წესისა და რიგის მღვრიე მორევა.

დემოკრატიის ლოზუნგებზე ფსევდოდემოკრატია დამკვიდრდა.

ჩვენი ცხოვრების გზამკვლევად დასავლური პოლიტიკური

კულტურის ნაცვლად ისევ რუსული ფსევდოსოციუმი და ანტიკულტურა იქცა.

უარი ეთქვა დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებისთვის აუცილებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობის ფორმირების მარტივ და გამჭვირვალე პროგრამას, – მივყოლოდით ცივილიზებული სამყაროს მიერ საყოველთაოდ აღიარებულ გზას მაღალი დემოკრატიული სტანდარტისა, რომლის მეოხებითაც მიღწეულ იქნა სსრკ-ს არსებობის პირობებში წარმოუდგენელი, დემოკრატიული გზით დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

როგორც ზემოთაც ითქვა, თავისუფალი სამყარო ასე აფასებდა ამ პროცესს: „თქვენ პირველები იყავით ამ საბჭოთა იმპერიაში, ვინც ჩაატარეთ მრავალპარტიული არჩევნები და პირველებმავე ჩაატარეთ ძალიან კარგად საპრეზიდენტო არჩევნები“. ისინი ამაზედაც არ ჩერდებოდნენ და კიდევ სხვა სიახლეებსაც მოელოდნენ ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების დემოკრატიული განვითარების გზაზე. ისინი კითხულობდნენ: „კიდევ რაში უნდა იყოთ პირველნი ამ იმპერიაში?“ აი, რა მაღალ სტანდარტებზეა ლაპარაკი.

ამიტომ, როცა საკითხს ვაყენებთ განწყვეტილი ჯაჭვის რგოლების აღდგენაზე, პირველ რიგში ამ მაღალი ხარისხის დემოკრატიული პროცესის განახლება უნდა გვქონდეს მხედველობაში. შესაბამისად, ვინც ამ ევროპისთვისაც მაღალი სტანდარტის დემოკრატიულ პროცესებს „გუშინდელ დღედ“ თვლის და მის სრულ იგნორირებას ახდენს, ხოლო **სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საფუძვლად პოსტპუტჩისტური ფსევდოსოციუმის მიერ ყურით მოთრეულ ფსევდოდემოკრატიულ ოპუსებს გვთავაზობს**, ის „ან შეგნებული მტერია, ან უგუნური მოყვარე“.

თანხმობის პროცესის ამ ეროვნულ-პოლიტიკურ მიზანსწრაფულობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ არა უფრო მეტიც, მისი საზოგადოებრივ-სოციალური ასპექტი. **თანხმობის ეს ჭეშმარიტად სახალხო პროცესი ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიგვაახლოებდა პოსტპუტჩისტური ფსევდოსოციუმის ძალადობრივად შეკონინებული ბაზისის მოშლას და ნამდვილი დემოკრატი-**

**ული საზოგადოების შექმნისთვის აუცილებელი პროცესების განახლებას.**

ეს ცალკე განსახილველი დიდი საკითხია, რასაც ჩვენ აუცილებლად მივუბრუნდებით სხვა შრომაში, მაგრამ ერთი რამ აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი ცხოვრების ჯოჯოხეთად ქცევის თავი და თავი ამ ძალადობრივად ფორმირებული **ანტისაზოგადოების ბუნებაშია.**

ეს **შეუძღვარი საზოგადოება წარმოადგენს** საბჭოურ-კომუნისტური მენსიერებისა და პუტჩისტური ალიანსის შედეგად შეკონინებული კრიმინალურ-მაფიოზური და ფსევდოდემოკრატიული ინტელიგენციის ნაფვარს. ის შორს დგას ეროვნული ერთიანობისთვის საზოგადოებრივად აუცილებელი იდეური მოცემულობის აღქმისგან, არაფერი რომ არ ვთქვათ ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოებრივი იდეის განხორციელებაზე.

**ამდენად, თანხმობის იდეის საბოლოო მიზნად უნდა დაისახოს ამ ანტისოციუმის რეალურად დემოკრატიულ საზოგადოებად გარდაქმნის დანყება და მის პერმანენტულ განვითარებაზე ზრუნვა.** ამის გარეშე ვერანაირი კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სამართლებრივი რეფორმა ვერ მოგვცემს სათანადო პოზიტიურ შედეგს (ამ შემთხვევაში არაფერს ვამბობთ სოციალურ-პოლიტიკურ ასპექტზე).

ზემოთ ნათქვამის უტყუარობაში დარწმუნებისათვის საკმარისია ზედმეტი დაძაბვის გარეშე ჩვენს ახლო წარსულზე გონების მიდევნება, როცა „ვარდების რევოლუციის“ მიზეზიც და მიზანიც როგორც ეროვნული მასშტაბით, ასევე საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოების თვალთახედვით განისაზღვრა სახელმწიფოებრიობის გადარჩენისა და თანამედროვე დემოკრატიული სისტემისთვის მიახლოებული სახელმწიფოს აშენების სანყისად და არაფერი ითქვა **მემკვიდრეობითობაზე.** სამნუხაროდ, მაშინ ყველაზე უმთავრეს საკითხზე, პუტჩისტური ალიანსის საზოგადოების (რომელიც იყო მიზეზი „ვერშემდგარი სახელმწიფოსი“) გეგმაზომიერად გარდაქმნის აუცილებლობაზე არ გამახვილებულა ყურადღება.

იმ **გარდაუქმნელმა** პოსტპუტჩისტურმა ფსევდოსაზოგა-

დოებამ კი მოკლე დროში გადაავარა რევოლუციის მონაპოვარი – აღორძინებული სახელმწიფოებრიობა, გზა გაუხსნა კონტრრევოლუციურ პროცესებს, რომელმაც სრულად წართაცა სახელმწიფოებრიობა და ის ისევ აღმოჩნდა რუსული ბარბაროსული სახელმწიფოებრივი იდეის გავლენის ტყვეობაში.

**დღეს ჩვენი სახელმწიფოებრივი დემოკრატია არის „რუსული დემოკრატიზმის“ ნაირსახეობა, რომელიც შევარდნაძის ეპოქიდან მოქმედებდა და დღეს სრულად განახლდა კონტრრევოლუციური რევანშის შედეგად.**

**საკუთრივ მმართველობითი სისტემა კი მოდერნიზებული ვარიანტია რუსული, ანტიდემოკრატიული „დერჟიმორდული“ და ჩრდილოვანი მმართველობითი სტილისა.**

ამ მოდერნიზებულ ვარიანტში მმართველობისა დემოკრატიზმი, რა თქმა უნდა, წარმოდგენილია რუსულ კონტექსტში. აქ კანონი კი არ განსაზღვრავს ელიტური ფენების სახელმწიფოებრივად არსებობის დღის წესრიგს, არამედ კანონები იქმნება მათი მოთხოვნილებისა და სურვილის შესაბამისად, საზოგადოება, **ხალხი** სრულიად გამოთიშულია სახელმწიფოებრივი პროცესებიდან. **სახელმწიფო თვითონ ემორჩილება და ეფარება ნახევრადკრიმინალური წარმონაქმნების „ჩრდილოვან მმართველობას“.**

პარტიის სახელწოდებას შეფარებულია (თორემ საკუთრივ პარტიები სადაა) სხვადასხვა ჯურის ანტისახელმწიფოებრივი ჯგუფები, კორუფციული და საერთაშორისო ჩრდილოვანი პროცესების მონაწილე ეგოცენტრისტები და მათზე მოპარაზიტე ყოფილი „ნითელი ინტელიგენციის“ ნამსხვრევები თუ დემოკრატიზმის მანტიამორგებელი მათი შთამომავლობა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მეზრძოლთა იმ მცირე ნაწილთან ერთად, რომლებმაც იმთავიდანვე იწყეს დეგრადირება. აი, ეს **ანტისაზოგადოება** მუშადად შემოსჯარვია დღეს ქვეყანას და ანადგურებს იმ მცირედსაც კი, რაც შემორჩა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის უდიდესი წარმატების შედეგად მოპოვებული თავისუფლებისგან.

არაფერი დარჩა იმ **დემოკრატიისგან**, რომელმაც ჩვენში

ფესვები გაიდგა 1990 წლის 28 ოქტომბრის თავისუფალი, მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმისა და 26 მაისის ქეშმარიტად სახალხო, პირდაპირი გზით პრეზიდენტის არჩევის სახით და რომელიც მთელმა დემოკრატიულმა სამყარომ „სამაგალითოდ“ მიიჩნია.

დღევანდელ **სახელმწიფოებრივ დემოკრატია**ს არაფერი ესაქმება თვით სახელმწიფოსთან და მის მმართველობით სისტემასთან. ის გატრუნულია ფსევდოსოციუმის ელიტის და მისი ბოსის ჯიბეში. **ოპოზიცია** კი ამ დატყვევებული, გატრუნული დემოკრატიის განთავისუფლების გარეშე ითხოვს მისი დამტყვევებლებისგან უმაღლესი დონის დემოკრატიულ სისტემურ ცვლილებებს საარჩევნო, სასამართლო თუ კულტურულ-საგანმანათლებლო რეფორმებით და ა.შ.

ეს ყველაფერი ილუზიაა, როგორც ითქვა, შესაბამისად, მოლოდინის რეჟიმში ყოფნა ხალხს იმედს უცრუებს და ანადგურებს მის ნებელობას. რალაც მანქანებით რომც მოხდეს არსებული მმართველობის შეცვლა, ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს ვინმეს, რომ გამარჯვებული კი არ **გაათავისუფლებს** წინამორბედის ჯიბეში გატრუნულ „დემოკრატიის ხვითოს“, არამედ, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, „სხვათა თვალის დასაბრმავებლად“ ოქროს გალიას გამოუჭედავს და იქ მოათავსებს. ამის მაგალითები საძებარი არა გვაქვს.

ამიტომ უნდა მოხდეს პოსტპუტჩისტური **სოციუმის განახლება** თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მომტან უალრესად ჰუმანურ სანყისიერ ფასეულობათა შესაბამისად, თანამედროვე ახალ გამონვევათა კონტექსტით (ისე ყოველგვარი მონოდება თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების თაობაზე ოდენ ბრახაბრუხად დარჩება).

\* \* \*

დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის ფუძემდებლურ ღირებულებათა გულისგულად გამოცხადებული იყო ქართველი ხალხის უფლება და ურყევი ნება, იცხოვროს დამოუკიდებელ სახელმწიფოში დემოკრატიული რესპუბლიკური მმარ-

თველობის ფორმით. ამ ორ უმთავრეს ღირებულებას დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისა მიაყენა პუტჩმა და რუსულმა აგრესიამ ყველაზე მძიმე დარტყმა, ესე იგი, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივად არსებობას, რომლის ამოსავლად იმთავიდანვე განისაზღვრა **სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება**, რაც გულისხმობს კანონის უზენაესობის და ავტორიტეტის დამკვიდრებას, სახელმწიფო ხელისუფლებასა და მოქალაქეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი ფორმის ჩამოყალიბებას, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, პიროვნების ხელშეუხებლობის გარანტიას, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებას, რათა არ მოხდეს ხელისუფლების მონოპოლიზაცია და ა.შ. სამწუხაროდ, ზემოთ თქმულ მიზეზთა გამო თითქმის სრულიად მოიშალა ეს ჭეშმარიტად დემოკრატიული აღმშენებლობის გეზი. ამიტომ უპირველესად მის განახლებას უნდა შევუდგეთ, **დავინწყით** სრულიად ჩვეულებრივი და მარტივი კითხვით: „**სურს კი ქართველ ერს, საქართველოს მოსახლეობას იცხოვროს დამოუკიდებელ და დემოკრატიულ სახელმწიფოში თუ შეირყა მისი ურყევი ნება და ცივილიზაციის შექმნაში მონაწილე ერი უარს ამბობს თავის ღვთობობიერ უფლებაზე – იყოს თავისუფალ ერთა კოჰორტაში?**“

ამ პასუხის საფუძველზე უნდა მოიძებნოს ურთიერთშეხების წერტილი დაშლილ და დაქუცმაცებულ, ერთმანეთის მიმართ უნდობლობით გამსჭვალულ და გათანგულ საზოგადოებრივ ჯგუფებსა თუ ცალკეულ პიროვნებებს შორის. **უნდა გაცხადდეს ახალი შიდაპოლიტიკური კურსი ეროვნული თანხმობის პლატფორმის შექმნაზე**, რომელიც მიმართული იქნება განყვეტილი რგოლის გამთლიანებისა და დემოკრატიული საზოგადოებრივი აღმშენებლობის პროცესის აღორძინებისკენ, ყოველგვარი რუსულ-საბჭოური მეხსიერებისა და კრიმინალურ-კორუფციული (თუნდაც მსოფლიო ჩრდილოვანი საფინანსო-ეკონომიკის) გავლენისგან დისტანცირებისკენ ყოველგვარი ძალადობისგან, თავისუფალი, სულიერად ამაღლებული სოციუმის ფორმირებისკენ. ამის გარეშე ჩვენს დამოუკიდებლობასა და ცივილიზებულ სამყაროსთან ურთიერთობას პერსპექტივა არ უჩანს.

**ყველა ისინი, ვინც ამ პოსტპუტჩისტური, ანტისოციუმის ბაზაზე თავისუფალი დემოკრატიული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენებას გვპირდებიან, ტყუიან, ტყუიან და კიდევ ერთხელ ტყუიან!!!**

დიდი განსხვავება არ არის იმაში, ამას ვინ უნებლიეთ, შეუგნებლად აკეთებს, თუ ვინ შეგნებით: თავისი ეგოისტური ამბიციების დასაკმაყოფილებლად თუ წმინდა შტრაიკბრეხერული, უფრო მეტიც, კოლაბორაციონალურ-მოლაღატური ბუნებიდან გამომდინარე. ყველა ისინი ჩვენი ცხოვრების ჯოჯოხეთის მოწყობაში იღებენ მონაწილეობას და ამ ჯოჯოხეთურ ცეცხლს თითო მუგუზალს უმატებენ, ანადგურებენ არა მარტო აწმყოს, არამედ მომავალსაც – ახალგაზრდა თაობის სულიერ სამყაროს. ესაა ის ყველაზე უფრო მიუტყეველი დანაშაული, რომელშიც თავისი წვლილი მიუძღვის ყველა პოსტპუტჩისტურ ხელისუფლებას. განსაკუთრებით საშიშია თანამედროვე ეტაპი თავისი პირმოთნეობით, უდიდლამო სიქველითა თუ დემოკრატიის საფარველქვეშ აშკარად გამოხატული პარტიული დიქტატიით, სახელმწიფოს სრულად მიტაცების ტენდენციით. მათ დიდ შედეგებს მიაღწიეს იმით, რომ ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოაშორეს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის ასპარეზს, ჯერ ფსევდოდემოკრატიზმის იდეის ტყვეობაში მოაქციეს, შემდეგ კი, საერთოდ, გააქციეს ქვეყნიდან.

დღევანდელ კრიზისულ ეპოქაში (როგორც სამინაო, ისე საერთაშორისო) გარდაუვალ და საშურ საკითხად ჩანს **საზოგადოებრივი ნდობის პლატფორმის** აშენება (ამ ბოლო ხანს ამ მოთხოვნას თვით დასავლეთის ქვეყნებიც კი აყენებენ). მისი განხორციელებისთვის კი აუცილებელია, **დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების პროცესებისადმი იმთავიდანვე ჩანერგილი დისპარატული მიდგომის რეციდივების აღმოფხვრა ეროვნული თანხმობის იდეის ამოქმედების გზით, ვინაიდან ასეთი სახელმწიფოს აშენებისადმი ხალხის ურყევი ნება მრავალგზისაა გამოხატული.**

ხალხის ამ ნება-სურვილის ახალ გარემოებათა გათვალისწინებით დადასტურებისთვის და დისპარატული მიდგომის



რეციდივების სრულად აღმოფხვრისთვის რამდენიმე წინაპირობის აღსრულებაა აუცილებელი, რომელნიც ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის წმინდად ფორმისეულ და აკადემიურ (თეორიულ) საკითხებს უფრო ეხება, ვიდრე ეროვნული თანხმობის ფუნდამენტურ სახელმწიფო პრობლემებს.

მათი დადებითად გადაწყვეტა, მარტივად რომ ვთქვათ, ნულოვანი ხაზიდან დაძრავდა ჩვენი ეროვნული კონსოლიდაციისა და საზოგადოებრივად ფორმირების პროცესში დამდგარ გამყინვარებას, შეამზადებდა ნიადაგს ეროვნული და საზოგადოებრივი თანხმობის პლატფორმის ფორმირებისთვის.

ამ დიდი საქმის ინიციატორად უნდა გამოვიდნენ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენაში მონაწილე ძალები და ფუძემდებლური აქტების ერთგული, მათი ცხოვრებაში გატარებისა და კანონიერების აღსრულებისთვის მებრძოლი ფართო მასები, იმ პირველი აქტების საფუძველზე თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი ახალგაზრდა თაობა.

ახლა კი რამდენიმე სიტყვით შევეცდებით ამ პირველი რიგის საკითხების დახასიათებას.

\* \* \*

**პირველ** (ზოგადი მნიშვნელობის) საკითხზე ჩვენ რამდენადმე უკვე ვიმსჯელებთ, რომ გარკვეულ უნდა იქნეს: **სურს კი ქართველ ერს, საქართველოს მოსახლეობას, იცხოვროს დამოუკიდებელ და დემოკრატიულ სახელმწიფოში, რაც მის მიერვე რამდენიმეგზის იქნა დადასტურებული საყოველთაო არჩევნებისა და რეფერენდუმის საშუალებით.**

მაშასადამე, ეს კითხვა სინამდვილეში რიტორიკულ ფორმას იძენს და მისი მიზანია, ყველა სხვა პრაქტიკული საკითხის გადაწყვეტის პროცესში გვახსოვდეს ხალხის ამ საყოველთაო ნების არსებობა და ვინელმძღვანელოთ მისი ამ ნებაგამოხატულებით.

თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციათა გათვალისწინებით ხალხის ამ ნების ამოქმედებისთვის აუცილებელია დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოსთვის

იმ ფორმისეული ატრიბუტული საკითხის გადანყვეტა, რომლის მოუგვარებლობა მეოთხედსაუკუნოვან პოსტპუტჩისტურ ეპოქაში დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობაა, თუ უფრო მეტიც არა.

მოცემულ შემთხვევაში, **მეორე** – დაუყოვნებლივ გადასაწყვეტ საკითხად დგება დამოუკიდებელი ქვეყნის ეროვნულ (სახალხო) და სახელმწიფო დღესასწაულების კონსტიტუციურად გაფორმება, ზოგადად, ამ პრობლემის მონესრიგება. როგორც პირველ თავში დავაზუსტეთ, უნდა დადგინდეს:

1. **საქართველოს რუსეთის თვითმპყრობელური იმპერიის უღლისგან განთავისუფლების დღე – 1918 წლის 26 მაისი, როგორც საერთო-სახალხო დღესასწაული („განთავისუფლების დღე“);**

2. **საქართველოს საბჭოთა იმპერიისგან თავდახსნის, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე – 1991 წლის 9 აპრილი („სახელმწიფო დღესასწაული“).**

ამ საკითხების პოზიტიურად, ხალხის მიერ გამოსატყულები ნების საფუძველზე გადანყვეტა შესამჩნევი ნაბიჯი იქნებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენების საკითხისადმი, დღეს არსებული, ორი ერთმანეთთან შეუთავსებელი – **დისპარატული** მიდგომის დაძლევის გზაზე, რომლის გარეშე ყოველგვარი მცდელობა ნორმალური საზოგადოებრივი კლიმატის შექმნაზე ტყუილი გარჯაა.

დისპარატულობის დაძლევისა და საზოგადოებაში შემწყნარებლური ურთიერთმიმართების პროცესის გაჯანსაღებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ფუნქციონალური დატვირთვა ეძლევა ასევე ხელოვნურად შექმნილი **მესამე**, პრობლემური – მმართველობითი სტრუქტურის საკითხის გადანყვეტას, რომელიც ფუძემდებლური დოკუმენტებისა და პირდაპირი, სახალხო არჩევნების საშუალებით, ხალხის ნების არაერთგზის გამოსატყუებით არის დადასტურებული. ამიტომ მყარად და ხანგრძლივი ისტორიული დროით უნდა **დადგინდეს**, რომ:

**საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოადგენს დემოკრატიულ პრინციპებზე აგებულ სისტემას და მისი მმართველობითი სტრუქტურის ფორმაა საპრეზიდენტო (შერეული) რესპუბლიკა.**

ეს იქნებოდა არა მარტო პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი აქტი, არამედ ეროვნული იდეის კონტექსტში საკითხის გადანივცეცაც, რომლითაც როგორც ისტორიულ-გენეტიკური კონტექსტით, ასევე თანამედროვე რეალურ მოთხოვნილებათა თვალსაზრისით იქნებოდა დადასტურებული, რომ ჩვენი დამოუკიდებელი არსებობისთვის გარდაუვალად აუცილებელია საპრეზიდენტო რესპუბლიკური სისტემა.\*

ზემოთ ნამონეული სამივე ეს პრობლემა განეკუთვნება ხალხის მიერ თავისი ნებაგამოხატულებით არაერთგზის დადასტურებულ საკითხთა რიგს, რომელთა არალსრულება სახელმწიფოებრივი დანაშაულია. ამიტომ ამ საჭირობოტო საკითხთა გადანივცეცის ინიციატორებმა, პირველ რიგში, უნდა **მიმართონ ხალხს**, რათა მან მოახდინოს თავისი დარღვეული ნებაგამოხატულების რეანიმირება.

**მაშასადამე, ამ სამერთიანი ამოცანის გადანივცეცა უნდა მოხდეს ხალხის აქტიური ჩართულობით, ხელისუფლებაზე მისი უშუალო ზენოლით.**

ამ პრობლემების გადანივცეცის შემთხვევაში შესაძლებელი გახდება დემოკრატიული სისტემის არსებობისთვის უმნიშვნელოვანესი **მეოთხე** საკითხის – **საარჩენო სისტემისა და მისი კანონმდებლობის** (ნესის, დებულების) ქვეშარიტად დემოკრატიული ფორმის შემუშავების გადანივცეცა. თვინიერ ამისა საარჩენო ნესდების ირგვლივ ატეხილი მეოთხედსაუკუნოვანი პერმანენტული ბრძოლა (უფრო ხელის გადაგრეხის ტაქტიკა), როგორც ყოველთვის, ამჯერადაც კრახით დასრულდება.

---

\* დღეს უკვე კონსტიტუციურად დადგენილი ე.წ. საპარლამენტო მმართველობა ამ საყოველთაო პოლიტიკური კრიზისის ეპოქაში უპასუხისმგებლობის აპოთეოზი უფროა, ვიდრე სახელმწიფოებრივი მმართველობითი სისტემა, რასაც მოჰყვება (უფრო სწორად, უკვე მოჰყვა) **სრული სახელისუფლებო და საკანონმდებლო ანარქია და ქაოსი**. ჩვეულებრივ კი, ისტორიული კანონზომიერების თვალსაზრისით, ასეთი ანარქია და ქაოსი სრულდება უღმობელი დიქტატით. საგარეო ურთიერთობათა თვალსაზრისით, ეს არის მტრისთვის ღიად კარის დატოვება, რომელსაც სათანადო პირობების დადგომის შემთხვევაში ძალზე გაუიოლდება ფუძემდებლური დოკუმენტებით შექმნილი ბარიერის გადალახვა, თუ არა, მათი დენონსირებაც კი (ისე ჩანს, რომ ამის მსურველები არც შიდა ფრონტზე გვაკლია).

სწორედ ეს „ახალი ვარიანტი“ საარჩევნო დებულებისა გახდება ხელისუფლების მიერ (თუ შეძლებენ, არც ოპოზიცია იტყვის უარს) **არჩევნების გაყალბების „კანონიერი“ საშუალება**.

ასეთი ვითარება იმითაა განპირობებული, რომ **არჩევნების საკითხი**, როგორც დემოკრატიის განხორციელების საშუალება, **უშუალოდ უკავშირდება დემოკრატიული პრინციპით ფორმირებული სოციუმის არსებობას**. ჩვენში ეს სისტემა ნორმალური სოციუმის ფორმირებისა ვერ განვითარდა სამხედრო-კრიმინალური პუტჩის გზით რუსული ტიპის პოსტსაბჭოურ რევანშისტულ ძალთა გაბატონების შედეგად, რაზედაც თავის ადგილას გვექონდა მსჯელობა და გავარკვიეთ, რომ წესიერი საზოგადოებრივი ურთიერთობის ნაცვლად მივიღეთ ანტისაზოგადოებრივ დაჯგუფებათა კონგლომერატი, რომელიც ანადგურებს ჩვენს ეგზისტენციას.

**ამდენად, სანამ არ განახლდება დემოკრატიული სოციუმის ჩამოყალიბების პროცესი, ვერავითარ გამართულ საარჩევნო საკანონმდებლო ბაზისს ვერ მივიღებთ, ყველაფერი ეს თავის, უფრო მეტად, ხალხის მოტყუებაა.**

ამიტომ ამჯერად ჩვენ ისევ უნდა მივმართოთ **გარდამავალი ტიპის დროებითი საარჩევნო წესდების შექმნას**. მით უმეტეს, სახეზე გვაქვს ასეთი დებულებით ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მაგალითი, როცა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში შესაძლებელი გახდა მთელი დემოკრატიული სამყაროსთვის მისაღები არჩევნების ჩატარება.

მაშასადამე, საარჩევნო კანონმდებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს დროებითი საარჩევნო წესდების შექმნით, რომლის დემოკრატიულ (სრული კონსენსუსის) საწყისებზე ჩატარებული არჩევნებით არჩეული, პირობითად, **ეროვნული თანხმობის ხელისუფლება** გზას გაუხსნიდა ნორმალური სოციუმის ფორმირების პროცესს, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელს გახდის რეალური დემოკრატიული პროცესების განვითარებას.

ასეთია ის **ოთხი წინასწარი პირობა**, რომელთა განხორციელება დღევანდელ კრიზისულ ვითარებაში შესაძლებელია (ის კი არა, აუცილებელიც). სწორი, გაბედული და გამართული

ინიციატივის გამოჩენით, მასში ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შემოქმედი ხალხის ფართო ფენების ჩართულობით შევძლებთ ამ აუცილებელი წინაპირობის აღსრულებას.

**თავის მხრივ, ეს საყოველთაო გამოღვიძება შესაძლებელს გახდის ეროვნული თანხმობის საფუძველზე საზოგადოებრივი ნდობის პლატფორმის შექმნას.**

## დასკვნა

**ამდენად, ასეთი პლატფორმის ფორმირებისთვის გადაუდებლად განსახორციელებელი წინასწარი ღონისძიების ზემოთ ნაშთი მოწვეული ოთხი საკითხი გამოიკვეთა:**

1. დადგინდეს, სურს თუ არა ქართველ ერს (მოსახლეობას) იცხოვროს დამოუკიდებელ და დემოკრატიულ სახელმწიფოში და მაშინ წინ წამოწეულ იქნას პირველი პრეზიდენტის მიერ ჩვენი სახელმწიფოს არსებობის დევიზად გაცხადებული პრინციპი: „...მხოლოდ დემოკრაციას ძალუძს ჩვენი დაცვა“, „ვიყოთ პირველნი... დემოკრატიაში, ადამიანის უფლების პატივისცემაში და ლოცვაში“. ყველა ის, ვინც ამაზე უარს იტყვის და ჯერაც ჯიუტად ცდილობს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას ამ დევიზების და საქმეების მიჩქმალვას, ებრძვის არა მის პიროვნებას, არამედ დემოკრატიული განვითარების პრინციპს, საკუთრივ სამშობლოს.

2. დაიწყოს საყოველთაო მოძრაობა სახელმწიფო დღესასწაულების მოწესრიგებისთვის, უპირველეს ყოვლისა, 1991 წლის 9 აპრილის – დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღის – სახელმწიფო დღესასწაულად გამოცხადებისათვის.

3. ამ საყოველთაო მოძრაობის ფარგლებშივე უნდა იქნეს მიღწეული შეჩერება მოქმედ კონსტიტუციაში შეტანილი ჩვენი სახელმწიფოებრიობის სრული დეგრადაციისკენ მიმართული ცვლილებისა პრეზიდენტის საყოველთაო-სახალხო არჩევნების გზით არჩევის გაუქმების თაობაზე და აღდგეს ძველი

სტატუს-კვო პრეზიდენტის პირდაპირი, საერთო-სახალხო არჩევნების გზით არჩევის შესახებ.

4. უარი ეთქვას დღემდე არსებული საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესების უპრინციპო პრინციპს და დავიწყოთ რეალური ქმედება გარდამავალი ტიპის საარჩევნო კანონმდებლობის შემუშავებისა და „თანხმობის არჩევნების“ ჩატარებისთვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას 80 წლისთავი, ჩვეულებრივი საიუბილეო ფორმალობის ფონზე, უნდა დავტვირთოთ რეალურ საქმეებზე ზრუნვით. იგი უნდა ვაქციოთ ახლად აღდგენილი სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიული საზოგადოების ფორმირების შეწყვეტილი პროცესის განახლებისთვის ბიძგის მიმცემ მოვლენად.

მაშასადამე, პირველი პრეზიდენტისადმი ღირსეული პატივის მიგება (რა დონემდეც ვერაფრით ვერ ამაღლდა სახელმწიფოებრივი მმართველობითი სისტემა და, სამწუხაროდ, ვერშემდგარი სოციალური) იქნებოდა დალუპვის პირამდე მისული ქვეყნის გადარჩენისთვის კონკრეტულ ღონისძიებათა წამოწყება და ხალხის მასების დარაზმვა ამ, დღეს უკვე ფორსმაჟორულად ქცეული, საკითხების გადანყვეტისთვის, რომელიც მიგვიყვანდა ეროვნულ თანხმობამდე და საზოგადოებრივი „ნდობის პლატფორმის“ აშენებამდე.

## სარჩევი

<b>„ვინყე კვლევა გულმოდგინებით, გონებით განსჯა ყოველივესი...“ .....</b>	<b>3</b>
<b>თავი I .....</b>	<b>17</b>
<b>დამოუკიდებლობის ორი აქტი – ორი მიდგომა .....</b>	<b>17</b>
საკითხის დასმა .....	19
<b>1918 წლის 26მ მაისისა და 1991 წლის 9 აპრილის     აქტთა ისტორიულ და პოლიტიკურ საზრისზე.....</b>	<b>27</b>
ისტორიული წიაღსვლა.....	40
26 მაისის აქტის სამი ფუნდამენტური ღირებულება.....	45
თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ურთიერთმიმართება.....	51
ამ ორი აქტის ურთიერთმიმართების საკითხი.....	55
საქართველოს სახელმწიფოებრიობის 100 წლისთავის შესახებ.....	62
რევანშისტული მიდგომა 9 აპრილის აქტისადმი და მისი სოციალურ-ეკონომიკური ბაზისი .....	66
გადარჩენისა და აღორძინების გზა .....	74
სიცრუეზე აგებული ანტიისტორია.....	79
სიცრუე ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხზე .....	98
დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის ფორმირე- ბისადმი დისპარატული მიდგომის ჩასახვაზე ...	104
თაობის გაქცევა .....	111
იდეის დაბრუნებაზე ზრუნვა.....	117
ისევე „ცხრა აპრილის“ წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაზე .....	136
<b>თავი II .....</b>	<b>147</b>
<b>პრეზიდენტის ინსტიტუტი და ხელისუფლების     სახალხო ლეგიტიმაციის პრობლემა .....</b>	<b>147</b>
ზოგადი ნაწილი.....	147
ახლო ისტორია და დღევანდელი .....	154
ისტორიის გაკვეთილები .....	158

საპრეზიდენტო ინსტიტუტის შემოღების ირგვლივ მიმდინარე დისპუტები, მისი თანამედროვე რეალობასთან მისადაგება .....	163
ხალხის ნების კოსმიურობა .....	169
100 წლის წინ დრომოჭმული პარლამენტარული მმართველობა .....	172
ახალ მმართველობით სისტემაზე გადასვლის რეალური მიზეზი .....	173
<b>პუტჩისტური ალიანსის ბრძოლა საპრეზიდენტო წყობის წინააღმდეგ .....</b>	<b>176</b>
მცირეოდენი წიაღსვლა .....	184
პრეზიდენტის ინსტიტუტის როლი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში .....	187
ზვიად გამსახურდია პრეზიდენტის საერთო-სახალხო გზით არჩევის მნიშვნელობაზე .....	189
დღევანდელი თავსატყვიარი .....	193
ფოტოშოუს რეალური მიზანი .....	200

<b>თავი III. საზოგადოებრივი ნდობის პლატფორმის შემუშავების წინაპირობა .....</b>	<b>204</b>
--	------------



**ტექნიკური რედაქტორი:** ლუარა გამყრელიძე

**კომპიუტერული მომსახურება:** თენა ზაქარაია, ემა ჩიბიროვი

**დამკაბადონებული:** ნანა ყანდაშვილი

**დიზეინერი:** ირაკლი უშვერიძე



**გამომცემლობა „უნივერსალი“**

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

